

ISSN 1987-5789

**ეკონომიკა და ბიზნესი**  
**ECONOMICS AND BUSINESS**  
**ЭКОНОМИКА И БИЗНЕС**

**2**

ტომი ✦ Volume ✦ Том

VIII

№2, 2015

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და  
რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

Refereed and Reviewed International Scientific and Practical Journal  
of the Faculty of Economics and Business,  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Реферируемый и рецензируемый международный научно-практический журнал  
факультета экономики и бизнеса Тбилисского государственного университета  
им. Иванэ Джавахишвили



გამოდის 2008 წლის იანვრიდან ორ თვეში ერთხელ,  
2015 წლიდან – კვარტალში ერთხელ

Published since January 2008 once in two months,  
Since 2015- Quarterly

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ., №1,  
თსუ მალღივი კორპუსი, მე-13 სართ.,  
ტელ. 230-36-68, 599-10-38-16; 599 24-77-47.  
e-mail: ebf.journal@tsu.ge  
lia\_lugela@mail.ru

## სარედაქციო კოლეგია

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: რამაზ აბესაძე, იური ანანიაშვილი, თეიმურაზ ბერიძე, სიმონ გელაშვილი, რევაზ გველესიანი, რევაზ გოგოხია (*მთავარი რედაქტორი*), თამაზ ზუბიაშვილი (*პასუხისმგებელი მდივანი*), ნუგზარ თოდუა, ირაკლი კოვზანაძე, მაია მარგველაშვილი, ქეთევან მარშავა, მურთაზ მაღრაძე, იაკობ მესხია, ელგუჯა მექვაბიშვილი, დავით ნარმანია, ვლადიმერ პაპავა (*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი*), ავთანდილ სილაგაძე (*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი*), დემურ სიჭინავა, მირიან ტუხაშვილი, გიორგი ლალანიძე, თეიმურაზ შენგელია, ლეო ჩიქავა (*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი*), ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, ეთერ ხარაიშვილი.

## EDITORIAL BOARD

Doctors of Economic Sciences, Professors: Ramaz Abesadze, Iuri Ananiashvili, Teimuraz Beridze, Giorgi Ghaghanidze, Simon Gelashvili, Revaz Gvelesiani, Revaz Gogokhia (*Editor-in-Chief*), Tamaz Zubiashvili (*Executive Secretary*), Nugzar Todua, Irakli Kovzanadze, Maya Margvelashvili, Ketevan Marshava, Murtaz Maghradze, Iakob Meskhia, Elguja Mekvabishvili, Davit Narmania, Vladimer Papava (*Academician of the National Academy of Sciences of Georgia*), Avtandil Silagadze (*Academician of the National Academy of Sciences of Georgia*), Demur Sichinava, Mirian Tukhashvili, Temur Shengelia, Leo Chikava (*Corresponding Member of the Georgian National Academy of Sciences*), Nodar Khaduri, Elene Kharabadze, Eter Kharaiashvili.

## РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Доктора экономических наук, профессора: Рамаз Абесадзе, Теймураз Беридзе, Георгий Гаганидзе, Симон Гелашвили, Реваз Гвелесиани, Реваз Гогохия (*главный редактор*), Тамаз Зубиашвили (*ответственный секретарь*), Нугзар Тодуа, Ираклий Ковзанадзе, Муртаз Маградзе, Майя Маргвелашвили, Кетеван Маршава, Елгуджа Меквабишвили, Якоб Месхия, Давид Нармания, Владимир Папавა (*Академик Национальной Академии Наук Грузии*), Автандил Силагадзе (*Академик Национальной Академии Наук Грузии*), Демур Сичинава, Мириан Тухашвили, Темур Шенгелия, Лео Чикава, (*член корреспондент Национальной Академии Наук Грузии*), Нодар Хадური, Элене Харабадзе, Этер Хараишвили.

#### სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები

ვოლფგანგ ვენგი – ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი; ოლეგ კარასევი – ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკის კათედრის გამგე, ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი; იან მიხალეკი – ვარშავის უნივერსიტეტის ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკ-ის დეკანი, ეკ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი; დიმიტრი სოროკინი – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი; ტომას ჰალდმა – ტარტუს უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

#### FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD

*Wolfgang Weng - Berlin University, Professor, Oleg Karasev - Lomonosov Moscow State University, Chair of the Department of Statistics, Doctor of Economic Sciences, Professor, Jan Mikhalek - University of Warsaw, Dean of the Faculty of Economics, Doctor of Economic Sciences, Professor; Dmitry Sorokin - Corresponding Member of the Russian Academy of Sciences, Doctor of Economic Sciences, Professor; Toomas Haldma - Tartu University, Dean of the Faculty of Economics and Business Administration, Professor.*

#### ИНОСТРАННЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ

*Вольфганг Венг - профессор Берлинского Университета; Олег Карасев - зав. кафедрой статистики Московского Государственного Университета им. Ломоносова, д.э.н., профессор; Ян Михалек - декан факультета экономических наук Варшавского Университета, д.э.н., профессор; Дмитрий Сорокин - член корреспондент Российской Академии Наук, д.э.н. профессор; Томас Халдма - декан факультета экономики и администрирования бизнеса университета Тарту, профессор.*

## ს ა რ ჩ ე ზ ი

### აპონომიკური თეორია და აპონომიკური პოლიტიკა

<i>ელგუჯა მექვაბიშვილი</i> , გლობალიზაციის ეპოქის ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების პოლიტიკონომიური ანატომია .....	9
<i>ნუგზარ პაიჭაძე</i> , პროფესიული კომპეტენცია როგორც საჯარო მოსამსახურეთა მუშაობის ეფექტიანობის გადამწყვეტი ფაქტორი.....	35

### მიკროეკონომიკა ✦ მაკროეკონომიკა ✦ აპონომეტრიკა

<i>იაშა მესხია</i> , საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები: ანალიზი, გამონწვევები, პროგნოზები .....	49
<i>ბადრი რამიშვილი</i> , ენერგეტიკული ტრენდის განვითარების მიმართულებები და მისი გავლენა საქართველოს სტრატეგიულ მდგომარეობაზე .....	72

### საქმიანი თამაშები: თეორია და პრაქტიკა

<i>მარკუს ულრიჰი</i> , საქმიანი თამაშები: მდგრადი მომავლის ფორმირების ენა (ინგლისურ ენაზე).....	93
<i>დიმიტრი ქავთარაძე</i> , საქმიანი თამაშები საუნივერსიტეტო განათლებაში (რუსულ ენაზე) .....	106
<i>ჟანა თოლორდავა</i> , გეოეკონომიკური იმიტაციური მოდელების გამოყენება სასწავლო პროცესში .....	116

### აკადემიკოსი ვასილ ჩანტლაძე – 110

აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებების მასალები

<i>ირაკლი კოვზანაძე</i> , გამოჩენილი მეცნიერი და პედაგოგი .....	126
<i>გედევან ხელაია</i> , თვალსაჩინო მეცნიერი, ბრწყინვალე პედაგოგი და მამულიშვილი.....	131
<i>თეიმურაზ ბერიძე</i> , აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძის დაბადებიდან 110-ე წლისთავის გამო.....	140
<i>ნოდარ ბავრატიონი</i> , აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძე – დიდი მეცნიერი და გამორჩეული პიროვნება.....	142

### პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

<i>ნატალია მაკაშევა</i> , მაკროეკონომიკური შერიგება? (ი. ანანიაშვილისა და ვ. პაპავას წიგნის – „ლაფერ-კეინზიანური სინთეზი და მაკროეკონომიკური ნონასნორობა“ – შესახებ) .....	145
--	-----

<b>თეიმურაზ ბერიძე</b> , ზოგიერთი მოსაზრება ი. ბაჩიაშვილის მონოგრაფიაზე – „ერი და დრო, ანუ გვიყვარს თუ არა ქართველებს საქართველო. ფილოსოფიური და ეკონომიკურ-სამართლებრივი ასპექტები“ .....	157
<b>ელგუჯა მექვაბიშვილი</b> , დროის მართვა, ანუ როგორ შეიძლება ადამიანმა წარმატებას მიაღწიოს ცხოვრებაში (მ. ხარხელის ნაშრომის – დროის მენეჯმენტის – შესახებ) .....	163
<b>ანზორ ბრეგაძე</b> , <b>ირაკლი კალანდია</b> , <b>კახა ქეცბაია</b> , საინტერესო ნაშრომი ისტორიოსოფიაში (გამოხმაურება ზ. ხასაიას წიგნზე „გერმანელი ფილოსოფოსები ისტორიის შესახებ“).....	167

## CONTENTS

### ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

<i>Elguja Mekvabishvili</i> , Political and Economic Anatomy of Financial and Economic Crises in the Era of Globalization .....	9
<i>N. Paichadze</i> , Professional Competence as the Decisive Factor in Labour Effectiveness of Public Servants .....	35

### MICROECONOMICS. MACROECONOMICS. ECONOMETRICS

<i>Iasha Meskhia</i> , Georgia's Economic Reforms: Analysis, Challenges, Forecasts .....	49
<i>Badri Ramishvili</i> , Development of Energy Trend and Its Influence on the Georgian Strategic Position .....	72

### BUSINESS GAMES: THEORY AND PRACTICE

<i>Markus Ulrich</i> , Games, the Language to Shape a Sustainable Future.....	93
<i>D. Kavtaradze</i> , Business and Simulation Games in University Education .....	106
<i>Zh. Tolordava</i> , Application of the Geoeconomic Simulation Models in Teaching .....	116

### ACADEMICIAN VASIL CHANTLADZE - 110

#### Materials, dedicated to the 110th anniversary of the birth of Academician Vasil Chantladze

<i>Irakli Kovzanadze</i> , An outstanding scientist and a great teacher .....	126
<i>Gedevan Khelaia</i> , A great scientist, brilliant pedagogue and patriot .....	131
<i>Teimuraz Beridze</i> , On the 110th anniversary of the Academician Vasil Chantladze (in Russian) .....	140
<i>Nodar Bagrationi</i> , Academician Vasil Chantladze - the great scientist and distinguished person .....	142

### CRITICS AND BIBLIOGRAPHY

<i>Natalia Makasheva</i> , Macroeconomic Reconciliation? (About I. Ananiashvili and L. Papava's book „Laffer-Keynesian Synthesis and Macroeconomic Equilibrium“ .....	145
<i>Teimuraz Beridze</i> , Some considerations on I. Bachiashvili's monograph - "Nation and Time, or Do We Georgian love Georgia or don't? Philosophical and Legal Aspects." .....	157
<i>Elguja Mekvabishvili</i> , Time management, or how can human succeed in life (About M. Kharkheli's "Time Management") .....	163
<i>Anzor Bregadze, Irakli Kalandia, Kakha Ketsbaia</i> , An interesting work i n historiosophy (About Z. Khasia's book - "German Philosophers About History").....	167

## СОДЕРЖАНИЕ

### ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ И ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА

<i>Элгуджа Меквабидзе</i> , Политэкономическая анатомия финансово-экономического кризиса в эпоху глобализации .....	9
<i>Нугзар Пайчадзе</i> , Профессиональная компетентность как решающий фактор эффективной работы гражданских служащих .....	35

### МИКРОЭКОНОМИКА. МАКРОЭКОНОМИКА. ЭКОНОМЕТРИКА

<i>Яша Месхия</i> , Экономические реформы в Грузии: анализ, вызовы, прогнозы .....	49
<i>Бадри Рамишвили</i> , Развитие направлений энергетического тренда и его влияние на стратегическое положение Грузии .....	72

### ДЕЛОВЫЕ ИГРЫ: ТЕОРИЯ И ПРАКТИКА

<i>Маркус Ульрих</i> , Деловые игры: язык формирования устойчивого будущего (на англ. языке) .....	93
<i>Дмитрий Кавтарадзе</i> , Деловые игры в университетском образовании (на русском языке) .....	106
<i>Жанна Толордава</i> , Применение модели геоэкономической иммитации в процессе образования .....	116

### АКАДЕМИКУ ВАСИЛИЮ ЧАНТЛАДЗЕ - 110

#### Материалы посвященные к 110- летнему юбилею со дня рождения академика Василия Чантладзе

<i>Ираклий Ковзанадзе</i> , Выдающийся ученый и педагог .....	126
<i>Гедewan Хелая</i> Выдающийся учёный, замечательный педагог и гражданин .....	131
<i>Теймураз Беридзе</i> , К 110-летию юбилею академика Василия Чантладзе .....	140
<i>Нодар Багратиони</i> , Академик Василий Чантладзе - выдающийся ученый и личность .....	142

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

<i>Наталья Макашева</i> , Макроэкономическое примирение? (О книге Ю.Ананиашвили и В.Папава “Лафферо-кейнсианский синтез и макроэкономическое равновесие”) .....	145
<i>Теймураз Беридзе</i> , Некоторые соображения о монографии И. Бачиашвили - „Нация и время, или любим ли мы грузины Грузию. Философские и экономико-правовые аспекты“ .....	157
<i>Элгуджа Меквабидзе</i> , Управление временем, или каким образом человек может достичь успеха в жизни (О книге М. Хархели – “Менеджмент времени”) ..	163
<i>Анзор Брегадзе, Иракли Каландия, Каха Кецбаия</i> , Интересный труд по историософии (О книге З. Хасая – “Немецкие философы об истории”) .....	167

## ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

---

### გლობალიზაციის ეპოქის ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების პოლიტიკონომიური ანატომია

**ელგუჯა მაქვაბიშვილი**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის პროფესორი  
emekvabe@yahoo.com

სტატიაში განხილულია თანამედროვე გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები. დასაბუთებულია, რომ მისი სრულყოფილი შესწავლა შეუძლებელია მენისტრიმული ნეოკლასიკური თეორიის ჩარჩოებში და შემოთავაზებულია კვლევაში ეკონომიკური დინამიკის გამოყენების აუცილებლობა. გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის მთავარ მიზეზად დასახელებულია თანამედროვე ეკონომიკური სისტემისათვის დამახასიათებელი დისბალანსები, ნაჩვენებია მათი განვითარებისა და გადაჭრის მიმართულებები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გლობალიზაციის ეპოქაში ფინანსური კრიზისების პროგნოზირებისა და პრევენციის პრობლემას. დასაბუთებულია, რომ მისი ზუსტი პროგნოზირება პრინციპულად შეუძლებელია, თუმცა არ არის გამორიცხული ე.წ. პროგნოზირების კორიდორების შექმნა, რომელთა ჩარჩოში კრიზისის მეტი ალბათობა არსებობს.

**საკვანძო სიტყვები:** გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი, მენისტრიმული ნეოკლასიკური თეორია, ეკონომიკური დინამიკის თეორია, ეკონომიკური სისტემის დისბალანსები, კრიზისების პროგნოზირება და პრევენცია, პროგნოზირების კორიდორი.

ხუთ წელზე მეტმა განვლო 2007-2009 წლების გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისიდან, რომელიც ეკონომიკურ ლიტერატურაში შე-

ვიდა „დიდი რეცესიის“ სახელწოდებით. მას ანალოგი შეიძლება მოეძებნოს მხოლოდ 1929-1933 წლების „დიდი დეპრესიის“ სახით.

პოსტკრიზისული მსოფლიოს ეკონომიკური განვითარება არაერთ-გვაროვანი, რთული და წინააღმდეგობრივია. ეკონომიკური ზრდის პროგნოზირებულზე მაღალი ტემპი დაფიქსირდა აშშ-ში, რაც განაპირობა თანამედროვე ტექნოლოგიების ინტენსიურმა გამოყენებამ, ენერჯის უფრო იაფი წყაროების, ანუ ე.წ. „ფიქალის გაზის“ მოხმარებამ, კრიზისის პირობებში ჩამოყალიბებულმა ხელფასის შეზღუდვის ეფექტმა, რამაც შეამცირა წარმოების დანახარჯები და აამალა აშშ-ში წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა; ფედის მიერ გატარებულმა მასტიმულირებელმა მონეტარულმა პოლიტიკამ. გარკვეული ეკონომიკური წარმატებები აქვს იაპონიას, რომელიც ე.წ. „აბეეკონომიკის“ დოქტრინაზე დაყრდნობით ნელ-ნელა გამოდის გახანგრძლივებულ, თითქმის ოცნლიანი რეცესიიდან. ამასთანავე, ევროკავშირში ეკონომიკური რეცესია კვლავ გრძელდება. სერიოზულ პრობლემებს განიცდის ევრო. ევროკავშირის შიგნით მიმდინარეობს ქვეყნების დაყოფა „დონორებად“ და „რეციპიენტებად“, რაც ამწვავებს წინააღმდეგობას ამ ორ ჯგუფს შორის.

შეინიშნება განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის შემცირება, რაც აქვეითებს გლობალური ეკონომიკის ზრდის ტემპს. მწვავე კრიზისის განიცდის რუსეთის ეკონომიკა, რომლის მიზეზია უკრაინაში მისი სამხედრო ინტერვენცია, ამის საპასუხოდ დასვლეთის მიერ მკაცრი ეკონომიკური სანქციების შემოღება და ნავთობზე მსოფლიო ფასების საგრძნობი შემცირება.

ეკონომისტები ძირითადად თანხმდებიან იმ მოსაზრებაში, რომ თანამედროვე პირობებში გლობალური ეკონომიკის დუნე ზრდა განპირობებულია ერთობლივი მოთხოვნის შემცირებით. დისკუსია მიმდინარეობს იმაზე, თუ რა გზით უნდა მოხდეს მისი გაზრდა – მონეტარულით, ანუ ე.წ. „რაოდენობრივი შერბილებით“, თუ ფისკალური სტიმულირებით.

მეცნიერი ეკონომისტებისა და პოლიტიკოსების ერთი ნაწილი სულ უფრო ხშირად მსჯელობს ახალი ფინანსური კრიზისის დაწყების მაღალ ალბათობაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის დ. კემერონის მიერ „გარდიანისთვის“ მიცემული ინტერვიუ, სადაც ის პირდაპირ მიუთითებს ახალი გლობალური კრიზისის მოახლოებულ საფრთხეზე და მსოფლიო საზოგადოებას კოორდინირებული პრევენციული ღონისძიებების სასწრაფოდ გატარებისკენ მოუწოდებს.

ყოველივე ზემოაღნიშნული იმის მაჩვენებელია, რომ გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების პრობლემა კვლავ აქტუალურია თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კრიზისის მიზეზების, განვითარების ლოგიკის, შინაგანი კანონზომიერ-

ებების სისტემური მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესწავლა, რომელიც თანამედროვე ეკონომიკური თეორიის (პოლიტიკონომიის) პრეროგატივაა. სწორედ ეკონომიკურ-ფინანსური კრიზისების პოლიტიკონომიურ ანალიზს ეძღვნება წინამდებარე სტატია.<sup>1</sup>

### **გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები**

პრობლემისადმი თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომის სწორად განსაზღვრას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გლობალური ფინანსური კრიზისის ფენომენის მეცნიერული შესწავლის საქმეში. პირველ რიგში აუცილებელია განისაზღვროს კვლევის ცენტრალური რგოლი, რომელიც გვიკარნახებს ყველა სხვა დანარჩენი საკითხის გადმოცემის თანმიმდევრობას და ლოგიკას. ასეთ რგოლად ჩვენ მივიჩნევთ **გლობალური ეკონომიკური დისბალანსების პრობლემას** და ვაყენებთ საკითხს რამდენადაა შესაძლებელი მისი სწორი ანალიზი თანამედროვე მეინსტრიმული თეორიის ჩარჩოებში, რომელიც დასაბამს ვალრასის ზოგადი წონასწორობის თეორიიდან იღებს, გრძელდება ეროვნულ-დებრეს ორპერიოდიანი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის, ფრიდმანის ადაპტირებული მოლოდინის, ლუკასის, სარჯენტისა და ბაროს რაციონალური მოლოდინის თეორიების, პრესკოტისა და კუდლანდის საქმიანი ციკლის თეორიის (RBC) და დინამიკური სტოქასტური საერთო წონასწორობის (DSGE) თანამედროვე მოდელების „ოჯახის“ სახით. ყველა აქ ჩამოთვლილი მიმართულება შეიძლება გაერთიანდეს ეკონომიკური სტატიკის ზოგად თეორიულ-მეთოდოლოგიურ მიდგომაში, რომელიც ამჟამად ფართოდ გამოიყენება ფინანსური კრიზისების პრობლემის კვლევაში.

ნეოკლასიკური თეორიების თანახმად საბაზრო ურთიერთობის მთავარი სუბიექტია ე.წ. „რეპრეზენტატიული აგენტი“, რომელსაც ახასიათებს მაღალი ხარისხის ინფორმირებულობა წარსულში განვითარებული პროცესებისა და აწმყოში მიმდინარე მოვლენების მიმართ. ამის საფუძველზე რეპრეზენტატიულ აგენტებს უყალიბდებათ რაციონალური მოლოდინები, რომელიც თავის მხრივ განსაზღვრავს მათ ოპტიმიზირებულ ქცევას. ეს საშუალებას აძლევს საბაზრო სისტემას თავიდან აიცილოს არასასურველი რყევები. მაშასადამე, გამოირიცხება ეკონომიკის წონასწორობის დარღვევის რაიმე ენდოგენური მიზეზი და მიიჩნევა, რომ სისტემის „სიმყუდროვის დარღვევა“ მხოლოდ ეგზოგენური ფაქტორის ზემოქმედებითაა შესაძლებელი. თუმცა

1 სტატია დაიწერა სამეცნიერო სემინარზე – „პოლიტიკონომიური საუბრები ლადო პაპავასთან“ 2015 წლის 5 თებერვალს ავტორის მიერ წაკითხული მოხსენების საფუძველზე.

სისიტემას შესწევს თვითრეგულირების (თვითკორექტირების) უნარი. ნონას-ნორობის დარღვევა ხანმოკლეა, მისი აღგენა ავტომატური რეჟიმით ხდება და არ არის დაკავშირებული რაიმე განსაკუთრებულ ძალისხმევასთან. „ეფექტიანი ბაზრების ჰიპოთეზიდან გადახვევა ძალიან უმნიშვნელოა“, აღნიშნავს ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი რ. ლუკასი [1, 12]. დინამიკური სტოქასტური საერთო ნონასნორობის (DSGE) თეორიაც აღიარებს ნონასნორობის პრიორიტეტს ყველაზე ძლიერ ეგზოგენურ შოკებთან მიმართებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ნეოკლასიკური თეორიის ჩარჩოებში გლობალური ფინანსური კრიზისის შესწავლა არაეფექტიანია, რის გამოც ყურადღება უნდა მივაპყროთ ეკონომიკური დინამიკის მეთოდოლოგიას, კერძოდ, ანალიზის პროცესში უნდა გამოვიყენოთ ეკონომიკის ევოლუციური განვითარების შუმპეტერიანული თეორია [2], ა.ბოგდანოვის „ტექნოლოგია ანუ საყოველთაო ორგანიზაციული მეცნიერება“ [3] და ნ.კონდრატიევის კონიუნქტურის დიდი ციკლების (ტალღების) თეორია [4]. პირველ რიგში გამოვყოფთ ეკონომიკური დინამიკის მთავარ პოსტულატებს, რომლებსაც უნდა დაემყაროს ფინანსური კრიზისის პრობლემის კვლევა:

ა) ეკონომიკური სისტემის ნონასნორობა და მყარი პროპორციულობა გამონაკლისია, დინამიკური უნონასნორობა და დისპროპორციულობა კი – წესი.<sup>2</sup>

ბ) ეკონომიკური სისტემის წრფივი განვითარება აბსტრაქციაა, რომელიც მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში ფუნქციონირებადი სისტემის კანონზომიერებებს აღწერს. გრძელვადიან პერიოდში სისტემა არანრფივად ვითარდება და რამდენიმე ფაზას გაივლის. მეტად მნიშვნელოვანია ბიფურკაციის, ანუ სისტემის სიღრმისეული ცვლილების წერტილი, რომელიც გამოირჩევა საყოველთაო გაურკვევლობით, ანუ ე.წ. „გაურკვევლობის ხაფანგით“. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, განპირობებულია ან სწორი ინფორმაციის სიმწირით ან არასწორი ინფორმაციის სიჭარბით. ბიფურკაციის წერტილებად შეგვიძლია მივიჩნიოთ როგორც კრიზისის წინა პერიოდის სიტუაცია, რომელიც ხასიათდება ბაზრის მოთამაშეთა ზედმეტი, ხშირ შემთხვევაში ეიფორიაში გადასული ოპტიმიზმით, არსებული და მოსალოდნელი რისკების მიმართ ყურადღების მოდუნებით, ე.წ. „ჯოგური ქცევის ინსტიქტით“ და ა.შ. [5], ასევე კრიზისიდან გამოსვლის ეტაპი, რომელიც მაღალი დონის გაურკვევლობით

2 აღნიშნულთან დაკავშირებით რუსი ეკონომისტი ა.ბოგდანოვი აღნიშნავდა: „სისტემის ყოველგვარი ცვლილება შეიძლება განხილული იქნეს როგორც განსაკუთრებული კრიზისი. ყოველი უწყვეტობა შეიძლება დანაწილდეს კრიზისის უსასრულო ჯაჭვის სახით...“ ნონასნორობა კრიზისების მხოლოდ კერძო შემთხვევაა, კრიზისების ცნება კი უნივერსალურია [3, 178]

გამოირჩევა და განაპირობებს პოსტკრიზისული განვითარების მრავალფეროვან ტიპულ და ალტერნატიულ ხასიათს.

გ) ეკონომიკური სისტემის სხვადასხვა ელემენტი განსხვავებული სიჩქარით იცვლება. „სიჩქარის“ ცნებას ამ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა აქვს. თუკი ელემენტების ცვლილების სიჩქარეთა შორის დიდი განსხვავება არ შეინიშნება, ეს ნორმალურია და არავითარ საფრთხეს არ უქადის სისტემის მდგრადობას. პრობლემა წარმოიშობა სიჩქარეთა შორის მკვეთრი განსხვავების შემთხვევაში, რაც ხშირად ტურბულენტობაში, ანუ სისტემისათვის სახიფათო რყევების წარმოქმნაში გადადის.

გლობალიზაციის ეპოქაში ეკონომიკური სისტემის სწორედ ტურბულენტურ განვითარებასთან გვაქვს საქმე, რაც ეკონომიკის საყოველთაო **ფინანსებიზაციაში** ვლინდება. ეს უკანასკნელი გულისხმობს როგორც ფინანსური სექტორის ჰიპერტროფირებულ ზრდას, ასევე კვლავწარმოების პროცესში ფინანსების როლის პრინციპულ ცვლილებას, ეკონომიკის რეალური სექტორისადმი მისი დამოკიდებულების დიამეტრულ გარდაქმნას.

უკანასკნელი ოცდაათი-ორმოცი წლის მანძილზე ფინანსური სექტორის გიგანტურ ზრდაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა შემდეგი მონაცემები:

- 1970-იან წლებში ფინანსური ინსტიტუტების მიერ იქმნებოდა ეკონომიკის მთლიანი მოგების დაახლოებით 15%, ამჟამად იქმნება 50%-ზე მეტი [6];
- 1980-2005 წლებში ფინანსური სექტორის მოგება რეალურ გამოხატულებაში 800%-ით გაიზარდა, მატერიალურ სექტორში კი – 250%-ით [7, 16];
- ყველაზე მაღალი მოგების მქონე 500 ამერიკული კომპანიიდან პირველ ათეულში შემავალი ყველა კომპანია 1995 წლამდე მატერიალური წარმოების სფეროში ოპერირებდა, 2007 წელს კი პირველ ათეულს მხოლოდ ფინანსური კომპანიები იკავებდა;
- 1980-იან წლებში ფინანსური კორპორაციები შეადგენდა მთელი კომპანიების 10%-ს, 2007 წელს კი – 40%-ს [8, 17].

ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე სისტემატურად მცირდებოდა ეკონომიკის რეალურ სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულების ხვედრითი წონა და იგი შეადგენდა: 1959 წელს 60% -ს; 1972 წელს – 55%-ს; 1987 წელს – 52%-ს; 1995 წელს – 48%-ს, 2000 წელს – 41%-ს და 2008 წელს – 35%-ს. შესაბამისად იზრდებოდა ფინანსურ სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულების წილი. 1995-2005 წლებში აშშ-ის მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის 67% მოდიოდა საფინანსო მომსახურებასა და უძრავი ქონებით ვაჭრობაზე [9, 146].

რაოდენობრივი პარამეტრების ასეთ მნიშვნელოვან ცვლილებას ფინანსური სექტორი, ბუნებრივია, ახალ თვისებრივ მდგომარეობაში გადაჰყავს, რაც შემდეგში გამოიხატება:

ტრადიციულად, ფინანსური სექტორი კვალენარმოებაში დაქვემდებარებულ როლს ასრულებდა და მისი მთავარი დანიშნულება იყო რეალური სექტორის მომსახურება ფინანსური რესურსებით მომარაგების გზით. ამჟამად ფინანსური სექტორი არა მარტო მოწყდა რეალურ სექტორს,<sup>3</sup> მიიღო თვითკმარი ხასიათი და ვითარდება საკუთარი ლოგიკით, არამედ ხშირ შემთხვევაში თვითონ განსაზღვრავს რეალური სექტორის ფუნქციონირების წესს და როგორც ფრანგი მკვლევარი ბუაიე შენიშნავს: „ფინანსები ტირანულ ძალად გადაიქცევა“ და „იკავებს იმ სტრუქტურულ პოზიციას, რომელიც მას საშუალებას აძლევს საკუთარი წესები და ლოგიკა თავს მოახვიოს სტრუქტურის სხვა ელემენტებს“ [11, 32].

ფინანსური სექტორის გიგანტური ზრდა მიმდინარეობდა და ამჟამადაც გრძელდება რეალური სექტორის უკიდურესი შევიწროების ხარჯზე. დადებითი კორელაცია, რომელიც XX საუკუნის 1950-იან-1960-იან წლებში არსებობდა, ამჟამად ფინანსური სექტორის დიქტატით შეიცვალა. მოქმედებს ე.წ. „გამოდენის ეფექტი“ [12], რაც შემდეგში გამოიხატება: ფული შეიძლება ინვესტირდეს როგორც რეალურ, ასევე ფინანსურ აქტივებში. რეალურ სექტორში ფულის გამოყენებას უფრო ნაკლები მოგება მოაქვს, თუმცა აქ რისკებიც უფრო დაბალია. ფინანსურ სექტორში ფულის დაბანდება მეტ მოგებას იძლევა უფრო მაღალი რისკების პირობებში. ეკონომიკური გლობალიზაციის ეპოქაში, რომლის განმსაზღვრელი მიმართულება ფინანსური გლობალიზაციაა, ინვესტორები მეორე გზას ანიჭებენ უპირატესობას, რის გამოც ფულადი სახსრები რეალურ სექტორს აკლდება და იგი ფინანსური რესურსების ქრონიკულ „შიმშილს“ განიცდის. ფინანსურ სფეროში მოხვედრილი რესურსების ძალიან დიდი ნაწილი სპეკულაციურ ოპერაციებს ემსახურება, მიედინება საფონდო ბირჟებზე და ინვესს „ფინანსური ბუშტების“ გაბერვას. ამრიგად, სახეზეა მაკრო და მეგა დონეებზე თანამედროვე ეკონომიკური სისტემის ბაზისის უკიდურესი შევიწროება და ზედნაშენის ჰიპერტროფირებული ზრდა. გლობალური ეკონომიკის სტრუქტურა იღებს გადაყირავებული პირამიდის ფორმას, რაც ნიშნავს მის არამდგრადობას და მაღალი ხარისხით მონყვლადობას შიგა და გარე შოკების მიმართ.

ტურბულენტობა ახასიათებს არა მხოლოდ მთლიან ეკონომიკურ სისტემას, არამედ მის ფინანსურ კომპონენტსაც და იგი გამოიხატება ღრმა

3 პოლონელი პროფესორის გჟ.კოლოდკოს აზრით: „ფინანსური სექტორის დაშორება რეალურისგან ისეთი დიდია, რომ მისი კორექცია შეიძლება იყოს მხოლოდ კრიზისული, შოკური. რასაც პოლიტიკა ვერ აკეთებს „წინასწარ“, კრიზისმა უნდა გააკეთოს „შემდეგ“, თუმცა ეს ძალიან ძვირი ჯდება“ [10, 61]

დისპროპორციაში პირველად (საბაზისო) ფასიან ქაღალდებსა და წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებსა და დერივატივებს შორის. ფინანსური გლობალიზაცია გამოიჩინა დერივატივების მოცულობის ფეთქებადი ზრდით, რამაც ეკონომიკურ ლიტერატურაში სხვადასხვა სახელწოდება მიიღო: „დერივატიული რევოლუცია“, „დერივატიული კაპიტალიზმი“ და ა.შ. გლობალურ ეკონომიკაში დერივატივების მოცულობა ამჟამად ფანტასტიკურ რიცხვში – 1,2 კვადრლიონ აშშ დოლარით გამოიხატება და 16,7ჯერ აღემატება გლობალურ მშპდს, რომელიც 71,8 ტრლნ აშშ დოლარს შეადგენს [13, 73]. დერივატივები ყველაზე ფართოდ აშშ-ის ფინანსურ ბაზრებზეა გავრცელებული. კერძოდ, მისი ხვედრითი წონა დერივატივების გლობალური ბაზრის 54%-ზე მეტია იმ დროს, როცა აშშ წილი გლობალურ მშპდში 21%-ია [14, 21]. დერივატივებთან დაკავშირებული ოპერაციების დაახლოებით 90%-ს ოთხი ამერიკული ბანკი ახორციელებს: J.P.Morgan Chase, City Bank, Bank of America და Goldman Sachs.

დერივატივების არსებობას არც ისე ხანგრძლივი ისტორია აქვს. მის ჩანასახობრივ ფორმად შეგვიძლია მივიჩნიოთ სავალუტო ფიუჩერსები, რითაც 1972 წელს ჩიკაგოს საფონდო ბირჟაზე ვაჭრობა დაიწყო ამერიკელმა ადვოკატმა ლეო მელამედმა. მანამდე არსებობდა სასაქონლო ფიუჩერსები, რაც გამოიყენებოდა ფერმერების პროდუქციაზე მომავალში ფასების შემცირების შემთხვევაში წარმოქმნილი დანაკარგების საკომპენსაციოდ. დერივატივების განვითარების მომდევნო ეტაპი იყო ჩიკაგოს ოპციონების ბირჟის წარმოქმნა. ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორების, ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატების ფ.ბლეკისა და მ. შოულზის მიერ ოპციონების ღირებულების შეფასების თეორიის შემუშავებას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 1990 წელს საკრედიტო დეფოლტური სვოპების (CDS) პირველად გამოყენება, რომელიც აერთიანებდა სავალუტო და საპროცენტო სვოპების ელემენტებს. 2009 წელს მათი ხვედრითი წონა ბირჟის გარეთ ცირკულირებადი დერივატივების მთელი მოცულობის დაახლოებით 90%-ს შეადგენდა, რაც აბსოლუტურ მაჩვენებელში 58 ტრლნ აშშ დოლარი იყო [15, 144].

დერივატივი რთული და წინააღმდეგობრივი ფინანსური ელემენტია. მისი შემოღებით საგრძნობლად უმჯობესდება ინვესტირების მახასიათებელი პარამეტრები: გადასახადის ნაკადები, გადახდისუნარიანობა, ლიკვიდობა და ა.შ. ყოველივე ამის საფუძველზე ფართოვდება ბაზრის მონაწილეთა მანევრირების სივრცე. დერივატივები ასევე მიჩნეულია მრავალი ფინანსური ამოცანის, მათ შორის სარგებლის გაზრდისა და რისკების შემცირების ეფექტიან საშუალებად. დერივატივების მნიშვნელოვანი ფუნქციაა არბიტრაჟული და სპეკულატიური გარიგებების რეალიზაცია, რომელიც ფინანსურ აგენ-

ტებს ლევერიჯის გამოყენების გზით მსგავსი ოპერაციებიდან მაღალი მოგების მიღების შესაძლებლობას აძლევს.

დერივატივების შემოღების თეორიულ საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს ეროუ-დებრეს მოდელი, რომელიც თუმცა არ უარყოფს საბაზრო ეკონომიკაში სისტემური კრიზისების წარმოშობის შესაძლებლობას, მაგრამ თვლის, რომ პრინციპულად შესაძლებელია ნებისმიერი გაურკვეველობის ან რისკის დაძლევა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ანუ დერივატივების გამოყენებით.

არსებობს დერივატივების ეფექტიანობის მტკიცების საწინააღმდეგო მოსაზრება, რომლის თანახმადაც დერივატივები ფინანსური რისკებისგან დაცვის მხოლოდ ილუზიას ქმნის. სინამდვილეში დერივატივების მეშვეობით ხდება მხოლოდ რისკების შენიღბვა და გადანაწილება, რაც ადუნებს ინვესტორთა სიფხიზლეს და ეიფორიულ განწყობას აჩენს მათში. კიდევ ერთი უარყოფითი მომენტი ისაა, რომ დერივატივების მასობრივი გამოყენების შემთხვევაში შეუძლებელია როგორც საფინანსო ინსტიტუტების საკრედიტო პორტფელების რეალური შეფასება, ასევე პოტენციურად გადახდისუნარო მსესხებელთა აღმოჩენა. ყოველივე აღნიშნულის გამო, დერივატივები შეიცავს მწვავე ფინანსური კრიზისის წარმოშობის მნიშვნელოვან პოტენციალს.

კრიზისის მიზეზი შეიძლება ისიც გახდეს, თუ დერივატივები არის „ფინანსური კონტრაქტი ორ ან მეტ მხარეს შორის, რომელიც ემყარება საბაზრო აქტივის მომავალ ღირებულებას“ (ხაზგასმა ჩვენია დე.მ.). [16,133]. ეს იმას ნიშნავს, რომ დერივატივების ღირებულება განისაზღვრება მისი მოსალოდნელი შემოსავლით, ე.ი. მომავლით და არა მიმდინარე შემოსავლით, ანუ ანმყოფი. მსგავსი ტიპის წინააღმდეგობაზე მოსაზრება პირველად გამოთქვა კ. მარქსმა ე.წ. ფიქტიური კაპიტალის ანალიზის დროს [17]. „ფინანსურ სფეროში ადამიანთა მოტივაციები სულ უფრო მეტადაა ორიენტირებული მომავალზე, მაშინ როცა რეალური ბაზრები ანმყოფი ცხოვრობს“, აღნიშნავს ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი კ.ეროუ [18,16].

დერივატივების ამგვარი წინააღმდეგობრივი ხასიათი, ბუნებრივია, განაპირობებს მის მიმართ მკვლევართა განსხვავებულ დამოკიდებულებას. ცნობილი ამერიკელი ფინანსისტი, ფედერალური სარეზერვო სისტემის ყოფილი ხელმძღვანელი ა.გრინსპენი დერივატივების მხოლოდ დადებით თვისებაზე ამახვილებს ყურადღებას და აღნიშნავს: „ისეთი ფინანსური ინსტრუმენტის შემოღება, როგორცაა დერივატივები, ამაღლებს ადამიანთა კეთილდღეობას“ [19, 77]. მას არ ეთანხმებიან ცნობილი მეცნიერი ეკონომისტები ჰ.მინსკი, ჯ.სტიგლიცი, პ.სამუელსონი; ასევე ფინანსისტი მილიარდერები უ.ბაფეტი და ჯ.სოროსი. კერძოდ ჰ. მინსკი წერს: „ფინანსური ინოვაციები არღვევს ეკონომიკის საერთო სტაბილურობას“ [20, 112]. ჯ.სტიგლიცის აზ-

რით, „წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში ინვესტორს არ შეუძლია მოსალოდნელი ან წარმოქმნილი რისკების სწორი შეფასება“ [21]. დერივატივებს კიდევ უფრო მკაცრად აკრიტიკებს პ.სამუელსონი, რომელიც წერს, რომ დერივატიზაცია არის „ემპაკის მუყაოს სახლის კონსტრუირება“, დერივატივები, მისი აზრით „ისეთი რთული მექანიზმია, რომ მისი გაგება არც ერთ მმართველ თავმჯდომარეს არ შეუძლია და იმდენად გაუმჭვირვალეა, რომ სისტემის საფუძველთა ნგრევა სრულიად მოულოდნელად დაიწყო“ [22,11]. უ.ბაფეტი დერივატივებს უწოდებს „მასობრივი განადგურების ფინანსურ იარაღს“ [23,196]. დერივატივების წინააღმდეგობრივ ბუნებაზე აკეთებს აქცენტს ჯ.სოროსიც: „ფინანსური ინოვაციები (პირველ რიგში დერივატივები იგულისხმება – ე.მ.) თავისუფალი ბაზრის ერთდერთ უპირატესობადაა მიჩნეული, თუმცა, ფინანსურ ბაზრებზე ინოვაციები გარდაუვალად წარმოშობს არასტაბილურობას“ [24, 378].

დერივატივებთან უშუალოდაა დაკავშირებული *სეკურიტიზაცია*, რომელიც ნიშნავს სავალო ვალდებულებათა საფუძველზე ობლიგაციების გამოშვებას. პირველად იგი გამოყენებული იქნა აშშ-ში 1977 წელს, როგორც მშენებლობის სფეროში გრძელვადიანი და იაფი რესურსების მოზიდვის ინსტრუმენტი. მოგვიანებით სეკურიტიზაციის გამოყენების სფერო გაფართოვდა და იგი გადაიქცა ფინანსური ინსტიტუტების მიერ მაღალი მოგების მიღების იარაღად. მკველევრები ხშირად ხაზს უსვამენ სეკურიტიზაციის როლს ფინანსურ-ეკონომიკური რყევების წარმოქმნაში. კერძოდ, პ.კრუგმანი 2007–2009 წლების ფინანსურ კრიზისს „სეკურიტიზაციის პირველ კრიზისს“ უწოდებს [25;35]. მართლაც, სეკურიტიზაცია ნიშნავს ძველი ვალების ახალით გადაფარვას და მისი ინსტრუმენტია არა ბანკის აქტივები – კრედიტი ან იპოთეკა, არამედ წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები – დერივატივები. ყოველივე ამის შედეგად იზრდება მთლიანად ფინანსური სისტემის გაუმჭვირვალეობა, მატულობს ეკონომიკის ერთობლივი ვალი, მათ შორის ე.წ. „ტოქსიკური აქტივების“ დაგროვების ხარჯზე, წყდება კავშირი ეკონომიკის რეალურ და ფინანსურ სექტორებს შორის, იბერება ფინანსური ბუშტები, ძლიერდება როგორც საკუთრივ ფინანსური სისტემის, ასევე მთლიანად ეკონომიკის არასტაბილურობა. ფინანსური კომპანიები სეკურიტიზებული აქტივების, ანუ დერივატივების მასობრივი შესყიდვის გზით გაუმართლებლად ზრდიან მოზიდული სახსრების ხვედრით წონას აქტივების საერთო მოცულობაში. მიმდინარეობს ე.წ. „საკრედიტო მხარის“ დაგრძელება, ანუ ლევერიჯი, რომელიც ხშირად ხდება ფინანსური კოლაფსის წარმოქმნის პირდაპირი მიზეზი.

ამრიგად, ფინანსურ სექტორში მიმდინარეობს იგივე წინააღმდეგობრივი პროცესი, რაც ზოგადად ეკონომიკურ სისტემაში: წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ჰიპერტროფირებული ზრდა, რის გამოც პრინ-

ციპულად შეიცვალა გლობალურ ეკონომიკაში ლიკვიდურობის სტრუქტურა. კერძოდ, პირველადი ფულადი ბაზრის ხვედრით წილად ამჟამად მოდის გლობალური ლიკვიდურობის 1%, რაც შეადგენს გლობალური მშპ-ის 9%-ს; ე.წ. „ფართო ფულზე“, ანუ M2-ზე ლიკვიდურობის 10% და მშპ-ს 122%; სექტორიტიზებულ ვალზე 11% და 138%; დერივატივებზე 78% და 964% [26, 9]. აშკარაა, რომ ეს არ შეიძლება ნორმალურ მდგომარეობად ჩაითვალოს.

გლობალური ფინანსური კრიზისის მნიშვნელოვან მიზეზად უნდა მივიჩნიოთ, საკრედიტო ექსპანსია, რომლის აუცილებლობასაც მოხმარებას (გადახდისუნარიან მოთხოვნასა) და წარმოებას (მიწოდებას) შორის ფუნდამენტური დისბალანსი წარმოშობს.

ეკონომიკური კრიზისის სხვადასხვა თეორია არსებობს, მათ შორის ს. სისმონდისა და კ. მარქსის ნაკლებმომხმარებელ თეორიები. სისმონდის აზრით, ფაბრიკანტისთვის მთავარია პროდუქტების წარმოების შედეგად მიღებული მოგება. ამ პროდუქტების უმეტეს ნაწილს ყიდულობს მოსახლეობის ის უმრავლესობა, რომელიც პროლეტარიაციას განიცდის. ამის შედეგად პერმანენტულად ხდება მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობის დაქვეითება, რაც პერიოდულად განაპირობებს ეკონომიკური კრიზისების დაწყებას. ამასთანავე, ეს კრიზისები სულ უფრო მძაფრ ხასიათს იღებს [27]. ეკონომიკური კრიზისებს კ.მარქსი ასევე უკავშირებდა მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის შემცირებას, რაც მისი აზრით, პროლეტარიატის შეფარდებითი გაღატაკების შედეგი იყო [17]. ჯ.მ.კეინზი კრიზისის მიზეზად მიიჩნევდა ადამიანის ხასიათის მერყეობას, საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობას, მომავლის წინაშე პანიკურ შიშს, რაც მისი აზრით, აიძულებს პიროვნებას შეზღუდოს მიმდინარე მოხმარება და მუდმივად დაზოგოს საკუთარი შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი [28]. ეს, ბუნებრივია, ამცირებს ერთობლივ მოთხოვნას და ზრდის რეცესიის წარმოშობის შესაძლებლობას.

პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე მივმართავთ მოკლე ისტორიულ ექსკურსს, რომელიც, ვფიქრობთ, დაგვეხმარება დავინახოთ ხანგრძლივი დროის მანძილზე მოხმარებაში განხორციელებული ძვრები.

1700-იანი წლებიდან პირველ მსოფლიო ომამდე განვლილ პერიოდში კაპიტალის თანაფარდობა ყოველწლიურ შემოსავლებთან, შესაბამისად, თანაფარდობა კაპიტალიდან და შრომიდან მიღებულ შემოსავლებს შორის, ყოველთვის კაპიტალის სასარგებლოდ იყო [29]. შემდეგი პერიოდი პირველი მსოფლიო ომიდან 1970-იან წლებამდე, რომელშიაც განსაკუთრებით გამოსაყოფია 1950-1970-იანი წლების მონაკვეთი. ამ დროს შემცირდა კაპიტალიდან წმინდა უკუგების მაჩვენებელი, გაიზარდა კაპიტალზე გადასახადი, შრომის სასარგებლოდ შეიცვალა ფუნქციური შემოსავლების განაწილება, პირადი შემოსავლების განაწილება შედარებით თანაბარი გახდა. საინტერესოა,

რომ სწორედ ეს პერიოდი გამოირჩევა კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის ყველაზე უფრო წარმატებული განვითარებით. კერძოდ, ზემოაღნიშნულ პერიოდში მსოფლიო ეკონომიკა ყოველწლიურად 4,1%-ით იზრდებოდა, მაშინ როცა მომდევნო 1973-1998 წლებში ანალოგიური მაჩვენებელი მხოლოდ 3,0%-ს შეადგენდა. პიკეტი შემთხვევით არ უწოდებს ამ პერიოდს „კაპიტალიზმის ოქროს ხანას“ [29].

1970-იანი წლების ბოლოს და 1980-იანი წლების დასაწყისში სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა. მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში – აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში დაიწყო კაპიტალის ინტერესების დამცველი პოლიტიკის გატარება, კერძოდ, საგრძნობლად შემცირდა მოგებაზე გადასახადი, ქონებაზე გადასახადი კი სიმბოლური გახდა. ამის შედეგად აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში მოსახლეობის სულ რაღაც 1%-იანი უმცირესობის წილი მთლიან შემოსავლებში ბოლო 30 წლის მანძილზე ორჯერ და მეტად გაიზარდა და შესაბამისად 14% და 17% შეადგინა [30, 34]. ამასთან ერთად ძირი გამოეთხარა მუშათა კლასის ერთ დროს მტკიცე პოზიციას, რაც საკუთარ თავზე პირველებმა აშშ-ის მშრომელებმა იგრძნეს. აშშ-ში 1970-იანი წლების შუა პერიოდიდან დაწყებული რეალური ხელფასის ზრდა ფაქტობრივად შეწყდა. თუ 1980 წელს ამერიკელი მუშის საშუალო საათობრივი ანაზღაურება (1982 წლის უცვლელ ფასებში გაანგარიშებით) 7,78 დოლარს შეადგენდა, 1985 წელს იგი 7,52, ხოლო 1999 წელს 7,37 დოლარამდე შემცირდა [30 117]. თითქმის იგივე სურათი შეინიშნებოდა ინდუსტრიულად განვითარებულ სხვა ქვეყნებში. აღნიშნული გარემოება რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული. კერძოდ:

- ეკონომიკის საყოველთაო ლიბერალიზაციისა და დერეგულირების შედეგად კორპორაციებში დანახარჯების მინიმიზაციის ამოცანის წინა პლანზე წამოწევით, რაც პირველ რიგში გულისხმობდა შრომის ანაზღაურების შემცირებას;
- პროფკავშირების როლის საგრძნობი შესუსტებით;
- ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში განვითარებადი ქვეყნებიდან საქონლისა და მომსახურების იმპორტის გაძლიერებით;
- საგადასახადო ტვირთის გადანაწილებით უფრო მეტად მობილური კაპიტალიდან ნაკლებად მობილურ სამუშაო ძალაზე;
- ნაციონალურ შრომის ბაზარზე ლეგალური და არალეგალური „გასტარბაიტერების“ მხრიდან კონკურენციის გაძლიერებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად „მრავალ მდიდარ ქვეყანაში ხელფასების ზრდის ტემპი ბოლო ათი წლის განმავლობაში ინფლაციას ჩამორჩებოდა, ... რის გამოც ადამიანებს უფრო მეტი მუშაობა უწევდათ საიმისოდ,

რომ ნაკლები მიეღოთ. ასე რომ, ცხოვრების სტანდარტი არათუ გაზრდილა, არამედ შემცირდა კიდეც“ [30, 37-38].

ცნობილია, რომ აშშ-ში მთლიანი შემოსავლების დაახლოებით  $\frac{3}{4}$  დაქირავებული მუშაკების შრომის ანაზღაურებაზე მოდის [31, 584]. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ პერიოდში ამ ტიპის შემოსავლების 5 პროცენტული პუნქტით შემცირება [32, 5] უარყოფითად მოქმედებდა მოხმარებაზე და განაპირობებდა ერთობლივი მოთხოვნის შემცირებას. ამის კომპენსაცია არ მომხდარა კაპიტალზე გადასახადის საგრძნობლად შემცირებით, რადგანაც, ჯერ-ერთი, გამოთავისუფლებული თანხები ინვესტირებას კი არ მოხმარდა, არამედ საფონდო ბირჟებზე „გადაიღვარა“ და სპეკულატიურ ოპერაციებში რაელიზდა, და მეორე, კაპიტალზე გადასახადის შემცირებას შეეძლო მხოლოდ ფუფუნების საგნებზე მოთხოვნის გაზრდა, რომლის წილი საერთო მოხმარებაში ტრადიციულად ძალიან დაბალია. მეორე მხრივ, იმავე აშშ-სა და ინდუსტრიულად განვითარებულ სხვა ქვეყნებში ადგილი ჰქონდა ერთობლივი მიწოდების ზრდას, რასაც განაპირობებდა დადებითი ტექნოლოგიური შოკის მოქმედება. როგორც გრ. მენქიუ შენიშნავს: „უახლესმა ტექნოლოგიურმა მიღწევებმა, რომელთა შორის პირველ ადგილზე ინტერნეტი უნდა დასახელდეს, გაზარდა პროდუქტიულობა და მიწოდების ტექნოლოგიურ შოკად მოგვევლინა“ [31, 783].

ამგვარად, თანამედროვე ეკონომიკურ რეალობაში სახეზეა მკვეთრი დისბალანსი გადახდისუნარიან მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, რომლის აღმოფხვრასაც საკრედიტო ექსპანსიის გზით ცდილობენ. ეს უკანასკნელი წინააღმდეგობრივი ხასიათისაა, რომელიც ვლინდება იმით, რომ საკრედიტო ექსპანსიის გზით ხდება ფიქტიური მოთხოვნის შექმნა, კრიზისის გადავადება და არა მისი თავიდან აცილება. პირიქით, საკრედიტო ექსპანსია კიდევ უფრო აღრმავებს ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისს და აძლიერებს მის დესტრუქციულ პოტენციალს.<sup>4</sup> აღნიშნულის კონტექსტით სრულიად მართებულად მიგვაჩნია ბრაზილიის პრეზიდენტის დილმა რუსეფის მოსაზრება: „ჩვენ ახლა ერთ დროს წარმატებული ეკონომიკური სისტემების კრიზისების პერიოდში ვცხოვრობთ. ვალების დაგროვებით მზარდი ხელფასების ჩანაცვლება ვერ მოხდება (ხაზგასმა ჩვენია – ე.მ.) და ვერც საბაზრო თვითრეგულირება ჩაანაცვლებს სახელმწიფო რეგულირებას“ [30, 66].

4 ი.შუმპეტერი წერდა: „ბანკების მიერ ფულის შექმნა, ანუ ახალი სამომხმარებლო უნარის შექმნა არაფრისაგან“ [2; 75]. ნობელიანტი ფრანგი ეკონომისტის მ.ალეს აზრით „კრედიტი ყველგან ხელს უწყობს სპეკულაციას, რადგანაც შესაძლებელია იყიდო ისე, რომ არ ფლობდე გასაყიდ საქონელს“ [33, 16]. მსგავს მოსაზრებას გვთავაზობს ჰ.მინსკი: „საკრედიტო ექსპანსია იწვევს ვალის დაგროვებას, რომელიც დაკავშირებულია სპეკულატიური აქტივების შენახვასთან მისი შემდგომში გადაყიდვის მიზნით“ და „საკრედიტო ექსპანსიას ხშირად ღრმა დეპრესიამდე და კრახამდე მიჰყავს ეკონომიკა“ [34, 224].

ამრიგად ფინანსურმა გლობალიზაციამ და მისგან გამომდინარე ეკონომიკის ფინანსებიზაციამ გამოიწვია საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტური დისბალანსების გაღრმავება, რითაც სათავე დაუდო ამ სისტემის ინსტიტუციური საფუძვლების ეროზიას, ტოტალურ გაურკვევლობას და მაკრორისკების მნიშვნელოვან ზრდას.

### **2007-2009 წლების გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის მიზეზები და განვითარების ლოგიკა**

პროცესები დაიწყო 2007 წლის ივლისში აშშ-ის იპოთეკური ბაზრის კრიზისით, გავრცელდა ჯერ ფინანსურ სექტორზე, შემდეგ მთელ ეკონომიკაზე და მოგვიანებით მიიღო გლობალური ხასიათი. კრიზისი წარმოადგენდა აშშ-ის ეკონომიკის ციკლური განვითარების კანონზომიერ შედეგს. 1991-2001 წლები რეცესიის გარეშე განვითარების თითქმის ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი იყო აშშ-ის ეკონომიკურ ისტორიაში. ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპი 3,2%, ინფლაციისა და უმუშევრობის მაჩვენებლები შესაბამისად 1,3% და 4,2% იყო, რაც ყველაზე დაბალია ბოლო ათწლეულების განმავლობაში [31, 782]. აშშ-ის ეკონომიკის სტაბილური და მაღალი ტემპით ზრდა მთელი მსოფლიო ეკონომიკის წარმატებული განვითარების მთავარი პირობა იყო.

ეკონომიკური ბუმი განსაკუთრებული სიძლიერით გამოვლინდა უძრავი ქონების, კერძოდ, საცხოვრებელი ფართების ბაზარზე, სადაც ბინების ფასები განუწყვეტლად მატულობდა. 2001 წელს აშშ-ში მაღალი ტექნოლოგიური კომპანიების ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, საკმაოდ მოულოდნელად განვითარებული ე.წ. „დოტ-კომების“ კრიზისის გამო, ამერიკელთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა დაკარგა ნდობა საფონდო ბაზრის მიმართ და ფულის დაბანდება დაიწყო უძრავ ქონებაში, პირველ რიგში, საცხოვრებელ ფართებში. ამ ბაზარზე ფასების განუწყვეტელი ზრდის გამო მოქალაქეები ბინებს ძირითადად ყიდულობდნენ არა საკუთარი საჭიროებისათვის, არამედ შემდგომში მათი უფრო ძვირად გაყიდვის მიზნით და ამ გზით წელიწადში დაახლოებით 20%-იან მოგებას იღებდნენ. ინვესტირების წყაროს არ წარმოადგენდა მოქალაქეთა დანახოვები. პირიქით, აშშ-ის მოქალაქეთა 80%-ზე მეტი კი არ ზოგავდა საკუთარი შემოსავლების ნაწილს, არამედ ვალების აღებით ცხოვრობდა. „დიდი რეცესიის“ წინ ვალების მომსახურების ჯამური დანახარჯები 10%-ით აღემატებოდა ჯამურ შემოსავლებს [35, 13]. 2000-2009 წლებში აშშ-ში დაგროვების ნორმა საშუალოდ შეადგენდა ამ ქვეყნის მშპ-ის 13,1%, ინდოეთში – 29,5%, ჩინეთში – 46,8% [36, 17]. ასეთ პირობებში ინვესტირების თითქმის ერთადერთ წყაროს გირაოში ნაყიდი სახლების ჩადებით აღებული

საბანკო კრედიტები წარმოადგენდა, რასაც ხელს უწყობდა აშშ-ის ეკონომიკაში აღმოცენებული ფულის ჭარბი ლიკვიდურობა. „იაფი ფული“ ტრანსფორმირდებოდა „იაფ კრედიტად“, მიედინებოდა სამომხმარებლო საქონლით ვაჭრობის სფეროში და საცხოვრებელი ფართების ბაზარზე. ფულის სიიაფის და ადვილი ხელმისაწვდომობის გამო ბანკების მიერ იპოთეკური კრედიტების გაცემა ხშირად ხდებოდა მსესხებლის გადახდისუნარიანობის შესწავლის გარეშე, მათი რეგულარული შემოსავლის ან საგარანტიო ქონების მონაცემების გაუთვალისწინებლად. აქედან გამომდინარე იზრდებოდა დაბალხარისხიანი ე.წ. subprimes კრედიტების რაოდენობა, რომელთა წილმა კრედიტების საერთო მოცულობაში 2002 წლის 6%-იდან 2006 წელს 20%-მდე მოიმატა [14, 21]. აბსოლუტური გამოხატულებით subprimes მოცულობამ უზარმაზარ თანხას – 1,3 ტრლნ აშშ დოლარს, ანუ აშშ-ის მშპ-ს 10%-ს მიაღწია [37, 39].

საკრედიტო ექსპანსიას ხელი შეუწყო ბანკების ინიციატივით სპეციალურად შექმნილი ფინანსური ინსტიტუტების მიერ დერივატივების გამოშვებამ, რომლის უზრუნველყოფის როლში გამოდიოდა იპოთეკური კრედიტებით შექმნილი და გირაოში ჩადებული საცხოვრებელი ფართები. ამ გზით ადგილი ჰქონდა საფინანსო რისკების გადაკისრებას ბანკებიდან სპეციალიზებულ საფინანსო ინსტიტუტებზე, ხოლო ამ უკანასკნელებიდან - კი დერივატივების მყიდველებზე. აშშ-ის ფინანსურ სექტორში ჩამოყალიბდა პირამიდა, რომლის სიმყარე დიდი ხნის მანძილზე საყოველთაოდ უცნობი იყო. მისი სიმყიფე ცნობილი გახდა მხოლოდ 2007 წლის შემოდგომაზე, როცა დაიწყო ამ პირამიდის ნგრევა.

იპოთეკური კრიზისის პირველი ნიშნები 2007 წლის ივლისში გამოჩნდა, თუმცა, განსაკუთრებით აღსანიშნავია იმავე წლის სექტემბერი, როცა გაკოტრდა ორი უმსხვილესი საფინანსო ინსტიტუტი – საინვესტიციო ბანკი „Lehman Brothers“ და საინვესტიციო კომპანია „Merlin Lynch“.

იპოთეკური კრიზისის „გამშვები მექანიზმის“ როლი შეასრულა ფედი-ს გადაწყვეტილებამ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების შესახებ და სადისკონტო განაკვეთის გაზრდამ 2001 წლის 1%-იდან 5,25%-მდე 2006 წლის ზაფხულში, რის გამოც მსესხებლები საპროცენტო რისკის მარწმუნებში აღმოჩნდნენ. წინათ ისინი კრედიტებზე პროცენტების დაფარვას ახერხებდნენ ე.წ. „პონცი პირამიდის“ ჩარჩოში, ახლა კი ამის გაკეთება შეუძლებელი გახდა და კატასტროფულად იმატა დაუბრუნებელმა კრედიტებმა. წარმოქმნილი დეფიციტის შევსებას ბანკები შეეცადნენ შიგაგანად საკრედიტო ბაზარზე სახსრების მოპოვებით, რამაც კიდევ უფრო გაზარდა საპროცენტო განაკვეთები. ბანკები მასობრივად ცდილობდნენ გირაოში ჩადებული ბინების გაყიდვას, რამაც საგრძნობლად შეამცირა მათზე ფასები და კიდევ უფრო გააუარესა მოვალეთა კრედიტუნარიანობა. იპოთეკური კრედიტების

მასობრივმა დაუბრუნებლობამ გამოიწვია მათ საფუძველზე ემიტირებული ფინანსური ინსტრუმენტების – დერივატივების გაუფასურება და დერივატივების პირამიდების ნგრევა.

ამრიგად, 2007 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე აშშ-ში ჩამოყალიბდა მწვავე საფინანსო კრიზისი, რაც გამოიხატა უმსხვილესი ბანკების, საინვესტიციო და სადაზღვევო კომპანიების მასობრივი გაკოტრებით. აშშ-ის საბანკო სექტორის მოგება 2007 წლის მეოთხე კვარტალში, 2005 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, 35,2 მლრდ აშშ დოლარიდან 8,5 მლრდ დოლარამდე შემცირდა [38, 19]. HSBC – ბანკის ინფორმაციით, მისი მარტო ამერიკული ფილიალების მიხედვით დაუბრუნებელი სუბსტანდარტული კრედიტების მოცულობამ 10 მლრდ 560 მლნ აშშ დოლარი შეადგინა [39, 106]. 2008 წლის აგვისტოში აშშ უმსხვილესი საფინანსო ინსტიტუტების ჯამური დანაკარგი 500 მლრდ დოლარი იყო [40, 19].

გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ჯამური დანაკარგები ანტიკრიზისულ ღონისძიებებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ჩათვლით 4 ტრლნ 700 მლრდ აშშ დოლარს შეადგენდა, მსოფლიო ბაზრის კაპიტალიზაცია კი 26 ტრლნ 400 მლრდ დოლარით შემცირდა [36, 72].

ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 2007-2009 წლების გლობალური კრიზისი მთლიანად „ენერება“ წინამდებარე სტატიის წინა ნაწილში ჩამოყალიბებულ ფინანსური კაპიტალიზმის განვითარების კრიზისულ მოდელში. კერძოდ:

- საკრედიტო ექსპანსია ჭარბი ლიკვიდურობის საფუძველზე და შესაბამისად, დავალიანების გიგანტური ზრდა. 2000-იანი წლების დასაწყისში აშშ-ის ეკონომიკაში კერძო სექტორის დავალიანებამ 2,25-ჯერ, ხოლო ერთობლივმა დავალიანებამ 3-ჯერ გადააჭარბა ქვეყნის მშპ-ს. ამ დავალიანების უმეტესი ნაწილი ფინანსურ სექტორზე მოდიოდა და პონცი-პირამიდის სქემაში ჯდებოდა. იმავე პერიოდში მოსახლეობის ერთ სულზე დავალიანება საშუალოდ 42,6 ათას აშშ დოლარს შეადგენდა [41, 35]. ამ თვალსაზრისით საინტერესოა „დიდი დეპრესიისა“ და „დიდი რეცესიის“ პერიოდთა შედარება, რომელსაც ჯ.სოროსი გვთავაზობს: 1929 წელს აშშ-ის ბანკების მიერ გაცემული კრედიტების მოცულობა შეადგენდა ამ ქვეყნის მშპ-ის 160%, 1932 წელს კი იგი 250% -მდე გაიზარდა. 2008 წელს კრედიტების მოცულობა დერივატივების გარეშე შეადგენდა აშშ-ის მთლიანი შიგა პროდუქტის 365% [42, 3].

დისბალანსი წარმოებასა და მოხმარებას შორის. აშშ აწარმოებდა გლობალური მშპ-ის დაახლოებით 20%-ს და მოიხმარდა 35%-ზე მეტს. ამერიკელი მოქალაქეების 80%-ის დანახარჯები პირად მოხმარებაზე აჭარბებდა მათ ჯამურ შემოსავლებს. აშშ-ის საგადაამხდლო ბალანსის მიმდინარე ან-

გარიშის დეფიციტი 1996 -2012 წლებში მერყეობდა ქვეყნის მშპ-ის 0,5-2%-ის ფარგლებში [13, 73]. ამის მიზეზს წარმოადგენდა აშშ-ის საქონლისა და მომსახურების წმინდა ექსპორტის უზარმაზარი უარყოფითი სალდო, რომლის დიდი წილი ჩინეთთან ვაჭრობაზე მოდიოდა. კერძოდ, ყოველწლიური დეფიციტი შეადგენდა 200 მლრდ დოლარს. ჩინეთი, იუანის კურსის დაბალ დონეზე ხელოვნურად შენარჩუნებით აიაფებდა საკუთარ პროდუქციას და მეთოდურად იპყრობდა აშშ-ის ბაზარს. ამრიგად, სახეზეა გლობალური დისბალანსი: აშშ მეტს მოიხმარს, ვიდრე აწარმოებს, ჩინეთი – პირიქით და საკუთარი დანაზოგებით ამარაგებს აშშ-ის ეკონომიკას, რომელშიაც ხდება დიდძალი კაპიტალის შედინება, ჭარბი ლიკვიდურობისა და საკრედიტო ექსპანსიის წარმოქმნა. აქ აუცილებლად გასათვალისწინებელია ფსიქოლოგიური მომენტიც, კერძოდ, აშშ-ის მოქალაქის ფსიქოლოგიური ტიპი, რომელიც „მეცხრამეტე საუკუნის ინდუსტრიალისტმა“, როგორც მას მენქიუ უწოდებს, დ. კარნეგმა ასე დაახასიათა: „ახლისადმი გაშმაგებული სწრაფვა და მეზობლისთვის გადასწრების დაუოკებელი სურვილი“.

### **ეკონომიკური მეცნიერების როლი ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების შესწავლასა და პროგნოზირებაში**

გლობალურმა ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისმა განაახლა დიდი ხნით მივიწყებული დისკუსია კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის ციკლური განვითარების, ეკონომიკური კრიზისის მიზეზების, ლოგიკის, პროგნოზირებისა და პრევენციის პრობლემათა ირგვლივ. ნათლად გამოიკვეთა ორი ურთიერთდაპირისპირებული მოსაზრება.

ეკონომისტთა ერთი ნაწილი გლობალური ფინანსური კრიზისის მთავარ მიზეზად ეკონომიკური მეცნიერების, კერძოდ, ეკონომიკური თეორიის კრიზისს მიიჩნევს [43, 12]. აღინიშნება, რომ ეკონომიკური მეცნიერების წინაშე დგას სამი ამოცანა: ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების შესწავლა, განზოგადება და პროგნოზირება. თუკი იგი თავს ვერ ართმევს რომელიმე მათგანს, ეს ნიშნავს, რომ ვერ ასრულებს თავის მოვალეობას [43, 15]. აღნიშნული სამი ფუნქციიდან ეკონომიკურმა თეორიამ გლობალურ ფინანსურ კრიზისთან მიმართებით, რიგი ეკონომისტების აზრით, ვერ შეძლო როგორც კრიზისის მიზეზების გარკვევა, ასევე მისი პროგნოზირება [10, 61], რაც ზოგიერთ მეცნიერს აძლევს საფუძველს იმსჯელოს ეკონომიკური თეორიის „დისფუნქციაზე“ [10, 63], რის გამოც „მას (ანუ ეკონომიკურ თეორიას – ე.მ.) ემუქრება ან პარადიგმის გადახედვა ან მწვავე კონკურენცია ალტერნატიული სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის მხრიდან“ [44, 11].

ეკონომიკური აზრის ისტორიიდან ცნობილია, რომ მსგავს სიტუაციას წინათაც ჰქონდა ადგილი. კერძოდ: „1970-იანი წლების დასაწყისში ეკონო-

მისტებს შორის ჩამოყალიბდა მოსაზრება ეკონომიკური მეცნიერების, კერძოდ, მაკროეკონომიკის კრიზისის შესახებ [45, 863]. ამით, ფაქტობრივად დამთავრდა ეკონომიკური მეცნიერების „ოქროს ხანად“ ნოდებული თითქმის 30-წლიანი პერიოდი. 1970-იანი წლების ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელმაც აშშ-ის ეკონომიკა „ინფლაციის ღრმა ორმოში ჩააგდო“ [46, 37], განაპირობა კეინზიანური თეორიის და მასზე დაფუძნებული მოდელების სერიოზული კრიზისი. ამასთანავე, არ მომხდარა ზოგადად მოდელებზე უარის თქმა, არამედ ძველი მოდელები შეიცვალა ნეოკლასიკურ თეორიებზე დაფუძნებული RBC და DSGE ახალი მოდელებით.

აშშ-ის და მასთან ერთად სხვა პოსტინდუსტრიული ქვეყნების თითქმის 30-წლიანმა წარმატებულმა ეკონომიკურმა განვითარებამ ეკონომისტებს შორის დაამკვიდრა მოსაზრება, რომ „ეკონომიკური კრიზისები, როგორც წარსულის მოვლენა, ისტორიას ჩაბარდა“ [47]. თითქმის იგივე მოსაზრება გამოთქვა პ.კრუგმანმა ამერიკის ეკონომისტთა ასოციაციის ყრილობაზე (2004წ.) გამოსვლისას. მისი აზრით, ეკონომიკური კრიზისები, როგორც კაპიტალიზმის საყმანვილო სენი ისტორიის კუთვნილება გახდა და ახლა მეცნიერთა მთელი ყურადღება უნდა კონცენტრირდეს ეკონომიკური ზრდის პრობლემებზე. ბ. ბერნანკეს აზრით, „თანამედროვე თეორია დღის წესრიგიდან ხსნის საქმიანი ციკლის პრობლემებს“.<sup>5</sup>

გლობალიზაციის ეპოქაში მომრავლებულმა ფინანსურმა კრიზისებმა ნათელი გახადა ეკონომიკური კრიზისების მექანიკური უარყოფის, მისი მხოლოდ წარსულის მოვლენად გამოცხადების თეორიული სიმცდარე და პრაქტიკული კონტრპროდუქტიულობა, რის გამოც ეკონომიკური მეცნიერების „ღირსების დამცველთა“ შორის ორი პოზიცია გამოიკვეთა. პირველის თანახმად, ეკონომიკური მეცნიერების მიერ RBC და DSGE მოდელების გამოყენება მისაღებია მოკლევადიანი ეკონომიკური რყევების მიზეზების შესწავლაში და არა მათ პროგნოზირებაში [49, 145].

მკვლევარი ეკონომისტების მეორე ჯგუფი, თუმცა არ უარყოფს ეკონომიკური მეცნიერების პროგნოზირების ფუნქციას კრიზისებთან მიმართებით, მაგრამ მიიჩნევს, რომ მისი პრაქტიკული რეალიზება შეუძლებელია. კერძოდ, ცნობილი ამერიკელი მეცნიერი გრ.მენქიუ აღნიშნავს: „ეკონომიკური კრიზისები სულაც არ არის რეგულარული და თითქმის შეუძლებელია მათი

5 აქვე უნდა შევნიშნოთ ის ფაქტი, რომ 2007-2009 წლების გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის გავლენით ამ მეცნიერის შეხედულება რადიკალურად შეიცვალა. დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელიზაბეტ II-ის შეკითხვაზე – რატომ ვერ შეძლო ეკონომიკურმა მეცნიერებამ გლობალური ფინანსური კრიზისის პროგნოზირება, პ.კრუგმანმა უპასუხა, რომ ამ მეცნიერებაში უკანასკნელ პერიოდამდე გაბატონებული მოსაზრების თანახმად, გამოირიცხებოდა მსგავსი კრიზისის შესაძლებლობა. შესაბამისად, მისი მიზეზების და პროგნოზირების საკითხთა კვლევა უნაყოფო საქმიანობად ითვლებოდა [48, 18].

თუნდაც მიახლოებითი სიზუსტით წინასწარმეტყველება“ [31;704]. ასევე: „ეკონომიკური პროგნოზირება უზუსტოა... რეცესიები და დეპრესიები გაუთვალისწინებლად ხდება“ [31; 757].

რ.ლუკასი 2007-2009 წლების კრიზისთან დაკავშირებით წერს: „ეს კრიზისი იმიტომ არ იქნა პროგნოზირებული, რომ ეკონომიკური მეცნიერება გვეუბნება: მსგავსი მოვლენის პროგნოზირება შეუძლებელია“ [47]. ეკონომიკური კრიზისების პროგნოზირების შესაძლებლობას ასევე კატეგორიულად უარყოფენ რუსი მეცნიერები ი.იაკოვეცი, ნ. ა. კლეპაჩი და გ. კურანოვი.<sup>7</sup>

კრიზისების პროგნოზირების შეუძლებლობის თეზისი ემყარება შემდეგ თეორიულ პოსტულატს: „წონასწორობიდან გადახრა შემთხვევითობაა. შემთხვევითობის წინასწარ განჭვრეტა და მის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია“ [52, 110].

საბოლოოდ, ნობელიანტი ეკონომისტი თ. სარჯენტი მკაცრად ილაშქრებს ყველას წინააღმდეგ, ვინაც ეკონომისტები დაადანაშაულა, რომ მათ ვერ შეძლეს გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის დაწყების პროგნოზირება და აღნიშნავს: „ეს მიუთითებს აშკარა უცოდინარობაზე ან თანამედროვე მაკროეკონომიკის საგნის შესწავლის შეგნებულ დამახინჯებაზე“ [53].

ჩვენ პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შემდეგია: ვფიქრობთ, რომ ეკონომიკური კრიზისების დაწყების ზუსტი თარიღის პროგნოზირება ეკონომიკურ მეცნიერებას არ შეუძლია და ამას განაპირობებს ადამიანის განკარგულებაში არსებული ცოდნის ობიექტური შეზღუდულობის ფილოსოფიური ასპექტი. ეკონომიკურ ცოდნასთან მიმართებით ეს პრობლემა საფუძვლიანადაა შესწავლილი ცნობილი მეცნიერების ლ. ფონ მიზესის, ა. ფონ ჰაიეკისა და ფ. ნაიტის ნაშრომებში. მიზესმა შექმნა უნივერსალური დედუქციური მეცნიერება ადამიანის ქცევის შესახებ – პრაქსოლოგია, რომლის შემადგენელი ნაწილია საბაზრო ქცევის თეორია, ანუ კატალაქტიკა. იგი წერდა: „შემთხვევითობის რანგში მოვლენის განხილვა არ ნიშნავს იმის უარყოფას, რომ იგი წინა განვითარების შედეგია. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ – მოკვდავებმა არ ვიცით, მოხდება თუ არა ეს მოვლენა“ [54, 78]. აქედან გამომდინარე „ფილოსოფოსმა უნდა აღიაროს, რომ არ არსებობს წესი, რომლის საშუალებითაც მოკვდავი ადამიანი რაიმე ცოდნას შეიძენს მომავლის შესახებ“ (იქვე). სწორედ ამიტომ „ერთადერთი, რაც შეიძლება მომავლის შესახებ ვიცოდეთ – ეს ალბათობაა“ [55, 101]. ფ. ნაიტი წერდა: „ცოდნის პრობ-

6 „კრიზისების განჭვრეტა შეუძლებელია“ [50, 34].

7 „კრიზისების პროგნოზირება, მით უმეტეს – მათ შესახებდრად მომზადება იგივეა, რაც მინისძვრისთვის მზადყოფნა. გასაგებია, რომ კრიზისები მოხდება, მაგრამ, როდის და რა ღონისძიებები უნდა გამოვიყენოთ მათ წინააღმდეგ – უცნობია“ [51, 15].

ლემა განპირობებულია მომავლის წარსულისგან განსხვავებით, მაშინ როცა ამ პრობლემის გადაჭრა დამოკიდებულია მათ შორის მსგავსებაზე“ [56, 297].

ნაიტის თეორიის ცენტრალური კატეგორიაა განუსაზღვრელობა (Uncertainty), რომელსაც უშუალოდ უკავშირდება ალბათობა (Probability). განუსაზღვრელობა იწვევს შეცდომებს, რაც ხშირად ძალიან მტკივნეულია მათთვის, ვინც ამ შეცდომებს უშვებს. თუმცა, შეცდომების გარეშე საზოგადოება სტაგნაციიდან ვერ გამოვა. ნაიტისთვის მთავარია არა მდგომარეობა, არამედ პროცესი და სწორედ ამ კონტექსტით აღიქმება, ჯერ-ერთი, შეცდომების მნიშვნელობა და მეორე, ნონასწორული მოდელებისა და ეკონომიკის მართვაში კონსტრუქტივისტული მიდგომის ნაიტისეული კრიტიკა. მისი აზრით, განუსაზღვრელობა და მომავლის ზუსტი პროგნოზირების შეუძლებლობა წარმოადგენს დინამიკური ეფექტიანობის აუცილებელ პირობებს.

ყოველივე აღნიშნული, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს ფატალისტურ მიდგომას ეკონომიკური კრიზისის ფენომენის მიმართ. ჩვენ მხოლოდ იმის დასაბუთებას ვცდილობთ, რომ კრიზისების დაწყების ზუსტი თარიღების დადგენა ანუ ე.წ. „ნერტილოვანი“ პროგნოზირება პრინციპულად შეუძლებელია. ამასთანავე, ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია განისაზღვროს ე.წ. „პროგნოზირების კორიდორები“, ანუ ის პერიოდები, რომლებშიაც ეკონომიკის ვოლატირულობა განსაკუთრებით მაღალია და კრიზისების დაწყების შედარებით მეტი ალბათობა არსებობს. აღნიშნული გარემოება შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს საშუალებას მისცემს უფრო უკეთესად მოემზადოს მოსალოდნელი კრიზისის მიმართ და ამ გზით თავიდან აიცილოს მასთან დაკავშირებული დანაკარგების მნიშვნელოვანი ნაწილი.

**ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისები:  
დესტრუქცია თუ „შესაძლებლობის ფანჯარა“?  
(ბოლოთქმის ნაცვლად)**

გლობალური ფინანსური კრიზისი, როგორც ეკონომიკური კრიზისების ერთ-ერთი ნაირსახეობა, მეცნიერულად შეიძლება შესწავლილი იქნეს სწორი თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომის საფუძველზე.

თანამედროვე ნეოკლასიკური თეორიები და მათზე დაფუძნებული RBC და DSGE მოდელები ნაკლებად გამოსადეგია ამ თვალსაზრისით, ვინაიდან მათი მთავარი პოსტულატის თანახმად, საერთო ეკონომიკური წონასწორობიდან გადახრა შემთხვევითობაა, „შემთხვევითობის წინააღმდეგ ბრძოლა და მისი პროგნოზირება კი პრინციპულად შეუძლებელია“.

გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების კვლევის ეფექტიან თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველად ჩვენ მივიჩნევთ ეკონომიკური დინ-

ამიკის თეორიას და მის ფარგლებში ი.შუმპეტერის ინოვაციების ევოლუციონისტურ თეორიას, ეკონომიკური კრიზისების კვლევის 1920-1930-იანი წლების რუსულ სკოლას, კერძოდ, ა.ბოგდანოვის „ტექნოლოგიას“ და ნ. კონდრატიევის „კონიუნქტურის დიდი ციკლების თეორიას“.

ეკონომიკური დინამიკის თეორიის ამოსავალ პრინციპებზე დაყრდნობით ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა თანამედროვე ეკონომიკური სისტემის ფუნდამენტური დისბალანსები და მათი როლი გლობალური ფინანსური კრიზისის წარმოქმნაში.

ფინანსური გლობალიზაცია, ეკონომიკის ფინანსებიზაცია, ვირტუალიზაცია არნახულად აფართოებს სპეკულაციურ ოპერაციებს, ბერავს „ფინანსურ ბუშტებს“, აძლიერებს საკრედიტო ექსპანსიას და ყოველივე ამის შედეგად წარმოქმნის გლობალური ეკონომიკის დამახინჯებულ სტრუქტურას ამოყირავებული პირამიდის სახით, ატროფირებული ბაზისით და ჰიპერტროფირებული ფინანსური ზედნაშენით. ეს მნიშვნელოვნად ზრდის სისტემის სიმყიფეს და მოწყვლადობის ხარისხს ენდოგენური და ეგზოგენური შოკების მიმართ.

კრიზისი არის თანამედროვე კაპიტალისტური საბაზრო სისტემის იმანენტურად დამახასიათებელი მოვლენა, მისი არსებობის ფორმა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ სისტემის განვითარება კრიზისების გარეშე შეუძლებელია.

ამ თეზისით ჩვენ მკვეთრად ვემიჯნებით პ.კრუგმანისა და სხვა ცნობილი ეკონომისტების იმ შეხედულებებს, რომელთა თანახმადაც ეკონომიკური კრიზისები წარსულის მოვლენაა, მათი კვლევა არაა აქტუალური და მკვლევართა მთელი ყურადღება ეკონომიკური ზრდის პრობლემაზე უნდა ფოკუსირდეს.

თანამედროვე ფინანსური კაპიტალიზმის კრიზისული განვითარება არ ნიშნავს, რომ ამ სისტემას არ გააჩნია პერსპექტივა. კრიზისი განხილული უნდა იქნეს არა მხოლოდ უარყოფითი კონტექსტით, როგორც დესტრუქციული მოვლენა, არამედ როგორც „შესაძლებლობათა ფანჯარაც“, სისტემის განახლებისა და ახალ უფრო მაღალ თვისებრივ მდგომარეობაში გადასვლის წყარო.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის განვითარების კრიზისული მოდელის რეალიზაცია თავისთავად დიდ დანაკარგებთანაა დაკავშირებული, რის გამოც პერსპექტიული ეკონომიკური განვითარების ყველაზე მისაღები გზაა მისი შეცვლა სინერგეტიკული განვითარების მოდელით, რომელიც მეცნიერთა ერთობლივი ძალისხმევით უნდა შეიქმნას.

ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების დაწყების თარიღების ზუსტი პროგნოზირება შეუძლებელია, თუმცა, ეს არ ნიშნავს „ეკონომიკურ ფატალიზმს“. კრიზისების „ნერტილოვანი“ პროგნოზირების ნაცვლად შეიძლება

დაფიქსირდეს „პროგნოზირების კორიდორები“, ანუ გამოიყოს ის პერიოდები, რომლებშიაც საბაზრო ეკონომიკური სისტემა ყველაზე მაღალ ვოლატირულობას განიცდის და კრიზისების დაწყების შედარებით დიდი ალბათობა არსებობს. ეს საშუალებას მისცემს შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს უფრო მომზადებულნი შეხვდნენ ეკონომიკის ნებისმიერ არასასურველ რყევას.

#### ლიტერატურა:

1. Lucas R. Macroeconomic Priorities // American Economic Review, 2004, Vol. 93, #1;
2. Шумпетер И. Теория экономического развития. М.: Экономика, 2007;
3. Богданов А. А. Тектология. Всеобщая организационная наука. Книга 2; М.: Экономика, 1989;
4. Кондратьев Н.Д. Большие циклы конъюнктуры и теория предвидения. М.: Экономика, 2002;
5. Kindelberger C. Manias, Panics and Crashes. Mactillan, 1996;
6. Айвазов А. Роль ФРС США в мировой финансовой системе // <http://www.warandpeace.ru/ru/exc/usive/view/85818/>
7. Асемоглу Д., Робинсон Дж. Политика или экономика? Ловушки стандартных решений // Вопросы Экономики. 2013, № 12;
8. Столбов М.И. Глобальный экономический кризис: критика и перспективы развития финансовых теории деловых циклов //Мировая Экономика, 2010, №1;
9. Лавровский Б. К вопросу о природе современного кризиса //Вопросы Экономики. 2009, №4;
10. Колодко Гж. Неолиберализм и мировой экономический кризис // Вопросы Экономики. 2010, №3;
11. Полтерович В. Гипотеза об инновационной паузе и стратегии модернизации // Вопросы Экономики, 2009, №6;
12. Binswanger M. Co-evolution between the Real and Financial Sectors: The Optimistic”New Growth Theory”. View Versus the Pessimistic”Keynsian Wiew”, 1999;
13. Попов В. Глобальные дисбалансы – нетрадиционная трактовка // Вопросы Экономики. 2013, №1;
14. Супян В. Кризис в США: Экономический контекст // Вестник института Кенана в России. Вып. 15, 2009;
15. Данилов – Данильян В. Глобальный кризис как следствие структурных сдвигов в экономике //Вопросы Экономики, 2009, №7;
16. Hull J. Fundamentals of Futures and Options Markets. 7 th ed. Boston. Pearson, 2011;
17. კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. III, ნაწ.2, თბ., 1959;
18. Гринберг Р., Рубинштейн А. Теория, инновации и контуры будущей экономики в диалоге с Кенетом Эрроу // Вопросы Экономики. 2010, №10;
19. Гринспен А. Эпоха потрясений. Проблемы и перспективы мировой финансовой системы. М.: Сколково, 2010;

20. Minsky H. Financial Crisis: Systemic or Idiosyncratic. Jerome Levy Economic Institute, Bard College. Working Paper, 52, April, 1991;
21. Stiglitz J. Markets Can't Rule Themselves// Neuswek. 2008, 31 december
22. Мир перемен, 2009, №1;
23. Баффет М., Кларк Д. Баффетология. Минск: Попурри, 2006;
24. Сорос Дж. Открытое общество. Реформируя глобальный капитализм., 2001;
25. Krugman P. End This Depression Now! N.Y.,L., Norton, 2012;
26. Смирнов А. Кредитный пузырь и перелокация финансового риска // Вопросы Экономики. 2009, №9;
27. Сисмонди С. Новые начала политической экономии или о богатстве в его отношении к народонаселению. Т.1-2, М., 1937;
28. ჯ.კეინსი. დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია. ქუთაისი, 1995;
29. Milanovic B. The Return of "Patrimonial Capitalism"; A Review of Thomas Piketty's Capital in the Twenty-First Century// Jurnal of Economic Literature. 2014. Vol.52, #2,
30. The Economist, 2014;
31. გრ.მენქიუ. ეკონომიკის პრინციპები. თბ.: დიოგენე, 2008;
32. Сафронов С. Неравенство доходов как тормоз экономического роста // Независимая газета, 2012, 12 октября
33. Белянин А., Егоров Е. О творческом наследии выдающегося экономиста ( к 100 – летию со дня рождения Мориса Алле) // Вопросы Экономики. 2011, №10;
34. Minsky H. The Financial Instability Hypothesis: Capitalist Processes and the Economy. University of Michigan Press, 1994;
35. Stiglitz J.E. The Price of Inequality. N.Y., L., Norton, 2012;
36. Cecchetti S.G., Kohler M., Upper C. Financial Crisis and Economic Activity //NBER Working Paper, 2009;
37. Булатов А. Сходство и различия экономического кризиса в США и России // Вестник института Кенана в России. Вып. 15, 2009;
38. Сакасса Н. Предотвращение будущих кризисов // Финансы и развитие, 2010. Выпуск 45;
39. ელიავა ლ. კრიზისების პროგნოზირება. თბ., 2013;
40. Blanchard O. The Crisis: Basic Mechanisms and Aproprate Policies // IMF Working Papers, 2009;
41. Allen R. Financial Crisis and Recession in Global Economy. Edward Elgar, 2009;
42. Сорос Дж. Прогнозы: Будущее в форме буквы W //Ведомости, 2010, 15 января;
43. Кирман А., Коландер Д., Феммер Г., Хаасс А., Годберг М. и др. Финансовый кризис и провалы современной экономической науки // Вопросы Экономики. 2010, №6;
44. Блауг М. Методология экономической науки или как экономисты объясняют. М.: НП «Журнал Вопросы Экономики», 2004;
45. ზლანშარი ო. მაკროეკონომიკა. თბილისის უნ-ტის გამომცემლობა, 2010;
46. Meltzer A. Orgins of the Great Inflation // Federal Reseve Bank of St. Louis Review, 2005, Vol. 56, #5;

47. Lucas R. In Defence of Dismal Science// The Economist, 2009, Aug.6 www.economist.com// noode 1416;
48. Krugman P. How Did Economist Get it so Wrong// The New York Times, sept. 2, 2009.
49. Мировая Экономика в начале XXI века //М.: direct MEDIA, 2013;
50. Яковец Ю. Экономические кризисы: неизбежная реальность // Экономические стратегии, 2004, №1;
51. Клепач А., Куранов О. О циклических волнах в развитии экономики США и России //Вопросы Экономики, 2013, № 11;
52. Jaimovich N., Rebelo S. Can News about the Future Drive the Business Cycle // American Economic Review, 2009, Vol. 99, #4;
53. Interview with Thomas Sargent. Sept. 10, 2010. www.minneapolisfed.org/ publications \_papers / pub \_display.cfm id = 4526;
54. Мизес Л. Теория и история: интерпретация экономической эволюции. Челябинск.: Социум, 2007;
55. Мизес Л. Человеческая деятельность. Трактат по экономической теории М.: Экономика, 2000;
56. Найт Ф. Риск, неопределенность, прибыль. М.: Дело, 2003.

### **Political and Economic Anatomy of Financial and Economic Crises in the Era of Globalization**

*Elguja Mekvabishvili*

*Doctor of Economic Sciences, Professor  
Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

The global financial and economic crisis in the years of 2007-2009 with its severity and depth can be compared with the “Great Depression” in the years of 1929-1933. It is not incidental that it was called the Great Recession.” The global financial and economic crisis cost the world community dearly. The total losses caused by the crisis including the funds earmarked from the state budget for anti-crisis measures amounted to \$ 4.7 trillion and the world market capitalization declined by \$26 trillion.

The post-crisis development of global economy is contradictory and there exists a real threat of the start of new financial crisis. It means that the problem maintains its importance and it is imperative to do an in-depth study of the logic of crisis causes development and a systematic cause-and-effect relationship.

For the theoretical and methodological analysis of the problem the crucial importance is attached to the definition of its main aspect which in author’s opinion represents the existence of the global economic balance.

In the article there is substantiated view that the correct analysis of this issue is impossible within the framework of the contemporary mainstream neoclassical direction, in which the main subject of “market relations” is a “representative agent.” It is characterized by a high degree of cognizance of the processes taken place in the past and going at the present time. On this basis the rational expectations and optimized behavior are formed in a representative agent. This allows the market system to prevent undesirable cyclical fluctuations and excludes the existence of any endogenous reasons disrupting economic equilibrium. It is understood that the disruption of the system equilibrium is possible only through the impact of exogenous factors; however, the market economic system has the ability of self-correction. Disrupted equilibrium can be restored in automatic regime in a short time and it doesn't require any considerable efforts. R. Lucas, the famous American economist notes that “deviation from the Efficient Markets Hypothesis is very insignificant.”

The theory of economic dynamics is named in the work as the correct methodological basis and there are formulated those postulates which in the author's opinion underlie the research problem. Namely:

- the equilibrium and steady proportionality of economic system is occasional, dynamic imbalance and disproportionality – a rule. “Equilibrium is only a particular case of crises, and the conception of crises is universal” (Bogdanov)

- the model of rapid development of economic system is an abstraction which describes short-time period regularities. In the long-time period the system develops non-rectilinearly, it goes through several phases and so called bifurcation point which is characteristic of: a) the situation of pre-crisis period – with market players' superfluous optimism which frequently grows into euphoria and b) the phase of escaping crisis which is distinguished by high quality of uncertainty and includes possibilities of multilateral and alternative post-crisis development.

- the difference between the speeds of the development of various elements of economic system is big that encourages a high likelihood of producing turbulence or dangerous fluctuations for the sustainability of economic system.

In the era of globalization we have to deal with the turbulent development of economic system and its one of the important manifestations is general financization of the economy, i.e: a) hypertrophic growth of the financial system and b) principal changes of the role of finances in the reproduction process, the cardinal transformation of its attitude to the real sector of economy. At present, the financial sector has been not only detached from the real sector, taken the form of self-sufficiency and develops in its own logical way, but in many cases it determines the rule of functioning of the latter. Operates the so-called “removing effect,” i.e. the fastest growth of financial sector occurs at the expense of the reduction of the real sector and as a result the global economy takes the form of overturned pyramid. Therefore, the degree of its vulnerability to internal and external shocks grows and the danger of the emergence of global financial and economic crises becomes grave.

Turbulence extends not only to the economic system, but also to its financial component and is expressed in a deep disproportion between the first (basic) securities and produced financial instruments – volumes of derivatives. The introduction of derivatives and their rapid spread created only the illusion of protection against financial risks. In fact through them the risks are only disguised – distributed, which relaxes investors' vigilance and creates a euphoric mood in them. In using derivatives massively it becomes impossible to adequately assess the financial institutions credit portfolio as well as to identify potentially insolvent borrowers which also brings the risk of the emergence of financial crisis

In the given work the credit expansion is named as an important reason for the emergence of the global financial crisis which, according to the author, is produced by the fundamental imbalance existing between consumption (solvent demand) and production (supply). The article in the historical context discusses the structural changes in consumption. It is shown that the ratio between capital income and labor income changed from time to time. In particular, from the 1700-ies to the First World War this ratio clearly was in favour of capital. In the period, from the Second World War until the beginning of the 1970-ies, the functional incomes distribution changed in favour of labour and personal incomes distribution became more even. The share of incomes received from labour began to decline in the total incomes at the end of the 1970-ies and in the 1980-ies and it continues today. Given that  $\frac{2}{3} - \frac{3}{4}$  of the total income in industrially developed countries is with labour remuneration of hired workers, it is clear that its reduction has a negative impact on consumption and causes the decrease of aggregate demand. In the same period, in the US and other industrialized countries the aggregate supply increased basically as a result of the positive impact of technological shock. Therefore, we are dealing with a sharp imbalance between aggregate demand and aggregate supply and the credit expansion represents an attempt to tackle it. The latter creates only a fictitious requirement, it doesn't prevent economic crisis, but it delays it, and due to this it deepens even more and its destructive potential intensifies. "Now we live in the crises period of one time successful economic systems. Rising wages can not be replaced by debts accumulation" (Dilma Roussef).

The work discusses in detail the emergence and development of the 2007-2009 global financial and economic crisis; it stresses the fact that the logic of crisis entirely corresponds to the theoretical model of economic imbalance formulated in the first part of the article. This once again confirms the reasonability of the use of economic dynamics methodology in the research of financial crises.

The global financial and economic crisis has appreciably revived the neglected discussion of the projection of this process and prevention issues. One part of scholars considers that the manifestation of the crisis of economic science is the fact that the modern economic theory and macroeconomics failed to predict this crisis. The other part of economists believes that it is practically impossible to do so. The author agrees with the idea that economic science can not determine the exact date of the start of economic crises and substantiates it by the philosophical problem of knowledge limitations existing at

the disposal of human. Further, the author notes that instead of point forecasting method economic science can determine “predicting corridors,” i.e. the period of time in which the economy is characterized by particularly high volatility and there is a great likelihood of starting crises.

Such approach to the issue will enable the relevant governmental structures to prepare better for the expected economic fluctuations and thus to prevent a significant portion of losses.

**Keywords:** global financial and economic crisis; mainstream neoclassical theory; the theory of economic dynamics; economic imbalances; predictions and prevention of crises; predicting corridor.

**JEL Codes:** G01, G17, G32

## პროფესიული კომპეტენტურობა როგორც საჯარო მოსამსახურეთა მუშაობის ეფექტიანობის გადამწყვეტი ფაქტორი

**ნუზარ პაიჭაძე**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის  
ასოცირებული პროფესორი  
nugzarpaichadze@mail.ru

სტატიაში მოცემულია პროფესიული კომპეტენციისა და კომპეტენტურობის არსზე, მათ შემადგენელ კომპონენტთა ათვისების გზებზე და ტექნოლოგიაზე, კომპეტენციის თანამედროვე მოდელებზე ცალკეულ მკვლევართა შეხედულებები და მათზე გამოთქმულია ზოგიერთი ავტორისეული მოსაზრება. ასევე გაანალიზებულია დღევანდელ საქართველოში საჯარო მოსამსახურეთა კომპეტენტურობის რეალური მდგომარეობა და დასახულია მოცემულ სფეროში არსებულ ნაკლოვანებათა შემცირების უზრუნველყოფელი ზოგიერთი რეკომენდაცია.

**საკვანძო სიტყვები:** კომპეტენცია, კომპეტენტურობა, კომპეტენციის კომპონენტები, კომპეტენციების განვითარების ტექნოლოგია, კომპეტენციების მოდელები.

საზოგადოების განვითარების დღევანდელ ეტაპზე, ნებისმიერი ორგანოს თუ ორგანიზაციის მუშაობის ეფექტიანობის ხარისხის ამაღლებაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დასაქმებულთა პროფესიულ კომპეტენტურობას მათდამი მინდობილი საქმის კეთებაში. განსაკუთრებით დიდია პროფესიული კომპეტენტურობის მნიშვნელობა (როგორც საერთოსახელმწიფოებრივ, ასევე ადგილობრივი მმართველობის დონეზე) მმართველობით სფეროში მომუშავეთათვის. საქმე ისაა, რომ თუ საჯარო მოხელე იქნება არაკომპეტენტური მის სამოქმედო საქმიანობაში შემავალ საკითხებზე, დიდი ალბათობით

მას შეუძლია მიიღოს არასწორი გადაწყვეტილებები. ამას კი, განსაკუთრებით, როცა გადაწყვეტილების მიმღები იერარქიულად მაღალ დონეზეა, შეიძლება მოჰყვეს მძიმე უარყოფითი შედეგები, რომელიც დააზარალებს არა მარტო ადმიანთა რომელიმე ჯგუფს, ორგანიზაციას და ა. შ., არამედ მთელ საზოგადოებასაც კი. ყოველივე ეს მიუთითებს საჯარო მოხელეთა პროფესიულ კომპეტენტურობასთან დაკავშირებული საკითხების მეცნიერული კვლევის აუცილებლობაზე. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, რამდენადაც საგარეველოში მიმდინარე დემოკრატიული გარდაქმნებისა და ადმინისტრაციული რეფორმების ჩატარება შეუძლიათ მხოლოდ მაღალკომპეტენტურ საჯარო მოხელეებს.

საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კომპეტენტურობისადმი განსაკუთრებული ინტერესი გამოწვეულია ისეთი ფაქტორებითაც, როგორიცაა: 1) დღეს სახელმწიფო და მუნიციპალური მმართველობა არის უზარმაზარი; 2) იგი ძვირადღირებულია და მოითხოვს დიდ ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს; 3) მმართველობა ხშირად მოწყვეტილია მოქალაქეებისაგან და ვერ აკმაყოფილებს მათ ინტერესებს, ანუ დაბალია მათ მიერ მოქალაქეებისადმი განეული მომსახურების ხარისხი და აუცილებელი ხდება შესაბამის ქმედით ღონისძიებათა დაგეგმვა და მათი გახორციელება არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად. ეს კი შეუძლებელია მოცემული პრობლემის ღრმა მეცნიერული შესწავლის გარეშე. ამასთან, საჯარო მოხელეთა საქმიანობის ეფექტიანობა ძირითადად განპირობებულია მათი ცოდნითა და მზადყოფნით – სრულად და ხარისხიანად შეასრულონ მათ წინაშე მდგომი ამოცანები. აქედან გამომდინარე, ქვეყანაში მმართველობის ნებისმიერ დონეზე მაღალპროფესიული და კომპეტენტური საკადრო შემადგენლობის ფორმირებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ძირითადად მასზე დამოკიდებული მმართველობით ორგანოებში მიმდინარე რეფორმების წარმატება და მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტა.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სამწუხაროდ, საქართველოში საჯარო მოსამსახურეთა მუშაობის ეფექტიანობასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას სათანადო ყურადღება არ ექცევა. შეიძლება ითქვას, რომ დღეს საქართველოში საჯარო მოხელეთა პროფესიული კომპეტენტურობისადმი მიძღვნილი ეკონომიკური ხასიათის მეცნიერული კვლევები თითქმის არ არსებობს. ამ ხარვეზის ოდნავ მაინც შემცირების ცდაა წინამდებარე სამეცნიერო სტატია. მისი ობიექტია პროფესიული კომპეტენცია და კომპეტენტურობა, ხოლო მიზანი – ახსნილ იქნეს, დღევანდელი სოციოკულტურული ცვლილებების პირობებში, საჯარო მოხელეთა კომპეტენტურობისა და კომპეტენციის ცნებებსა და შინაარსთან დაკავშირებული საკითხები და, საქართველოში მოცემულ სფეროში მდგომარეობის მოკლე ანალიზის საფუძველ-

ზე, დასახულ იქნეს საჯარო მოსამსახურეთა კომპეტენტურობის ამაღლების უზრუნველყოფელი ზოგიერთი რეკომენდაცია.

### **პროფესიული კომპეტენცია და კომპეტენტურობა: არსი, დონეები, ძირითადი კომპონენტები**

მიუხედავად იმისა, რომ ცნებები – „კომპეტენცია“ და „კომპეტენტურობა“ ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართოდაა გავრცელებული, მათ შინაარსობრივ განსაზღვრაზე ჯერ კიდევ ერთიანი აზრი არ არსებობს და სხვადასხვა ავტორი მათ სხვადასხვაგვარად განმარტავს. აკადემიკოს ავთანდილ სილაგაძის საერთო რედაქციით 2000 წელს გამოცემულ ეკონომიკის ენციკლოპედიურ ლექსიკონში კომპეტენტურობის ცნება განმარტებულია როგორც ადამიანის ცოდნა და გამოცდილება ამა თუ იმ სფეროში, ასევე იმ უფლებამოსილებათა სფერო და საკითხების წრე, რომელთა მიხედვითაც მათ გადანყვეტილების მიღების უფლება აქვთ [1, გვ.331]. იქვე, ცნებაში – „კომპეტენცია“, ნაგულისხმევია უფლებამოსილებათა ერთობლიობა, რომელიც აქვთ ან უნდა ჰქონდეთ გარკვეულ ორგანოებსა და პირებს....აქედან გამომდის, რომ ცნება „კომპეტენტურობა“ მოიცავს კომპეტენციის ცნებასაც. ა. კიბანოვის რედაქციით რუსულ ენაზე გამოცემულ პერსონალის მართვის ენციკლოპედიურ ლექსიკონში ზემოაღნიშნული ცნებებიდან განმარტებულია მხოლოდ – „კომპეტენცია“ და მასში ნაგულისხმევია ინდივიდის ცოდნის, პროფესიული გამოცდილების, მოქმედებებისა და ქცევის უნარ-ჩვევების ერთობლიობა, არსებული მიზნისა და დაკავებული თანამდებობიდან გამომდინარე [6, გვ.134]. რაც შეეხება ცნებას „კომპეტენტურობა“ – იგი, როგორც უკვე აღინიშნა, მოცემულ ლექსიკონში საერთოდ არაა ნახსენები.

მ. არმსტრონგი მიუთითებს, რომ პროფესიული კომპეტენციისა და კომპეტენტურობის განსაზღვრასა და პოპულარიზაციაში აშშ-სა და მთელ მსოფლიოში მთავარი ფიგურა იყო რ. ბოიცისი. იგი კომპეტენტურობას განსაზღვრავდა როგორც ადამიანის უნარს – იმოქმედოს ისეთნაირად, რომელიც განსაზღვრულ ორგანიზაციულ გარემოში უზრუნველყოფს მუშაობის სასურველი შედეგების მიღწევას [5, გვ.174].

მ. არმსტრონგის მიხედვით, კომპეტენციები შეიძლება იყოს ქცევითი და ტექნიკური [5, გვ.174]. პირველი განსაზღვრავს იმას, თუ ქცევის როგორი ტიპია საჭირო სასურველი შედეგების მისაღებად ისეთ სფეროებში, როგორიცაა: გუნდში მუშაობა, კომუნიკაცია, ხელმძღვანელობა, გადანყვეტილებათა მიღება და სხვ. ტექნიკურ კომპეტენციაში კი იგულისხმება ადამიანთა ცოდნა და უნარ-ჩვევები თავიანთი როლის ეფექტიანად შესასრულებლად. მ. არმსტრონგის მიერვე კომპეტენცია დანაწევრებულია შემდეგ სახეებად: 1)

ორიენტაცია გუნდზე; 2)კომუნიკაცია; 3)ადამიანების მართვა; 4)კლიენტებზე ორიენტაცია; 5)შედეგებზე ორიენტაცია; 6)პრობლემების გადაწყვეტა; 7)დაგეგმვა და ორიენტაცია [5, გვ. 176].

კომპეტენციასა და კომპეტენტურობაზე საინტერესოა ა. ხუტორსკის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც კომპეტენცია მიუთითებს იმაზე, თუ როგორი პროფესიული ცოდნა, უნარი და საქმიანობის ხერხებია საჭირო პროფესიული საქმიანობისათვის, ხოლო კომპეტენტურობა—ადამიანის მიერ შესაბამისი კომპეტენციების ფლობა [7,გვ.3].

ცხადია, ეკონომიკურ ლიტერატურაში აღნიშნულ პრობლემაზე არსებობს შესაბამის მკვლევართა სხვა მრავალი მოსაზრება, რომლებიც მეტ-ნაკლებად ახლოსაა ზემოაღნიშნულ მოსაზრებებთან. ჩვენი აზრით, ყველა მათგანი შეიცავს დადებით მომენტებს და ყურადსაღებია, თუმცა, სასურველია მოხდეს მისი შემდგომი სრულყოფა. ჩვენ ამ უკანასკნელზე სერიოზული პრეტენზია არ გავგაჩნია, მაგრამ გამოვთქვამთ ჩვენს მოკრძალებულ მოსაზრებას. ჩვენი აზრით, კომპეტენციისა და კომპეტენტურობის ცნების განსაზღვრისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა მიეთითოს, რომ კომპეტენცია განეკუთვნება პროფესიას (სპეციალობას, სამუშაოს) და გვიჩვენებს იმ მოთხოვნებს (ცოდნაზე, შეძლებაზე, უნარ-ჩვევებზე და სხვ.), რაც ნაეყენება მომუშავეს პროფესიული საქმიანობის შესრულებისას, ხოლო კომპეტენტურობა განეკუთვნება მომუშავეს და მასში იგულისხმება პროფესიული საქმიანობის წარმატებით შესრულებისათვის საჭირო კომპეტენციების მის (მომუშავეს) მიერ ფლობის ხარისხი.

წინამდებარე სტატიის სათაურიდან გამომდინარე, პროფესიული კომპეტენციისა და კომპეტენტურობასთან დაკავშირებული, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული საკითხები, ჩვენ მიერ განხილულია საჯარო მმოსამსახურეთა შრომით საქმიანობასთან მიმართებაში.

მოცემულ პრობლემაზე მომუსავე მკვლევარები გამოყოფენ კომპეტენციისა და კომპეტენტურობის სამ დონეს: **1) სამოქალაქო დონე**, რომელიც განპირობებულია მომუშავეთა საქმიანობის რეგლამენტაციით, კონსტიტუციითა და საზოგადოებაში გაბატონებული მორალით; **2) პროფესიონალური დონე**, რომელიც გულისხმობს, რომ რაც უფრო მაღალია მართვის დონე და კვალიფიკაცია, მით უფრო მაღალი უნდა იყოს ცოდნის დონე, პრაქტიკული გამოცდილება და პიროვნული თვისებების ხარისხი; **3) პოლიტიკური დონე**, რაც გამომდინარეობს საქმიანობის პოლიტიკური ხასიათიდან და გამოირჩევა პასუხისმგებლობითა და მრავალმხრივობით.

ჩვენ ვიზიარებთ იმ მკვლევართა [7,გვ.4-5] მოსაზრებას, რომლებიც გამოყოფენ პროფესიული კომპეტენტურობის შემდეგ კომპონენტებს: მოტივაციურ-ნებისყოფითი, ფუნქციონალური, კომუნიკაციური და რეფლექსური.

**მოტივაციურ-ნებისყოფით** კომპონენტში იგულისხმება საქმიანობის ისეთი მოტივები და მიზნები, რომლებიც ასტიმულირებს პიროვნების პროფესიულ შემოქმედებითობასა და მისდამი (პროფესიისადმი) ინტერესს. **ფუნქციონალური კომპონენტი** უმეტესად პროფესიული საქმიანობის წარმატებით შესრულების წესის ცოდნას მოიცავს და, თავის მხრივ, შედგება ისეთი ელემენტებისაგან, როგორცაა: კომუნიკაბელურობა, გავლენიანობა, ლიდერობა, ურთიერთგაგება, ანალიზური და აბსტრაქტული აზროვნება, გადაწყვეტილებათა მიღება. საკომუნიკაციო კომპონენტის შემადგენელი ელემენტებია: აზრის მკაფიოდ და გასაგებად გამოთქმის ცოდნა, მტკიცებულების არგუმენტირებულად აგების უნარი, მოსაზრებების გაანალიზების უნარი, საჭირო ინფორმაციის გადაცემის უნარი, პიროვნებათაშორისი კავშირების დადგენის ცოდნა, თავისი ქმედებების კოლექტივის ქმედებებთან შეთანხმების უნარი, თანამშრომლებთან ურთიერთობის ოპტიმალური ფორმის არჩევის უნარი, დიალოგის წარმართვის ორგანიზების ცოდნა. რაც შეეხება **რეფლექსურ**

კომპონენტს, იგი გულისხმობს ადამიანის უნარს – გააკონტროლოს თავისი განვითარების დონე და საქმიანობის შედეგები. სწორედ რეფლექსურ კომპონენტთანაა დაკავშირებული ისეთი ცნებები, როგორცაა: კრეატიულობა, ინიციატივიანობა, შემოქმედებითობა და სხვ.

### **პროფესიული კომპეტენციების კომპონენტთა ათვისებისა და განვითარების ტექნოლოგია**

ადამიანური რესურსების მართვისას, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, თუ რა მეთოდებით ხდება მომუშავეების მიერ საჭირო კომპეტენციების ათვისება. დღეისათვის იგი, როგორც წესი, ხდება შემდეგი მეთოდებით: 1)სამუშაო ადგილზე საჭირო კომპეტენციის განვითარების ხელშემწყობი დავალებების მიცემა; 2)სწავლება სხვათა გამოცდილების საფუძველზე; 3) სწავლება უკუკავშირის საფუძველზე, მუშაობის შედეგების განხილვით; 4) თვითსწავლება.; 5)ტრენინგები და სემინარები; 6)სწავლება სხვადასხვა სასწავლებელში (კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე, ლიცეუმებში, უმაღლეს სასწავლებლებში და ა. შ.).

ადამიანების მიერ პროფესიული კომპეტენციების ათვისებისათვის მნიშვნელოვანია მათი (კომპეტენციების) განვითარების ტექნოლოგიის ცოდნა. ეს უკანასკნელი განსხვავებულია კომპეტენციების შემადგენელი თითოეული კომპონენტისათვის. მაგალითად, კომპეტენციის – **„დარწმუნებულობა თავის თავში“** განვითარება ხდება თანამშრომლის მიერ ე. წ. დარწმუნებულობის არეალის გაფართოებისას, ანუ, როცა იგი იღებს უფრო რთულ ამოცანებს, ვიდრე მანამდე ჰქონდა.

საჯარო მოსამსახურეთა მუშაობაში გამოყოფენ პროფესიული კომპეტენციების განვითარების შემდეგ სახეებს: ა) უფრო გამოცდილ კოლეგებთან მუშაობა; ბ) უფრო მაღალი თანამდებობის დროებით დაკავება; გ) კვლევების ხელმძღვანელობა; დ) სხვადასხვა ანგარიშის დაწერა; ე) პრეზენტაციის გეგმის შედგენა; ვ) თანამდებობრივი (ფუნქციონალური) როტაცია; ზ) თათბირებში მონაწილეობა და მათზე საკუთარი პოზიციის წარდგენა და ა. შ. აუცილებელია გვახსოვდეს, რომ პროფესიული კომპეტენტურობის განვითარება ადამიანის პირად თავისებურებებზე დამოკიდებული ინდივიდუალური პროცესია და არ შეიძლება მასში გარედან უხეში ჩარევა.

რაც შეეხება **კომუნიკაბელურობის** კომპეტენციის განვითარებას, მასში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია საჯარო მოხელის უშუალო ხელმძღვანელს ისეთი მეთოდებით, როგორცაა: მითითება კონკრეტული კომპეტენციის გამოვლენის უკეთეს მაგალითებზე, კომუნიკაბელურობის განვითარებაზე რჩევების მიცემა და ა. შ. კომუნიკაბელურობის განვითარების მიზნით, შეიძლება განხორციელდეს, აგრეთვე, მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამები.

კომპეტენციის – **„გუნდური მუშაობა“**, განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა: ა) გუნდის თითოეული წევრის მიერ თავისი როლის სწორი გაგება; ბ) გუნდში კეთილსასურველი კლიმატის არსებობა; გ) გადაწყვეტილებათა მიღების ეფექტიანი მეთოდის არსებობა; დ) გუნდის წევრთა ინფორმაციული უზრუნველყოფა; ე) გუნდის იდეალებისადმი ერთგულება და ა. შ.

კომპეტენციის – **„დარწმუნება და ზეგავლენა“**, განვითარება მოიცავს უნარ-ჩვევების სრულყოფის ღონიძიებებს როგორც არაფორმალური კონტაქტების ქსელის შექმნასა და განვითარებაზე, ასევე დაქვემდებარებულთა დარწმუნების, ანუ მათზე ზეგავლენის მოხდენის მიმართულებით. დარწმუნებისა და ზეგავლენის უნარ-ჩვევების განვითარების ერთ-ერთი პოპულარული მეთოდია საქმიანი თამაშები. ცხადია, საჯარო მოხელეთა კომპეტენციის ზემოაღნიშნული კომპონენტის ფლობის ხარისხი განპირობებულია მათი ცოდნითა და პიროვნული თვისებებით. რაც უფრო მაღალია პიროვნების საერთო და პროფესიული ცოდნა, რაც უფრო კარგად ფლობს იგი ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნებას, მით უფრო მეტი გავლენა შეუძლია მოახდინოს მან მის დაქვემდებარებულებზე და არამარტო მათზე.

საჯარო მოსამსახურეთათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპეტენციაა **„მოქალაქეებისათვის მაღალხარისხიანი მომსახურების მიწოდება“**. იგი გულისხმობს მოქალაქეთა მომსახურებების მაქსიმალურად ხარისხიანად შესრულებას ადამიანთა უფლებების დარღვევის გარეშე. მოცემული კომპეტენციის განვითარება გულისხმობს საჯარო მოხელეთა მიერ ისეთი უნარ-ჩვევების დაუფლებასა და გაუმჯობესებას, როგორცაა: ა) კლიენტებისათვის

ყურადღებიანი მოპყრობა; ბ) მოქალაქეთა საუბრისა და წინადადებების (პრეტენზიების) მოსმენისა და მათზე ადეკვატური რეაგირების უნარი; გ) მოქალაქეებისაგან საჭირო ინფორმაციის მიღების საჭიროებისას, მათთვის სწორი კითხვების დასმის უნარი; დ) მოქალაქეებთან ინდივიდუალური მიდგომის უნარი; ე) თავშეკავებულობა; ვ) საკუთარი ემოციებისა და რეაქციის დაფარვის უნარი და ა. შ.

ხელმძღვანელთა კომპეტენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეა **დაქვემდებარებულთა განვითარების აუცილებლობის შეგრძნება და მისი რეალიზაციის უნარი**. იგი გულისხმობს ხელმძღვანელის მხრიდან ისეთ ქმედებებს, როგორცაა: დაქვემდებარებულთათვის იმის მკაფიოდ ახსნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს მათი პროფესიული ცოდნის ამაღლებასა და უნარ-ჩვევების განვითარებას, მათთვის ამ უკანასკნელის სარეალიზაციოდ კეთილსასურველი პირობების შექმნას და ა.შ. კომპეტენციის მოცემული სახის განსავითარებლად მიმართავენ თვითსწავლებას, ინდივიდუალურ ტრენინგებს, კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს და ა. შ.

რაც შეეხება საჯარო მოხელეთა კომპეტენციის ისეთ კომპონენტს, როგორცაა „ლიდერობა“, იგი მოითხოვს პიროვნება კარგად ფლობდეს უნარ-ჩვევებს ისეთ სფეროებში, როგორცაა: ა) დამაჯერებლობა; ბ) სტრატეგიული და ანალიზური აზროვნება; გ) ადამიანების დარწმუნება და ჯგუფის მართვა; დ) კომუნიკაციის მართვა; ე) ურთიერთობა თანამშრომლებთან; ვ) გადანყვეტილებათა მიღება; ზ) სანქციების გამოყენება; თ) მუშაობის ხარისხის კონტროლი და სხვ. მოკლედ ზოგიერთი მათგანის შესახებ: **გადანყვეტილებათა მიღების პროცესი** შემდეგი სტადიებისაგან შედგება: 1). პრობლემის არსის განსაზღვრა; 2) საჭირო ინფორმაციის შეკრება და მისი გამოყენება; 3) გადანყვეტილებათა სხვადასხვა ვარიანტის დამუშავება (თითოეულის დანახარჯებისა და მისგან მიღებული ეფექტის თანაფარდობიდან გამომდინარე) და საუკეთესო ვარიანტის არჩევა; 4) გადანყვეტილების მიღება. მიჩნეულია, რომ გადანყვეტილების ყველაზე ეფექტიანი ვარიანტის შერჩევისას, ერთ-ერთი ყველაზე დიდი სირთულე თითოეული მათგანის დანახარჯისა და სარგებლის ობიექტური შეფასებაა.

**რესურსების მართვის** კომპეტენციაში იგულისხმება უნარ-ჩვევები სხვადასხვა დონის ბიუჯეტის შედგენაზე და მათი შესრულების მონიტორინგსა და კონტროლზე, რესურსების რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებაზე და ა. შ. აღნიშნული კომპეტენციის განვითარების გზებია: სწავლება პროფესიული გადამზადების ან კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე, მონივნავე სამამულო და საზღვარგარეთული გამოცდილების გაზიარება და სხვ.

საჯარო მოსამსახურეთა საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კომპეტენციას – „**საინფორმაციო**

**ნაკადების მართვა“**, ანუ **საინფორმაციო კომპეტენტურობას**. მოცემულ კომპეტენციაში იგულისხმება საინფორმაციო სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებული საჯარო მოხელის ცოდნა და უნარ-ჩვევები. ამ კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელს თავისუფლად შეუძლია სწრაფად მოიპოვოს თავისი ფუნქციის შესრულებასთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაცია და გამოიყენოს სახელმწიფო ორგანოს საინფორმაციო ანალიზური რესურსები. საინფორმაციო ნაკადების მართვის კომპეტენციის განვითარება ძირითადად ხდება მოკლევადიანი სპეციალური ტრენინგების ჩატარებისა და შესაბამისი სახელმძღვანელოების გამოყენებით.

საზოგადოების განვითარების დღევანდელ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა **კულტურული კომპეტენტურობის** ფაქტორს. კულტურული კომპეტენციის ისეთი კომპონენტები, როგორცაა პროფესიული ფასეულობები, პროფესიული ქცევის პრინციპები და ნორმები, სიმბოლოები, იდეოლოგია, ენა, რიტუალები გავლენას ახდენს ადამიანთა შრომითი პოტენციალის განვითარებაზე. ამ კომპონენტთა განვითარება (სრულყოფა) ხდება პროფესიულ- კულტურული ფასეულობების, პროფესიული ნორმების, სოციალურად საპასუხიმგებლო ქცევის, ურთიერთობის სტილის, მომუშავეთა ღირებულებითი პრიორიტეტების ფორმირების პროცესში. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა ამაღლდეს სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობა.

### **პროფესიული კომპეტენციების მოდელები და საქართველოში საჯარო მოსამსახურეთა კომპეტენტურობის ამაღლების რეკომენდაციები**

საჯარო სამსახურის რეფორმირების კონცეფციაში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა მაღალი პროფესიული კომპეტენტურობის მქონე კადრების მომზადება. ამ მიზნით, მართვის სხვადასხვა დონისათვის ამუშავენ პროფესიული კომპეტენციების მოდელებს, რომელთაგანაც მოცემულა მათი თითოეული კომპონენტის შეფასების მეთოდები. ასეთი მოდელი ერთგვარი საფუძველია მმართველობითი უწყების ან ორგანიზაციის მიერ საჭირო თანამშრომლის არჩევისას. იგი, აგრეთვე, ამცირებს დროსა და ხარჯებს პერსონალის შერჩევის პროცესში და ამ დროს შეცდომების დაშვების ალბათობასაც. გარდა ამისა, ძირითადად პროფესიული კომპეტენციების მოდელის საფუძველზე ხდება საჯარო მოხელეთათვის სხვადასხვა სასწავლო პროგრამებისა და მომუშავეთა ატესტაციის ჩატარების მეთოდის დამუშავება და სხვ.

დღეს მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ადგილი აქვს საჯარო მოსამსახურეთა საქმიანობის ანალიზისადმი ე. წ. კომპეტენტურ მიდგომას. მან გან-

საკუთრებით დიდი განვითარება პოვა დიდ ბრიტანეთში. 2003 წელს აქ დამტკიცდა ე. წ. კომპლექსი PSG (Profesional Skills For Government). მასში მოცემულია საჯარო მოხელეთა ყველა დონის – მინისტრიდან რიგით ჩინოვნიკამდე კომპეტენციების ჩამონათვალი. მისი დახმარებით განისაზღვრება კონკრეტული თანამდებობისადმი მოთხოვნილებანი და კარიერული წინსვლის პრობლემები. იგი მოიცავს შემდეგ კლასტერებს: 1) პერსონალის მართვას; 2) ფინანსურ, კლიენტურ და საპროექტო მენეჯმენტს; 3) სტრატეგიულ აზროვნებას; 4) ეფექტიან კომუნიკაციასა და ინფორმაციულ უსაფრთხოებას და სხვ. გარდა დიდი ბრიტანეთისა, საჯარო მოხელეთა საქმიანობის ანალიზისადმი ზემოაღნიშნული მიდგომა წარმატებით გამოიყენება ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, როგორცაა: აშშ, კანადა, ნიდერლანდები და სხვ.

საქართველოში, სამწუხაროდ, საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კომპეტენტურობის ამაღლების საკითხებს ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა, რაც უარყოფითად მოქმედებს მათი მუშაობის ეფექტიანობის ხარისხზე. ეს ასეა, მიუხედავად იმისა, რომ საგეგმოდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას თან ახლავს სოციალურ-პრობლემითი ურთიერთობების სახელმწიფო-ადმინისტრაციული მეთოდებით რეგულირებიდან პროგრამულ-ნორმატიულ რეგულირებაზე გადასვლა, რომელიც მოითხოვს მართვის ახალი, უფრო პროგრესული, კონცეფციის დამუშავებასა და გამოყენებას და რომლის რეალიზაცია შეუძლია მხოლოდ მაღალი პროფესიული კომპეტენციის მქონე ადამიანებს. მოკლედ ზოგიერთი მათგანის შესახებ:

1) ქვეყანაში სუსტადაა დამუშავებული მოსამსახურეთა პროფესიული კომპეტენტურობის მოდელი, მაშინ, როცა მონინავე ქვეყნებში ამ პრობლემაზე მრავალი სამეცნიერო პროფილის ინსტიტუტი და მკვლევარი მუშაობს და გამოქვეყნებულია არაერთი სპეციალური ნაშრომი. ჩვენში კი საჯარო მოხელეთა პროფესიული კომპეტენტურობის საკითხებზე მეცნიერული მუშაობა, ფაქტობრივად, არ მიმდინარეობს და, შესაბამისად, სხვადასხვა სახელმწიფო თუ მუნიციპალურ ორგანოში მისდამი ერთიანი მიდგომაც არ არსებობს. ხშირად სხვადასხვა ორგანოში მომუშავე ერთი და იგივე თანამდებობის მქონე პირისათვის დადგენილი კომპეტენციები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რადგან მათი დადგენისადმი ერთიანი მიდგომა არ არსებობს, რაც არანორმალურია, თუნდაც იმიტომ, რომ იგი ხელს უშლის სხვადასხვა პროფილის სპეციალისტთა მომზადების (კვალიფიკაციის ამაღლების და ა.შ.) რაციონალური სასწავლო პროგრამების შემუშავებას. დღეისათვის, განსაკუთრებით დაუმუშავებელია საჯარო მოხელეთა საინფორმაციო კომპეტენტურობასთან დაკავშირებული საკითხები. ამჟამად ჩვენში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებლობა და, შესაბამისად, საჯარო მოხელეთა ინფორმაციული კომპეტენტურობის არსებული დაბალი დონე

გვევლინება ხელისუფლებისა და მოქალაქეთა ურთიერთობაში ნაკლოვანებათა მთავარ ფაქტორად, რაც ზრდის საზოგადოებაში ისედაც არსებულ ანტიბიუროკრატიულ განწყობილებას.

2) საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კომპეტენტურობა და სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებში არსებული საკადრო პოლიტიკა ერთმანეთთან დიალექტიკურ ურთიერთობაშია. ქვეყანაში რაც უფრო გონივრული, გამართული და სამართლიანია საკადრო პოლიტიკა, მით მეტი ყურადღება ექცევა სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის ორგანოებში პროფესიული კომპეტენტურობის მქონე ადამიანებით დაკომპლექტებას და, თავის მხრივ, რაც უფრო მაღალია საჯარო მოხელეთა პროფესიული კომპეტენტურობის დონე, მით უფრო გონივრული, გამართული და სამართლიანია საკადრო პოლიტიკა. საქართველოში, სამწუხაროდ, როგორც უკვე აღნიშნული იყო, მოცემულ პრობლემას სათანადო ყურადღება არ ექცევა. სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებში ადამიანებს ხშირად აწინაურებენ არა მიღებული განათლების, სპეციალობის, კომპეტენტურობის, საქმიანი თვისებებისა და პრაქტიკული გამოცდილების (დამსახურების) ნიშნის, არამედ პირადი ერთგულებისა და სიმპათიის მიხედვით, რაც მნიშვნელოვნად აქვეითებს ამ ორგანოების მუშაობის ეფექტიანობას. ყოველივე ამის დასტურია ის სერიოზული ნაკლოვანებანი, რასაც ადგილი აქვს ამ ორგანოებში. ჩვენი აზრით, მცდარია დღეს უმაღლეს მმართველ წრეებში დამკვიდრებული პრაქტიკა (ზოგჯერ მოსაზრებაც კი), რომლის მიხედვითაც მაღალ თანამდებობებზე დანიშვნისას მნიშვნელობა არ აქვს, თუ ვინ რისი სპეციალისტია, როგორი დამსახურებისაა და რა პრაქტიკული გამოცდილება აქვს. მთავარია იგი იყოს იდეოლოგიურად მისაღები და კარგი მენეჯერი. ალბათ, დიდი მტკიცება არ ჭირდება იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ ყველაზე საუკეთესო ვარიანტია, როცა საქმიანობის რომელიმე დარგს სათავეში უდგას ამ დარგის კარგი სპეციალისტი, რომელიც ამავე დროს არის კარგი მენეჯერიც და ქვეყნის სასიცოცხლო იტერესების აქტიური დამცველიც. მაგალითად, ჯანდაცვას-კარგი ექიმი, რომელიც ამავე დროს კარგი მენეჯერია და ა.შ;

3) სწორედ საჯარო მოსამსახურეთა დაბალი პროფესიული კომპეტენტურობითაა განპირობებული, რომ ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა მათ მიერ მოქალაქეთა მომსახურების განევა და მისი მისაწვდომობის ხარისხი, რომ სახელმწიფო და მუნიციპალურ მმართველობაში ადგილი აქვს მეტისმეტ ადმინისტრირებასა და ბიუროკრაციას, რომ იგი ხშირად მონყვეტილია მოქალაქეებისაგან და ვერ აკმაყოფილებს მათ ინტერესებს;

4) როგორც წესი, საჯარო მოსამსახურეთათვის დამახასიათებელია დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა. ჩვენში კი, როგორც უკვე აღნიშნული იყო, არც ისე იშვიათად ხელმძღვანელ თანამდებობებზე დაბალი პროფესიული

კომპეტენტობის მქონე ადამიანებია და ისინი ხშირად მათზე უფრო მაღალი კომპეტენტობის მქონე პირებს აძლევენ არაადეკვატურ დავალებებსა და მითითებებს. ეს კი იწვევს ამ უკანასკნელთა სამართლიან უკმაყოფილებას, მათ მზარდ ნერვულ-ფსიქიკურ დაძაბულობას, შრომის უნარიანობის შემცირებასა და ჯანმრთელობის გაუარესებასაც კი;

5) ქვეყანაში ჯერ კიდევ დაბალია საჯარო სამსახურის დამოუკიდებლობის ხარისხი ზემდგომი პოლიტიკური და სამეურნეო ორგანოების ზეწოლისაგან. ზოგჯერ ისინი დაუსაბუთებლად და არაკომპეტენტურად ერევიან მართვის ორგანოების ქვემდგომი რგოლების საკადრო პოლიტიკასა და ყოველდღიურ სამეურნეო საქმიანობაში და თავს ახვევენ არასასურველ კადრებსა და მცდარ გადაწყვეტილებებს. ამას კი, ცხადია, ქვეყნის ინტერესებისათვის სერიოზული ზიანი მოაქვს. ამ და სხვა მსგავსი მიზეზებითაა გამოწვეული ქვეყნის სახელმწიფო და მუნიციპალურ მმართველობაში ჯერ კიდევ არსებული ისეთი უარყოფითი მოვლენები, როგორცაა: მექრთამეობა, კორუფცია, ცალკეულ ბიზნესმენტთა ლობირება, ნეპოტიზმი და სხვ.;

6) ნაკლოვანებებია ხემძღვანელთა მიერ კომპეტენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის – „გადაწყვეტილებათა მიღება“ – განხორციელებაში, რაც, ძირითადად, შემდეგი მიზეზებითაა გამოწვეული: ა) ხელმძღვანელთა მხრიდან სწორი და დროული გადაწყვეტილების მიღების უუნარობა; ბ) შიში ზემდგომი ორგანოების წინაშე – არ დაირღვეს ე. წ. „გუნდური მუშაობის“ პრინციპი; გ) კანონმდებლობის არასრულყოფილება.

სწორედ ზემოაღნიშნული მიზეზებითაა გამოწვეული მმართველობითი ორგანოების (სამინისტროების და ა.შ.) მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მათთვის გამოყოფილი სახსრების დროულად აუთვისებლობა და სამეურნეო წლის ბოლოსათვის მის ასათვისებლად მიმდინარე ფაციფუცი. ყოველივე ამას სერიოზული ზიანი მოაქვს ქვეყნისათვის: უარესდება ნაუცბათევად შესრულებული სამუშაოების ხარისხი, ირღვევა ქვეყნის ცხოვრების ნორმალური რიტმი, რაც, უპირველეს ყოვლისა, ზრდის სამეურნეო წლის ბოლოსათვის მიმოქცევაში „ჭარბი“ ფულის მოხვედრის საშიშროებას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ეროვნული ვალუტის ინფლაცია და ა. შ.;

7) ნაკლოვანებებია სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოებისათვის შესაბამისი კადრების მომზადებაში. დღეს საჯარო სამსახურის ყველა დონეზე კადრებს და, შესაბამისად, მათი მომზადების (სწავლების) პროცესს ახალი, უფრო გაზრდილი მოთხოვნები წაეყენება, ვიდრე ეს იყო თუნდაც 5-10 წლის წინ. ამიტომაც, რომ მთელ რიგ ქვეყნებში ბოლო წლებში ფართოდ მიმართავენ სპეციალურად საჯარო სამსახურისათვის განკუთვნილი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას. ჩვენთან კი მოხდა პირიქით – XX საუკუნის 90-იან წლებსა და XXI საუკუნის დასაწყისში თბილისის სახელმწიფო უნი-

ვერსიტეტის მაშინდელი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტზე მოქმედმა საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო პროგრამებმა სპეციალობებში – „პერსონალის (ადამიანური რესურსების) მართვა“ და „სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა“, არსებობა შეწყვიტა. ამჟამად, საქართველოში არცერთ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში არ ხდება საჯარო მოხელეთა კადრების მომზადება, რაც უთუოდ არანორმალური და ქვეყნისთვის ზიანის მომტანია. დასაბამია, რომ ეს ხდება ქვეყნის საჯარო სამსახურში მალაკვალიფიციური და კომპეტენტური კადრების აშკარა დეფიციტის პირობებში.

არის სხვა ნაკლოვანებებიც, რომელთა ნაწილის შესახებ გარკვეული მოსაზრებები და შესაბამისი რეკომენდაციები ჩვენ მიერ მოცემულია ამავე ჟურნალის წინა ნომრებში უკვე გამოქვეყნებულ სამეცნიერო სტატიებში [2, გვ. 135-150; 3, გვ. 145-164; 4, გვ. 11-28].

საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კომპეტენტურობის სფეროში არსებულ ზემოაღნიშნულ და სხვა ნაკლოვანებათა შესამცირებლად, ჩვენი აზრით, აუცილებელია:

1) საჯარო მოსამსახურეთა პროფესიონალიზმის განსაზღვრისას მთავარი ფაქტორი გახდეს მათი კომპეტენტურობის ხარისხი მინდობილი საქმიანობის განხორციელებაში. ეს უნდა იყოს ამოსავალი წერტილი პერსონალის მართვის მთელი პროცესისა. მისი დახმარებით უნდა განხორციელდეს კადრების შერჩევა და მათი მუშაობის შეფასება, კარიერისა და სწავლების სისტემის მართვა და ა. შ.;

2) მოხდეს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კომპეტენტურობის პროგრამული განვითარების სისტემურ მოდელზე გადასვლა, რომელიც გაითვალისწინებს პროფესიული კომპეტენტურობის საგანმანათლებლო განვითარების ტრადიციული სისტემის მოდერნიზაციას. მართვის სხვადასხვა სფეროსათვის საჯარო მოხელეთა მომზადების მიზნით, მიზანშეწონილია სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში არსებობდეს და ფუნქციონირებდეს მობილური საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო პროგრამები, რომელთა მიხედვითაც მოხდება საჯარო მოხელეთა კადრების მომზადება და რომლებიც უკეთ გაითვალისწინებს იმ პროფესიული კომპეტენციების ათვისებას, რომელთა ფლობა აუცილებელია მართვის მოცემულ კონკრეტულ სფეროში მომუშავე საჯარო მოხელისათვის;

3) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ხელმძღვანელთა მიერ მათი კომპეტენციის უმნიშვნელოვანესი კომპონენტის – „გადანწყვეტილების მიღება“, აღსრულებას. იგი ხელმძღვანელმა უნდა მიიღოს შესაბამისი საკითხის ყოველმხრივი შესწავლისა და ქვეყნის (უწყების, ორგანიზაციის და ა.შ.) ინტერესებიდან გამომდინარე. ამასთან, იგი უნდა იყოს დროული, ობიექტური და სამართლიანი. დაუშვებელია მასში შემდგომი ხელმძღვანელის დაუსაბუთებელი ჩარევა;

4) მეტი ყურადღება მიექცეს სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის ორგანოებში გამართული და სამართლიანი საკადრო პოლიტიკის დამკვიდრებას. თანამდებობებზე დანიშნონ არა პირადი ერთგულებისა და სიმპათიის მიხედვით, არამედ პროფესიული კომპეტენტურობის, პრაქტიკული გამოცდილებისა და საქმიანი თვისებების მიხედვით. მართვის ზემოაღნიშნულ სისტემაში თანამშრომელთა დანიშნულებისას, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ამ უკანასკნელთა წინა საქმიანობის შედეგებს (ხარისხს), მათ პატიოსნებასა და მორალურ მხარეს;

5) მეტი ყურადღება დაეთმოს საჯარო სამსახურისათვის მმართველობითი კადრების მომზადებას. მიზანშეწონილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე აღდგეს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ფუნქციონირება სპეციალობებში: „ადამიანური რესურსების მართვა“, „სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა“;

6) მიზანშეწონილია თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ჩამოყალიბდეს შესაბამის ეცონომისტ- მკვლევართა ჯგუფი, რომელიც ჩაატარებს სპეციალურ კომპლექსურ გამოკვლევას, კერძოდ, შეისწავლის საქართველოში საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კომპეტენტურობის არსებულ მდგომარეობას და მისი ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს გამოვლენილ ნაკლოვანებათა გამოსწორებლად.

\*\*\*

შეიძლება დავასკვნათ, რომ დღეს საქართველოში საჯარო მოსამსახურეთა მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები ძირითადად გამოწვეულია მათი დაბალი პროფესიული კომპეტენტურობით, რაც ხელისუფლებისგან მოითხოვს საგულდაგულო ყურადღებას მოცემული საკითხისადმი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სამართლიანი და ობიექტური საკადრო პოლიტიკის გატარებასა და ქვეყნის საჯარო სამსახურისათვის მაღალკომპეტენტური სპეციალისტების მომზადებას.

#### ლიტერატურა:

1. ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ავტორთა კოლექტივი, ა. სილაგაძის საერთო რედაქციით, თბ., 2000;
2. Управление персоналом. .Энциклопедический словарь.Авторкий коллектив. М., 1998;
3. Армстронг М. Практика управления человеческими реурами. 10-е издание.Перевод с английского. М., 2012;
4. <http://vestnik.uapa.ru/enfissue/2012/04/06/>

5. პაიჭაძე ნ. ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტთა როლი და მათი მომზადების აუცილებლობა, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2012, №1, გვ. 135-150;
6. პაიჭაძე ნ. როგორი უნდა იყოს თანამედროვე ხელმძღვანელი, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2012, № 3, გვ. 145-164;
7. პაიჭაძე ნ. ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლების მწყობრი და გამართული სისტემა – ორგანიზაციათა წარმატებული საქმიანობის საწინდარი, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2013, №2, გვ. 11-28.

### **Professional Competence as the Decisive Factor in Labour Effectiveness of Public Servants**

*N. Paichadze*

*Doctor of Economic Sciences, Associate Professor  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

On the basis of the critical analysis of relevant opinions existing in economic literature the article addresses such issues related to the competence of public servants as: competence and the content of competence concept, levels of competence and components, development technology of the composite components of competence, models of professional competences.

In the concluding section of the article there is given a short analysis of the existing situation of professional competence among public servants in Georgia and made some recommendations on its basis for the reduction of existing shortcomings in the noted sphere

**Keywords:** Competence; components of competence; competences development technology; competences models.

**JEL Codes:** O30, O32, O33

მიკროეკონომიკა ✧ მაკროეკონომიკა ✧ ეკონომეტრიკა  
MICROECONOMICS ✧ MACROECONOMICS ✧ ECONOMETRICS

---

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები: ანალიზი,  
გამონვავეები, პროგნოზები

იასა მესხია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,  
საერთაშორისო ბიზნესის კათედრის ხელმძღვანელი  
iasha.meskhia@tsu.ge

თანამედროვე ეტაპზე ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებისა-  
კენ ორიენტაციამ, გლობალურ პოლიტიკასა და ეკონომიკაში მიმდინ-  
არე კარდინალურმა ცვლილებებმა, განსაკუთრებით კი ნავთობზე ფასის  
მნიშვნელოვნად შემცირებამ, აშშ-ის დოლარის გამყარებამ, მთელ რიგ  
ქვეყნებში ეროვნული ვალუტების გაცვლითი კურსის ვარდნამ, აგრეთვე  
არაბულ რეგიონებსა და ევროპის შუაგულში მიმდინარე საომარმა მოქ-  
მედებებმა, სამხედრო მუქარების გაძლიერებამ და სხვა ახლად წარმოქმ-  
ნილმა ნეგატიურმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ფაქტორებმა, სე-  
რიოზული საფრთხე შეუქმნა მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას, გან-  
საკუთრებით კი განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს.  
რა თქმა უნდა, ამ რთულმა გლობალურმა გამოწვევებმა მნიშვნელოვანი  
ნეგატიური გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზე და სერიო-  
ზული საფრთხე შეუქმნა იმ რეფორმების განხორციელებას, რომელიც  
მიზნად დაისახა “პოსტვარდისფერ” პერიოდში მოსულმა ქვეყნის ხელი-  
სუფლებამ.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგე-  
ნის შემდგომ ეტაპებზე ხელისუფლების ცვლილებას თან ახლდა მათი  
განსხვავებული და ახლებური მიდგომები სოციალურ-ეკონომიკური რე-  
ფორმებისადმი. ამ უკანასკნელმა გამოიარა სამი ერთმანეთისაგან განსხ-  
ვავებული ეტაპი. რეფორმების პირველი სასტარტო ეტაპი (1991-1994წწ.),  
გამოუცდებლობის, უცოდინარობისა და სხვა მრავალი ნეგატიური ობიექ-  
ტური ფაქტორის გავლენის გამო წარუმატებელი აღმოჩნდა [1, 2, 3]. რე-

ფორმების მეორე ეტაპზე (1995-2002 წწ.) შეიქმნა ბიზნესის განვითარებისათვის შედარებით ხელსაყრელი პოლიტიკური, მაკროეკონომიკური და სამართლებრივი გარემო [4, 5, 6, 7, 8], რამაც ხელი შეუწყო ეკონომიკურ ზრდას, თუმცა, ამ ეტაპზე იყო მისი შენელებისა და ჩავარდნები პერიოდიც. რეფორმების მესამე ეტაპზე (2003-2012 წწ.), რომელსაც თან ახლდა ფსევდორეფორმებიც, მნიშვნელოვან ეკონომიკურ წინსვლასთან ერთად ადგილი ჰქონდა სერიოზულ კანონდარღვევებს საკუთრებისა და ადამიანის უფლებების ხელყოფის კუთხით, რამაც საზოგადოების საყოველთაო ნეგატიური რეაქცია გამოიწვია [9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 19, 20, 22]. აღნიშნულ ეტაპზე განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები არაერთგვაროვნად და მიკერძოებულადაა შეფასებული ზოგიერთი უცხოელი მკვლევარის მიერ [16, 17, 18, 21]. ამჟამად მიმდინარეობს ბოლო 2 წელიწადში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების კვლევა როგორც წინა რეფორმებთან კონტექსტით [23, 26], ასევე, მიმდინარე რეფორმების პირველი შედეგების შეფასების კუთხით [24, 25].

წინამდებარე გამოკვლევის მიზანია საქართველოში მიმდინარე (მეოთხე) ეტაპზე (2013 წლის ბოლოდან დღემდე) განხორციელებული ეკონომიკური და სოციალური რეფორმების SWOT-ანალიზის საფუძველზე, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების დიაგნოსტიკა-შეფასება, მთავარი ეკონომიკური გამოწვევების ფაქტორული შეფასება, აგრეთვე, პროგნოზული სცენარებისა და რეკომენდაციების შემოთავაზება დამდგარი და ახალი რისკების თავიდან აცილებისა და შერბილების მიმართულებით.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური რეფორმები; პოლიტიკური წანამძღვრები; SWOT-ანალიზი; გარე და შიდა ფაქტორები; რეფორმების ძლიერი და სუსტი მხარეები; გამოწვევები; დასაქმება; ლარის კურსი; ჰიპოთეზები; პროგნოზები.

## მიმდინარე რეფორმების პოლიტიკურ-ეკონომიკური წანამძღვრები

საქართველოს ეკონომიკა ცხრა წლის განმავლობაში მმართველი ნაციონალური ხელისუფლების იდეოლოგიაზე იყო აწყობილი, რაც, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებასთან ერთად, გამოიხატებოდა ადამიანის უფლებებისა და კერძო საკუთრების უკანონო ხელყოფაში. ამან დიდი უარყოფითი მუხტი დააგროვა საზოგადოებაში და გამოიწვია არჩევნების გზით მათი ჩანაცვლება კოალიციური ხელისუფლებით. შექმნილი ვითარება ახალი ხელისუფლებისაგან მოითხოვდა ეკონომიკის ერთპიროვნული კარნახით წარმართვის დამკვიდრებული პრაქტიკის დემოკრატიულ რელსებზე

გადაწყობას, რასაც თავის მხრივ სჭირდებოდა საკანონმდებლო ცვლილებები, საკადრო პოლიტიკის სრულყოფა და დროში განელილი სხვა მრავალი მეთოდურ-ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებების გატარება. თუმცა, საკანონმდებლო ხარვეზების გამო, ქვეყანაში დადგა ორხელისუფლებიანობა, რამაც წელიწადზე მეტ ხანს გასტანა და ეს დრო მთლიანად ახალი და ძველი ხელისუფლებების დაპირისპირებას დაეთმო. ქვეყნისათვის საზიანო პოლიტიკური დაპირისპირება არც საპრეზიდენტო და ადგილობრივი არჩევნების შემდგომ არ დაბალანსებულა. ოპოზიციის რევანშული პოლიტიკა, რომელიც ხშირად კეთილსინდისიერების ფარგლებს სცილდება, ასევე, ხელისუფლების მიერ მწვავე გამოწვევების წარსულში დაშვებულ შეცდომებზე გადაბრალება და მათ დასაძლევად ინერტიული, რიგ შემთხვევაში დაუბალანსებელი და ანალიტიკურ-პროგნოზულ საფუძვლებს მოკლებული, გადაწყვეტილებების მიღება, დღევანდელი ეკონომიკური რეფორმების მნიშვნელოვანი დამამუხრუჭებელი ფაქტორია.

მიმდინარე ეტაპზე ეკონომიკური რეფორმები, ზოგადად, პასიური ხასიათით გამოირჩევა, რაც განაპირობა მრავალმა სუბიექტურმა და ობიექტურმა ფაქტორმა, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს შემდეგი: ეკონომიკა მწვავე პარტიული დაპირისპირებისა და პოლიტიკური კოჰაბიტაციის ობიექტად იქცა; გამოუცდელმა მთავრობამ ვერ გამოიჩინა სათანადო სითამამე და ოპერატიულობა, ვერ მოახერხა ახალი რეფორმის ტულ-ინოვაციური ხედვების ფორმირება; ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას - „საქართველო-2020“, არ მოყოლია შესაბამისი კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავება, რის გამოც რიგი ეკონომიკური გადაწყვეტილება მოწყვეტილია რეალობას; გამოცხადებულმა ფსევდო კოჰაბიტაციამ საზოგადოებაში გამოიწვია ნიჰილიზმი და შეასუსტა მენარმეობრივი აქტივობა; ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის ვერ მოხერხდა ჯანსაღი და საქმიანი, გამჭვირვალე კოორდინაცია, უფრო მეტიც, მათ შორის თავი იჩინა როგორც ფარულმა, ასევე ღია დაპირისპირებამ, რამაც თავის მხრივ დააფრთხო გარე და შიგა ინვესტორები; პრემიერ მინისტრის მიერ თანამდებობის დროზე ადრე დატოვებამ, ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა იქონია, რადგან მენარმეებს გაუხანგრძლივა მოლოდინის რეჟიმი; უკრაინა-რუსეთის საომარმა დაპირისპირებამ ნეგატიურად იმოქმედა ბიზნესზე, რადგან უკრაინა საქართველოსათვის მესამე, ხოლო რუსეთის ფედერაცია მეოთხე სავაჭრო პარტნიორის ადგილს იკავებს; ხელისუფლებას არ აღმოაჩნდა გადაწყვეტილების სწრაფად მიღების სათანადო უნარი და გამოცდილება. წინასაარჩევნო პროგრამის რიგი კომპონენტების დროზე შეუსრულებლობის გამო შესუსტდა მთავრობის მიმართ საზოგადოების ნდობის ხარისხი.

ოპოზიციამ, რომლის მიმართ საზოგადოების უმეტესი ნაწილი ნეგატიურად იყო განწყობილი, ნელ-ნელა მოიკრიბა ძალა და გააფართოა მოქ-

მედების არეალი. ისინი, სახელმწიფო-ნაციონალურ ინტერესებს ამოფარებული, სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების მოხერხებულად გამოყენებით, ქმნიან საზოგადოებრივ აზრს მოქმედი მთავრობის უნიათობისა და არაკომპეტენტურობის შესახებ. ამ მიზნით ფართოდ იყენებენ საერთაშორისო შეხვედრებსა და ფორუმებს, რომელთა ორგანიზაციულ უზრუნველყოფაში სარგებლობენ ადრე მათ მიერ უხვად დაფინანსებული ლობისტური ორგანიზაციების მხარდაჭერით. მოქმედ მთავრობას, რომლის მიმართაც ოპოზიციის კრიტიკა რიგ შემთხვევაში, სამართლიანია, მუდმივად უხდება თავის მართლება და წინა ხელისუფლების ნაკლოვანებებზე პედალირება, რაც მათ რეიტინგზე ნეგატიურად აისახება. ოპოზიცია თავის სასარგებლოდ იყენებს ახალი ხელისუფლების მიერ შექმნილ დემოკრატიისა და სიტყვის თავისუფლების გარემოს. სახელმწიფო ჩარევისაგან თავისუფალი ელექტრონული და ბეჭდური მასმედიის გამოყენებით ქვეყანაში მიმდინარეობს პოლიტიკურ პარტიებს შორის არა დემოკრატიულ სანყისებზე დაფუძნებული დისკუსია, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სწორი მიმართულებით წინსვლას, არამედ სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლა, შუღლი, ცილისწამება, ჩასაფრება და რევანში მხარეთა პირადი ინტერესების რეალიზაციისათვის. ჯერჯერობით ძნელია მტკიცება, მაგრამ სავარაუდოდ შეიძლება ითქვას, რომ მონეტარულ ხელისუფლებაში დარჩენილი ოპოზიციის გუნდის ქმედებებით თუ უმოქმედობით ქართული ვალუტის გაუფასურებისადმი ხელშეწყობამ, მთავრობის რეიტინგი მნიშვნელოვნად დასწია და საზოგადოებაში ეკონომიკური რეფორმებისადმი რწმენა შეარყია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად ოპოზიციაში მყოფი ნაციონალური მოძრაობის ლიდერების უკრაინაში მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე დანიშვნა, ერთი მხრივ, არის მეგობარი ქვეყნის მხრიდან საქართველოს დღევანდელი მმართველი ხელისუფლებისადმი უპატივცემლობა, ხოლო, მეორე მხრივ, ასეთი მიდგომა საზოგადოების დიდ ნაწილს, როგორც საქართველოში, ასევე, უკრაინაში, რეფორმების წარმატებულ გატარებაზე უკარგავს რწმენას.

საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას საზოგადოებასთან გასაგებად და დამაჯერებლად ვერ მიაქვს ინფორმაცია განხორციელებული ეკონომიკური რეფორმებისა და ამ მიმართულებით შექმნილი ობიექტური გამოწვევების შესახებ. ოპოზიცია, რომელსაც დიდი გამოცდილება აქვს პიარ-კამპანიების, ამას საკმაოდ მოხერხებულად იყენებს თავის სასარგებლოდ. შექმნილი პოლიტიკური გაურკვევლობა და დაპირისპირების გაღრმავება ხელს უშლის ეკონომიკური რეფორმების გატარებას, განსაკუთრებით კი აფრთხობს როგორც ადგილობრივ, ასევე, უცხოელ ინვესტორებს. როგორც მთავრობის ბოლოდროინდელი საქმიანობიდან ჩანს, მან შეიძინა სახელმწიფოს მართვის გარკვეული გამოცდილება, რასაც ადასტურებს, რეფორმების

მიმართულებით მათი ძალისხმევის გააქტიურება და შედარებით პოზიტიური გადაწყვეტილებების მიღება, თუმცა, ოპოზიცია ამას კრეატიული მიდგომებით და ძალთა გააქტიურებით ხვდება და ბრძოლის ველი სხვადასხვა რეგიონში გადააქვს, სადაც მოსახლეობა ნაკლებადაა ინფორმირებული გატარებული და გასატარებელი რეფორმების შესახებ. სავარაუდოდ ასეთი პოლიტიკური პოლარიზაცია კიდევ უფრო გაღრმავდება ახალ საპარლამენტო არჩევნებამდე, რაც სერიოზული მუხრუჭი იქნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გზაზე.

### მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების პირველი შედეგები

რეფორმების მიმდინარე ეტაპი თავისი დროის ხანგრძლივობით იმდენად მოკლეა, რომ მკაფიოდ გამოკვეთილი კანონზომიერებებისა და ტენდენციების გამოვლენის საშუალებას ნაკლებად იძლევა, თუმცა, გარკვეული შეფასებებისა და დასკვნების გაკეთება მაინც შესაძლებელია.

ეკონომიკური რეფორმების შედეგიანობა იზომება იმ ეკონომიკური ინდიკატორების ერთობლიობით, რითაც ხდება ქვეყნის წინაშე მდგარი ეკონომიკური გამოწვევების შეფასება. საქართველოს დღევანდელ პირობებში ასეთ ინდიკატორთა რიცხვს განეკუთვნება ეკონომიკური ზრდის ტემპები, საგარეო-სავაჭრო ურთიერთობები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, დასაქმება, სახელმწიფო ბიუჯეტი, ეროვნული ვალუტის მდგრადობა და, რაც ყველაზე მთავარია, მოსახლეობის ცხოვრების დონის მახასიათებლები.

მიმდინარე ეტაპზე გატარებული ეკონომიკური და სოციალური რეფორმების მაკროეკონომიკური შედეგები, ოფიციალური სტატისტიკის ანალიზიდან გამომდინარე, მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად დახასიათდეს:

ვერ შესრულდა ეკონომიკური ზრდის პროგნოზები, ნაცვლად 5%-ისა, 2013 წელს მან შეადგინა 3,3%, 2014 წელს - 4,8%, ხოლო 2015 წლის პირველ კვარტალში - 3,2%. ამ მახასიათებლით ეკონომიკური რეფორმები ჯერჯერობით წარუმატებელი აღმოჩნდა;

ვერ იქნა დაძლეული საგარეო ვაჭრობაში არსებული გამოწვევები. 2013 წელს ექსპორტის მხრივ მდგომარეობა გაუმჯობესდა და ზრდამ 20.1% შეადგინა. 2014 წელს შენარჩუნდა და გაუარესდა კიდევაც საგარეო-სავაჭრო ბრუნვაში არსებული ზოგიერთი ნეგატიური ტენდენცია. შემცირდა ექსპორტისა და იმპორტის ზრდის ტემპები;

2013 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება ვერ მოხერხდა, გეგმას დააკლდა 700 მილიონამდე ლარი. 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმა შესრულდა, ხოლო 2015 წლის I კვარტლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები გაზარდა 14.6%-ით.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2013 წელს, წინა წელთან შედარებით, უმნიშვნელოდ (1,1%) გაიზარდა, ხოლო 2014 წელს ზრდამ შეადგინა 27.1%;

2012 წელს წინა წელთან შედარებით უმუშევრობის დონე შემცირდა 0,4%-ით და შეადგინა 14,6 %, თუმცა, სოციოლოგიური კვლევების თანახმად სამუშაო ძალის 60%-მდე თავს უმუშევრად მიიჩნევს;

ყველაზე მაღალი - 9.8%-ით გაიზარდა სოფლის მეურნეობა და მან მშპ-ის სტრუქტურაში 2014 წელს შეადგინა 10.6%. მრეწველობა გაიზარდა 6.9 %-ით. 2013 წელი წარუმატებელი აღმოჩნდა მშენებლობისათვის, რადგან წინა წელთან შედარებით იგი შემცირდა 10.6%-ით. თითქმის 30% დააკლდა ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობის გეგმის შესრულებას. საყურადღებოა, რომ ინვესტიციების ზრდა 2013 წელს საკმაოდ მაღალი იყო მშენებლობაში (28%), რასაც უნდა მოყოლოდა ამ დარგის მნიშვნელოვანი განვითარება მომდევნო წელს. ფაქტობრივად, ასეც მოხდა და 2014 წელს მშენებლობის დარგი ყველაზე მეტად გაიზარდა სოფლის მეურნეობასთან ერთად.

2013 წლის ბოლოს და 2014 წლის მე-4 კვარტალში დაფიქსირდა ქართული ვალუტის-ლარის გაცვლითი კურსის ვარდნა, რომელიც გრძელდება დღემდე. ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად ნეგატიური გავლენა მოახდინა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე.

### **რეფორმების ძლიერი და სუსტი მხარეები**

მიმდინარე ეტაპზე (2013 წლის ბოლოდან დღემდე) ხელისუფლების მიერ განხორციელებული სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების SWOT-ანალიზიდან იკვეთება შემდეგი ძლიერი და სუსტი მხარეები:

**მიმდინარე რეფორმების ძლიერი მხარეები:** ბიზნესის გათავისუფლება პარტიულ-პოლიტიკური წნეხისაგან; ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება; კერძო საკუთრების უფლებების დაცვის მცდელობა; ორიენტაცია ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე და სოციალურ განვითარებაზე; მოსახლეობის საყოველთაო დაზღვევა, პროგრამა - „საქართველო C ჰეპატიტის გარეშე“; მიზნობრივი სოციალური დახმარებების გაძლიერება (პენსიების, უმწეოთა დახმარებების ზრდა); მასწავლებლებისა და მეცნიერ მუშაკების ხელფასების ზრდა, მონაფეების უფასო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა; დემოგრაფიული აღორძინების ფონდის შექმნა და შობადობის მასტიმულირებელი ბერკეტების შემოღება; რუსეთის საექსპორტო ბაზრის ნაწილობრივ დაბრუნება (ღვინო, სპირტიანი სასმელები, მინერალური წყლები, ფეროშენადნობები); სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულად გამოცხადება და მისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის გაძლიერება (სოფლის

მეურნეობის განვითარების ფონდის შექმნა, ვაუჩერების დარიგება, კოოპერაციის შესახებ კანონის მიღება, შეღავათიანი აგროკრედიტის სამდონიანი პროგრამა, სუბსიდირება, აგროდაზღვევა და სხვა); ენერგეტიკული უსაფრთხოების კუთხით საქმიანობის გააქტიურება (მცირე ჰესების რეაბილიტაცია და მშენებლობებზე ორიენტირება); ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის - „საქართველო-2020“, შემუშავება; საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანა (ჯარიმების შემცირება, დაუბეგრავი მინიმუმის შემოღება, მსუბუქი საგადასახადო ამნისტიის გატარება და სხვა); ადგილობრივი თვითმმართველობების რეფორმის დაწყება; სამთავრობო პროექტის „წარმოე საქართველოში“, დაწყება (1 ლარად ქონების გადაცემა, გირაოში სახელმწიფოს თანადგომა, სესხებზე პროცენტის ნაწილის დაფინანსება); საბანკო სექტორიდან არაპროფილური აქტივების გამოყოფა და სხვა.

რეფორმების ამ ეტაპზე განსაკუთრებულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს პოზიტიური ცვლილებების შეტანა საგადასახადო კანონმდებლობაში. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს საკუთრების დაცვის კუთხით ადმინისტრირების წესის სრულყოფის შესახებ. კერძოდ, განსხვავებით მოქმედი რეგულაციისაგან, როდესაც საგადასახადო დავის დაწყებისთანავე სახელმწიფოს შეეძლო ქონების მის საკუთრებაში მოქცევა და გაყიდვა (რასაც წინა ხელისუფლება მოხერხებულად იყენებდა პოლიტიკური ოპონენტებისა და მისთვის „მიუღებელი“ ბიზნესის მიმართ), ახალი რედაქციით ქონების მესაკუთრის შეცვლა მხოლოდ სასამართლოს სამივე ინსტანციის გავლის შემდეგაა შესაძლებელი. გარდა ამისა, საგადასახადო ხანდაზმულობის ვადა შემცირდა 6-დან 5 წლამდე, ხოლო მომდევნო წლებში გათვალისწინებულია 3 წლამდე შემცირება. პროგრესულ გადაწყვეტილებად უნდა ჩაითვალოს სოფლის მეურნეობის გათავისუფლება დღგ-ის ჩათვლის უფლებისაგან, აგრეთვე, სასოფლო-სამეურნეო და სამედიცინო საქმიანობაში რეინვესტირებული მოგების გადასახადიდან და 6 ათას ლარამდე შემოსავლის მქონე შეზღუდული უნარების მქონე პირების საშემოსავლო გადასახადიდან გათავისუფლება.

ქვეყანაში პოლიგრაფიული მრეწველობის განვითარების კუთხით მეტად მნიშვნელოვანია წიგნის ქაღალდის იმპორტის დღგ-სგან გათავისუფლება, ვინაიდან საგადასახადო კოდექსი მისგან მხოლოდ წიგნის იმპორტს ათავისუფლებდა, რაც იწვევდა წიგნების სხვა ქვეყნებში ბეჭდვას და შემდეგ იმპორტირებას. დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს, აგრეთვე, საქველმოქმედო ფონდიდან სამკურნალოდ მიღებული თანხის საშემოსავლო გადასახადიდან გათავისუფლება. ჩვენი აზრით, ბიზნესის განვითარებას უთუოდ ხელს შეუწყობს თითქმის მილიარდ ლარამდე საგადასახადო დავალიანების ჩამონერა და ეს პროცესი მომავალშიც უნდა გაგრძელდეს. სამშენებლო ბიზნესის

განვითარებაში უთუოდ პოზიტიურად აისახება წლების წინ დაწყებული მშენებლობებზე საგადასახადო შეღავათების დაწესება. გარდა ზემოთქმულისა, საგადასახადო კუთხით დაგეგმილია ბინის გაქირავებიდან, ბინისა და ავტომობილის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის 20%-იანი დაბეგვრის რეჟიმის 5%-იანით ჩანაცვლება. აღსანიშნავია, აგრეთვე, ახალი საგადასახადო ინიციატივები: რეინვესტირებაში მიმართული მოგების გადასახადის გაუქმება; მაღალმთიან რეგიონებში ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველსაყოფად საგადასახადო სტიმულირების შემოღება. მენარმეები, რომლებიც მთაში დაიწყებენ ეკონომიკურ საქმიანობას, მოგებისა და ქონების გადასახადიდან გათავისუფლდებიან. საგადასახადო კუთხით განხორციელებულ რეფორმებს შორის უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, ბელარუსთან, კვიპროსთან, ისლანდიასა და ლინკხენშტეინთან ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების გაფორმება. ისიც აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ განეული არაადეკვატური რეკომენდაცია, გადასახადების განაკვეთების ზრდის შესახებ, სამართლიანად და არგუმენტირებულად არ იქნა გაზიარებული ფისკალური ხელისუფლების მიერ.

ჩვენი აზრით, ეკონომიკური რეფორმების ერთ-ერთ მნიშვნელოვან, უახლოეს მომავალში ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებულ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს მთავრობის მიერ 2014 წელს ინიცირებული პროექტი – „ანარმოე საქართველოში“, რომელსაც ერთობლივად ახორციელებენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები. პროგრამა ეფუძნება სამ ძირითად კომპონენტს: ფინანსური ხელმისაწვდომობა, ინფრასტრუქტურაზე (უძრავ ქონებაზე) ხელმისაწვდომობა და საკონსულტაციო მომსახურება.

როგორც პრაქტიკამ დაგვანახა, მენარმეთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ფინანსური ხელმისაწვდომობის კომპონენტი, რაც მოსალოდნელიც იყო იქიდან გამომდინარე, რომ დღეისათვის ბიზნესი, განსაკუთრებით სასტარტო ბიზნესი განიცდის ფინანსურ უკმარისობას, რაც მეტწილად განპირობებულია საბანკო სესხებზე მაღალი საპროცენტი განაკვეთებით. აღნიშნული პროექტის თანახმად ინდუსტრიული პროფილით მომუშავე მენარმეს, საბანკო სესხის ადების შემთხვევაში, პორველი ორი წლის განმავლობაში 1-3%-ის გადახდა უწევს, ხოლო მის დიდ ნაწილს (10%-ს) სახელმწიფო ფარავს. სოფლის მეურნეობის სფეროში ფერმერებს უფრო მეტი შეღავათი დაუწესდათ, რადგან ისინი სესხზე უფრო ნაკლებ 1-2%-ს იხდიან. ბიზნესექტორი დიდი ინტერესით შეხვდა დამწყებ მენარმეებზე სახელმწიფო ქონების 1 ლარად გადაცემას, აგრეთვე, მიკრო და მცირე მენარმეობის მხარდამჭერი პროექტის (20 მლნ ლარი) ამოქმედებას, რომელიც რეგიონებში სოფლად განხორციელებად პროექტებზე 5 ათასი ლარის ოდენობის გრანტის გაცემას ითვალისწინებს.

რეფორმების საინტერესო კომპონენტად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე „შელავათიანი აგროკრედიტის“ და „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების“ პროექტები. შელავათიანი აგროკრედიტის პროექტს ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, მასში ჩართულია 13 ბანკი, 2 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და 2 ლიზინგური კომპანია. პროექტი, რომელიც თავდაპირველად შედგებოდა 3 კომპონენტისაგან, შემდგომ გაიზარდა 7-მდე (უპროცენტო სასაქონლო კრედიტი (განვადება მცირე ფერმერებისათვის; შელავათიანი აგროკრედიტი საშუალო და მსხვილი ფერმერებისათვის; შელავათიანი აგროლიზინგი; შელავათიანი აგროკრედიტი ყურძნის გადამამუშავებელი კომპანიებისათვის; შელავათიანი აგროკრედიტი ციტრუსის ექსპორტიორი და გადამამუშავებელი კომპანიებისათვის; შელავათიანი აგროკრედიტი თანმხვედრი გრანტით დაფინანსებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოებისათვის). პროექტის ფინანსური უზრუნველყოფას ახორციელებს „სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი“, რომელიც თავის მხრივ ფინანსდება იურიდიული პირების - „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდისა“ და საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“-ს მიერ. ზემოაღნიშნულ პროექტებს თან ახლავს ხარვეზებიც (საბანკო სექტორის ჭირვეულობა, ნათესავთა და ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირთა პრივილეგირება და სხვა), რის გამოც მცირე ფერმერები და გლეხები სამართლიან უკმაყოფილებას გამოხატავენ.

**მიმდინარე რეფორმების სუსტი მხარეები:** მართლმსაჯულების სისუსტე ნინა ხელისუფლების მიერ უკანონოდ ხელყოფილ საკუთრებითი ურთიერთობების აღდგენაში; ხელისუფლების შტოების არაკორდინირებული საქმიანობა; ეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების სისუსტე; არაეფექტიანი, ნაჩქარევი რეგულაციების შემოღება (სავიზო რეჟიმის რეგულაციაში ცვლილება, უცხოელებზე მიწის გაყიდვაზე მორატორიუმის ნაჩქარევად შემოღება); მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების რევიზია და მშენებლობების გაჭიანურება (ყარსი-ახალქალაქის რკინიგზა, თბილისის შემოვლითი გზა); კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა (მცირე და საშუალო ბიზნესის განუვითარებლობა); სტრუქტურული რეფორმების განუხორციელებლობა; პრივატიზაციის მიმართულებით საქმიანობის მოდუნება; ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნის გაჭიანურება და მისი უმოქმედობა (მონოპოლიების შენარჩუნება ნავთობის, მედიკამენტების და სხვა სფეროებში); უმუშევრობის პრობლემის დაურეგულირებლობა და ამ მიმართულებით პასიურობა; მონატარეული გარემოს არასტაბილურობა (დეფლაცია, ინფლაცია, დოლარიზაციის მაღალი დონე, გაურკვევლობა სახელმწიფო ბანკის შექმნაში); ცხოვრების დონის რეგიონული განსხვავებების გაღრმავება, ქალაქსა და სოფელს შორის შემოსავლების უთანაბრობის ზრდა;

სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, ფონდების სიმრავლე, ხარჯების უკონტროლობა, იერიშიანობა ბიუჯეტის შესრულებაში; სახელმწიფო სტრუქტურებში პრემირებისა და სახელფასო დანამატების სისტემის თვითნებურად დაკანონება; გაურკვეველობა სხვადასხვა ინვესტიციური ფონდების შექმნაში; სტაგნაციისა და ინერციის შენარჩუნება განათლებისა და მეცნიერების განვითარებაში; ჩამორჩენა ინფრასტრუქტურული სამშენებლო პროექტების რეალიზაციაში; საქონლის ექსპორტისა და ფულადი გზავნილების მოცულობის შემცირება; ლარის გაცვლითი კურსის მნიშვნელოვანი ვარდნა; ტურისტული ბიზნესის განვითარების ტემპის შენელება; სუსტი კომუნიკაცია საზოგადოებასთან.

რეფორმების ძლიერი და სუსტი მხარეების ამგვარად დაჯგუფება მიახლოებითი და სადისკუსიოა, მანამ სანამ არ დადგება მათი პრაქტიკული იმპლემენტაციის საბოლოო ეკონომიკური შედეგები. თუმცა, ერთი რამ უდავოა - ამ ეტაპზე მთავრობამ უარი თქვა წინა პეროდიში დამკვიდრებულ „პიარ-ეკონომიკაზე“ და კურსი აიღო სოციალური ეკონომიკისაკენ, რაც საბაზრო ეკონომიკის პრინციპებთან გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდის. რა თქმა უნდა, ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნება და მისი მინიმალურ დონეზე მატერიალური უზრუნველყოფა სახელმწიფოს უპირველესი ამოცანაა, მაგრამ აქ საჭიროა გარკვეული ზომიერება და გრძელვადიანი პერსპექტივის გათვალისწინება. საყოველთაო სახელმწიფო სოციალური დახმარება მიზანშეწონილია კრიტიკული, ფორს-მაჟორული სიტუაციების დროს, როდესაც ადგილი აქვს ბუნებრივ სტიქიურ და სხვა ადამიანისაგან დამოუკიდებელ ობიექტურ მოვლენებს, რომელიც მოსახლეობის ყველა ფენას ეხება. რაც შეეხება სახელმწიფო სოციალურ დახმარებებს უმწეობებსა და შეზღუდული შესაძლებლობის პირებზე, ეს მიღებულია ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში. მაგრამ, მთავრობის მიერ სასოფლო-სამეურნეო ინსტრუმენტარის შექმნა, ხვანა-თესვის ორგანიზება და სხვა ამ სახის დახმარებების ყოველწლიურად განევა განურჩევლად ბენეფიციარის სოციალური მდგომარეობისა, არაეფექტურია და დაკარგულია. იგი, ერთი მხრივ, მძიმე ტვირთად აწვებს სახელმწიფო ბიუჯეტს, რომლის არც თუ მცირე ნაწილი საგარეო და საშინაოსესხებით ივსება, ხოლო, მეორე მხრივ, მუდმივად ასეთი დახმარებები იწვევს ადამიანის მენარმეობრივი სტიმულების მოდუნებას და გადაყავს იგი სახელმწიფოს მხრიდან სისტემატური დახმარების მოლოდინის რეჟიმში. ჩვენი აზრით, საწყის ეტაპზე ასეთი სოციალური პრეფერენციები შეიძლება გამართლებული იყოს, თუმცა, მისი დიდი ხნით შენარჩუნება - არაა მიზანშეწონილი და ამ მიმართულებით სახელმწიფომ უნდა შეცვალოს ეკონომიკური პოლიტიკა. საჭიროა „ოქროს შუალედის“ გამოძებნა სოციალურ თანადგომასა და საბაზრო პრინციპებს შორის, ეკონომიკის ისეთნაირად აწყობა, რომ სახელმწი-

ფომ მაქსიმალური ძალისხმევა წარმართოს გრძელვადიანი გამოწვევების დასარეგულირებლად და იმავდროულად მინიმალურ დონეზე მაინც უზრუნველყოს დაბალშემოსავლიანებისა და სოციალურად დაუცველი ფენების სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

## მთავარი გამოწვევები

**დასაქმების პრობლემა.** იგი რეფორმების ყველა წინა ეტაპზე ნომერ პირველ პრობლემას წარმოადგენდა და ახლაც ასეთად დარჩა. დღეისათვის საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა (როგორც ამას სხვადასხვა სოციოლოგიური კვლევები ადასტურებს) **უმუშევრობის პრობლემას ყველაზე მწვავედ მიიჩნევს.** 2013 წელს, წინა წელთან შედარებით, უმუშევრობის დონე 0,4%-ით შემცირდა, რაც გამოწვეულია წინა წელთან შედარებით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობის 1.2 და აქტიურობის დონის 0.7 პროცენტული პუნქტით შემცირებით, აგრეთვე, ბიზნესსექტორში 30 ათასამდე ახალი სამუშაო ადგილის შექმნით. **ფაქტობრივად, დასაქმების დონე კი არ გაიზარდა, არამედ შემცირდა კიდევაც 0.2 პროცენტული პუნქტით.** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2013 წელს, წინა წელთან შედარებით, მოსახლეობის აქტიურობისა და დასაქმების დონეების შემცირება გამოიწვია ქალაქის ტიპის დასახლებებში ამ მაჩვენებელთა შემცირებამ, ხოლო სოფლად მოსახლეობის აქტიურობის დონე უცვლელი დარჩა და დასაქმების დონე გაიზარდა. ბოლო 8-წლიან რეტროსპექტულ მონაკვეთში საქართველოში მოსახლეობის აქტიურობისა და დასაქმების დონის ზრდის ტენდენცია იკვეთებოდა, გამონაკლისი იყო მხოლოდ 2008 და 2013 წლები.<sup>1</sup>

**მთავარ გამოწვევებს შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში ეროვნული ვალუტის-ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურება.** 2013 წლის მიწურულს ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 1.65-დან 1.75-მდე შემცირდა. ლარის გაუფასურების პროცესი დასრულდა 2014 წლის იანვარში. ამას წინ უძღოდა ეროვნული ბანკის მიერ დაახლოებით 400 მლნ დოლარის საერთაშორისო რეზერვიდან გაყიდვა. მას

<sup>1</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული 2014 წლის მოსახლეობის აღწერის წინასწარი მონაცემების თანახმად, მოსახლეობის რიცხოვნობამ შეადგინა 3.729 მლნ კაცი, რაც წინა 2002 წლის აღწერის მაჩვენებელზე 14.7%-ით ნაკლებია. გამომდინარე აქედან, დღემდე გამოქვეყნებული ოფიციალური სტატისტიკური მაჩვენებლები არ ასახავს რეალურ მდგომარეობას და საჭირო ხდება ოფიციალურ სტატისტიკაზე დაფუძნებული საპროგრამო დოკუმენტების, ანალიზურ-კვლევითი მასალების, გეგმების, კონცეფციების, პროგნოზების და ა. შ. ხელახალი გააზრება და შემუშავება.

შემდეგ რაც ქართულმა ვალუტამ ახალი წონასწორობა იპოვა, 2014 წლის დეკემბერში კვლავ დაიწყო მისი გაუფასურების პროცესი და კიდევ უფრო მაღალი ტემპით გაგრძელდა ვარდნა 2015 წლის მაისის ჩათვლით. მისი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 32%-ით დაეცა. უკანასკნელ პერიოდში ლარის გაუფასურების გამომწვევ მთავარ მიზეზებზე მთავრობის, ქართველი და უცხოელი ექსპერტებისა და მეცნიერ-ეკონომისტების შეხედულებები არაერთგვაროვანია. ძირითადად სახელდება შემდეგი ფაქტორები და პირობები: საგარეო ფაქტორები (აშშ დოლარის გამყარება, ნავთობზე ფასების ვარდნა, რუსეთ-უკრაინის ომი, უცხოური ქვეყნების ეროვნული ვალუტების გაუფასურება); ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპი; ხელისუფლების მიერ მინის უცხოელებზე გასხვისების შეზღუდვა, მიგრაციის კანონის გამკაცრება; ეროვნული ბანკის მიერ არაადეკვატური მონეტარული პოლიტიკის გატარება; საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიურად ხარჯვა და ხარჯების მეტწილად წლის დასასრულს განევა; ექსპორტის შემცირება იმპორტის ზრდის პირობებში და უარყოფითი სავაჭრო სალდოს ზრდა; საინვესტიციო გარემოს გაუარესება; უცხოეთიდან ფულადი გზავნილების მოცულობის შემცირება; საგარეო ტურიზმიდან წმინდა შემოსავლის შემცირება; საქართველოს სავაჭრო-პარტნიორ ქვეყნებში ეროვნული ვალუტების გაუფასურება; საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვებიდან შემოსავლების შემცირება; სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციის დაბალი ტემპი; ეროვნული ბანკისა და მთავრობის ფარული გარიგება ლარის გაუფასურებაზე ინფლაციის გეგმური მაჩვენებლისა და საბიუჯეტო შემოსავლების პროგნოზის შესრულების მიზნით; კაპიტალის არლეგალურად გატანა ქვეყნის გარეთ; საბანკო სპეკულაციები, პანიკა და აჟიოტაჟი; ბლუმბერგის სისტემის არაადეკვატურობა საქართველოს დღევანდელ პირობებთან და, გამომდინარე აქედან, ეროვნული ბანკის საეჭვო მაქინაციები.<sup>2</sup>

ლარის გაცვლითი კურსის ვარდნაზე მოქმედი თითოეული ფაქტორის წილის რაოდენობრივად განსაზღვრა პრაქტიკულად შეუძლებელია. ეს პროცესი მათემატიკურ მოდელირებას არ ექვემდებარება, რადგან მიზეზ-შედეგობრივი კავშირები არაფორმალიზებადია. წამოყენებული ვერსიების სტატისტიკური და ლოგიკური ანალიზი გვიჩვენებს რომ ლარის გაცვლითი კურსის ვარდნაში ფაქტობრივად მეტნაკლებად მონაწილეობს შემდეგი ფაქტორები და პირობები:

2 ამ კუთხით მასმედია და სოციალურ ქსელებში მიმდინარეობს დისკუსია მთავრობის წარმომადგენლების, ექსპერტებისა და მეცნიერ-ეკონომისტების მონაწილეობით, თუმცა, ისინი მეტწილად არაა თავისუფალი პოლიტიკურ-პარტიული დატვირთვისაგან და არ ასახავს რეალურ მდგომარეობას. ამ პრობლემის მიუკერძოებელი და სიღრმისეული აკადემიური გამოკვლევა ჯერჯერობით არ შესრულებულა. გამონაკლისია აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას რედაქციითა და წინასიტყვაობით გამოცემული ნაშრომი[29].

**1. აშშ დოლარის გამყარება.** უკანასკნელ პერიოდში დოლარი გამყარდა ევროპისა და რეგიონის (საქართველოს სავაჭრო-პარტნიორი) ქვეყნების ყველა ეროვნულ ვალუტასთან მიმართებით. ეს გამოიწვია აშშ-ის ეკონომიკის განვითარების მაღალმა ტემპმა სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. აშკარაა, რომ განვითარებული ქვეყნების ეროვნული ვალუტები, აგრეთვე ევრო და საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეროვნული ვალუტებიც (რუბლი, გრივნა, დრამი, მანათი, ლირა და სხვა) დოლართან მიმართებით მნიშვნელოვნად გაუფასურდა გლობალური ობიექტური ფაქტორების ზეგავლენით. ეს ფაქტია და გამონაკლისი არც ქართული ვალუტა იქნებოდა.

**2. ექსპორტის შემცირება და იმპორტის ზრდა.** „საქსტატის“ მონაცემებით 2014 წელს საგარეო სავაჭრო ბრუნვის უარყოფითი სალდო (1218 მლნ დოლარი), 2013 წელთან (1140 მლნ აშშ დოლარი), გაიზარდა 6.8%-ით. ამავე წელს ექსპორტი გაიზარდა 3.2%-ით, ხოლო იმპორტი –13.2%-ით. საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში, წინა წლებთან შედარებით, არსებითი ხასიათის ცვლილებები არ მომხდარა. მაგალითად, 2012 წელს, 2011 წელთან შედარებით, საგარეო სავაჭრო ბრუნვის დეფიციტი 22.5%-ით გაიზარდა. ამავე წელს ექსპორტი გაიზარდა 15.2%-ით, ხოლო იმპორტი-20.3%-ით. გამომდინარე აქედან, ჩვენი აზრით, 2014 წელს ლარის გაუფასურების მთავარ ფაქტორად ექსპორტის შემცირების აღიარება არასწორია. რა თქმა უნდა, ექსპორტთან შედარებით იმპორტის უფრო სწრაფმა ზრდამ დოლარზე მოთხოვნა გაზარდა, თუმცა, ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურებაზე ეს ფაქტორი მხოლოდ ნაწილობრივ მოქმედებდა.

**3. ფულადი გზავნილების შემცირება.** საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, საზღვარგარეთიდან ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ოდენობა 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით, 2.45%-ით შემცირდა და 1.44 მლრდ დოლარი შეადგინა, რაც ქვეყნის მშპ-ის დაახლოებით 8.7%-ია. კლება ძირითადად რუსეთიდან ფულადი გზავნილების 11.5%-ით შემცირებამ გამოიწვია. რუსეთის წილი საქართველოში შემოსული მთლიანი ფულადი გზავნილების თითქმის ნახევარს შეადგენს. 2014 წელს ფულადი გზავნილები შემცირდა ასევე უკრაინიდან. ამავე წელს, წინა წელთან შედარებით, დაფიქსირდა ფულადი გზავნილების ზრდა (3.4%-ით) საბერძნეთიდან, რომელიც მეორე უმსხვილესი წყაროა, იტალიიდან ჩარიცხვები გაიზარდა 121.4 მლნ დოლარით (10.2%-იანი ზრდა); აშშ-დან – 82 მლნ დოლარით (9.6%-იანი ზრდა); თურქეთიდან – 64.3 მლნ დოლარით (54.1%-იანი ზრდა). ფულადი გზავნილების შემცირებები რუსეთიდან და უკრაინიდან 2015 წელსაც გრძელდება. 2015 წლის მარტში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ შეადგინა 91.2 მლნ დოლარი, რაც 30.8%-ით ნაკლებია 2014 წლის მარტის ანალოგიურ მაჩვენებელზე. შეიძლება ითქვას, რომ ფუ-

ლადი გზავნილების შემცირება, იმ ვითარებაში, როდესაც სხვა საგარეო უცხოური სავალუტო შემოსულობები შემცირდა, გარკვეულ ნეგატიურ გავლენას ახდენს ლარის გაცვლითი კურსის ვარდნაზე.

**4. საგარეო სესხებისა და გრანტების მოცულობის შემცირება.** ახალმა ხელისუფლებამ თავის წინასაარჩევნო პროგრამაში ვერ გაითვალისწინა უცხოური ვალუტის შემოდინების აუცილებლობა ეროვნული ვალუტის კურსის გამყარებისათვის და უარი თქვა უცხოური სესხების ზრდაზე, რამაც ნეგატიურად იჩინა თავი თანამედროვე ეტაპზე. აღსანიშნავია, რომ 2009 წლიდან 2012 წლამდე ლარის გაცვლითი კურსის გამყარების მთავარი ფაქტორი იყო 2008 წელს მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნების მიერ გლობალური კრიზისისა და რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად მიყენებული ზიანის შესამსუბუქებლად საქართველოსათვის 4.5 მლრდ დოლარის გამოყოფა, საიდანაც 2 მლრდ იყო საჩუქარი და 2.5 მლრდ დოლარი - გრძელვადიანი შეღავათიანი სესხი. 2013 წელს უკვე ამოიწურა ვალუტის ამ არხით შემოდინება.

**5. ქვეყნიდან კაპიტალის გადინება.** ახალი ხელისუფლების მოსვლამ საფრთხის მოლოდინი შეუქმნა არალეგალურ კაპიტალს, რამაც სავარაუდოდ დააჩქარა მისი ფარული გადინება ქვეყნის გარეთ. ამას დაემატა ქვეყნიდან სხვადასხვა დანაშაულებრივ ქმედებაში ეჭვმიტანილ ყოფილ საჯარო მოხელეთა ქვეყნიდან იმიგრაცია, რომლებმაც სავარაუდოდ, მათთან დაახლოებული საბანკო და სხვა არხებით თან გაიყოლიეს დიდძალი უცხოური ვალუტა.

**6. სავალუტო პოლიტიკის არაკვალიფიციურად წარმართვა.** ეროვნულმა ბანკმა ჯეროვნად არ გამოიყენა მის ხელთ არსებული ფინანსური ინტრუმენტები ლარის გაცვლითი კურსის დასარეგულირებლად. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის აზრით, “ჩვენი ამოცანა არ არის კურსის კონტროლი. ჩვენი ამოცანაა ფასების კონტროლი და ინფლაციის შენარჩუნება. კურსის მერყეობა ჩვეულებრივი მოვლენაა და საკმარისი რეზერვების გათვალისწინებით, საქართველოს ეკონომიკას და ეროვნულ ვალუტას საფრთხე არ ემუქრება” [27]. არადა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ვალუტის კურსის ცვლილება პირდაპირპროპორციულ კავშირშია ინფლაციურ პროცესებთან. ასეთი რისკი კი გაცილებით მაღალია იმპორტზე დამოკიდებული ისეთი ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა. ეროვნულ ბანკის ერთ-ერთი ამოცანაა მოსალოდნელი რისკების პროგნოზირება და მისი ნიველირების მიმართულებით პრევენციული ქმედებების გატარება. ეროვნული ბანკისათვის ცნობილი იყო, რომ გასულ წლებში საქართველოში ლარის კურსის სტაბილურობას ძირითადად განაპირობებდა „ბრიუსელის დახმარება“, რომელსაც ქვეყანა წლების განმავლობაში ტრანშების სახით იღებდა (სხვა საკითხია როგორ და რისთვის იხარჯებოდა იგი). ამავე დროს იგი დროულად და გონივრულად ვერ უზრუნველყოფდა დოლარის იმ მოცულობის ბრუნვაში მოქცევას და ჭარბი ლარის

ბრუნვიდან ამოღებას, რომელიც საჭირო იყო ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობის შენარჩუნებისათვის. საკმარისია აღინიშნოს, რომ ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ეროვნულმა ბანკმა 2014 წელს ბრუნვიდან ამოიღო (შეიძინა) 550 მლნ დოლარი და გაყიდა მხოლოდ 200 მლნ.

ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო რეზერვების ეკონომიურად ხარჯვა, ერთი მხრივ, მისასაღმებელია, მაგრამ, მეორე მხრივ, საერთაშორისო რეზერვის ერთ-ერთი ფუნქცია ხომ ვალუტის სტაბილურობის უზრუნველყოფაა. საერთაშორისო რეზერვების შენარჩუნების პარალელურად, ეროვნულ ბანკს კრიტიკულ მომენტში, დროებით მაინც, უნდა გაემკაცრებინა ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, უნდა გაეზარდა საბაზო განაკვეთი, აგრეთვე რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთი და ამ ინსტრუმენტებით სავალუტო ბაზრიდან ამოელო ჭარბი ლარის მასა, რაც შეაჩერებდა ლარის კურსის ვარდნას ფუნდამენტური ფაქტორების მოქმედების შემდგომ პერიოდში. ერთი რამ უდავოა, ვერც ეროვნულმა ბანკმა და ვერც მთავრობამ ვერ უზრუნველყო ეკონომიკის მომზადება პოტენციური გარე და შიგა შოკების შერბილებისათვის. საბოლოო ანგარიშით ამ შოკების შესრუტვა მოხდა გაცვლითი კურსის მიერ, რის გამოც მთელი სიმძიმე გადანაწილდა მოსახლეობაზე, განსაკუთრებით მის იმ ნაწილზე, რომელმაც სესხი აიღო დოლარში ან სხვა გარიგებების შესრულება უნევთ დოლარში. რაც შეეხება ფუნდამენტური ფაქტორების ნიველირების შემდგომ პერიოდში ლარის გაუფასურებას, ხოლო ეროვნული ბანკის სავალუტო პოლიტიკის საპარლამენტო და საზოგადოებრივი კრიტიკის გამძაფრების შემდგომ ლარის გაცვლითი კურსის განმტკიცებას, ეს ბადაებს ჰოპოთეზას ორი მიმართულებით: ერთი, 2015 წლის თებერვლიდან ლარის გაუფასურებაში დიდი როლი ითამაშა აჟიოტაჟისა და სპეკულაციების გაღრმავებამ, მეორე კი, სავარაუდოდ - კომერციული ბანკების აფიორულმა გარიგებებმა, რისი მაგალითები, ამ ბოლო დროს, საკმაოდ მომრავლდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. სულ ახლახან ცნობილი გახდა, რომ მსოფლიოს 5 უმხვილესი ბანკი (JPMorgan, Citigroup, Barclays, Royal Bank of Scotland, UBS) სავალუტო ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების მანიპულირების გამო დაჯარიმდა 5,7 მლრდ დოლარით [28].

ლარის გაუფასურების მრავალრიცხოვანი ვერსიებიდან ზოგიერთების გამორიცხვა შესაძლებელია მარტივი ლოგიკურ ანალიზით. მაგალითად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არ შეიძლება დასახელდეს ლარის გაუფასურების ერთ-ერთ ვერსიად, რადგან ოფიციალური სტატისტიკით მისი წინა წლებთან შედარებით შემცირება არ დასტურდება. 2014 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა შეადგინა 1273 ათას დოლარი, მაშინ როდესაც 2012 და 2013 წლებში მისი წლიური მოცულობა, შესაბამისად შეადგენდა 911.2 და 941.9 ათას დოლარს. ასევე, სტატისტიკური ანალიზიდან ჩანს, რომ

2014 წელს ნეგატიურ ფისკალურ ზენოლას ლარის კურსზე, ფაქტობრივად, არ ჰქონია ადგილი. პირიქით, ბიუჯეტიდან ხარჯების განევა უფრო გეგმაზომიერად ხდებოდა, ვიდრე გასულ წლებში, ხოლო წლის დასასრულისათვის ხარჯების მცირეოდენ ზრდას, ობიექტური მიზეზების გამო, ყოველთვის ჰქონდა ადგილი და ექნება მომავლშიც. ასევე, არაარგუმენტირებულია ვერსია ლარის კურსის სტაბილურობაზე მინის გასხვისების წესისა და მიგრაციის კანონის გამკაცრების მნიშვნელოვანი გავლენის შესახებ. წინა წლებში, უფრო ლიბერალური რეგულაციების არსებობისას, გასხვისებული მინების რაოდენობა და იქიდან მიღებული შემოსავალი უმნიშვნელო იყო და მას მიზერული გავლენა ჰქონდა ქვეყანაში შემოსული უცხოური ვალუტის მოცულობაზე. რაც შეეხება მიგრაციის რეგულირებაში შეტანილ ცვლილებებს, მას არ გამოუწვევია ტურიზმიდან წმინდა შემოსავლის შემცირება. ოფიციალური მონაცემებით, 2014 წელს ქვეყანაში შემოსული ვიზიტორების რაოდენობა, წინა წელთან შედარებით გაიზარდა 1%-ით. ასევე, გაიზარდა ტურიზმიდან მიღებული წმინდა შემოსავალი 1.425 მლნ დოლარიდან 1.489 მლნ დოლარამდე. გავრცელებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოში ბოლო ორ წელიწადში ვიზიტორთა რაოდენობა შემცირდა, არასწორია. ვიზიტორთა რაოდენობა კი არ შემცირდა, არამედ ფაქტობრივად გაიზარდა, მაგრამ არა ისეთივე მაღალი ტემპებით, როგორც წინა წლებში. ფაქტობრივად ბოლო ოთხ წელიწადში ვიზიტორების ზრდა საშუალოდ შეადგენდა 20-25%-ს და აშკარაა, რომ ბოლო 2 წელიწადში ამ კუთხით სერიოზული ზრდა არ ფიქსირდება. არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ მიღწეული დონე დიდხანს შენარჩუნდება (დროებითი პიკი) და უახლოეს მომავალში ქვეყანაში ვიზიტორთა ნახტომისებრ ზრდას არ ექნება ადგილი.

**ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეროვნული ვალუტის გაუფასურებაზე გავლენა იქონია ფაქტორების კომპლექსმა, რომელთა შორის მნიშვნელოვანი გარე ფაქტორებია აშშ დოლარის გამყარება, მსოფლიო ეკონომიკაში შექმნილი სირთულეები და ომი საქართველოს მთავარ სავაჭრო-პარტნიორ ქვეყნებს (რუსეთ-უკრაინას) შორის. შიგა ფაქტორებიდან უნდა აღინიშნოს მთავრობის მიერ საჭირო რაოდენობის უცხოური ვალუტის შემოდინების მიმართულებით ძალისხმევის მოდუნება, ახალი რეგულაციების შემოღება მინისა და მიგრაციის მართვის შესახებ, რომელმაც უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც დააფრთხო უცხოელი ინვესტორები და ტურისტები. ასევე, ეროვნული ბანკის დაბნეულობა, უმოქმედება და დაგვიანებული ქმედება. განსაკუთრებით დიდი ნეგატიური როლი ითამაშა, აგრეთვე, ქვეყნის შიგნით დაუსრულებელმა პოლიტიკურმა დაპირისპირებამ, რომელმაც მნიშვნელოვნად შეარყია სახელმწიფოს საერთაშორისო იმიჯი და დააფრთხო უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორები.**

საქართველოს მთავრობამ ლარის გამყარების მიზნით წამოაყენა შემდეგი გასატარებელი ღონისძიებები: საპრივატიზაციო ობიექტების დაჩქარებული რეალიზაცია, ტურისტული ბიზნესის ნახალისება, დამატებითი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით ძალისხმევის გააქტიურება, ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება, მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, ალტერნატიული სავაჭრო კავშირების ძიება, ბიზნესის მასტიმულირებელი საგადასახადო და სხვა სახის საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება. შეიძლება ითქვას, რომ ამ კუთხით მთავრობის საქმიანობის გააქტიურება აშკარად სახეზეა, რაც უახლოეს მომავალში ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.

### ეკონომიკური განვითარების ჰიპოთეზები და პროგნოზები

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მოკლევადიანი ინერციული პროგნოზების თანახმად, უახლოეს მომავალში ქვეყნის ეკონომიკაში არსებითი **პოზიტიური ძვრები არაა მოსალოდნელი**. მომავალ წლებში დაგეგმილი, ისედაც მცირე 5 პროცენტის ზრდის უზრუნველყოფა მრავალ სირთულესთან იქნება დაკავშირებული. თუმცა, თუ ლარის გაუფასურების პროცესი გაგრძელდა ან შენარჩუნებული იქნა დღევანდელი მდგომარეობა, არაა გამორიცხული ეკონომიკური ზრდის, საბიუჯეტო შემოსულობებისა და ინფლაციის გეგმიური მაჩვენებლები მიმდინარე ფასებით წარმატებით შესრულდეს, რაც, რა თქმა უნდა, არანაირად არ ნიშნავს ეკონომიკური განვითარების წარმატებას. ამავე დროს, ჩვენი აზრით, 2015 წელს მშპ-ის 5%-ით ზრდა პრობლემური გახდება, თუ არ მოხდება გლობალური პოლიტიკური გარემოს სტაბილიზაცია და არ იქნება მიღწეული კომპრომისი საერთაშორისო დონეზე წარმოქმნილ დაპირისპირებებში. ინერციული პროგნოზით იგი 2015 წელს 3,0-3,5%-ით გაიზრდება, ხოლო აქტიური პროგნოზით - 4,0-4,5%-ით. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პროგნოზი, როგორც ყოველთვის, ურთიერთგამომრიცხავი, მერყევი და არარეალურია, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები გააჩნია.

დიდი ალბათობით, მოსალოდნელია **შიგა პოლიტიკური დაპირისპირებების გამწვავება**, რომელიც როგორც წინა წლებში, ასევე მომავალშიც იქნება ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელი არსებითი ფაქტორი. წინასაარჩევნო პერიოდის მოახლოებამ შეიძლება კიდევ უფრო გაამწვავოს ქვეყნის შიგა პოლიტიკური ბალანსი, რის გამოც უახლოეს მომავალში **არაა მოსალოდნელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არსებითი ზრდა**. მოსალოდნელი წინასაარჩევნო პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე, უცხოელი ინვესტიციების ვექტორმა, შეიძლება სხვა მიმართულებით გადაინაცვლოს,

ხოლო ადგილობრივი ინვესტორები ფულის ბიზნესში ჩადებას მოერიდებიან და მას საბანკო სექტორში მოაქცევენ შედარებით ნაკლები, მაგრამ, გარანტირებული სარგებლის მისაღებად.

საგარეო ვაჭრობაში არსებით გარღვევას არ ექნება ადგილი, რაც, ერთი მხრივ, განპირობებული იქნება **ძირითად საგარეო სავაჭრო-პარტნიორ ქვეყნებში ეკონომიკური მდგომარეობის მოსალოდნელი სტაგნაციით ან კრიზისით** (განსაკუთრებით უკრაინა და რუსეთი), ხოლო, მეორე მხრივ, ქვეყნის შიგნით **საექსპორტო პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდის რესურსული შეზღუდულობით**. მომავალში ამ კუთხით პრობლემები შენარჩუნდება და არსებობს მისი გამწვავების საფუძველი. რუსეთსა და უკრაინაში მოსალოდნელია ექსპორტის შემცირება სავალუტო და ეკონომიკური კრიზისის გამწვავების გამო (სავარაუდოდ რუსეთ-უკრაინის ომი დროში გაინელება). სომხეთის ევრაზიის საბაჟო კავშირში განვერვიანებისა და, შესაბამისად, საბაჟო რეგულაციების შეცვლის გამო, ამ ქვეყანასთან საგარეო სავაჭრო ბრუნვა არ გაიზრდება. უმნიშვნელოდ გაიზრდება ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში, რასაც ხელს შეუწყობს ასოცირების შესახებ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა, თუმცა, იმდენად მაღალია მოთხოვნები საექსპორტო პროდუქტების სტანდარტებზე, რომ სრულფასოვნად ამ ხელშეკრულების ამოქმედებას დიდი დრო დასჭირდება.

**საბანკო სექტორი კვლავაც გაბატონებულ მდგომარეობას შეინარჩუნებს**, თუმცა, მისი ზრდა დღევანდელი მაღალი ტემპით არაა მოსალოდნელი. **ლარის კურსი გამოსატყუი იქნება ტურბულენტური ტრაექტორიით**, თუმცა, უახლოეს პერიოდში იგი იპოვის ახალ წონასწორობას სავარაუდოდ 1:2.2 - 1:2.3 სიახლოვეს, რაც იქნება დროებითი, თუ არ მოხდება მასზე ნეგატიურად ზემოწავი ძირითადი ფაქტორების ნიველირება.

მოსალოდნელია, რომ უახლოეს მომავალში რეალური სექტორიდან შედარებით, მაღალი ტემპებით განვითარდება ენერჯეტიკა, სამშენებლო სექტორი და სოფლის მეურნეობა, ხოლო ტურიზმის ზრდის ტემპები იქნება უმნიშვნელო.

მარტივი დასაპროგნოზებელია, რომ **იმპორტზე დამოკიდებულ საქართველოში ლარის გაუფასურებას უთუოდ მოყვება ინფლაციური მოლოდინი, საქონლისა და მომსახურების ფასის (ინფლაციის) ზრდა**. ლოგიკური პროგნოზით, ფაქტობრივად, არ უნდა ველოდოთ ძლიერ ინფლაციურ აფეთქებას ორი ძირითადი ფაქტორის გათვალისწინებით. პირველი, საქართველოს ეროვნული ბანკი გამოიყენებს რა მის ხელთ არსებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, შეეცდება არ დაუშვას ფასების ზრდა დაგეგმილ 5 პროცენტთან მაჩვენებელს ზემოთ. მეორე, საქართველოს ძირითად სავაჭრო-პარტნიორ ქვეყნებში ასევე მიმდინარეობს ეროვნული ვალუტების გაუფასურე-

ბის პროცესი, რის გამოც მცირდება დოლარში მათი საექსპორტო საქოლის ფასი. მოკლედ რომ ვთქვათ, დოლარის გამყარების საყოველთაო პროცესი იმპორტირებულ საქონელზე ფასების მნიშვნელოვანი ზრდის შემზღუდველი ფაქტორი იქნება. თუმცა, მსოფლიოში მიმდინარე რთული პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესებიდან გამომდინარე, არ უნდა გამოირიცხოს დოლარის გაიაფებისა და ნავთობზე ფასის გაძვირების პროგნოზი.

უახლოეს მომავალსა და პერსპექტივაშიც, ლარის გაუფასურების პროცესის შეუჩერებლობა არასასურველ ეფექტს მოახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასა და მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. ასეთ ვითარებაში ქვეყნის ეკონომიკაში დოლარიზაციის დღევანდელი დონე (დაახლოებით 70%) კიდევ უფრო გაიზრდება. შესაბამისად, ლარისადმი ნდობის შემცირების გამო, მოსახლეობა უპირატესობას მიანიჭებს დოლარის დაგროვებას. კიდევ უფრო გაიზრდება დოლარებში ანაბრების მოცულობა, რომელიც დღეისათვის 70%-ს აღწევს. ლარის გაუმყარებლობის შემთხვევაში, კრედიტების აღება დოლარებში, უმნიშვნელოდ შემცირდება.

უახლოეს 2-3 წელიწადში არ უნდა ველოდოთ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებიდან არსებითი ხასიათის ეკონომიკურ სარგებელს. ღრმა და ყოველსმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების სრულმასშტაბიან ამოქმედებას, ევროპის 500 მილიონიანი ბაზარზე შესაღწევად მაღალი სტანდარტების კომპურენტუნარიანი პროდუქტების წარმოებას, საკმაოდ დიდი დრო და ინვესტიციები დასჭირდება. გამომდინარე აქედან, უახლოეს მომავალში საგარეო ვაჭრობის ორიენტირი ევროკავშირთან ერთად, უპირატესად დსთ-სა და რეგიონში მოსაზღვრე ქვეყნების ბაზრებისაკენ იქნება მიმართული.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, საჭიროა უახლოეს მომავალში შემდეგი ღონისძიებების გატარება: 1. ხელისუფლების ყველა შტოს ჰარმონიული და დაბალანსებული მუშაობა, მათ შორის არსებული ღია და ფარული დაპირისპირებების აღმოფხვრა; 2. ეკონომიკის შემდგომი ლიბერალიზაცია, პერსპექტივაში მოსალოდნელი შედეგების პროგნოზების გათვალისწინებით; 3. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადმინისტრაციული ხარჯების მინიმუმამდე დაყვანა; 4. ბიზნესისადმი უფრო მეტი მიზნობრივი სახელმწიფო მხარდაჭერა (აღებული კურსი იმედის მომცემია, მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა); 5. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოსაზიდად მაქსიმალურად ხელსაყრელი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ინფრასტრუქტურული გარემოს შექმნა (კეთილსინდისიერ ინვესტორებზე ორიენტაცია); 6. ზომიერების პრინციპის დაცვა სახელმწიფო ბიუჯეტის სოციალურ ორიენტაციაში; 7. სისწრაფე და ოპერატიულობა სამთავრობო გადაწყვეტილებების მიღებასა და მათ პრაქტიკულ რეალიზაციაში; 8. გუნ-

დურობის პრინციპის დაცვა მთავრობის საქმიანობაში და შესრულებული და შესასრულებელი პროექტების საზოგადოებამდე გასაგებად დაყვანა; 9. ქვეყნის წინაშე მდგარი და მოსალოდნელი ეკონომიკური საფრთხეების პასპორტიზაცია და მათი დაძლევის სახელმწიფო პროგრამების შემუშავება; 10. ეკონომიკის დედოღარიზაციის მიზნით, ეროვნული ბანკის შესახებ ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანა იმ მიმართულებით, რომ მის პირდაპირ ვალდებულებაში შევიდეს ლარის კურსის სტაბილურობის უზრუნველყოფა და ლარის გადახდის ერთადერთ საშუალებად კანონიერი რეჟიმის პრაქტიკული იმპლემენტაცია; 11. საქართველოს პარლამენტის მიერ ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების მკაცრი მონიტორინგი და მის შესრულებაზე ასევე მკაცრი ზედამხედველობის უზრუნველყოფა; 12. მაღალვალიფიციური ექსპერტებისა და მეცნიერ-ეკონომისტებისაგან დაკომპლექტებული ანალიტიკურ-პროგნოსტიკული სამეცნიერო-კვლევითი მუდმივმოქმედი ცენტრის შექმნა, რომელიც შეისწავლის, შეაფასებს და დააპროგნოზებს მოსალოდნელ სოციალურ-ეკონომიკურ რისკებს და მოამზადებს კონკრეტულ წინადადებებს და რეკომენდაციებს მთავრობისათვის შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად; 13. პოლიტიკური ბალანსის მიღწევა, პარტიულ ინტერესებზე მაღლა სახელმწიფო ინტერესების დაყენება, რაც მოითხოვს მაღალ პოლიტიკურ კულტურას.

მომავალში, ქვეყანაში არსებული ყველა სახის გამონწვევა გაღრმავდება და გაჩნდება უფრო რთული ახალი პრობლემები თუ არ იქნება მიღწეული შიგა პოლიტიკური სტაბილურობა, რისთვისაც, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ხელისუფლების შტოებს შორის არსებული ღია თუ ფარული დაპირისპირებების აღმოფხვრა, აგრეთვე, განსხვავებული იდეოლოგიის მქონე პოლიტიკური ძალების მიერ პიროვნულ და პარტიულ ინტერესებზე მაღლა სახელმწიფო ინტერესების დაყენება.

#### ლიტერატურა:

1. ასათიანი რ., 2014. საით მიდის საქართველო (სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფტუალური ანალიზი), გამომცემლობა „სიახლე“, თბილისი.
2. გოგობია რ., 1993. ვიდრე სრული ეკონომიკური კატასტროფა არ მომხდარა, უ., „ეკონომიკა“, №10.
3. მესხია ი., მურჯიკნელი მ., 1996. ეკონომიკური რეფორმა საქართველოში (ანალიზი, მიმართულებები, პრობლემები), თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი.
4. ჭითანავა ნ., 1997. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, თბილისი.
5. papava V., 1995. The Georgian Economy: Problems of Reform // Eurasian Studies. Vol. 2. No. 2.

6. Папава В., Беридзе Т., 1998. Экономические реформы в Грузии // Российский экономический журнал, № 1;
7. ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაძე თ., 2001. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბილისი.
8. Papava V., 2005. Necroeconomics. The Political Economy of Post-Communist Capitalism (Lessons from Georgia). N.-Y.
9. Khaduri N., 2005. Mistakes Made in Conducting Economic Reforms in Postcommunist Georgia // Problems of Economic Transition, Vol. 48. No.,4.
10. აბესაძე რ., 2009. საქართველოს ეკონომიკა XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე, „ეკონომისტი“, №1.
11. პაპავა ვ., 2008. პოსტრევოლუციურ საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების პათოლოგიური ანატომია, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, შრომები, ტომი 6, თბილისი, „სიახლე“.
12. მალაშხია გ., 2008. ქვეყნის ეკონომიკური ვექტორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, შრომები, ტომი 6, თბილისი, „სიახლე“.
13. მექვაბიშვილი ე., 2012. დამწვევი განვითარების სტრატეგია და საქართველოს ეკონომიკის მომავალი, „ეკონომიკა და ბიზნესი“, №1.
14. ჯიბუტი მ., 2013. საქართველოს თანამედროვე სოციალური და ეკონომიკური გამოწვევები და მათი დაძლევის სანიმუშო პროგრამის მონახაზი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, შრომები, ტომი 11, თბილისი, „სიახლე“.
15. მესხია ი., 2009. საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე საფრთხეები და ახალი გამოწვევები, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, შრომები, ტომი 7, თბილისი, „სიახლე“.
16. Григорьев Г., Кондратьев С., Салихов М., 2008. Трудный выход из трансформационного кризиса (случай Грузии), Ж., Вопросы экономики, № 10.
17. Буракова Л. А., 2011. Почему у Грузии получилось.- М. : ООО `Юнайтед Пресс`.
18. Мендкович Н. А., 2012. Цена реформ, или почему у Грузии не получилось?, Рос. ин-т стратег. исслед. – М. : РИСИ.
19. Papava V., 2008. The Essehce of Economic Reforms in Post-Revolution Georgia: What about the European Choise? `Georgian International Jurnoe of Science and Technology`. Vol. 1, Issue 1.
20. Silagadse A., Tokmazishvili M., 2009. Challenges of The Post-Communist Financial-Currency Policy. N.-Y.
21. Мендкович Н. А., Реформы М. Саакашвили: неолиберальный эксперимент и его результаты, <[http://www.perspektivy.info/oykumena/krug/reformy\\_m\\_saakashvili\\_neoliberalnyj\\_eksperiment\\_i\\_jego\\_rezultaty\\_2012-05-22.htm](http://www.perspektivy.info/oykumena/krug/reformy_m_saakashvili_neoliberalnyj_eksperiment_i_jego_rezultaty_2012-05-22.htm)>.
22. apava V., 2013. Economic Reforms in Post-Communist Georgia: Twenty Years After. NewYork: Nova Science Publishers.
23. Meskhia I., 2013. Politial Instability and Economic Turbulence in Georgia, Journal „Economics and Business“, №5.

24. eskhia I., Shaburishvili Sh., 2014. Major Threats to Economic Stability in the Post-communist Georgia: Reality and Prognosis, „Organization in changing environment”, Warsaw.
25. Месхия Я., 2014. Сильные и слабые стороны экономических реформ в посткоммунистической Грузии, Ж., „The Caucasus“, №2.
26. პაპავა ვლადიმერ (ლადო), თამარ თაფლაძის და არჩილ გეგეშიძის მონაწილეობით, 2015. საქართველოს ეკონომიკა, რეფორმები და ფსევდორეფორმები, თბილისი, გამომცემლობა „ინტელექტი“.
27. <<http://tabulaweb.tulix.tv/ge/story/78626-qadagidze-laris-kursi-saqartvelos-ekonomikashi-mimdinare-procesebs-asaxavs>>
28. Six Banks Pay \$5.8 Billion, Five Guilty of Market Rigging, <<http://www.bloomberg.com/news/articles/2015-05-20/six-banks-pay-5-8-billion-five-plead-guilty-to-market-rigging>>
29. ანგურძე ო., დოლონაძე ი., ჭარაია ვ., 2015. საქართველოს ეროვნული ვალუტის უსაფრთხოების პრობლემა და თანამედროვე გამონვევები, თბილისი.

## **Georgia's Economic Reforms: Analysis, Challenges, Forecasts**

***Iasha Meskhia***

*Doctor of Economic Sciences, Professor  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

Through the use of the SWOT-analysis method the given work addresses the research of the strong and weak sides of the economic reforms pursued in Georgia at the present stage (from 2013 up to the present time), analysis of the major challenges and proposed suggestions and recommendations for surmounting them.

The pace of economic reforms and in some cases the failure are conditioned by the following subjective and objective factors: the economy remained as an important object of political wrangling and cohabitation; inexperienced new government didn't manage to demonstrate sufficient courage and operational efficiency and failed to shape and realize new reformist and innovative visions at a sufficient level; The country's socio-economic development strategy – 'Georgia-2020' didn't result in the development of the relevant concrete action plan and for that reason a number of economic decisions transcended all realities; declared pseudo cohabitation produced nihilism and weakening of entrepreneurial activities in society; coordination between different branches of government has failed and between them emerged a hidden as well as an open confrontation, which in turn, scared away external and internal investors. The Prime Minister's resignation from

the post ahead of time at his will had a negative impact on the economy; the military confrontation between Ukraine and Russia adversely affected the business as Ukraine ranks third and the Russian Federation – fourth in trade partners; the new government did not demonstrate the ability to act quickly. The opposition, towards which the most part of the public had a negative attitude, slowly gathered strength and expanded the scope of unfair activities, which usually have a negative impact on reforms.

Among the strong sides of pursued reforms the important ones are: the prevention of state interference in business, strengthening of population social protection from the side of state and financial and material support for small business (particularly in agriculture). A part of the reforms taking place in macroeconomic sphere and in real sector (liberalization of tax system, development of infrastructural and energy projects, development of state programs with the aim of increasing local production and supporting small business, liberalization of migration and land management and, etc.). The given work addresses the analysis and assessment of new challenges, among which the most important is a high level of unemployment and the fall of national currency. The work analyzes the exogenous and endogenous factors and conditions posing these risks. It is proved that along with the objective external factors, the government, as well as the National Bank's role is negative in depreciation of national currency against foreign currencies; this is reflected in making of a number of hasty and unjustified decisions, delayed reaction and inactivity, as well as underestimation of expected risks. The endless political controversy inside the country had a negative impact on the realization process of economic reforms as well as on the depreciation of national currency. The latter has significantly undermined the state's international image and scared away foreign and local investors.

The work describes the types of short-term passive and active projections of the country's socio-economic development. The inertial-passive projections are pessimistic and according to them the accelerated development of the country's economy is unlikely in the near future. According to the active projections which are based on the achievement of political stability as well as the transformation of economic policy, especially monetary policy, it is expected to accelerate the country's socio-economic development and raise the living standards of population.

In the given work the practical implementation of the author's proposed concrete suggestions and recommendations will contribute to the successful realization of socio-economic reforms taking place in the country and create a favourable macroeconomic environment for business development

**Keywords:** Economic reforms, political introductory remarks, SWOT-analysis, external and internal factors, strong and weak sides of reforms, challenges, employment, lari exchange rate, hypotheses, projections.

**JEL Codes:** P20, P21, P41, P42

## ენერგეტიკული ტრენდის განვითარების მიმართულებები და მისი გავლენა საქართველოს სტრატეგიულ მდგომარეობაზე

**ბადრი რამიშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი.  
badri1971@hotmail.com*

ენერგეტიკულ სექტორში მიმდინარე მოვლენები უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს მსოფლიო გეოსტრატეგიული ლანდშაფტის ჩამოყალიბებაზე. თანამედროვე პოლიტიკას ხშირად უწოდებენ “ნავთობპოლიტიკას”, რითაც საერთაშორისო ურთიერთობებში ნახშირწყალბადოვანი საწვავის უდიდეს როლს უსვამენ ხაზს. ეს საკითხი უკიდურესად აქტუალურია საქართველოსთვისაც, თუნდაც იმიტომ, რომ ის იმ რეგიონის ცენტრში მდებარეობს სადაც მსოფლიო ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხი წყდება. სწორედ ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანია ამ მიმართლებით მიმდინარე პროცესების ანალიზი და საშუალო თუ გრძელვადიან პერსპექტივაში მოვლენათა განვითარების პროგნოზირება.

**საკვანძო სიტყვები: ენერგეტიკული ტრენდი; წიაღისეული საწვავი; განახლებადი ენერგეტიკა; ენერგოეფექტიანობა; ეკოლოგიური ვექტორი; თერმობირთვული ენერგეტიკა.**

ენერგეტიკული ტრენდის მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიოსთვის უდავოა, მისი დიდი გავლენა ეკონომიკით არ ამოიწურება და 1960-იანი წლებიდან ის გლობალური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ენერგეტიკული უსაფრთხოება, ენერგორესურსების, განსაკუთრებით კი, ნახშირწყალბადოვანთა მიწოდება და მოხმარება პლანეტის გეოსტრატეგიული ლანდშაფტის ერთ-ერთი ძირითადი მაფორმირებელია. ამიტომაც, სტატიაში მოცემულ საკითხზე ყურადღებას

სწორედ ამ მიმართულებით გავამახვილებთ, აღწერთ არსებულ ვითარებას და შევეცდებით პროგნოზირებას თუ როგორ განვითარდება ენერგეტიკული ტრენდი.

ეს საკითხი საქართველოსთვის მეტად აქტუალურია. ჩვენს ქვეყანაზე ენერგოტრენდის გავლენა სამი მიმართულებით უნდა განვიხილოთ და სამივე უაღესად მნიშვნელოვანია: *პირველი* – შიგა მოხმარების კონტექსტიდან გამომდინარე აღვნიშნავთ იმ ფაქტს, რომ საქართველო ენერგორესურსების ნეტოიმპორტიორია, რაც საწვავით ქვეყნის უზრუნველყოფის პრობლემას ამწვავებს; *მეორე*, უნდა ითქვას, რომ რუსეთი ეკონომიკური თვალსაზრისით ენერგორესურსებს უკავშირებს იმპერიის რანგში რეინკარნაციას. ერთი მხრივ, ჩვენი მეზობლის ეკონომიკური ძლიერება (მ.შ. სამხედრო ძლიერება, სოციალური სტაბილურობა) დიდწილად სწორედ ნახშირწყალბადების დიდ მარაგებს უკავშირდება, ხოლო მეორე მხრივ, იგი ცდილობს პოლიტიკური ჭრილით მოახდინოს ბუნებრივი აირის მიწოდების ინსტრუმენტალიზაცია, ევროპისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის იქცეს ამ რესურსის მონოპოლისტურ მიმწოდებლად და ამით ზეგავლენა მოიპოვოს მათზე. *მესამე* - არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ საქართველოს როგორც აბრეშუმის გზის, ანუ აღმოსავლეთ-დასავლეთის და პერსპექტივაში ჩრდილოეთი-სამხრეთის დამაკავშირებლის ფუნქციის უმთავრესი მდგენელი ნახშირწყალბადების ტრანზიტია. საკითხის მსგავსი მრავალნახნაგაიანობა პრობლემატურს ხდის მის შესწავლას. მაგალითად, თუ რიგი ფაქტორი დადებით გავლენას ახდენს საქართველოზე ერთი მიმართულებით, აზარელებს მას მეორე კუთხით. მაგალითად, თუ ზემოაღნიშნულ პირველ ორ შემთხვევაში ნავთობზე დაბალი ფასები სასარგებლოა საქართველოსთვის, მესამეში კი, პირიქით, უარყოფითი ზემოქმედება გააჩნია. სწორედ ამიტომ, ვითარების მრავალმხრივი შენონილი ანალიზი მოგვცემს სამომავლო შესაძლებლობებისა და რისკების იდენტიფიცირების შესაძლებლობას, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ახალი ეკონომიკური სისტემის ფორმირების სტადიაზე მყოფი ქვეყნისთვის.


გლობალური ენერგეტიკული ტრენდის განვითარების მიმართულების დასადგენად ჩვენ ანალიზის მეთოდს გამოვიყენებთ, კერძოდ, მას დავშლით რამდენიმე ვექტორად, რომლებიც განსაკუთრებულ გავლენას ახდენს მსოფლიო ენერგეტიკულ პოლიტიკაზე. კერძოდ, *უპირველესი ვექტორი*, რომელიც მონაწილეობს ენერგეტიკული ტრენდის ჩამოყალიბებაში, არის ე.წ. წიაღისეული ენერგორესურსების მიწოდება-მოხმარების საკითხი, სადაც უდიდეს როლს ე.წ. ნახშირწყალბადოვანი საწვავი ასრულებს. *მეორე ვექტორია* ენერგოეფექტიანობისადმი სულ უფრო მზარდი ყურადღება, რასაც ამ მიმართულებით უკანასკნელ წლებში განეული ინვესტიციებიც ადასტურებს. ენერგოტრენდზე მოქმედი *მესამე ვექტორია* უკიდურესად გააქტიურებული საერთაშორისო ეკოლოგიური მოძრაობა, რაც საკმაოდ მნიშვნელოვან

გავლენას ახდენს ენერგოტრენდის ფორმირებაზე. ამ კუთხით, ჩვენ ვიმსჯელებთ დეკარბონიზაციის (გარემოში ნახშირორჟანგის ემისიის შემცირება) და ატომური ენერგეტიკის პრობლემებზე. მიუხედავად იმისა, რომ ატომური ენერგეტიკა დიდ როლს ასრულებს ელექტროენერჯის გენერირებაში, უკანასკნელ ხანებში მომხდარი კატასტროფები და ენერჯის სხვა პერსპექტიული წყაროების მიმართულებით განეული ძალისხმევა და ტექნოლოგიური გარღვევა გვაფიქრებინებს, რომ საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში მისი გავლენა ენერგოტრენდზე არ გაიზრდება. გარდა ამისა, მთლიანად სტატიათა ციკლის და ასევე მოცემული ნაშრომის მთავარი დანიშნულებაა საქართველოს ადგილის განსაზღვრა გლობალურ გეოსტრატეგიულ ლანდშაფტში და ვინაიდან ჩვენი ქვეყნისთვის ატომური ენერგეტიკა სრულიად უპერსპექტივო მიმართულებად მიგვაჩნია, ხოლო ერთადერთი, რითაც ის საქართველოსთვისაა აქტუალური, სწორედ ეკოლოგიური ფაქტორია (სომხეთში მდებარე ატომური ელექტროსადგურის მიერ წარმოქმნილ ეკოლოგიურ რისკებს ვგულისხმობთ), ატომური ენერგეტიკის პრობლემებისა და პერსპექტივების განხილვა სწორედ ეკოლოგიური კუთხით გადავწყვიტეთ. *მეოთხე, უმნიშვნელოვანესი ვექტორია* განახლებადი ენერჯის წყაროები, რომელთაგან ჰიდროენერგეტიკა ტრადიციულია, ხოლო დანარჩენი მნიშვნელოვანი ორი კი - მზისა და ქარის ენერგეტიკა, ამჟამად უსწრაფესად ვითარდება. აქვე უნდა ითქვას, რომ არსებობს განახლებადი ენერჯის სხვა წყაროებიც, თუმცა, მათი როლი და პერსპექტივები მსოფლიო ენერგეტიკულ ტრენდზე გავლენის თვალსაზრისით მოკრძალებულია, ამიტომ ანალიზისას მათზე არ შევჩერდებით. *მეხუთე ვექტორი*, რომელიც, ჩვენი აზრით, გრძელვადიან პერსპექტივაში გადამწყვეტ როლს ითამაშებს მსოფლიო ენერგეტიკულ ტრენდის ფორმირებაზე, არის ადამიანის მიერ თერმობირთვული რეაქციის დამორჩილების პრობლემა. ჩვენ ამ საკითხს კადარამის საერთაშორისო პროექტის კონტექსტით განვიხილავთ.

თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაცია, რომელიც ენერგეტიკის მიმართულებით ფუქციონირებს, საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოა. მასში მონაწილეობს მსოფლიოს თითქმის ყველა განვითარებული ქვეყანა, რომლებიც ამავე დროს ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის შემადგენლობაშიც არიან. ეს ორგანიზაცია 1974 წელს დაარსდა და თავდაპირველად მიზნად წევრი ქვეყნებისთვის ნავთობის მინოდების რეგულირებას ისახავდა. სადღეისოდ მისი პროფილი საკმაოდ გაფართოვდა და ენერგეტიკული უსაფრთხოების, ეკონომიკური განვითარების, ეკოლოგიური ინფორმირებულობის და ამ პრობლემების გადწყვეტისთვის საყოველთაო ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნებს ისახავს[1]. ეს ორგანიზაცია რეგულარულად აქვეყნებს სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემებს და ანგარიშებს. ამასთან, მას შემუშავე-

ბული აქვს გლობალური ენერგეტიკის განვითარების რამდენიმე სცენარი, რომელთა შესახებ უფრო დანვრილებით ქვემოთ ვიმსჯელებთ. მოცემულ ნაშრომში ანალიზისთვის კი ხშირად გამოვიყენებთ სადღეისოდ ძირითადად მიჩნეულ ე.წ. „ახალი პოლიტიკის სცენარს!“.

მსოფლიოში 2012 წელს პირველადი ენერგორესურსების მიწოდებამ 13.37[2, გვ.6] მლრდ ტონა ნავთობის ეკვივალენტი<sup>1</sup> შეადგინა, შედარებისთვის – 1973 წელს 6.11[2, გვ.6] მლრდ ტონა იყო. როგორც ქვემოთ მოტანილი დიაგრამა აჩვენებს, წიაღისეულ საწვავს საერთო ენერგეტიკულ ბალანსში 80%-ზე მეტი უკავია.



აქვე გვინდა შევეხოთ ე.წ. ბიოსაწვავს მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერმინი უახლესი ტექნოლოგიების მეშვეობით სიმინდის, შაქრის ლერწმის, წყალმცენარეების და ა.შ. საფუძველზე დამზადებულ საწვავსაც აღნიშნავს, სხვა არატრადიციული ენერჯის მიწოდების საშუალებების უსწრაფესმა განვითარებამ და იაფმა ნავთობმა, ვფიქრობთ, იმდენად დააკნინა ენერგოგანვითარების ამ ვექტორის მნიშვნელობა, რომ მის დამოუკიდებლად განხილვას აზრი არ აქვს. რაც შეეხება დიაგრამაზე ნაჩვენებ ბიოსაწვავის მაღალ ხვედრ წონას, ამას ძირითადად შეშისა და სამეურნეო ნარჩენების მოხმარება განაპირობებს, რაც პლანეტის ზოგიერთ რეგიონში ენერჯის ძირითადი წყაროა.

### წიაღისეული საწვავის მოთხოვნა-მიწოდება – ენერგეტიკული ტრენდის უმთავრესი შემადგენელი

მომავალი ათწლეულების განმავლობაში წიაღისეული საწვავი კვლავ დარჩება ენერჯის მთავარ წყაროდ, მაგრამ მისი როლი შემცირდება, ამ მოსაზრებას არგუმენტებით ქვემოთ გავამყარებთ. რაც შეეხება წიაღისეულის

1 აღნიშნული ერთეულის საფუძველია ნავთობის კუთრი თბოტევადობა. ყველა სახის ენერჯის გადაანგარიშება ხდება ნავთობის კუთრი თბოტევადობაზე.

მინოდების სტრუქტურას უკანსკნელ წლებში, მასში საკმაოდ გაიზარდა ბუნებრივი აირისა და ქვანახშირის ხვედრი წილი. მაგალითად, 1973 წლის მაჩვენებლებთან შედარებით, 2012 წლისათვის ზრდა შესაბამისად 5,3% და 4,4% იყო. ბუნებრივი აირის წარმოების მატების ტენდენცია ადვილად ასახსნელია, ხოლო ნახშირის მოპოვება და გადამუშავება რიგ პრობლემასთან არის დაკავშირებული, თუმცა, ამ ენერგორესურსის მინოდების ზრდას რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებს. მათგან უმთავრესია: მაღალი ფასები ნავთობსა და ბუნებრივ აირზე, ნახშირის უდიდესი მარაგები და ჩინეთის ეკონომიკური ბუმი (ეს ქვეყანა განიცდისა რა ნახშირწყალბადოვანი საწვავის მკვეთრ დეფიციტს, ნახშირის მნიშვნელოვან მარაგებს ფლობს, რაც მისთვის ელექტროენერჯის მიღების ძირითად წყაროს წარმოადგენს.) აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მსოფლიოშიც სწორედ ნახშირის საფუძველზე ხდება ელექტროენერჯის დიდი ნაწილის გენერირება. 2012 წლის მონაცემებით, მისი მეშვეობით გამოიმუშავეს მსოფლიო ელექტროენერჯის 40.4% [2, გვ.24], ხოლო მეორე ადგილზეა ბუნებრივი აირი 22.5%-ით [2, გვ.24].

წიალისეულ ენერგეტიკული რესურსების მინოდება-მოხმარებაზე, ცხადია, სხვა ვექტორებიც ახდენს გავლენას, თუმცა, არსებითი მნიშვნელობა თვით აღნიშნული მიმართულებით მიმდინარე მოვლენებს აქვს. ის პროცესები, რომლებიც ამ მხივ დაიწყო 2014 წლის შუა პერიოდიდან და დღემდე მიმდინარეობს, ვფიქრობთ, საეტაპო მნიშვნელობისაა. თავდაპირველად განვიხილოთ თავად ნავთობისა და ბუნებრივი აირის სექტორებში შექმნილი ვითარება. მიუხედავად იმისა, რომ 2014-2015 წლებში მსოფლიოში მიმდინარე კონფლიქტებიდან რამდენიმე პირდაპირაა დაკავშირებული ნახშირწყალბადოვანი საწვავის მოპოვების რეგიონებთან, ნავთობზე ფასები ეცემა. ეს უპირველასად გამოწვეულია იმით, რომ ნავთობის ყველაზე დიდი იმპორტიორი აშშ ამცირებს მსოფლიო ენერგეტიკული ბაზარზე ზენოლას. ეს ქვეყანა ჯერ კიდევ 2010 წელს აწარმოებდა 5.5 მლნ ბარელ ნედლ ნავთობს [3], ხოლო 2014 წელს მისმა წარმოებამ დღეში საშუალოდ 8.7 მლნ ბარელს [3] მიაღწია, ეს იმ დროს, როდესაც მისი დღიური ნავთობ-პროდუქტების მოხმარება 2013 წელს საშუალოდ 19 მლნ ბარელს [3] შეადგენდა. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ აშშ, ნავთობზე მთლიან მოთხოვნას, გარდა ნედლი ნავთობისა, სხვადასხვა შიგა წყაროებით<sup>2</sup> იკმაყოფილებდა და ჯამში ნავთობპროდუქტების ადგილობრივი წარმოება 2013 წელს 12.3 მლნ ბარელი [3] იყო დღეში, ხოლო 2014 წელს კი თითქმის 14 მლნ ბარელი [3]. ექსპერტთა შეფასებებით, ნედლი

2 გარდა ნედლი ნავთობისა, თხევადი ნავთობპროდუქტების წარმოებისთვის გამოიყენება ბუნებრივი აირი, ნავთობის თანმდევი კონდენსატი და ა.შ. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ნედლი ნავთობი ნავთობპროდუქტებად გადამუშავების შემდეგ მოცულობაში დაახლოებით 5-6%-ით იმატებს.

ნავთობის მოპოვება აშშ-ში 2015 წელს მიაღწევს 9.3 მლნ ბარელს [4] დღე-ში, ხოლო ხანგრძლივი პროგნოზების თანახმად, ეს მაჩვენებელი 11-12 მლნ ბარელამდე გაიზრდება ნავთობპროდუქტების მოხმარების შემცირების ფონზე. ყოველივე ეს აშშ-ში მიმდინარე ე.წ. „ფიქლის რევოლუციის“ შედეგია. ეს პროცესი თავდაპირველად ბუნებრივი აირის მიმართულებით დაიწყო, როდესაც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით „ფიქლის აირის“ მოპოვების თვითღირებულება აშშ-ის ენერგეტიკის საინფორმაციო ადმინისტრაციის მონაცემებით 1 მლნ ბრიტანული თბური ერთეულისთვის 3-7 აშშ დოლარამდე [3] შემცირდა, რაც 1000 მ<sup>3</sup>-ზე გადაანგარიშებით დაახლოებით 75-175 აშშ დოლარს შეადგენს, რის შედეგადაც აშშ-ში 2013 წელს აწარმოეს 688 მლრდ მ3 აირი [3], რაც თითქმის აკმაყოფილებს ამ ქვეყნის მოთხოვნას.

აშშ-ში ნავთობის ტექნიკურად მოპოვებადი მარაგები, ფიქლის ნავთობის ჩათვლით, 223 მლრდ ბარელს შეადგენს [6], წლიური მოპოვება 2014 წლის მაჩვენებელზე დაყრდნობით 3.2 მლრდ ბარელია, რაც პერსპექტივაში 4.5 მლრდ ბარელამდე შეიძლება გაიზარდოს, გამოდის, რომ აშშ-ს გააჩნია მინიმუმ 50 წლის ნავთობის ტექნიკურად მოპოვებადი მარაგები. უფრო უკეთ არის უზრუნველყოფილი ეს ქვეყანა ბუნებრივი აირით. 2013 წლის მონაცემებით წლიური მოპოვება დაახლოებით 688 მლრდ მ3-ია, ხოლო მთლიანი ტექნიკურად მოპოვებადი მარაგები კი 68.8 ტრლნ მ3 [6]. გამოდის, რომ მოპოვების არსებული ტემპის შენარჩუნების შემთხვევაში, აშშ საკუთარი ბუნებრივი აირით 100 წლით არის უზრუნველყოფილი. რომც დავუშვათ, რომ ამ რესურსის მოპოვება პერსპექტივაში 50%-ით გაიზრდება, მარაგები ამ რაოდენობას მინიმუმ 70 წლით უზრუნველყოფს. კიდევ უფრო უკეთ არის ეს ქვეყანა უზრუნველყოფილი ნახშირით. მისი მარაგები აშშ-ში დაახლოებით 232 მლრდ ტონას [3] შეადგენს, ხოლო წლიური წარმოება 2012 წლის მონაცემით კი, დაახლოებით 1 მლრდ ტონაა [3]. (აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოხმარება რამდენადმე ნაკლები – დაახლოებით 800 მლნ ტონაა [3]), ანუ აშშ-ს საკუთარი ნახშირი მინიმუმ 200 წელი ეყოფა. წარმოდგენილი მონაცემები იმაზე მიუთითებს, რომ აშშ-ს აქვს წიაღისეული ენერჯის საგარეო წყაროების ადგილობრივით მზარდი ტემპებით ჩანაცვლების შესაძლებლობა.

ქვემოთ ცხრილის სახით წარმოდგენილია მსოფლიო წიაღისეული საწვავის მარაგებისა და მოთხოვნის მონაცემები. ნავთობისა და ბუნებრივი აირის შემთხვევაში, ჩვენ აღებული გვაქვს მთლიანი ტექნიკურად ამოღებადი მარაგები, მ.შ. ე.წ. ფიქლის ნავთობისა და ბუნებრივი აირის გათვალისწინებით, რაც ბევრად მეტია ე.წ. დადასტურებულ ტრადიციულ მარაგებზე. მაგალითად, თუ მსოფლიოში ტექნიკურად ამოღებადი ნავთობის მთლიანი მარაგები 3357 მლრდ ბარელია, ე.წ. დადასტურებული ტრადიციული ნავთო-

ბის მარაგები 1490 მლრდ ბარელია [7გვ.22]; ბუნებრივი აირის მაჩვენებლები, შესაბამისად, 648 ტრლნ მ3 და 200 ტრლნ მ3 [7გვ.22] შეადგენს. მოცემული ცხრილის მაჩვენებლებს დასკვნებში კვლავ გამოვიყენებთ.

**ნიაღვრული სანავის მარაგები და მათზე მოთხოვნა მსოფლიოში  
(ცხრილი შედგენილია [3, 5, 6 მასალების გამოყენებით)**

მაჩვენებლები	ნიაღვრული სანავის მარაგები მსოფლიოში 2013 წლის ბოლოსთვის	მსოფლიო მოთხოვნა ნიაღვრულ სანავაზე 2013 წელს	მსოფლიო მოთხოვნა ნიაღვრულ სანავაზე 2035 წელს
ნავთობი სულ (მ.შ. ფიქლის) მლრდ ბარელი	3357[6]	33.2[3]	36.1 [5. 103გვ.]
ბუნებრივი აირი სულ (მ.შ. ფიქლის) ტრლნ მ <sup>3</sup>	648 [6]	3.4[3]	4.75 [5.155გვ.]
ნახშირი მლრდ ტონა ნახშირის ეკვივალენტი	900 [3]	5.3[3]	5.85 [5.353გვ.]

ჩვენი აზრით, საშუალო და გრძელვადიანი პერსპექტივის ანალიზისთვის სრულიად დასაშვებია ტექნიკურად ამოღებადი მარაგების განხილვა, რადგან აღნიშნული საბადოების დიდი ნაწილის დამუშავება უკვე სადღეისოდ არის რენტაბელური, ხოლო ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ მისი თვითღირებულება კიდევ უფრო შემცირდება. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ნიაღვრული სანავის დაზვერვა-აღმოჩენის პროცესი კვლავ გრძელდება და ჩვენ მიერ წარმოდგენილი მონაცემები არსებითად გაიზრდება. მაგალითად, მოცემული სტატიის წერის პერიოდში სანდო ინტერნეტ წყაროებში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია დიდ ბრიტანეთში, კერძოდ ლონდონის შემოგარენში აღმოჩენილმა ნავთობის საბადომ, რომლის მარაგები 10 მლრდ ტონამდე ფასდება. ჩვენ, ცხადია, ეს მონაცემი კვლევაში არ გვაქვს გათვალისწინებული, მისი მოხსენიებით მხოლოდ ტენდენციაზე მივუთითებთ. ასევე არსებობს საკმაოდ კვალიფიციური ექსპერტების მოსაზრებები იმის შესახებ, რომ ფიქლისა და სხვა არატრადიციული ნავთობისა თუ ბუნებრივი აირის მარაგები რამდენიმეჯერ აღემატება უკვე გამოვლენილს.

## ენერგოეფექტიანობის პრობლემა, როგორც ენერგეტიკულ ტრენდზე ზემოქმედი უმნიშვნელოვანესი ვექტორი

ენერგოეფექტიანობის ამაღლების პრობლემა ერთ-ერთი ტრადიციული საკითხია, რომლის შესახებაც დიდი ხანია ზრუნავს კაცობრიობა. ამ მხრივ სადღეისოდაც უდიდესი ძალისხმევა გაინევა, მაგალითად, „ენერგოეფექტიანობის გასაუმჯობესებლად განხორციელებული ინვესტიციები 2012 წლისთვის შეფასებულია 130 მლრდ დოლარით, რაც წიაღისეული საწვავის 13%-ის მოპოვებაზე განეული დანახარჯების ტოლფასია და ცვლის განახლებად ენერგონაწარმოების შექმნისთვის განეულ 240 მლრდ დოლარის ინვესტიციებს. ამჟამად ენერგოეფექტიანობაში განეული ინვესტიციები ძირითადად მიმართულია ტრადიციული ენერგომინოდების წყაროებისკენ“ [8]. ასეთი დიდი ხარჯებიც მეტყველებს, რომ ამ მხრივ უდიდესი რეზერვები არსებობს. მაგალითად, საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ერთობლივმა პირველადმა ენერგო მინოდებამ 2012 წელს 13.37 მლრდ ტონა ნავთობის ეკვივალენტი, ხოლო ერთობლივმა საბოლოო მოხმარებამ დაახლოებით 8.98 [2გვ.28] მლრდ ტონა ნავთობის ეკვივალენტი შეადგინა. სხვაობა 4.39 მლრდ ტონა ნავთობის ეკვივალენტი. ეს ის რაოდენობაა, რომელიც ძირითადად ენერგიის ერთი სახიდან (როგორც წესი წიაღისეული საწვავიდან) მეორის (ძირითადად ელექტროენერგიის) მიღების დროს დაიკარგა. ცხადია ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ მთელი ამ დანაკარგის აღმოფხვრა მოხერხდება, ეს შეუძლებელია ტექნიკური თვალსაზრისით, თუმცა, ამ მაჩვენებლის რამდენიმე პროცენტით გაუმჯობესებაც კი დიდ ეფექტს მოიტანს.

უდიდესი რეზერვები არსებობს სატრანსპორტო საშუალებების (ძირითადად ავტომობილების), გათბობისა და ინდუსტრიის ენერგოეფექტიანობის ზრდის მიმართულებით. ახალი პოლიტიკის სცენარის მიხედვით, „ენერგოეფექტიანობაზე განეული წლიური დანახარჯები გაოთხმაგდება 2035 წლისთვის და 550 მლრდ დოლარს მიაღწევს, საიდანაც 62% დაიხარჯება სატრანსპორტო სექტორში, 29% შენობების ენერგოეფექტიანობის ზრდისთვის, ხოლო 9% კი მრეწველობაში. აქედან ყველაზე პერსპექტიული მიმართულება იქნება ავტომობილების, შენობების იზოლაციისა და გათბობის ენერგოეფექტიანობის ზრდა, ენერგიის არაინტენსიურად მომხმარებელი მრეწველობის დარგების განვითარება“ [8]. რეგიონებისა და ქვეყნების მიხედვით „ევროკავშირი, ჩრდილოეთ ამერიკა და ჩინეთი განახორციელებენ ინვესტიციების 2/3-ს! [8]. ხოლო სექტორული თვალსაზრისით, „საოჯახო მეურნეობებმა უნდა გაიღონ მთელი ინვესტიციების დაახლოებით ნახევარი, ბიზნესმა - 40% და სახელმწიფომ კი - 11%“ [8].

პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე, საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს მიერ 2012 წელს შეიქმნა სცენარი, რომელიც ენერგოეფექტიანობის ამაღლების მხრივ სახელმწიფოთა ძალისხმევას ეყრდნობა და სახელიც შესაბამისი - „ეფექტიანი მსოფლიოს სცენარი“ [9] ეწოდება.

### **ეკოლოგიური ვექტორის გავლენა ენერგეტიკის განვითარებაზე**

ჩვენ გლობალური გამოწვევების ეპოქაში ვცხოვრობთ, რომელთაგან ძირითადია პლანეტაზე შექმნილი მძიმე ეკოლოგიური ვითარება. დედამიწის გარემოს ერთ-ერთი უმთავრესი დამაბინძურებელი კი სწორედ ენერგეტიკაა. ამ მხრივ ორი უმთავრესი მიმართულება გამოიყოფა: უპირველესად უნდა აღინიშნოს გლობალური დათბობის შესახებ, რისი გამომწვევიც ატმოსფეროში ნახშირორჟანგის მზარდი გამოფრქვევაა. მეორე კი, რადიაციულ საფრთხეს ეხება, რისი უმნიშვნელოვანესი წყარო ატომური ელექტროსადგურებია. სწორედ ამიტომ, სულ უფრო აქტიურდება ბრძოლა ამ მოვლენების წინააღმდეგ.

ნახშირორჟანგის გამოფრქვევის შემცირებისკენ (ანუ როგორც მას ხშირად უწოდებენ - დეკარბონიზაციისკენ) უკვე იდგმება ქმედითი საერთაშორისო ნაბიჯები, ხოლო ატომურ ელექტროსადგურებთან დაკავშირებული პრობლემა ძირითადად ნაციონალურ დონეზე წყდება და ეს არ არის საკვირველი, რადგან ბირთვული ენერგეტიკა რამდენიმე ქვეყანაშია განვითარებული. პრობლემის აქტუალურობაზე ისიც მიუთითებს, რომ საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს მიერ გლობალური ენერგეტიკის განვითარების გარშემო შექმნილი სცენარების უმრავლესობა ეკოლოგიური ფაქტორის გათვალისწინებითაა შემუშავებული, ესენია: „ახალი პოლიტიკის სცენარი“ [9] - „მსოფლიო ენერგეტიკული მიმოხილვის“ საბაზისო სცენარი, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნების მიერ გაცხადებულ ფართო პოლიტიკურ ვალდებულებებს და გეგმებს, მათ შორის ნაციონალურ ვალდებულებებს სათბურის ეფექტის აირების ემისიისა და წიაღისეული სანვავის სუბსიდირების შემცირებასთან დაკავშირებით. ამ სცენარის განხორციელების ალბათობა იმდენად გაიზარდა, რომ მან შეცვალა შედარებით ადრე საბაზისოდ მიჩნეული “მიმდინარე პოლიტიკის სცენარი” [9], რომელიც ეკოლოგიური ასპექტით არანაირ ცვლილებას არ ითვალისწინებს საერთაშორისო ენერგეტიკულ პოლიტიკაში. “ახალი პოლიტიკის სცენარით”, გლობალური ტემპერატურის მატება 4°C-მდე უნდა შეიზღუდოს, რის გარშემოც, როგორც უკვე აღინიშნა, არსებობს მძლავრი საერთაშორისო ძალისხმევა. ნახშირორჟანგის ატმოსფეროში ემისიის უფრო მკვეთრ შემცირებას ითვალისწინებს “სცენარი

450°[9], რომელშიც ენერგეტიკის განვითარების ისეთი გზაა აღწერილი, რაც საშუალებას იძლევა გლობალური ტემპერატურის მატება 2°C-ით შეიზღუდოს, სასათბურე აირების ატმოსფეროში ემისიის შემცირების ხარჯზე. არსებობს სხვა სცენარებიც, რომლებიც ენერგეტიკის განვითარებას გლობალური დათბობის კონტექსტით განიხილავს, ესენია 2DS, 4DS, 6DS სცენარები [9], რომლებიც 2035 წლამდე დაახლოებით შეესაბამება სცენარ 450-ს, ახალი პოლიტიკისა და მიმდინარე პოლიტიკის სცენარებს და გლობალური დათბობის ზღვრულ ნორმად 2050 წლისთვის შესაბამისად 2°C, 4°C, 6°C-ს მიღწევას ისახავს, მხოლოდ ამ მიზნისთვის მათში ძირითადად ტექნოლოგიურ განვითარებაზე ხდება აქცენტირება.

ახალი პოლიტიკის სცენარის რეალურობის ზრდას და მის საბაზისოდ აღიარებას ხელი შეუწყო კიოტოს პროტოკოლით ინიცირებულმა პროცესებმა. ეს ხელშეკრულება, რომელსაც სადღეისოდ 200-მდე ქვეყანა შეუერთდა, კონტროლს აწესებს სასათბურე ეფექტის მქონე აირების გარემოში ემისიაზე. ეს კონტროლი წმინდა საბაზრო ფორმითაც გამოიხატება და ყოველი ტონა CO<sub>2</sub>-ის ემისიის უფლების რეალიზაცია აუქციონის წესით ხდება. მაგალითად, ევროკავშირში 2008 წლისთვის 1 ტონა CO<sub>2</sub>-ის ემისიის უფლება 30 ევრო ღირდა, რაც 2012 წლისთვის 10 ევროზე დაბალ ნიშნულამდე შემცირდა.[10]

სცენარი, რომელიც ითვალისწინებს გლობალურ ენერგეტიკულ ბალანსზე ატომური ენერგეტიკის გავლენის შემცირების შესწავლას, საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს მიერ 2011 წლის მსოფლიო ენერგეტიკულ მიმოხილვაში გამოქვეყნდა. ამ სცენარის მიხედვით ერთობლივი ბირთვული ელექტროენერგეტიკული სიმძლავრეები, 2010 წლის 393 გიგავატიდან 2035 წლისთვის 335 გიგავატამდე, ხოლო ატომური სადგურების მიერ გამოშვებული ელექტროენერჯის ხვედრითი წონა, 2010 წლის 13%-დან, 2035 წელს 7%-მდე მცირდება[5გვ.447]. დეკარბონიზაციის დოქტრინის კონტექსტით ბირთვული ენერგეტიკის მომავალი თითქოს არ იყო უპერსპექტივო, მაგრამ 2011 წლის 11 მარტს ფუკუსიმას ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარმა ავარიამ კვლავ გაამძაფრა საპროტესტო ტალღა მის მიმართ. ეკოლოგიურ რისკებზე რომ არაფერი ვთქვათ, სადღეისოდ, საკმაოდ მოიპოვება წყაროები, რომლებიც ატომური ენერგეტიკის ეკონომიკურ ეფექტიანობასაც კი აყენებს ეჭვს ქვეშ, რაც ძალიან ძვირი ნაგებობების, დანადგარების, ექსპლუატაციის შედეგია. თუ ამას დავუმატებთ იმ დანახარჯებსაც, რაც ატომური ელექტროსადგურების ნარჩენებისა და ექსპლუატაციიდან გამოყვანილი სადგურის უტილიზაციისათვის არის საჭირო, ბირთვული ენერგეტიკის რენტაბელობა კიდევ უფრო საეჭვო ხდება. აქ უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ურანიც შეზღუდული ბუნებრივი რესურსია როგორც რაოდენობრივი, ასევე ლოკალი-

ზაციის თვალსაზრისით. ის მსოფლიოში რამდენიმე ქვეყანაში მოიპოვება და თუ სახელმწიფოს არ გააჩნია მისი საბადოები და/ან ბირთვული სანვავის დამზადების ბაზა, მისთვის ბირთვული ენერგეტიკის განვითარება ეკონომიკურ აზრს მოკლებულია. იმ ქვეყნებს, რომელთაც განვითარებული ბირთვული ენერგეტიკა აქვთ, გააჩნიათ სანვავის წარმოების საკუთარი ბაზა და ამავდროს უმრავლესი მათგანი ამ საკითხს სამხედრო კონტექსტით განიხილავს. აღსანიშნავია ატომური ელექტროსადგურების მოუქნელობაც, კერძოდ: მას აქვს უწვეტი საწარმოო ციკლი, რაც გამორიცხავს დღის და ღამის რეჟიმით ენერჯის წარმოების მოცულობის რეგულირებას. სწორედ ამის გამო საფრანგეთი, სადაც ელექტროენერჯის უდიდესი ნაწილი სწორედ ბირთვულ ენერგეტიკაზე მოდის, ვერ ახერხებს ღამით გამომუშავებული ელექტროენერჯის დაბალანსებას და იძულებულია ეს ნამეტი ენერჯია თითქმის უფასოდ მიანოდოს მეზობელ ქვეყნებს. ცხადია, ეს კიდევ უფრო ამძაფრებს რენტაბელობის პრობლემას.

### **განახლებადი ენერგეტიკა – ენერგეტიკულ ტრენდზე მოქმედი მზარდი ვექტორი**

უკანასკნელ წლებში აშშ-სა და სხვა ტექნოლოგიურად წამყვან ქვეყნებში ნამდვილი რევოლუცია განხორციელდა განახლებადი წყაროებიდან ენერჯის მიღებაში. ამ მხრივ 2013-2105 წწ. პერიოდი გარდამტეხი მნიშვნელობისაა. კერძოდ, ბლუმბერგის მონაცემებით, 2013 წელს ამოქმედდა წიაღისეულ სანვავზე მომუშავე 141 გიგავატი [11] სიმძლავრის ელექტროენერჯის გენერაციის ობიექტები, ხოლო განახლებადი ენერჯის ობიექტების საერთო სიმძლავრემ კი 143 გიგავატი [11] შეადგინა. აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი ფაქტის შესახებ: ბლუმბერგი განახლებად ენერგეტიკად მიიჩნევს ბირთვულ ენერგეტიკასაც, რასაც კატეგორიულად არ ვეთანხმებით. თუმცა, უკვე 2015 წელს ასამუშავებელი ელექტროგენერაციის ობიექტების სიმძლავრეების მაჩვენებლებს თუ გადავხედავთ, ცხადი გახდება ჭეშმარიტად განახლებადი ენერჯის წყაროების უპირატესობა. წელს მწყობრში ჩადგება განახლებადი ელექტროგენერაციის 164 გიგავატი [11] სიმძლავრის ობიექტები, საიდანაც ბირთვული ენერგეტიკის წილი მეტად უმნიშვნელოა და ჭეშმარიტად განახლებად და ეკოლოგიურად სუფთა წყაროებზე მოდის აღნიშნული მაჩვენებლის დაახლოებით 90%, საიდანაც დაახლოებით 95%-ია ჩვენს მიერ ძირითადად მიჩნეული ჰიდრო, ქარისა და მზის ენერგოგენერაციის ობიექტები. მიმდინარე წელს ამოქმედდება წიაღისეულ სანვავზე მომუშავე ელექტროენერჯის გენერაციის 110 გიგავატი [11] სიმძლავრის ობიექტები. 2030 წლისთვის კი ამ ტენდენციის ამსახველი საპროგნოზო მონაცემები განახლებადი ენერგობიექტების სასარგებლოდ კიდევ უფრო შთამბეჭდავი იქნება და 279 გიგავატი :

64 გიგავატი [11] თანაფარდობით გამოისახება, ამასთან, განახლებად ენერგოგენერაციის ობიექტებში ბირთვულის წილი კიდევ უფრო შემცირდება.

მიუხედავად ნავთობზე ფასების შემცირებისა, როგორც ვხედავთ, განახლებადი ენერჯის წყაროების საერთო სიმძლავრეები იზრდება და ამ პროცესს ლოგიკური ახნა გააჩნია. უწინარესად უნდა ითქვას, რომ განახლებადი ენერჯის ობიექტები ძირითადად ელექტროენერჯიას გამოიმუშავენ, ხოლო მსოფლიოში წიაღისეული საწვავის ხარჯზე ელექტროენერჯის გენერირების უდიდესი ნაწილი (რასაც ზემოთ შევვხვებ) ნახშირსა და ბუნებრივ აირზე მოდის. კერძოდ, ამ ორი საწვავის მეშვეობით 2012 წელს გამოიმუშავეს მსოფლიოში წარმოებული მთელი ელექტროენერჯის დაახლოებით 63%. ამ ორი სახის საწვავის ფასებზე კი მყისიერად და პირდაპირპროპორციულად არ აისახება ნავთობის ღირებულება. კიდევ უფრო მცირეა ნავთობისა და ელექტროენერჯის ფასების კავშირი. ამიტომ, ნავთობზე ფასების შემცირების ფონზე, მაგალითად, აშშ-ში ელექტროენერჯის ფასები 2014 წლის განმავლობაში იზრდებოდა.[12] გარდა ამისა, ქარისა და მზის ენერჯის ღირებულება სწრაფად მცირდება და ის მსოფლიოს მრავალ რეგიონში სადღეისოდ ტოლია ან უფრო იაფია, ვიდრე ქსელის ელექტროენერჯის ღირებულება. მართალია, მზის ენერჯიას სადღეისოდ ელექტროენერჯის ბაზრის 1%-ზე ნაკლები უკავია, მაგრამ საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს პროგნოზის თანახმად, 2050 წლისთვის ის შეიძლება იყოს ელექტროენერჯის ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო [11].

განახლებადი ენერჯეტიკა რომ სწრაფად მზარდი მიმართულებაა, შემდეგი მონაცემებიც ცხადყოფს: წლიური ინვესტიციები ამ მიმართულებით 2000 წლის 60 მლრდ აშშ დოლარიდან, 2011 წელს გაიზარდა 300 მლრდ-მდე. ახალი პოლიტიკის სცენარის მიხედვით, 2035 წლისთვის გენერაციის ობიექტების მშენებლობაზე დაიხარჯება 10 ტრლნ აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიციები, საიდანაც დაბალნახშირბადულ და განახლებად ტექნოლოგიებს დაეთმობა 6 ტრლნ აშშ დოლარი [13].

უშუალოდ განახლებად ენერჯეტიკაში ინვესტიციების გარდა უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომიჯნავე ტექნოლოგიების განვითარებასაც. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი ტექნოლოგიაა ელექტრობატარეა. მისი ბაზარი სწრაფად იზრდება, ეს კი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ქარისა და მზის ენერჯეტიკის განვითარებისთვის. ამ პრობლემის გადაწყვეტის შემთხვევაში სწრაფად განვითარდება ელექტროავტოტრანსპორტიც. “2020 წლისთვის ქსელის სტაციონარული ბატერეების წარმოებაში განხორციელდება წელიწადში 5.1 მლრდ დოლარის ინვესტიცია, რაც 17-ჯერ მეტია 2013 წლის მაჩვენებელზე”[14].

### **თერმობირთვული ენერჯეტიკა - კაცობრიობის იმედი**

თერმობირთვული ენერჯეტიკა კაცობრიობის იმედია. თუ ადამიანი მოახარხებს თერმობირთვული რეაქციის მართვას და მისი ეკონომიკური

მიზნით გამოყენებას, ენერგეტიკული პრობლემა გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს. ეს საქმე მხოლოდ იდეების და სურვილების დონეზე არ არის გაჩერებული. სადღეისოდ დედამიწაზე 300-მდე თერმობირთვული დანადგარი არსებობს, რომლებზედაც მიმდინარეობს ცდები და პროცესი საკმაოდ წინ არის წასული. ჭეშმარიტად იმედის მომცემი პროექტია ITER (International Thermonuclear Experimental Reactor). ამ საერთაშორისო პროექტში ყველა ის სახელმწიფოა გაერთიანებული, რომლებსაც მოცემული მიმართულებით უკვე აქვთ გარკვეული შედეგები, ესენია: აშშ, ევროკავშირი, ჩინეთი, იაპონია, რუსეთი, სამხრეთ კორეა და ინდოეთი. რეაქტორის აშენება საფრანგეთის ქალაქ კადარაშში იგეგმება. პროექტი 35 წელი გაგრძელდება და მისი მთლიანი ღირებულება ამ მხნის განმავლობაში იქნება 11.6 მლრდ ევრო 2007 წლის შეფასებით [15 გვ.4].

პროექტის მიმდინარეობა დეტალურად არის განერილი და რამდენიმე ეტაპს მოიცავს, რომელთაგან აღვნიშნავთ: 2008 წელი - საამშენებლო მოედნის მომზადება, 2010 წელი ტოკამაკის მშენებლობის დაწყება, 2019 წელი - მშენებლობის დასრულება და ექსპლუატაციაში შეყვანა, 2020 წელი - პირველი პლაზმის მიღება, 2027 წელი - დეიტერიუმ-ტრიტიუმის საოპერაციო ფაზის დაწყება. პროექტის ინდუსტრიალიზაცია დაიწყება 2030-იანი წლებიდან, ხოლო ქსელში პირველი ელექტროენერჯის მიწოდება იგეგმება 2040-იანი წლების დასაწყისში. მოცემული პროექტის შეუფერხებლად განხორციელების შემთხვევაში, უპირველესად თერმობირთვულ ელექტროენერჯის მიღებენ მონაწილე ქვეყნები, ხოლო XXI საუკუნის ბოლო მეოთხედისთვის კაცობრიობა გადაწყვეტს ენერგეტიკულ პრობლემას - დაეუფლება რა ელექტროენერჯის გენერაციის ფაქტობრივად უღევ, ეკოლოგიურად სუფთა, საყოველთაოდ ხელმისაწვდომ წყაროს [16].

## ენერგეტიკულ ტრენდთან დაკავშირებული პროგნოზები

სადღეისოდ მსოფლიო ეკონომიკის და (არა მარტო ეკონომიკის) უმნიშვნელოვანესი საკითხია ნახშირწყალბადოვან საწვავსა და განსაკუთრებით ნავთობზე ფასების პროგნოზირება. ჩვენს ხელთ არსებული მასალების საფუძველზე შევეცდებით ჩამოვაცალიბოთ აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის ჩვენეული ვერსია. როგორც აღვნიშნეთ, 2013 წლისთვის მსოფლიოში ტექნიკურად მოპოვებადი ნავთობის მარაგები 3357 მლრდ ბარელს შეადგენს, ცხადია, ეს მონაცემი მომავალში გაიზრდება, მაგრამ ჩვენ საანალიზოდ მას დავეყრდნობით, რაც კიდევ უფრო გაამყარებს მსჯელობას. წლიური მოთხოვნა ამავე წელს იყო 33.2 მლრდ ბარელი, ხოლო საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს საბაზისო სცენარში მოტანილი პროგნოზის მიხედვით, 2035

წლისათვის ეს მაჩვენებელი იქნება 36.1 მლრდ ბარელი და ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ტენდენციების გათვალისწინებით, ეს მონაცემი სამომავლოდ დიდად აღარ გაიზრდება. ამიტომ, გრძელვადიან პერიოდში მსოფლიოში ნავთობზე საშუალოწლიური მოთხოვნის მაჩვენებლად 35 მლრდ ბარელის აღება ვფიქრობთ გამართლებულია. გამომდინარე აქედან, მსოფლიოში სადღეისოდ დადასტურებულად არსებობს 100 წლის ნავთობის მარაგები. თუ ამ ფაქტთან ერთად კომპლექსურად გავაანალიზებთ ზემოთ განხილული დანარჩენი ვექტორების მიმართულებებსაც და განსაკუთრებული ყურადღებით განვიხილავთ თერმობირთვულ ენერგეტიკასთან დაკავშირებით არსებულ პროგნოზსაც, რომ მისი მეშვეობით კაცობრიობა 2075 წლისთვის გადაწყვეტს ენერგეტიკულ პრობლემას, გამოდის, რომ ნავთობი მსოფლიოსთვის აქტუალური იქნება მაქსიმუმ 60 წლის განმავლობაში, ხოლო რესურსი კი 100 წლის სამყოფია. ეს კი ნიშნავს, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით დედამიწაზე ნავთობის ფაქტობრივად შეუზღუდავი რესურსი არსებობს. ამასთან, ჩვენ ზემოთ გავაანალიზებთ აშშ-ის ენერგოუზრუნველყოფის მაჩვენებლები და აღვნიშნეთ, რომ მსოფლიოში ენერჯის ყველაზე დიდი მომხმარებელი ქვეყანა შეასუსტებს საერთაშორისო ნახშირწყალბადოვანი საწვავის ბაზარზე ზეწოლას. გამომდინარე აქედან, 2014 წელს დაწყებული ნავთობის გაიაფება არ არის შემთხვევითი ტენდენცია და მას სტრატეგიული ხასიათი აქვს. კერძოდ, OPEC-თანდათანობით დაკარგავს ოლიგოპოლიურ გავლენას ბაზარზე, ერთი მხრივ, აშშ-ში განხორციელებული “ფიქლის რევოლუციისა” და მეორე მხრივ, რესურსის სიჭარბის გამო. ამ ორგანიზაციის წევრები ეცდებიან ხელსაყრელ ფასად იქამდე “მოიშორონ” ეს რესურსი, სანამ მისი ღირებულება მკვეთრად შემცირდება. გამომდინარე აქედან, ნავთობის ფასები სულ უფრო დაექვემდებარება თავისუფალი ფასწარმოქმნის პრინციპს და მას ფიქლისა და სხვა არატრადიციული ნავთობის მოპოვების თვითღირებულება განსაზღვრავს, რაც სადღეისოდ, სხვადასხვა მონაცემით, 40-70 აშშ დოლარს შეადგენს. ფასებიც, თუ მსოფლიოში რაიმე კატაკლიზმა არ მოხდა, დაახლოებით ამ დერეფანში იმერყევებს და გრძელვადიან პერსპექტივაში ტექნოლოგიური განვითარების მიმართ შეიტანს კორექტივებს.

იგივე ლოგიკა შეიძლება განვაზოგადოთ ბუნებრივი აირზეც. აქ უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ეს რესურსი წიაღისეულ საწვავებს შორის ეკოლოგიურად ყველაზე სუფთად ითვლება და მასზე მოთხოვნა მნიშვნელოვანად გაიზრდება. მაგალითად, 2013 წელს ბუნებრივ აირზე მოთხოვნა 3.4 ტრლნ მ<sup>3</sup> იყო, ხოლო საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს საბაზისო სცენარით მოყვანილი პროგნოზის მიხედვით, 2035 წლისათვის ეს მაჩვენებელი იქნება 4.75 ტრლნ მ<sup>3</sup>. დავუშვით, რომ ამ რესურსზე მოთხოვნა შემდგომ 20 წელიწადში ანალოგიური ტემპით გაიზრდება - მივიღებთ დაახ-

ლოებით 6 ტრლნ მ3 წლიურ მოთხოვნას. გრძელვადიან პერსპექტივაში წლიური მოთხოვნის საშუალო მაჩვენებელი დაახლოებით 5-6 ტრლნ მ3 ოდენობით ვფიქრობთ, რომ შესაძლო რეალობის მაქსიმუმს ასახავს. გამომდინარე აქედან ბუნებრივი აირის მოპოვებადი მარაგები კაცობრიობის მოთხოვნას 100-120 წლის განმავლობაში დააკმაყოფილებს. ანუ რესურსი ამ შემთხვევაშიც ეკონომიკური თვალსაზრისით ფაქტობრივად შეუზღუდავია და ფასნარმოქმნაც (თხევადი აირის წარმოებისა და ტრანსპორტირების ფონზე) საბაზროსთან მიახლოებული იქნება.

ნახშირზე დანვრილებით არ შევჩერდებით ორი მიზეზის გამო: ერთი მხრივ, ზემოთ მოყვანილი ცხრილის მაჩვენებლებისთვის თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია იმის დასადგენად, რომ ამ რესურსით კაცობრიობა ყველაზე უკეთ არის უზრუნველყოფილი და მეორე, ეკოლოგიური თვალსაზრისით, გრძელვადიან პერსპექტივაში, უნინარესად ნახშირის მიწოდება შეიზღუდება. გამომდინარე აქედან ნახშირი ვერანაირ ზენოლას ვერ შექმნის ენერგობაზარზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე საქართველოსთვის რამდენიმე მნიშვნელოვანი შედეგი გამომდინარეობს. გეოსტრატეგიულ ლანდშაფტში ჩვენ პოზიციაზე უაღესად დიდ გავლენას ახდენს ნახშირწყალბადების ბაზრის კონიუნქტურა. პირველ ყოვლისა, ამ საკითხს შევხებით. ნავთობზე ფასების შენარჩუნება ჩვენს მიერ პროგნოზირებად დერეფანში საქართველოსთვის სამ შედეგს წარმოშობს: პირველი - შედარებით მცირე ფასები დადებითია ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან ის ნავთობისა და ნავთობროდუქტების ნეტომომხმარებელი ქვეყანაა. ამ მხრივ იმპორტმა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2014 წელს 918 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 2013 წელს - 954 მლნ. ამიტომ ნავთობზე ფასების შემცირება პირდაპირ-პროპორციულად ზრდის საქართველოს ეკონომიკაში დარჩენილი ვალუტის ოდენობას. ნავთობზე ფასების შემცირება და ზოგადად ნახშირწყალბადოვანი საწვავის ბაზარზე შექმნილი ვითარება დადებითი მოვლენაა მეორე მხრივაც - კერძოდ, ეს მნიშვნელოვნად ამცირებს რუსეთის ძლიერებას. ერთი მხრივ ეს ქვეყანა კარგავს მნიშვნელოვან სავალუტო შემოსავლებს, ხოლო, მეორე მხრივ კი, ბუნებრივი აირის მისი უდიდესი რეზერვები აღარ იქნება ევროპისთვის უალტერნატივო. ნავთობის ფასების დაცემას საქართველოსთვის უარყოფითი დატვირთვაც აქვს - ეს გამოიწვევს სატრანზიტო სავალუტო შემოსავლების შემცირებას.

საქართველომ შეძლებისდაგვარად უნდა გაითვალისწინოს ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ენერგეტიკული ვექტორების განვითარების მიმართულებები. ცხადია, მათზე ზემოქმედების მხრივ ჩვენი ქვეყნის შესაძლებლობები შეზღუდულია, თუმცა, სამი მიმართულების - ენერგოეფექტიანობის ზრდის,

В XV-XVII веках Ян Амос Коменский призывал все «школы – каторги», «школы-мастерские» превратить в места игр. Всякая школа, по его мнению, может стать универсальной игрой, и надо все осуществлять в играх и соревновании, сообразуясь с возрастом в школе детства, отрочества, юности и т. д.

Ж-Ж. Руссо, ставя задачи гражданского воспитания человека, предлагал программу педагогических мероприятий: общественно полезный труд, совместные игры, празднества.

Игру, как педагогическое явление одним из первых выделил Фридрих Фребель, теория игры являлась основой его педагогической теории. Дальнейшее развитие игровых форм обучения и их изучение показало, что с помощью игры решаются практически все педагогические задачи.

Известный грузинский психолог академик Дмитрий Узнадзе, вошедший в число 100 лучших психологов мира, считал, что игра представляется как продукт развития, притом опережающего потребности практической жизни. Так, в детских играх он обнаруживает такое опережение в том, что дети играют те роли и функции взрослых, которые последние взяли в реальной жизни на себя по отношению к детям в силу их возрастной неприспособленности. Академик Д.Узнадзе, посвятив свои исследования детским играм, делает вывод, что такие игры развивают и воспитывают детей [1].

Особую роль в современном становлении игрового обучения сыграло интенсивное развитие деловых игр, которые составили основу развития большой группы методов обучения, получивших название методов активного (интерактивного) обучения.

Создание в 1932 г. в Ленинграде первой имитационной игры, получившей название «Организационно-производственные испытания», было невероятной творческой удачей Марии Бирштейн [2]. Эти «испытания» рассматривались как метод научно-исследовательской работы. Автор исходила из задач военных игр, учитывала необходимость пространственных перемещений продуктов производства, наглядного отображения происходящих событий. Термин «игра» уже тогда занял прочное место и сочетался с уточняющими понятиями «пусковая», «диспетчерская», «аварийная». На них отрабатывался перевод предприятий на военный ассортимент, увеличение продолжительности трудового дня и пр. в условиях мобилизации, и они разрабатывались по заказу и при поддержке штаба Ленинградского военного округа. Одним из командующих округом в 30-е гг. был маршал М.Н.Тухачевский, сам много сил отдавший разработке командно-штабных учений.

Деловые игры как метод были «изобретены» заново в США в конце 50-х гг. в связи с решением проблемы снабжения армии, и интерес к ним начал быстро развиваться во всем мире. По инициативе американского теоретика и создателя многочисленных игр Ричарда Дьюка (Richard Duke) стал выходить международный журнал «Имитация и игры» («Simulation and Games») и было создано международное общество (ISAGA), которому в 2015г. исполнилось 46 лет.

Игровые имитационные модели, вошедшие в многочисленные каталоги деловых игр охватили широкий круг специалистов, таких как: менеджеры всех звеньев управленческой иерархии, предприниматели, экономисты, экологи, социологи, медики, строители, юристы, медики и т. д.

Специалисты по интерактивным или активным методам по-разному оценивают их эффективность в усвоении учебного материала. Если при лекционной подаче материала усваивается не более 20% информации, то в деловой игре – до 90%, настаивают авторы методической разработки [3].

Введение и широкое использование деловых игр в вузе, университете позволяет уменьшить на 30-50% время, необходимое для изучения конкретной дисциплины при более эффективном усвоении учебного материала.

В другом исследовании при сравнении деловой игры и аналогичной ей по объему и содержанию традиционной лабораторной работы (экономико-математические методы принятия решений в условиях неопределенности) были отмечены следующие результаты: уровень усвоения знаний в игровой группе – 79,3%, в группе, выполнявшей лабораторную работу – 54%. Через 2 недели после занятий уровень знаний в игровой группе сохранялся высоким – 64,9%, а в традиционной составляла – 11,8%. Через 4 недели контроль показал 49% и 8,5% соответственно. Через 6 недель – 33,2% и 5,8%, после чего произошла стабилизация уровня знаний: для игровой группы – 31,3%, для традиционной – 5% [4].

В МГУ имитационные игры разрабатываются и применяются более четырех десятков лет, позволяет предложить научно-методические принципы обучения принятию решений преподавателей России и других стран управлению динамическими системами в долгосрочной перспективе [5].

Систематическая разработка экологических и природоохранных учебных игр началась в середине 70-х гг. на биологическом факультете МГУ в лаборатории экологии и охраны природы. Этому содействовала сама история природоохранения на биологическом факультете, атмосфера интереса к эффективному экологическому образованию, уникальная деятельность рабочей группы ЮНЕСКО МАБ по образованию и подготовке кадров, объединение академической науки с опытом реальной охраны природы.

Целый ряд самобытных игр был создан в республиках бывшего СССР. Это игры с использованием электронно-вычислительных машин Ж. К. Толордава («Эко-Чай-Грузия», «Отраслевая структура промышленности»), Л.Н.Иваненко («Кибернетический фитотрон», «Урбанистика») и другие [6,7]

Существенно то, что игры позволяют освоить выработку качественных решений, а не технику их «проталкивания», сменить иллюзорное «решение», на опыт целостного отношения к проблеме и предмету игрового моделирования.

Следует отметить значимость проведения имитационных игр как в нашей стране, так и в других странах в качестве метода выявления неочевидных событий, динамика которых характеризуется высокими, национально значимыми *рисками*.


В социологии появилось понятие «общество риска», т.е. общества, которое порождает новые риски. Исследования потенциальных рисков в управлении (включая государственное, муниципальное, антикризисное) пока немногочисленны, скорее единичны, однако успешно осуществляются на базе имитационных игровых моделей), что в перспективе позволит включить эти вопросы в подготовку кадров.

Трудно переоценить *прогностическое значение* игровых имитаций в осмыслении участниками вероятности наступления непредусмотренных событий и, тем самым, в выработке управленческой стратегии с допустимым риском [8]. Понятия «сложные» и «сверхсложные системы» осваиваются в управлении постепенно. Одна из причин этого состоит в отставании разработки инструментов управления, адекватных динамике и сложности этих систем. Между тем, космические программы, АЭС, военная и гражданская авиации, горнодобывающая отрасль, авианосцы, современные города представляют собой сверхсложные системы, управление которыми требует научно обоснованной методической базы.

Обучение на основе интерактивных (активных) методов, к которым относят дискуссии, ролевые, имитационные игры, позволяет погрузить обучающихся в активное контролируемое общение в процессе принятия решений, где участники проявляют свою сущность и могут взаимодействовать с другими людьми. Человек может научиться сложным действиям только у другого человека. В процессе имитаций происходит воспроизведение знаний и эмоциональное переживание их как необходимой части образования.

Игры настолько эмоционально вовлекают участников, что после этих занятий восприятие других предметов идет малоуспешно и вызывает понятное недовольство коллег. Поэтому игры проводят в конце учебного дня, или отводят им весь день.

Метод игровой имитации требует предварительной подготовки группы участников. Нами разработаны пять последовательных ступеней в освоении интерактивных методов в экологическом образовании. Приведем примеры образовательных имитационных игр, составляющих основу игрового цикла занятий по разработанному методу восхождения к смыслу (см. рис).



## Система интерактивных методов обучения восхождения к смыслу

Задача первых ступеней освоения интерактивных методов – помочь знакомству преподавателя и участников игр с самими собой, с собственными возможностями восприятия, самовыражения, контроля и др., поскольку мы, преподаватели, часто не отдаем себе отчета о своих качествах и редко контролируем собственную рефлексию. Эта задача требует теоретических исследований, методических разработок и решается также в процессе психологических тренингов. Задача нетривиальная, но выполнимая – создание психологического автопортрета, *видимого только автору* для развития рефлексии и понимания им себя как субъекта решения проблем в существующих условиях.

### *Модели в образовании*

Моделью называют формальное выражение существенных элементов проблемы в образной или математической форме [10]. Описанию моделей посвящено огромное количество научных статей и книг. Важнейшее свойство моделей – возможность проведения с ними экспериментов и, прежде всего, мысленных, которые мы часто называем логическими.

В учебной аудитории модели появляются в виде статичных графиков, столбцов цифр, графиков, карт и т.п. Использование динамических моделей в школьном образовании единично. Причина этого отставания понятна: язык научной модели не очень любим педагогами и поэтому малодоступен учащимся. Чем сложнее проблема, тем выше мера обобщения, уровень абстракции модели, специальности языка, тем труднее ее предлагать для обучения, так как для ее использования необходима специальная подготовка и преподавателю, и учащемуся. Кроме того, создание моделей для образовательных целей – длительный и дорогостоящий процесс.

Основной признак имитационных игровых моделей (имитационных игр) – это общий предмет (модель) деятельности. Именно общий объект деятельности образует основу для общения, его базового содержания, создания ориентировки на предмет и, таким образом, пересечения деятельностей (по А.У. Харашу) или иерархии действительных мотивов, присущих общающимся субъектам (представления А.Н. Леонтьева).

Ручные игры (все знакомы с настольными играми) представляют собой наборы из различных кусочков бумаги, фишек, игрового поля и т.п., вокруг которых организуется взаимодействие игроков. Техническое сопровождение игры минимально и не отвлекает внимания.

Игры с компьютерной поддержкой используются обычно для экономии времени при обработке данных игры, осуществляемой ассистентом ведущего. Они представляют собой, как правило, индивидуальное рабочее место и позволяют работать в режиме диалога с моделью.

Деловые игры позволяют преодолеть разделенность научных работ по дисциплинам и достичь целостных представлений о системе управления в условиях ее динамического развития, получить опыт учета и анализа неверных решений и оценить успешность выбранной тактики и стратегии. Для игр требуется готовая модель конкретного процесса и преподаватель, способный организовать процесс. Уникальность метода – в интеграции теоретических знаний и практики их применения в ходе игры. Имитационное моделирование динамических процессов стало обычным методом в разработках космической отрасли, оборонной сферы, атомной энергетике, здравоохранении и других областях обучения управлению сложными системами.

Одним из самых популярных приемов обучения бизнесу является деловая игра. Довольно часто используют для деловых игр имитационные модели изучаемого процесса.

Хорошая имитационная игра – это среда сгущенного обобщения, образовательное значение которой в предоставлении изысканной возможности для индуктивных заключений, т.е. «с помощью наблюдения, дерзкой догадки и проницательных подтверждений». Экологическое образование нуждается в доступной методике «фундаментальной схемы экологической индукции», понятия, предлагаемого по аналогии с математической индукцией. Различие состоит в опоре экологии больше на феноменологию, чем на формализованные соотношения и структуры.

Экологические имитационные игры позволяют участникам приходить к правдоподобным умозаключениям и проверять их истинность через совместный отклик природной и социальной сред, научиться различать среди них лишь правдоподобные и действительно логически состоятельные.

Исследования психологов показали, что в экстремальной ситуации модель, базирующаяся на обобщенном опыте принятия решений и эвристических правилах, действует более рационально, чем сам руководитель, так как человек, в отличие от модели, непоследователен. Поэтому создание моделей оправданно для сложных видов деятельности человека [9].

В связи с тем, что использование интерактивных методов обучения и деловых игр требует повышенного внимания, наличия определенных свойств руководителя игры (преподавателя), необходимо учитывать и следующие факторы:

1. Не все преподаватели психологически способны перейти на паритетные отношения с учащимися. По нашим наблюдениям, это примерно 2–5% преподавателей.

2. Не все обучающиеся могут быстро включаться в интенсивное взаимодействие с группой. Поэтому желательна совместная работа руководителя игры с психологом.

3. В случае неудачи наступает подавленность (фрустрация) и неудача фиксируется. Следует идти навстречу желанию группы повторить игру еще раз, чтобы дать «отыгаться» и удовлетворить потребность в развитии образовательных возможностей.

4. Следует точно знать, что проводимая игра – образовательная по своему назначению и последствию и что вызываемые игрой возбуждение и интерес служат психоэмоциональной основой познавательного процесса, а не являются самоцелью.

Рекомендуется обратить внимание на следующие моменты при выборе игры для обучения:

1. Возможность работы в атмосфере непринужденности и поиска.
2. Соответствие уровню группы (если игра проста, то ее отвергнут, если слишком сложна – может вызвать фрустрацию).
3. Получение в игре оперативной обратной связи.
4. Четкая формулировка правил игры, возможность понимания их всеми участниками.
5. Достоверность игры. Игра должна быть подобна (изоморфна) действительности, но достаточно упрощена и укорочена, чтобы подчеркнуть ключевые параметры.

Искусство проведения имитационной игры включает разворачивание максимального разнообразия содержащихся в ней смыслов, что открывает возможность для ее глубокого восприятия – перцепции – участниками. Научившись узнавать проблему в игровых ситуациях, обучающийся начинает узнавать ее и в жизни, стремится прогнозировать дальнейшее развитие событий [10].

Московский университет и другие центры мира постоянно разрабатывают и применяют модели. Метод моделирования проникает как в глобальную культуру, так и в национальные культуры стран. В Тбилисском государственном университете им. И. Джавахишвили продолжает работу один из старейших центров Европы и Кавказа по разработке имитационных моделей и образовательных игр на их основе (руководитель проф. Ж. Толордава). МГУ с этим центром связывают многолетние творческие отношения и принадлежность к мировому сообществу имитационного моделирования, членство во Всемирной ассоциации ISAGA.

Имитационные игровые модели дают инструментарий для выработки и апробации в динамике сценарного образа будущего. Европейская «Стратегия образования для устойчивого развития» прямо указывает, что интерактивные методы должны занимать главенствующее место в образовании, что позволит помочь современным студентам быть готовыми к преодолению глобального, регионального или национального кризиса с наименьшими потерями.

ЛИТЕРАТУРА :

1. Узнадзе Д. Психология ребенка, 1947 Акад. наук Грузинской ССР;
2. Бирштейн М. Опыт организационно-производственных испытаний//Легкая промышленность, 1938, №3;
3. Платов В., Подиновский В., Бельский А. Деловые игры по охране труда в строительстве. М.: Стройиздат, 1987. С. 8;
4. См.: Смагин В., Христенко В. Оценка эффективности деловых игр // Тезисы докладов 16-го семинара ИФАК/ИСАГА «Деловые игры и имитационное моделирование» Алма-Ата, 1985. С. 102–103;
5. Каталевский Д., Солодов В. Применение системно-динамического анализа к проблемам общественной безопасности: некоторые аспекты безопасности дорожного движения // Актуальные проблемы теории и практики управления. М., 2008. С. 275-283;
6. თოლორდავა ჟ. ბიზნესის სწავლების იმიტაციური მოდელები და თანამედროვე ტექნოლოგიები, თბ. 2009, გვ. 129, 182;
7. Іваненко Л. Гра як пізнавальна та конструктивна діяльність. Харків. 2005 С.91, 178;
8. Кавтарадзе Д. Мастерская игр: ремесло и искусство М., 2013;
9. Асмолов А. Оптика образования: социокультурные перспективы, М., 2012;
10. Медоуз Д. Азбука системного мышления. М., 2010.

## **Business and Simulation Games in University Education**

*D. Kavtaradze*

Education always oriented to supportive in human life and in modern days endless.

To fit expectations of students, society and be attractive, a lot of moments should be taken in consideration: social resources, national priorities, business, culture and science needs and high speed of environment changes. The best way to make education running ahead of changes and prepare citizens to different options of coming future.

UN “Strategy for Education for Sustainable Development” started with chapter “Our common vision” to unite good will of educated and illiterate citizen in coherent activity. Special tool is interactive method in education; business games, system dynamics and other interactive methods as the most human way and language well known from childhood and best practice.

In simulation games events are coming very fast ask for decision, give you feedback and put new question ahead. Well known that “time is money” and in educational games time

turns into irreplaceable valuable resource that usually is pressed in thousand times. Educator, trainee wins time, and then gets experience of management of highly complicated dynamic systems with constant feedback that became part of personal experience that is impossible to forget.

In Georgia well known classical business games were designed by professor Jeanna Tolordava and widely used are “Eco-Tea-Georgia”, “Industrial Structure”, Leonid Ivanenko “Cybernetic Fitotron” and others. Simulation models are used to design business game with flexible structure, possible to change conditions and elements to adjust them to practical projects. It make business games instrument of prediction hidden, not obvious results of different decisions, open way to reduce or eliminate risks of management in modern “society of risk”.

Design of educational game takes time of professional group of specialist’s economists, managers, psychologists, environmentalists and managers. Set of educational games are available from magazine “Simulation and Gaming”, International Simulation and Gaming Association” (ISAGA) and manuals. At Moscow State University for decades several specialists are working V. Efimov, M. Krukov, D. Kavtaradze. Their manuals and monographs are well known and recently “Book for reading” in cooperation with Prof. E. Leigh (Australia) was produced. It gives good start for international cooperation in different areas of activity as business, environment protection and management to reduce risks in modern society.

**Keywords:** Strategy for education for sustainable development, system dynamics and other interactive methods, business games, simulation model, society of risk.

**JEL Codes:** I20, I21, C61, C63

## გეოეკონომიკური იმიტაციური მოდელების გამოყენება სასწავლო პროცესში

**ქანა თორდავა,**

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის იმიტაციური  
მოდელებების და სწავლების ინტერაქტიული  
მეთოდების საუნივერსიტეტო სასწავლო-  
კვლევითი ცენტრის მეცნიერ ხელმძღვანელი  
tolordava@hotmail.com*

ცნობილია, რომ იმიტაცია ხელს უწყობს არსებული თეორიული მასალის ღრმად შესწავლას, მკვლევართა ჰიპოტეზების აღქმასა და გაანალიზებას და შესაბამისად – სათანადო პროგნოზების გაკეთებას. ეს ბუნებრივია იმიტომ, რომ სწორედ მოდელების საშუალებით ხდება ამ სიტუაციების და მისი ცალკეული ელემენტების ასახვა და სათანადო ექსპერიმენტის მონაწილეთა მიერ საერთაშორისო სიტუაციის შედეგების შესაძლო ვარიანტების „ანონვა-გადასინჯვა“ და განვითარების სამომავლო სცენარების დანახვა (გააზრება). იმიტაციურ თამაშებს გააჩნია უნიკალური საგანმანათლებლო ეფექტი, რომელიც გამოიხატება სხვადასხვა დისციპლინიდან მიღებული ფრაგმენტარული ცოდნის გაერთიანებაში ერთიან სისტემად, რაც ხელს უწყობს სწორი გადაწყვეტილების მიღებას არსებული პრობლემის შესახებ.

**საკვანძო სიტყვები:** გეოეკონომიკა; გეოპოლიტიკა; იმიტაციური მოდელები; სწავლების ინტერაქტიული მეთოდები; საქმიანი თამაშები; ბიჰევიორული სისტემა.

### იმიტაციური მოდელების მნიშვნელობა

გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური გადაწყვეტილებების უმრავლესობა შემუშავებულ იქნა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში XX საუკუნის

ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში, კომპიუტერული და ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძველზე მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკური პროცესების განვითარების სხვადასხვა ვარიანტის გათამაშებით.

მიუხედავად ამისა, გლობალიზაციის არაერთგვაროვანი პროცესები, მსოფლიოს მზარდი პოლარიზაცია უფრო აქტუალურს ხდის გლობალური ბიზნეს-პროექტების რეალიზაციას ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით. საჭიროა მსოფლიო ეკონომიკის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების განვითარება ისეთ სფეროებში, როგორცაა: შრომის საერთაშორისო დანაწილება, ქვეყნის მსოფლიო პროცესებში ინტეგრაციის ახალი ფორმების და მიმართულებების ძიება.

ამ თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს აკადემიკოს ვ. პაპავას, პროფესორების თ. ბერიძისა და ე. ისმაილოვის აღნიშნული თემატიკისადმი მიძღვნილი ფუნდამენტალური შრომები [1; 4].

ამჟამად ცენტრალური კავკასიის ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად, მისი ორივე აღნიშნული ფუნქციის – როგორც გეოპოლიტიკურის, ისე გეოეკონომიკურის აღდგენა ხდება. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ ეტაპზე უფრო ინტენსიურად უნდა განვითარდეს რეგიონის გეოეკონომიკური ფუნქცია [1].

გეოეკონომიკური ფუნქციის უპირატესი განვითარება აიხსნება გეოეკონომიკის მნიშვნელობით, რაც რიგი ავტორის მიხედვით, გულისხმობს „სახელმწიფოთა მიერ არჩეულ ეკონომიკურ სტრატეგიებს გარკვეულ პოლიტიკურ პირობებში“ [7].

გეოეკონომიკა შეისწავლის და აანალიზებს სტრატეგიებს და „პრიორიტეტულად მიიჩნევს არა გეოგრაფიულ, კულტურულ, ეთნიკურ და ა.შ. ფაქტორებს, არამედ „სივრცესთან“ დაკავშირებულ ეკონომიკურ რეალობას“ [6].


აღნიშნული პროცესების მნიშვნელობიდან გამომდინარე, საჭიროა მათი შესწავლა და გაანალიზება უკვე სტუდენტობის პერიოდიდან, ანუ გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური სიტუაციების სერიოზული „გათამაშება“, იმიტაციური მოდელირების გამოყენებით.

სწორედ ამ მიზნით, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმიტაციური მოდელირების და სწავლების ინტერაქტიური მეთოდების საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო ცენტრში შემუშავდა და სასწავლო პროცესში დაინერგა საქმიანი თამაშის სახით სიმულაციური კომპიუტერული მოდელი – „გეოეკონომიკა“, თავდაპირველად სხვადასხვა ვერსიაში [2, გვ. 66, 3, გვ. 182].

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საქმიანი თამაშის მიზანია საქართველოს მიერ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება სამ პირობით ქვეყანასთან. აღნიშნულ მოდელში მოცემულია სამი ქვეყნის

ეკონომიკის სტრუქტურა (მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის ჩათვლით), რომლებთანაც საქართველოსთვის უნდა შეირჩეს ურთიერთმომგებიანი გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური ინტერესების შეთანხმება. თამაში ტარდება შემდეგი სქემით:

საქართველო – საზღვარგარეთის ქვეყნები




ხელშეკრულების დადების ეტაპზე თამაშდება მოლაპარაკება-რაუნდების პროცედურა, რომლის დროსაც თამაშის მონაწილეები ცდილობენ მიაღწიონ მოლაპარაკების საუკეთესო პირობებს, რისთვისაც ერთმანეთს სთავაზობენ ოფშორულ ზონებს, სატარიფო და არასატარიფო ზომების შემოღებას, თანამშრომლობის გეოგრაფიის გაფართოებას, ქვეყნის ინტერესების დაცვას და სხვ.

ბოლო ეტაპია სადისკუსიო ბლოკი, სადაც განიხილება დასკვნითი მოხსენებები შემუშავებული პროექტების წარდგენით, რის საფუძველზეც მიიღება საბოლოო გადაწყვეტილება ქვეყნებს შორის ამა თუ იმ სახის საქმიანი ურთიერთობების დამყარების შესახებ.

საქმიანი თამაში – „გეოეკონომიკა“, ტარდება ორ ეტაპად:

**ეტაპი I. ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის, მათი პოტენციალის გაანალიზება და დადგენა**

კომპიუტერულ კლასში სტუდენტები განიხილავენ ე.წ. ბიჰევიორულ სისტემას, კერძოდ პროგრამირებული ტიპის კომპიუტერულ მოდელს, რომელიც ეროვნული ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის შეფასების საშუალებას იძლევა. იმიტაციურ მოდელში მოცემულია სამი საზღვარგარეთის ქვეყნის და საქართველოს მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა, რაც ქვეყნების პოტენციალის გაანალიზებისას მეტ კონკრეტულობას იძლევა. ამ ეტაპზე თამაშის მიზანია მოცემულ ქვეყნებში არსებული ეკონომიკური სიტუაციის ანალიზი და მათი ეკონომიკური მდგომარეობის, პოტენციალის დადგენა, რაშიც სტუდენტებს ბიჰევიორული სისტემა ეხმარება. გრაფიკზე, როგორც მაგალითი, მოტანლია ერთ-ერთი ქვეყნის დახასიათება ამ კუთხით.



**ქვეყნის მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის (მდს) დახასიათება (შესაძლო პასუხები)**

1. მდს პროგრესულია.
2. მდს ახასიათებს ქვეყნის მაღალტექნიკურ აღჭურვილობას.
3. მდს ახასიათებს ქვეყნის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას.
4. მდს ახასიათებს მოცემული ქვეყნის ქიმიზაციის მაღალ დონეს.
5. მდს ახასიათებს მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის მაღალ დონეს

**ეტაპი II. ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება სამ პირობით ქვეყანასთან**

მოდელის ანალიტიკურ ნაწილში მიღებულ იქნა რუსი მკვლევრის კ. სო-როკინის კლასიფიკაცია და მეთოდოლოგიური მიდგომა, რომლის მიხედვით საქმიანი იმიტაციური თამაში კონსტრუირებულ იქნა როგორც ოთხი ბლოკის კომბინაცია: I – საქართველოს გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური პირობების შეფასება; II – მოდელის – საზღვარგარეთის ქვეყნების პოტენციური საბაზისო გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური ინტერესების განსაზღვრა; III – საქართველოსა და ახლო და შორეული საზღვარგარეთის ქვეყნების ინტერესების შეთანხმება; IV – გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური ინტერესების რეალიზაციის ხერხების არჩევის ბლოკი [5].

ოთხივე ბლოკის ინფორმაციული ბაზა და რიცხობრივი მასივი შეტანილია კომპიუტერში, რაც სტუდენტებს აძლევს დამხმარე მოდელების გაანგარიშების და პროექტების შედგენის საშუალებას. არსებული ინფორმაციული ბაზის მეშვეობით ტარდება სიტუაციათა ანალიზი, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს სწორი გადაწყვეტილების მიღებას და პროექტის საქმიან დასაბუთებას.

ვინაიდან გეოეკონომიკა მოიაზრებს სივრცეს უტილიტარულ-ეკონომიკური ქრილით, მოდელში ქვეყნების როლის დადგენა ხდება საბაზო გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, სადაც ქვეყნის ტერიტორია განიხილება როგორც:

1) ენერგორესურსებისა და მინერალური ნედლეულის წყარო; 2) სატრანსპორტო გზების გამტარებელი; 3) კავშირგაბმულობის ხაზების გამტარებელი; 4) ზღვასა და ოკეანეში გასვლის, ან როგორც სატრანსპორტო ტრანზიტის საშუალება; 5) სამხედრო-სტრატეგიული პლაცდარმი/ ბუფერი; 6) არსებული სამრეწველო ობიექტების მატარებელი; 7) სამუშაო ძალის პოტენციური წყარო; 8) ეკოლოგიურად სუფთა საცხოვრებელი სივრცე.

ყოველივე ეს მოცემულია კომპიუტერის ინფორმაციულ ბაზაში შესაბამისი შეფასებით, აქვე ხდება შესაძლო დადებითი და უარყოფითი შედეგების გაანალიზება. ამ ეტაპზე დგება საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების სავარაუდო ვარიანტი საზღვარგარეთის ქვეყნებთან.

აღნიშნული ბლოკების მიხედვით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების შემდეგ სტუდენტები ადგენენ სამუშაო პროექტებს.

პროექტებში განიხილება ეკონომიკური თანამშრომლობის ფართო პროგრამა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სფეროს, როგორცაა: სამრეწველო კოოპერაცია, კონვერსია, ინვესტიციები, ტექნიკური ინოვაციები, ერთობლივი საწარმოების შექმნა; ასევე სხვადასხვა დარგთან (სოფლის მეურნეობა, ენერჯეტიკა, ტრანსპორტი ტურიზმი) ხელშეკრულების დადებას.

სიმულაციური მოდელის – „გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური ინტერესების რეალიზაციის მეთოდების არჩევის“ ბლოკში განიხილება ისეთი

მეთოდები, როგორცაა: შეღწევა, ენერგო-, ტექნოლოგიური და ტრანსპორტული დამოკიდებულების გამოყენება, „ალანსირებადი“ ტიპის დიპლომატია, სამხედრო დახმარება.

**შეღწევა** არის ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობა ბაზარზე გაყიდვების მოცულობის გაზრდის მიზნით.

**ენერგოდამოკიდებულების გამოყენება** გულისხმობს მომწოდებელი ქვეყნის მიერ ექსპორტირებადი ენერგომატარებლების მიწოდების შეჩერებას. ენერგოდამოკიდებულება ენერგეტიკული და ნაციონალური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

**ტექნოლოგიური დამოკიდებულების გამოყენება** გულისხმობს სხვა ქვეყნის ტექნოლოგიურ რესურსებსა და მიღწევებზე დამოკიდებულებას, რასაც შეიძლება მოჰყვეს გასაღების ბაზრების დაკარგვა ან მისი წილის შემცირება.

**ტრანსპორტული დამოკიდებულების გამოყენება** გულისხმობს მოლაპარაკებების წარმართვას სატრანზიტო გადასახადების მანევრირების გზით. ამ პოლიტიკას იყენებენ სატრანსპორტო გზებზე გამატარებელი ქვეყნები.

**„ბალანსირებადი“ ტიპის დიპლომატიის** პრინციპია ის, რომ ამოსავალი ქვეყანა ვერ ინარჩუნებს თავის პოზიციებს რომელიმე ქვეყანაში, სადაც მანამდე იგი „გაბატონებული“ იყო და თმობს მას, მაგრამ უტოვებს მრავალ გადაუწყვეტელ პრობლემას. ეს მეთოდი გამოიყენება ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, რომლებიც ცდილობენ დაამყარონ სხვა უცხოურ ძლიერ ქვეყნებთან კავშირები, მაგრამ კონფლიქტები, რთული ეკონომიკური მდგომარეობა და სხვა პრობლემები, რომელსაც უტოვებს რუსეთი, ნაკლებად სასურველს ხდის აღნიშნული ქვეყნებისათვის ურთიერთობებს [5].

**სამხედრო დახმარება** არის ადგილობრივი კადრების მომზადება, მშვიდობისმყოფელობა, იარაღის მიწოდება, სამხედრო ბაზების შექმნა, სამხედრო ძალის გამოყენება. სამხედრო დახმარება ასევე გულისხმობს ფინანსურ მხარდაჭერას.

## თამაშის მსვლელობა

საქმიან თამაშში გამოიყენება ყველა აქ ჩამოთვლილი მეთოდი. ამასთან ერთად, ყოველი მიღებულ ინტერესის რეალიზაციის მეთოდზე მოცემულია შესაძლო ნეგატიური შედეგები საქართველოსათვის.

მოყვანილი კლასიფიკაციის მიხედვით, მოდელის – **„ენერგოდამოკიდებულების გამოყენების“** მეთოდით გათვალისწინებულია ისეთი ქმედება, როგორცაა ენერჯის მიწოდების შეჩერება. ეს დამატებითი სტიმულია

სტუდენტების სიტუაციაზე კომპეტენტური რეაგირებისთვის. კერძოდ, თუ რომელიმე საზღვარგარეთის ქვეყანა საქართველოს მიმართ იყენებს ენერჯის მიწოდების შეჩერების მეთოდს, თამაშის მონაწილეებს სანადალდეგო ლონისძიებების სახით შემოაქვთ მზისა და ქარის ენერჯის გამოყენების წინადადება ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის ზრდის მიზნით. ამასთან, ისინი სვამენ საკითხს სხვა მეზობელ ქვეყნების ენერგეტიკასთან ინტეგრაციის შესახებ, რაც ხელს უწყობს ენერჯის რაციონალურ გამოყენებას. სტუდენტები მათ მიერ შემუშავებულ პროექტებში განსაზღვრავენ იმპორტირებული სათბობის მოცულობას, ჰიდრორესურსების უპირატეს გამოყენებას.

თამაშის მონაწილეებს წინასწარ თვით მოდელში ეძლევათ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საქართველოს ენერგეტიკული იმპორტის ძირითადი რესურსებია ნავთობპროდუქტები და ბუნებრივი გაზი, ხოლო სეზონური და ერთდღეურადი საიმპორტო რესურსების სახით მიენოდებათ ელექტროენერჯია და ნახშირი. გარდა ამისა, მათთვის ცნობილია, რომ ამ ეტაპზე ენერჯის ექსპორტი, არსებული რესურსული პოტენციალის პირობებში, არ წარმოადგენს შემოსავლის წყაროს.

„ტრანსპორტული დამოკიდებულების გამოყენების“ მიხედვით მოდელში მიღებულია საქართველოსა და აზერბაიჯანის ტვირთზიდვის სპეციფიკა, უცხოეთის ქვეყნებისათვის ტვირთის ტრანზიტის თვალსაზრისით. ამ დარგში თანამშრომლობის განვითარებას გეოეკონომიკური მნიშვნელობა აქვს.

იმიტაციურ მოდელში ხდება აღნიშნული პრობლემის გადანყვევების სხვადასხვა ვარიანტის გადასინჯვა-გათამაშება. აქ გათვალისწინებულია როგორც ნავთობის, ასევე სხვა სახის ტვირთის გადაზიდვა, რის გამოც საქართველოს საბიუჯეტო შემოსავლები იზრდება (სატრანზიტო მომსახურებიდან).

მოდელში ამ სახის იმიტაციის შეტანა დიდ მნიშვნელობას იძენს სატრანსპორტო დერეფნის ევროპა-კავკასია-აზიას (TRACEKA) პირობებში, რომელიც ევროპისთვის აზიასთან დამაკავშირებელი უმოკლესი გზაა.

საქმიანი თამაშის ინფორმაციულ ბლოკში სტუდენტებს ევროპა-კავკასია-აზიის ინტეგრაციის და გეოეკონომიკური ფაქტორის როლის გასაძლიერებლად, როგორც მაგალითი, ეძლევათ ევროპის გამოცდილება, რომლის დროს სწორედ გეოეკონომიკურმა მოთხოვნებმა ნაშალა საზღვრები ევროპაში და განაპირობა მჭიდრო ეკონომიკური ინტეგრაცია, რის შედეგად შესაძლო გახდა გაერთიანებული განვითარება ევროპაში. ამ სახის პარალელების გავლას (აგებას) დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ეს იძლევა ვირტუალური (ამ შემთხვევაში ევროპა-კავკასია-აზიას ინტეგრაცია) და რეალური სამყაროების (ევროკავშირი) შედარების საშუალებას, რაც სტუდენტებს ეხმარება სწორი გადანყვევტილებების მიღებაში.

თამაშის ერთ-ერთი მიზანია იმ შესაძლებლობების გადამოწმება (გადასინჯვა), თუ რამდენად შესაძლებელია სხვადასხვა სიახლის დანერგვა, რაც ჰიპოტეზების დონეზე შემოთავაზებული რიგი მეცნიერის მიერ.

ამ შემთხვევაში სტუდენტებს დავალების სახით ეძლევათ ისეთი პრობლემების გადაწყვეტა, როგორცაა ცენტრალური კავკასიის ქვეყნების ინტეგრაცია, ინვესტირება, სახელმწიფოთაშორისო კლასტერის, ენერგეტიკული რესურსების სატრანსპორტო ჰაბის შექმნა და ა. შ. სწორი გადაწყვეტილების მიღებისათვის ისინი წინასწარ უნდა გაეცნონ ამ თემატიკის თეორიულ მასალებს და კვლევებს.

ასეთ მიდგომას, ევრისტიკული მეთოდების გამოყენებით, რომელიც სტუდენტური აუდიტორიის არაერთგვაროვნების გამო ინვესს საქმიან დისკუსიას, ბევრი დადებითი მხარე აქვს. პირველი ის არის, რომ სტუდენტები ღებულობენ ახალ ინფორმაციას და ცოდნას რეგიონის სამომავლო განვითარების შესახებ, ადგენენ თუ რა სახის ახალი სცენარებით არის მოსალოდნელი ცენტრალური კავკასიის განვითარება და რა პერსპექტივები აქვს სატრანსპორტო დერეფნის – ევროპა-კავკასია-აზიის ფუნქციონირებას, რამდენად გამოინვეს იგი სტრატეგიული ინვესტიციების ინტერესს. მეორეა თამაშის მონაწილეების მიერ პრაქტიკული უნარ-ჩვევების მიღება პრობლემის გადაწყვეტისას და გადაწყვეტილების მიღების დროს ანალიტიკური და პროგნოსტული ფუნქციების დაუფლება.

მოსმენილი მოხსენებებისა და წარმოდგენილი პროექტების საფუძველზე თამაშის ადმინისტრატორი აჯამებს მიღებულ გადაწყვეტილებებს, აღნიშნავს თამაშში მიღებულ რაციონალურ წინადადებებს, ხაზს უსვამს რა ცალკეული მოთამაშეების დადებით მხარეებს (კომპეტენცია, პროფესიონალიზმი, საქმიანი და ეთიკური დონე) და აცხადებს გამარჯვებულ პროექტს.

#### ლიტერატურა:

1. ვლადიმერ პაპავა, ელდარ ისმაილოვი. ცენტრალური ევრაზია: ახლებური გეოპოლიტიკური გააზრება. გამომცემლობა "ინტელექტი", თბ. 2012.
2. Tolordava J., De Tombe D., Kavtaradze D., Panizzi G., Rizzi P., E. Leigh. International Experience in Simulation Modeling: Economics and Business, Ecology, Sociology. იმიტაციური მოდელირების საერთაშორისო გამოცდილება: ეკონომიკა და ბიზნესი, ეკოლოგია, სოციოლოგია. მონოგრაფია. თსუ-ის გამომცემლობა. 2013
3. თოლორდავა ჟ. ბიზნესი. სწავლების იმიტაციური მოდელები და თანამედროვე ტექნოლოგიები. თბილისი გამომცემლობა "ლამპარი," თბ, 2009.
4. Папава В., Беридзе Т. Очерки политической экономики посткоммунистического капитализма. М. Изд. Дело и Сервис, 2005, стр.147;

5. Сорокин К. Геополитика современности и геостратегия России М, 1996. 6. Рябцев В. Моделирование геополитических процессов в мировых регионах в условиях глобализации. М, 2012.
6. Attali J. Millennium: Winners and Losers in the Coming Order” (1992) <http://www.earthemperor.com/2008/12/08/millennium-winners-and-losers-in-the-coming-world-order-by-jacques-attali/>
7. Lorot P., Introduction à la Géoéconomie (direction of the work), Economica, 1999 <http://www.univparis1.fr/formation/arts-sciences>

### **Application of the Geoeconomic Simulation Models in Teaching**

*Zh. Tolordava*

It is a common knowledge that simulation games carry a unique educational impact. They provide for the combination of the fragmented subject-to-subject knowledge into an integrated perception of the problem, necessary for arriving at a most viable comprehensive solution. Thus, business games are the most popular educational techniques.

This article describes a geoeconomic computer business game, which was designed and implemented into the teaching practices at the university wide Educational Research Center for Simulation and Interactive Learning of Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

The simulation model involves three provisional foreign countries with which Georgia has to enter into mutually beneficial trade and economic agreements. For such purposes the game presents economic structure of the said countries, including the industrial sectoral structure in the computerized behavioral version. The game is aimed on the establishment of the most justified version of the agreements from the geoeconomic and geopolitical points of view.

**Keywords:** geoeconomics, geopolitics, simulation model, interactive methods, business games, behavioral system.

**JEL Codes:** C60, C63, C70

**აკადემიკოსი ვასილ ჩანტლაძე - 110**  
**ACADEMICIAN VASIL CHANTLADZE - 110**

---

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანატისა და ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრის თაოსნობით, 2015 წლის 21 მაისს თსუ-ში ჩატარდა აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძის დაბადების 110 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ და მოხსენებებითა და მოგონებებით გამოვიდნენ: თსუ-ის რექტორი აკადემიკოსი ვაჰაპავა; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გ. კვეციტაძე; აკადემიკოსი ა. სილაგაძე; ფაკულტეტის დეკანი პროფ. თ. ბერიძე; ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრის გამგე პროფ. ი. კოვზანაძე; ეკონ. მეცნ. დოქტორები, პროფესორები: გ. ხელაია, ე. მექვაბიშვილი, ი. მესხია; ეკონომიკის დოქტორები: ნ. ბაგრატიონი, დ. იაკობიძე, ე. ჯგერენაია.

იუბილარის ოჯახის სახელით, სხდომის მონაწილეებს მიესალმა, მადლობა გადაუხადა და აკადემიკოს ვ. ჩანტლაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ზოგიერთ ასპექტზე გაამახვილა ყურადღება იუბილარის დისშვილმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელმა მ. ჭირაქაძემ.

**საიუბილეო სხდომა გახსნა და აკად. ვასილ ჩანტლაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენება წაიკითხა თსუ-ის ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრის გამგემ, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ირაკლი კოვზანაძემ.**

ქვემოთ ვბეჭდავთ იუბილარისადმი მიძღვნილი ზოგიერთი გამომსვლელის სრულ ტექსტს.

### გამოჩენილი მეცნიერი და პედაგოგი

აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძის მემკვიდრეებმა კარგად ვიცით მისი მოღვაწეობის ღირსსახსოვარი მომენტები, თუმცა, ნება მიბოძეთ, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი.

ბატონი ვასილი 21 წელიწადი ღირსეულად უძღვებოდა ფინანსებისა და კრედიტის კათედრას. იგი იყო XX საუკუნის 80-იანი წლების თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების კერპი, ადამიანი, რომელიც ხშირად უსწრებდა ეპოქას. ადამიანი, რომელიც უანგაროდ და სიყვარულით ემსახურებოდა მეცნიერებასა და სტუდენტების აღზრდა-განათლების საქმეს. ბატონი ვასილ ჩანტლაძე იყო თვალსაჩინო მკვლევარი, ეკონომისტთა მრავალი თაობის აღმზრდელი, დიდებული მამულიშვილი და საზოგადო მოღვაწე, რომელიც შეიძლება დახასიათდეს შემდეგი უაღრესად ტევადი ფრაზებით: დიდი მეცნიერი, ჩინებული მასწავლებელი, უბადლო მეგობარი და კოლეგა.

ბატონი ვასილი, ალბათ, ერთადერთი ქართველი ეკონომისტი, რომელიც 70 წლის მანძილზე ეწეოდა მეცნიერულ-პედაგოგიურ საქმიანობას და რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, 90 წლის ასაკშიც კი, ახალგაზრდული ენერჯით განაგრძობდა აქტიურ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მრავალმხრივი იყო მისი სამეცნიერო ინტერესების სფერო: გარდა ფინანსების, ფულისა და კრედიტის თეორიის, პრაქტიკისა და ისტორიის, მისი კვლევის ობიექტი ასევე იყო ქართული ეკონომიკური აზრის თეორიის მრავალი პრობლემური საკითხი. სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე მან მრავალი პრობლემა დასვა და გადაჭრა, მრავალი საკითხი აქცია ქართული ეკონომიკური მეცნიერების ინტერესის საგნად, ახლებურად წარმოაჩინა და მაღალ მეცნიერულ დონეზე დაასაბუთა. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ბატონი ვასილის ყველა ნაშრომი, რომელიც შექმნილია საბჭოთა ეპოქაში, ისეა გამსჭვალული ღრმა მეცნიერული არგუმენტებით, რომ იდეოლოგიური ზეგავლენა მათზე არსებით კვალს ვეღარ ტოვებს.

გარდა სამეცნიერო მოღვაწეობისა, ვასილ ჩანტლაძე ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი იყო მრავალი სამეცნიერო საბჭოს წევრი,

მინიჭებული ჰქონდა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. იგი ასევე აქტიურად და შთამბეჭდავად მონაწილეობდა საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დისერტაციები მოამზადა და დაიცვა 40-ზე მეტმა მკვლევარმა, მათ რიცხვში ქართველებთან ერთად იყვნენ აზერბაიჯანელი, სომეხი, გერმანელი, პოლონელი და ვიეტნამელი დისერტანტები.

ვასილ ჩანტლაძე დაიბადა 1905 წლის 8 იანვარს ქ. ზესტაფონში, საშუალო განათლება თბილისის ვაჟთა გიმნაზიაში მიიღო. გიმნაზიის დამთავრებისთანავე, 1923 წელს, ბატონი ვასილი თსუდის სტუდენტი ხდება. 1927 წელს, უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, ვასილ ჩანტლაძე, თავისი მასწავლებლის დ უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამარსებლის დ ფილიპე გოგიჩაიშვილის რეკომენდაციით, რჩება კათედრაზე და აგრძელებს აკადემიურ მოღვაწეობას. თსუ-ის სამეცნიერო საბჭომ ბატონ ვასილს 1941 წელს, სადისერტაციო შრომის - „გადასახადები და სიღარიბე, ჰენრი ჯორჯი და მისი თანამოაზრენი“, დაცვის საფუძველზე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭა. რაც შეეხება სადოქტორო დისერტაციას, მან საკვლევად შეარჩია „ფინანსები რეფორმამდე აღმოსავლეთ საქართველოში (1801-1864 წწ)“, რაც 1954 წელს წარმატებით დაიცვა კიდეც. მას მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. 1958 წლიდან ბატონი ვასილი თსუ-ის ფინანსებისა და კრედიტის კათედრის პროფესორის მოვალეობის შემსრულებელია, ხოლო 1959 წელს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ ვასილ ჩანტლაძეს მიანიჭა პროფესორის წოდება.

ამავე პერიოდს უკავშირდება პირველი სამეცნიერო ნაშრომები: „სტატისტიკის ისტორია ინგლისში“, „ფინანსური მეცნიერების ამოცანები“ და „დაბეგვრის სიმძიმის საკითხისათვის“. ადრე კი, მისი ნაშრომი - „მარქსისა და ენგელსის ფინანსური მოძღვრება“, გამოქვეყნდა ჟურნალში - „საქართველოს ეკონომისტი“ (№7, 1930 წ.).

1930 წელს ვასილ ჩანტლაძე მიიწვიეს ლექტორად თსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტზე და კითხულობდა ლექციებს შემდეგ დისციპლინებში: კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები; სსრკ ფინანსები; სსრკ ფინანსები და კრედიტი; ფინანსების, ფულისა და კრედიტის ისტორია. მოგვიანებით, 1930-1941 წლებში, მას დაემატა ლექციების კურსი: სტატისტიკის ზოგადი თეორია; ფინანსური სტატისტიკასა და სტატისტიკის ისტორია.

1931 წელს, როდესაც ფილიპე გოგიჩაიშვილმა დატოვა უნივერსიტეტი, ფინანსების კათედრის ხელმძღვანელობა 26 წლის დოცენტმა ვასილ ჩანტლაძემ იტვირთა. 1933 წელს ფინანსებისა და კრედიტის კათედრები გაერთიანდა და ხელმძღვანელად დაინიშნა ცნობილი პროფესორი ნიკოლოზ ქოიავა, რომელიც ამ კათედრას 1966 წლამდე ხელმძღვანელობდა. 1967 წლის ნოემბერში ბატონი

ვასილ ჩანტლაძე აირჩიეს თსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსებისა და კრედიტის კათედრის გამგედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის სექტემბრის ბრძანებულებით, ვასილ ჩანტლაძეს მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

თსუ-ში მოღვაწეობის გარდა, 1930-1936 წწ. ვასილ ჩანტლაძე ლექციებს კითხულობდა ასევე ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის უმაღლეს ფინანსურ სკოლაში, ამიერკავკასიის დაუსწრებელ ინსტიტუტსა და ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში; 1936-38 წწ. ასწავლიდა ფინანსურ-ეკონომიკურ და სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ტექნიკუმებში. 1945-1980 წწ. შეთავსებით მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე.

1974 წლის 29 მარტს ვასილ ჩანტლაძე აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1979 წლის 28 დეკემბერს – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. ვასილ ჩანტლაძე გარდაიცვალა 1995 წელს, 90 წლის ასაკში.

რაც შეეხება ბატონი ვასილის კვლევებს, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „ფინანსების თეორიის საკითხები“, რამაც მას საქვეყნო აღიარება და სახელი მოუტანა. ცნობილმა სპეციალისტებმა ეს შრომა შეაფასეს, როგორც ეკონომიკური მეცნიერების ოქროს ფონდში შეტანილი დიდი წვლილი. იგი ითარგმნა უცხოურ ენებზე, მათ შორის ჩინურადაც და მილიონობით ტირაჟით გამოიცა საზღვარგარეთ.

ასევე საინტერესოა მისი 89 წლის ასაკში გამოცემული შესანიშნავი მონოგრაფია „ფინანსური მეურნეობის საფუძვლები“. ამ ნაშრომში გამოკვეთილია ფინანსური ურთიერთობის მისადაგება თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პრონციპული მოთხოვნებისადმი, სიახლის გრძნობა და ამ საკითხების ავტორისეული ნათელი და დამაჯერებელი გადმოცემის შეუდარებელი ოსტატობა.

ბატონი ვასო ჩანტლაძე თავისი მეცნიერული კვლევა-ძიებით ბევრ პრობლემატურ თემას შეეხო და მისეული ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა. მაგალითად, სპეციალისტებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ ფინანსებს მეცნიერების დიდი ჯგუფი ზედნაშენურ კატეგორიად მიიჩნევდა, ზოგიც, მეცნიერების შედარებით ვიწრო წრე, მას ბაზისს მიაკუთვნებდა. დავა მათ შორის ათეული წლები გრძელდებოდა. ბატონმა ვასილმა სათანადო წყაროების ღრმა მეცნიერული ანალიზით ამ დავას ბოლო მოუღო და დამაჯერებლად ცხადჰყო, რომ ფინანსები იყო, არის და იქნება ისეთი ეკონომიკური კატეგორია, რომელიც მიეკუთვნება ბაზისს და არა ზედნაშენს.

დიდია და ფასდაუდებელი ბატონი ვასილის მეცნიერული ღვაწლი ფულის, კრედიტისა და ფინანსების გენეზისის განსაზღვრაში. საქმე ისაა,

რომ ეკონომისტთა ერთი ნაწილი უარყოფდა ფინანსების არსებობას კაპიტალიზმამდე საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებში და მას მხოლოდ კაპიტალიზმისა და სოციალიზმის პირობებში აღიარებდა. ბატონმა ვასილმა მისთვის ჩვეული, საკითხის ყოველმხრივი განხილვითა და მკაცრი ლოგიკურობით, სათანადო მასალებზე დაყრდნობით, დაასაბუთა ფინანსების არსებობა მონათმფლობელურ და ფეოდალურ საზოგადოებებშიც. მისი მეცნიერული დასკვნაა ის, რომ ფული და კრედიტი წარმოშობილია პირველყოფილი საზოგადოების განვითარების მაღალ საფეხურზე, ხოლო ფინანსები დ მონათმფლობელურ საზოგადოებაში, კერძო საკუთრების, კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ასევე დიდხანს იყო გაბატონებული აზრი იმის შესახებ, რომ ფინანსები გაანაწილებს და გადაანაწილებს ეროვნულ შემოსავალს და ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტს. ბატონმა ვასილმა საფუძვლიანად გადაამუშავა და დააზუსტა ეს დებულება და მასში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა, კერძოდ, დაამტკიცა, რომ ფინანსები ანაწილებს და გადაანაწილებს არა მარტო ეროვნულ შემოსავალსა და ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტს, არამედ ეროვნულ სიმდიდრესაც.

ვასილ ჩანტლაძეს ორიგინალური განმარტებები აქვს მოცემული ფინანსური მეცნიერების საგნის, მეთოდის და ამოცანების შესახებ. ამ მხრივ საყურადღებოა მისი მონოგრაფიები-„ფინანსური მეცნიერების საგანი და ამოცანები“ და „ფინანსური თეორიის საკითხები“. ამ ნაშრომებში ბატონმა ვასილმა მოგვცა ფულისა და ფინანსების არსის ორიგინალური დასაბუთება და ახსნა, თუ რა შემთხვევაში იქცევა ფული ფინანსებად. მას ასევე აქვს მოცემული ფულადი ფონდების, საკრედიტო ფონდებისა და ბიუჯეტური ფონდების წრებრუნვაში და წრებრუნვის გარეშე მოძრაობის ორიგინალური დასაბუთება.

ბატონ ვასილს დამსახურებაა ასევე მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ნაშრომების ეკონომიკური კუთხით გამოკვლევა და გააზრება. მას ეკუთვნის ნაშრომები: „სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებანი“, „ფინანსები რეფორმამდე აღმოსავლეთ საქართველოში“, „შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები“.

„სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებანი“ წარმოადგენს პირველ ცდას სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკურ შეხედულებათა ჩამოყალიბებისა და დასაბუთებისათვის, აგრეთვე იმ მხრივ, რომ ეს შრომა ხ1ხ საუკუნემდელი ქართული ეკონომიკური აზრის შესწავლის პირველი ცდაა. სულხან-საბას ეკონომიკური შეხედულებანი ბატონმა ვასილმა შეისწავლა შედარებითი ხერხის გამოყენებით და განიხილა მსოფლიო ეკონომიკური აზრის განვითარების ასპექტით. ამ შრომაში დასაბუთებულია იმ დროისათვის სულხან-საბა ორბელიანის პროგრესული დებულება, რომლითაც იგი 70 წლით

უსწრებს ფიზიოკრატიული მიმართულების მამამთავარს დ ფრანსუა კენეს. ეს საკითხი მოხსენდა ეკონომისტ დ ისტორიკოსთა საერთაშორისო კონგრესს ლენინგრადში 1970 წლის აგვისტოში. მოხსენების ტექსტი დაიბეჭდა და გავრცელდა რუსულ და ინგლისურ ენებზე, ხოლო ამის შემდეგ პოლიტიკური ეკონომიის ენციკლოპედიის რედაქციამ ენციკლოპედიაში შეიტანა სულხან-საბა ორბელიანი, როგორც ფიზიოკრატიული სკოლის წინამორბედი თავისი ეკონომიკური შეხედულებებით.

**დასასრულ, კვლავაც ხაზგასმით აღვნიშნავ აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძის დიდ წვლილს ზოგადად ეკონომიკური მეცნიერების, და განსაკუთრებით ფინანსების თეორიის განვითარებაში.**

**ირაკლი კოვზანაძე**

*თსუ-ის ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრის გამგე,  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.*

### თვალსაჩინო მეცნიერი, ბრწყინვალე პედაგოგი და მამულიშვილი

მეცნიერების ჭეშმარიტი რაინდი – ძალიან მოკლედ, ამ სამი უაღრესად ტევადი სიტყვით შეიძლება დავახასიათოთ აკადემიკოსი ვასილ ჩანტლაძე, ეს ჩინებული მასწავლებელი და ამღრზდელი, შესანიშნავი მეგობარი და სამაგალითო მამულიშვილი. რაინდობა კი მეცნიერებაში თავისთავად გულისხმობს მძლავრ ინტელექტუალურ სიღრმესა და სიმალღესთნ ერთად უზარმაზარ, ამოუწურავ სულიერ და ზნეობრივ ენერგიას, რომელიც სათავეს იღებს პროფესიონალური მოღვაწეობისადმი უსაზღვრო ერთგულებისა და თავდადების საერთო წიაღიდან. ბუნებას ვ. ჩანტლაძისათვის არაფერი არ დაუშურებია, არც ფენომალური ნიჭი და უნარი, არც დაუშრეტელი სასიცოცხლო ენერგია და ახლის ძიების დაუცხრომელი წყურვილი. ამით აიხსნება ის მართლაც იშვიათი მდგომარეობა, რომ ბატონი ვასილი უიშვიათესი ქართველი ეკონომისტი, რომელიც უაღრესად ნაყოფიერი მეცნიერულ-პედაგოგიური ცხოვრებით სუნთქავდა 70 წლის მანძილზე და 90 წლის ასაკში ჭაბუკური გატაცებით ეწეოდა აქტიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობის მძიმე და საპატიო ჭაპანს.

დიახ! ასეთი ცხოვრება არის შეუვალა და უკომპრომისო ბრძოლა ამაღლებული მიზნის მისაღწევად, ჭეშმარიტების დასადგენად და ნამდვილად ბედნიერია ვასილ ჩანტლაძე, როგორც მეცნიერი და პედაგოგი, რომელმაც არსებობის ყოველი წუთი ასეთ ბრძოლაში მოპოვებული, ბრწყინვალე გამარჯვებით დააგვირგვინა. ბედნიერები ვართ ჩვენც, მისი ახლობლები, მონაფეები, მეგობრები და კოლეგები, რამეთუ კარგად ვიცით, ვისთვის უნდა მიგვებაძა, რა გზით უნდა გვევლო და ვინ მიგვაეჩნია ჩვენი ცხოვრებისა და შემოქმედებითი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის ნიმუშად.

მან თავისი ცხოვრებით და მოღვაწეობით ცხადად გვიჩვენა, რომ ნებისმიერი მეცნიერისადმი ფართო საზოგადოების პატივისცემას და სიყვარულს, აღიარებასა და მოკრძალებას მთლიანად განაპირობებს მკვლევარში დიდი მეცნიერული ცოდნისა და მაღალი ადამიანური უნარ-ჩვევების ჰარმონიული

შეერთება, ანუ როგორც დიდი ილია ბრძანებს: „განვრთნილი ზნე-ხასიათისა და განვითარებული გონების შეუღლება“. ამიტომაც, ბატონი ვასილი ნამდვილად მასწავლებელი, ბრძენი მოძღვარი და ადამიანის სულიერ სამყაროში ღრმად ჩახედული კაცი იყო, რომელსაც საოცრად ემარჯვებოდა შეუცდომლად განესაზღვრა თავისი მოსწავლეების შესაძლებლობები, მათი მისწრაფებები და მიდრეკილებები და მიეცა მათთვის განვითარებისა და განმტკიცების ფართო ასპარეზი.

ვასილ ჩანტლაძე დაიბადა 1905 წლის 8 იანვარს ქ. ზესტაფონში. განათლება საქვეყნოდ ცნობილ თბილისის ვაჟთა 1 გიმნაზიაში მიიღო. გიმნაზიის დამთავრებისთანავე, 1923 წელს, იგი ხდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი. სწორედ აქ, ეროვნული კადრების დიდ სამჭედლოში, გამოამჟღავნა ბატონმა ვასილმა განსაკუთრებული ინტერესი, ალლო და ნიჭი მეცნიერული კვლევისადმი. მალე თავისი მასწავლებლის, ფილიპე გოგიჩაიშვილის ყურადღებაც მიიპყრო – მისი წინადადებით, 1927 წელს, უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ, დატოვებულ იქნა იქვე, როგორც მომავლის მქონე პერსპექტიული ახალგაზრდა. დიდი მეცნიერისა და პატრიოტის ეს იმედი მალე გამართლდა. სულ რაღაც სამ წელიწადში ბატონი ვასილი აქვეყნებს რამდენიმე ნაშრომს.

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის 1932 წლის 14 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, როგორც ნიჭიერ ახალგაზრდას და შესანიშნავ მკვლევარს, დოცენტის წოდება მიენიჭა, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ 1941 დისერტაციის დაცვის საფუძველზე, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მიანიჭა.

1954 წელს ვ.ჩანტლაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ფინანსები რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში“ და მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, ხოლო უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ 1959 წელს მიანიჭა პროფესორის წოდება.

პროფ. ვ. ჩანტლაძე 1967 წელს ფინანსებისა და კრედიტის კათედრის გამგედ აირჩიეს და ამ თანამდებობაზე იმუშავა 21 წლის მანძილზე. 1974 წელს მას ირჩვევენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1979 წელს – აკადემიკოსად.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ინიციატივით, 1944 წელს ჩამოყალიბდა ეკონომიკის ინსტიტუტი, სადაც მისი დაარსებიდან 1980 წლამდე ვასილ ჩანტლაძე ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თეორიული და დიდი სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობის აქტუალური პრობლემების დამუშავებაში.

პირველი ნაშრომი, რომელიც ვასილ ჩანტლაძემ 1930 წელს გამოაქვეყნა, იყო „კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ფინანსური მოძღვრება.“ ახალგაზრდა

მკვლევარის ეს ნაშრომი არ არის ჩვეულებრივი, იმ დროისთვის ხარკის მოხდის მიზნით თითქმის სავალდებულო, ტრაფარეტური ფორმალური განხლვა მარქსისა და ენგელსის ფინანსური შეხედულებებისა. იგი მართლაც, რომ საკითხისადმი შემოქმედებითი მიდგომით, პრობლემების ყოველმხრივი ანალიზის ერთ-ერთი სამაგალითო ნიმუშია, რის კვალობაზე ჩამოყალიბებულ დასკვნებსა და დებულებებს ძალა და სიცოცხლისუნარიანობა დღესაც შენარჩუნებული აქვს.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ბატონი ვასილის ყველა ნაშრომი, რომელიც შექმნილია საბჭოთა ეპოქაში, ისეა გაჯერებული ღრმა მეცნიერული არგუმენტებით, რომ იდეოლოგიური ზეგავლენა მათზე არსებით კვალს ვეღარ ტოვებს და თითოეული მათგანის თეორიული და პრაქტიკული ფასეულობების მაღალი დონე ყველა დროისათვის გარანტირებულია.

ზემოთ აღნიშნულ პირველ ნაშრომში ვასილ ჩანტლაძე ეხება ბურჟუაზიულ-ფინანსურ ლიტერატურაში იმ დროისათვის გავრცელებულ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც კ. მარქსს თითქოს არ აინტერესებდა ფინანსური საკითხები. ვ. ჩანტლაძე მიდის დასკვნამდე, რომ ფინანსური საკითხები კ. მარქსს გათვალისწინებული აქვს თავისი კვლევა-ძიების გეგმის მესამე ნაწილში, რაც აიხსნება მისი მეთოდოლოგიის თავისებურებებით, რომლის მიხედვითაც ყოველ კატეგორიას კვლევა-ძიებისა და გადმოცემის არსიდან გამომდინარე, ზეალსვლისპროცესში თავისი ზუსტად განსაზღვრული ადგილი უჭრავს. ავტორმა თავის შრომებში დაასაბუთა, რომ სწორი არ არის ფინანსური კატეგორიების იმგვარი გადმოცემა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ფინანსურ ლიტერატურაში. კ. მარქსის მიხედვით, კატეგორიათა გადმოცემის თანმიმდევრობა განისაზღვრება აბსტრაქტულიდან კონკრეტულამდე ზეალსვლის გზით. მან ფინანსურ კატეგორიათა კვლევისა და გადმოცემის დიალექტიკა გაშლილად და დასაბუთებულად მოგვცა თავის მეორე ნაშრომში – „ფინანსურ კატეგორიათა ადგილი კ.მარქსის ეკონომიკურ სისტემაში“.

ბატონი ვასილის გამოკვლევებს, როგორც სპეციალისტები, ისე მკითხველი საზოგადოება დიდი ინტერესით შეხვდა, მაგრამ მათ შორის მაინც მინდა აღვნიშნო ფართოდ გახმაურებული კაპიტალური მონოგრაფია-„ფინანსების თეორიის საკითხები“, რომელმაც ავტორს საქვეყნო აღიარება და სახელი მოუტანა. მსოფლიოში ცნობილმა სპეციალისტებმა ეს შრომა შეაფასეს, როგორც ეკონომიკური მეცნიერების ოქროს ფონდში შეტანილი დიდი წვლილი. იგი ითარგმნა უცხოურ ენებზე, მათ შორის ჩინურადაც და მილიონობით ტირაჟით გამოიცა საზღვარგარეთ, რამაც მის ავტორსა და მთელ ქართულ მეცნიერულ-ეკონომიკურ აზროვნებას ავტორიტეტი მნიშვნელოვნად აუმაღლა. შეიძლება განსაკუთრებულ შემთხვევად ჩაითვალოს ბატონი ვასილის ასაკში (მაშინ 89 წლისა იყო) გამომცემელი შესანიშ-

ნავი მონოგრაფიული გამოკვლევა – „ფინანსური მეცნიერების საფუძვლები“. ამ ნაშრომში გამოკვეთილია ფინანსური ურთიერთობების მისადაგება თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პრინციპული მოთხოვნისადმი, და ამ საკითხის ავტორისეული ნათელი და დამაჯერებელი გადმოცემის შეუდარებელი ოსტატობა.

ბატონმა ვასილმა თავისი მეცნიერული კვლევა-ძიებით ბევრ პრობლემატურ საიდუმლოებას ახადა ფარდა, რომელთა ჩამოთვლა შორს წავიყვანდა, მაგრამ მაინც მინდა რამდენიმე მათგანზე ყურადღებს შეჩერება. სპეციალისტებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ ფინანსებს მეცნიერების დიდი ჯგუფი ზედნაშენურ კატეგორიად მიიჩნევდა, ზოგიც, შედარებით ვიწრო წრე მეცნიერებისა, მას ბაზისს მიაკუთვნებდა. დავა მათ შორის, სათანადო მეცნიერული დასაბუთების სიღარიბით, ათეული წლობით გრძელდებოდა. ბატონმა ვასილმა სათანადო წყაროების ღრმა მეცნიერული ანალიზით ამ დავას წერტილი დაუსვა და დამაჯერებლად ცხადყო, რომ ფინანსები იყო, არის და იქნება ისეთი ეკონომიკური კატეგორია, რომელიც მიეკუთვნება ბაზისს და არა ზედნაშენს. ეს აზრი კი ამჟამად საყოველთაოდ აღიარებულია.

დიდია და ფასდაუდებელი ბატონი ვასილის მეცნიერული ღვაწლი ფულის, კრედიტისა და ფინანსების გენეზისის განსაზღვრაში. საქმე ისაა, რომ ეკონომისტთა ერთი ნაწილი უარყოფდა ფინანსების არსებობას კაპიტალიზმამდელ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებში და მას კაპიტალიზმისა და სოციალისტური წყობილების სიკეთედ მიიჩნევდა. ბატონმა ვასილმა მისთვის ჩვეული სიღრმით განიხილა საკითხი და სათანადო მასალებზე დაყრდნობით დაასაბუთა ფინანსების არსებობა მონათმფლობელურ და ფეოდალურ საზოგადოებებშიც. მისი მეცნიერული დასკვნა იმის შესახებ, რომ ფული და კრედიტი წარმოშობილია პირველყოფილი საზოგადოების განვითარების მაღალ საფეხურზე, ხოლო ფინანსები - მონათმფლობელურ საზოგადოებაში, კერძო საკუთრების, კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ, ამჟამად საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა.

ვ. ჩანტლაძეს ორიგინალური განმარტებები აქვს მოცემული ფინანსური მეცნიერების საგნის მეთოდისა და ამოცანების შესახებ. ამ მხრივ საყურადღებოა მისი მონოგრაფიები – „ფინანსური მეცნიერების საგანი და ამოცანები“ და „ფინანსური თეორიის საკითხები“. ამ შრომებში ვ. ჩანტლაძემ მოგვცა ფულისა და ფინანსების ორიგინალური დასაბუთება და ახსნა თუ რა შემთხვევაში იქცევა ფული ფინანსებად. საქონლურ-ფულადი მეურნეობის პირობებში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული სიმდიდრის გაფართოებული აღწარმოება იწვევს საზოგადოებრივი ფონდების ფორმირებას ფულის სახით. ფული გამოცალკევედება საქონლის მიმოქ-

ცევისაგან და ინყებს შედარებით დამოუკიდებელ მოძრაობას. ამ საფუძველზე იქმნება ფულადი მიმოქცევა და ფულადი ფონდები, როგორც არის ბიუჯეტური ფონდები, საკრედიტო ფონდები, გამოცალკავებულ გაერთიანებათა ფულადი ფონდები და მოსახლეობის ფულადი ფონდი, რაც ფუნქციონირების ხასიათიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად ლებულობს ფინანსურ ფორმას.

ფულადი ფონდი, რამდენადაც ემყარება ფულის ფუნქციონირებას, არ არის ფინანსური ფონდი. ასეთ შემთხვევაში ფული არის მხოლოდ ფული და არა ფინანსები. მაგრამ, როდესაც ფული მისი ყველა ფუნქციის შესრულებისას ახალ თვისებებს იძენს, ისე, რომ გამოიყენება ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული სიმდიდრის განაწილება-გადანაწილებისა და კონტროლის საშუალებად, მაშინ ფული ფინანსებად იქცევა. ამგვარად, ფორმირებული და გამოყენებული ფულადი ფონდი არის ფინანსური ფონდი. ფულადი ფონდი ფინანსურ ხასიათს ლებულობს იმისგან დამოუკიდებლად, ის ფულის ერთ რომელიმე ფუნქციას ასრულებს, თუ ხუთივეს ერთად.

შეიძლება დნამდვილებით ითქვას, რომ ბატონი ვასილის ყველა ნაშრომი, სტატია თუ ზეპირი გამოსვლა, სიახლით სუნთქავს.

შუძლებელია საქმეში ჩახედულმა კაცმა მათში არ დაინახოს, არ იგრძნოს ავტორის დიდი რუდუნება და საკითხისადმი შემოქმედებითად მიდგომის გასაოცარი უნარი. ეს კი რჩეულთა ხვედრია და ბატონი ვასილიც მათ შორის ამაღლებულ, საპატიო ადგილს იკავებს.

ბატონმა ვასილმა, ქართველი ხალხის სხვა ღირსეულ მამულიშვილთა მზგავსად კვლევითი მუშაობის ძირითად საგნად გაიხადა ეროვნული აზროვნების უმდიდრეს და მრავალფეროვან ნიაღში ეკონომიკური სიბრძნის ელვარე მარგალიტების მოძებნა – გამომზეურება და საერთაშორისო მეცნიერულ ასპარეზზე წარმოდგენა, როგორც ბრწყინვალე მაგალითი ქართველი ხალხის ეკონომიკური აზრის სიღრმისა, მრავალსაუკუნოვანი ასაკისა, გამძლეობისა და სიცოცხლისუნარიანობისა. ამ დიდ საქმეს უძღვნა მრავალი შრომა, სტატია და სხვადასხვა შეკრებასა და სიმპოზიუმზე საყურადღებო გამოსვლები.

ამ დარგის პრობლემათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია შრომა- „სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებანი“. იგი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ეს იყო პირველი ცდა სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკურ შეხედულებათა ჩამოყალიბებისა და დასაბუთებისა და XIX საუკუნემდელი ქართული ეკონომიკური აზრის შესწავლისა. სულხან-საბას ეკონომიკური შეხედულებანი შესწავლილია არა მარტო თავისთავად, არამედ შედარებითი ხერხის განვითარების ასპექტით. ამ შრომაში დასაბუთებულია იმ დროისათვის პროგრესული დებულება სულხან-საბა ორბელიანისა, რომლითაც იგი 70 წლით

უსწრებს ფიზიოკრატიული მიმართულების მამამთავარს-ფრანსუა კენეს. ეს საკითხი მოხსენდა ეკონომისტ-ისტორიკოსთა საერთაშორისო კონგრესს ლენინგრადში 1970 წლის აგვისტოში. მოხსენების ტექსტი დაიბეჭდა და გავრცელდა რუსულ და ინგლისურ ენებზე.

ვ. ჩანტლაძს დამსახურებას წარმოადგენს აგრეთვე ის, რომ მან არა მარტო გამოიკვლია ეს საკითხი, არამედ ეს აღმოჩენა, საერთაშორისო კონგრესზე გაიტანა და მისი კვლევის საფუძველზე პოლიტიკური ეკონომიის ენციკლოპედიის რედაქციამ ენციკლოპედიაში შეიტანა სულხან-საბა ორბელიანი, როგორც ფიზიოკრატიული სკოლის წინამორბედი თავისი ეკონომიკური შეხედულებებით

ეროვნული ეკონომიკური აზროვნების სიდიადისა და უკვდავების დიდი ჰიმნია ბატონი ვასილის შემოქმედებითი მოღვაწეობის ნამდვილი მარგალიტი – „შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები“. ამ წიგნის შესახებ კვლავაც ბევრი დაინერება, მის შეფასებას დიდი დრო, ცოდნა და ენერჯია სჭირდება, მაგრამ ძალიან მოკლედ და ზოგადად შევეხებით.

გენიალური პოეტის მხატვრულ ქარაგმაში მოქცეული ეკონომიკური შეხედულებები ბატონმა ვასილმა გამოიცნო დიდი სიზუსტითა და სისრულით. იგი ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც „ვეფხისტყაოსანი“ მარტივად და გასაგებად წაიკითხა ეკონომიკის ენაზე და ასე მარტივად, მიმზიდველად და საინტერესოდ მიაწოდა იგი მკითხველს. მაგრამ, მთავარია რა მიაწოდა? პირველი ის, რომ XII საუკუნეში ჩვენს ერს ჰყავდა უზარმაზარი პოეტი, რომელმაც თავის უკვდავ ქმნილება „ვეფხისტყაოსანში“ გასაოცარი სიღრმით ჩააქსოვა „ეკონომიკური პოეზია“, ეპოქის ეკონომიკური სუნთქვის მამოძრავებელი ძალები და კანონზომიერებები; მეორე, ის, რომ ეროვნული ელფერის მიუხედავად, შ.რუსთაველი ნამდვილად იდგა განათლებული მსოფლიოს ეკონომიკური სტანდარტების დონეზე; მესამე ის, რომ შოთა რუსთაველის „ეკონომიკური პოეზია“ არ იყო მარტო XII საუკუნის ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი. იგი სრულყოფილად ასახავდა მომავალი საუკუნეების პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების სანუკვარ მიზნებსა და ინტერესებს და ამ მხრივ იგი უკვდავია; მეოთხე ის, რომ სახელმწიფოს სიძლიერე, საზოგადოების სისხლსავსე ცხოვრება და ადამიანის ბედნიერება წარმოუდგენელია მტკიცე ეკონომიკური ბაზისის გარეშე, პატიოსანი შრომის, ბარაქისა და დოვლათის სიუხვის გარეშე; მეხუთე ის, რომ ასეთი პირობების შექმნისათვის აუცილებელია ეპოქის შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, რომლის ძირითადი მიზანი იქნება: ხალხის, მთელი საზოგადოების კეთილდღეობა, პროგრესის უანგარო სამსახური, ბოროტების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა, სინდისისა და პატიოსნების წინა პლანზე წამოწევა, მონყალებისა და ქველმოქმედების ფართოდ გაშლა და ა.შ.

ამ ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი ღირსებაა ის, რომ მისი ავტორი, კონკრეტული ეკონომიკური პოზიციებიდან გამომდინარე, მკაცრი ლოგიკური ნათელს ფენს „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებულ რიგ სოციოლოგიურ, ფილოსოფიურ და სხვა საკითხებს, ამის გამო იგი შეფასებულ უნდა იქნეს, როგორც ნათელი მაგალითი იმისა, რომ „ვეფხისტყაოსანის“ მაღალი მხატვრული სახეები ასხივოსნებენ აზრებს და ბრძნული აზრებით, თავისი მხრივ, ელვარებას მატებენ „მხატვრულ სახეებს“. ეს ჰარმონია კი უკვდავყოფს მის შემოქმედს. დარწმუნებული ვარ, რომ ბატონი ვასილი, სხვა რომ არაფერი შეექმნა, მარტო ამ გამოკვლევითაც დაიმკვიდრებდა ამაღლებულ, საპატიო ადგილს ეროვნული ეკონომიკური აზროვნების ისტორიაში.

დიდი ამაგი დასდო ბატონმა ვასილმა ქართველი ხალხის უკვდავი შვილის ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური შესწავლა-გამომზეურებას, პროგრესული განვითარებადი მხარეების ჩვენებას, ამ იდეების ორიგინალური ხასიათის, მაღალი დონისა და სიცოცხლისუნარიანობის საყოველთაო აღიარებას.

მოკრძალებული პატივისცემით და სიყვარულითაა გამსჭვალული ბატონი ვასილის შრომები, რომელიც ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის ეკონომიკურ-ფინანსური შეხედულებების შესწავლას. ამ შრომებში დამტკიცებულია, რომ ივანე ჯავახიშვილი არის პირველი მკვლევარი, რომელმაც საქართველოს ეკონომიკურ-ფინანსური აზროვნების ისტორია მოაქცია მტკიცე მეცნიერულ სისტემაში და ამით დასაბამი მისცა მის თანმიმდევრულ და სისტემურ კვლევა-ძიებას.

აკად. ვ. ჩანტლაძემ საკმაოდ დიდი მუშაობა გასწია აგრეთვე ეკონომიკის ტერმინოლოგიის დამუშავების ხაზით. მიიღო მონაწილეობა რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ეკონომიკის ტერმინოლოგიის შედგენაში, შეადგინა რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ფინანსურ-საკრედიტო ტერმინოლოგია და აგრეთვე რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული სტატისტიკური ტერმინოლოგია. ამასთანავე, დაწერა განმარტებანი რიგი ტერმინებისა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ტომებისათვის; გამოაქვეყნა რამდენიმე სტატია ქართულ ენაზე ზოგიერთი ეკონომიკური ტერმინის გაგების საკითხთან დაკავშირებით.

ბატონმა ვასილმა დიდი ცოდნა და ენერგია მოახმარა ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობის სტუდენტებისათვის ორიგინალური სახელმძღვანელოს შექმნას, რომლებიც ნათარგმნ და ქართულ ენაზე დაწერილ სხვა სახელმძღვანელოებზე გაცილებით გამძლე და სტაბილური აღმოჩნდა. ამ სახელმძღვანელოთა რიგს მიეკუთვნება „კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები“, „ფინანსური მეცნიერების საგანი და ამოცანები“, „ფინანსები და კრედიტი“, „ფულის, კრედიტის და ფინანსების ისტორია“ და სხვა. სწო-

რედ ამ სახელმძღვანელოებზე აღიზარდა სპეციალისტთა მთელი თაობები. ასეთი ტრიუმფი კი განაპირობა არა მარტო დიდმა მეცნიერულმა ცოდნამ და არაჩვეულებრივმა მეთოდოლოგიურმა ოსტატობამ, არამედ ყველაფერთან ერთად, ნამდვილად შესაშურმა პედაგოგიურმა ნიჭმა და ალლომ, ჭეშმარიტი მასწავლებლისათვის დამახასიათებელმა უნარ-ჩვევებმა. სტუდენტები თითქმის არ აცდენდნენ ბატონ ვ. ჩანტლაძის ლექციებს. იგი საუბრობდა დინჯად, მკაფიოდ და გარკვევით. მის მიერ წარმოთქმული თითოეული ფრაზა, თითოეული წინადადება განსაკუთრებულად ტევადი და გამომსახველობითი იყო. არაჩვეულებრივად იცოდა ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, კლასიკური პოეზია და ლიტერატურა.

მან თასისი დაბადებიდან 90 წლის იუბილეზე ზეპირად გადმოსცა უამრავი ადგილი „ვეფხისტყაოსნიდან“, რომელიც ეკონომიკის საკითხებს შეეხებოდა.

ვასილ ჩანტლაძე 70 წელი კითხულობდა ლექციებს განუწყვეტელი სტაჟით, დიდი ცოდნითა და ენთუზიაზმით. მან აღუზარდა თეორიული და პრაქტიკული ცოდნით შეიარაღებული მრავალი სპეციალისტი ქვეყნის სასწავლებლებს და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგს. ვასილ ჩანტლაძე ენეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, იყო მრავალი სამეცნიერო საბჭოს წევრი. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები, მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება და ა.შ. ბოლო წლებში თავს დატეხილი ტრაგიკული განცდების გამო, უსაშველო და უთქმელი სევდით გულამოვსებული მეცნიერი, მასწავლებელი და აღმზრდელი, ამქვეყნიურ ცხოვრებას სამარადისოდ განეშორა.

1995 წლის იანვარში დაბადების 90 წლის იუბილე გადავუხადეთ. იქნებ სიმბოლურიც იყო საიუბილეო წელს მისი დიდი სიცოცხლის დასრულება. მიუხედავად ხანდაზმულობისა, მის მეხსიერებას ბზარი არ შეჰპარია, ჩვეული შეუპოვრობითა და შრომისმოყვარეობით კითხულობდა ლექციებს და ბრწყინვალე მეცნიერული მემკვიდრეობა დაუტოვა მომავალ თაობას. არავისთვის საკამათო არ გამხდარა, რომ ვასილ ჩანტლაძე უზარმაზარ ცოდნას ფლობდა, არასოდეს გამორჩებოდა არა მარტო მსოფლიო ფინანსისტ-ეკონომისტთა, არამედ სხვა დარგების მეცნიერთა უახლოეს ნაშრომები და მიღწევები. ჩამოთვლაც კი გამიჭირდება ყველა დარგისა, იმდენად ფართო და ყოვლისმომცველია მისი მეცნიერული ინტერესების სფერო და თვალსაწიერი.

ბატონ ვასილთან, როგორც ჩემს მასწავლებელთან, მრავალი წლის ახლო ურთიერთობა მაკავშირებდა და არ მახსოვს მასთან არცერთი შეხვედრა, სადაც არ მეგრძნო მისი სითბო, სიკეთე, მაღალი კულტურა, უბრალოება, თავმდაბლობა, თანადგომა და პატივისცემა. მის პიროვნებაში პედანტობის

ნატამალსაც ვერ აღმოაჩენდით. თავისუფალ დროს საოცრად უყვარდა თავის მეგობრებთან, კოლეგებთან, სტუდენტებთანაც კი ექსკურსიები, მოლხენა და პურობა. ვერ იტანდა ხელმოცარულთა ქედმაღლობას, ყოყოჩობას. ადამიანის უპირველეს ღირსებად თავმდაბლობა მიაჩნდა, ყველგან და ყველაფერში ამაღლებულს, მშვენიერსა და ლამაზს ეძებდა. კაცურად იცხოვრა და დიდებულადაც შეასრულა დიდი მოვალეობა თავისი ხალხის წინაშე, როგორც მეცნიერების ჭეშმარიტმა რაინდმა, მეცნიერების სინდისმა და ნამუსმა, გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწემ, როგორც უბადლო მეგობარმა და მასწავლებელმა.

**ბედევან ხელაია,**

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი.*

### К 110-летию академика Василия Чантладзе

Любое научное произведение необходимо оценивать с точки зрения развития теории, которая включает как методологию, так и методику предмета исследования. Именно с этой точки зрения следует оценивать научные результаты трудов академика Василия Чантладзе, широкого эрудита, глубокого знатока экономических вопросов в Руствелологии.

Когда я перечитал снова труд Василия Чантладзе - “К вопросу о понятии финансов” (Издательство Тбилисского Университета, 1989), то невольно возник вопрос: что хотел добавить автор нового к своим уже изданным научным произведениям в области теории финансов (как известно в 1979 году вышел фундаментальный труд Василия Чантладзе “Вопросы теории финансов”). И здесь я обнаружил неординарность автора: видение новизны в развитии теории финансов (а прошло 10 лет) *в дискуссии со своими оппонентами.*

Данный труд Василия Чантладзе носит полемический характер, что априори придаёт ему научный характер. Вообще следует заметить, что сегодня большинство экономистов в своих научных трудах избегают polemiki по тем или иным актуальным вопросам экономики и практики, а между тем, как известно “в споре рождается истина”. Кто является оппонентами в научном споре в Василием Чантладзе? Это известные ученые экономисты-финансисты : Э.В. Вознесенский (дискуссия по поводу теории и предмете финансов), А.И.Буковецкий, Д.А.Аллахвердян, М.В.Романовский (дискуссия по поводу методологии исследования финансовых отношений), Б.М.Сабанти , В.К.Сенчагов (дискуссия по поводу функции и роли финансов), В.Родионов (распределительные и перераспределительные функции финансов) и др. Во всей этой дискуссии академик Василий Чантладзе достаточно обосновано отстаивал свою точку зрения, что впоследствии признавали и его оппоненты.

Вы можете задать вопрос: почему Василий Чантладзе издал свой труд на русском языке? Ответ очень прост: а) это развитие идей предыдущей монографии (изданной также на русском языке); и б) донести до русскоязычных (и более

широкой аудитории) ученых свою точку зрения на критику оппонентов. Более того, вышеназванный фундаментальный труд академика Василия Чантладзе был переведён и издан многомиллионным тиражом в Китае, что значительно расширил круг его читателей.

Несмотря, что труд был написан в совершенно другой идеологической обстановке, его основные идеи актуальны и сегодня, ибо речь идёт об основах и сущности финансов; методологии исследования финансовых отношений, термине “финансы”; и наконец, о функциях и роли финансов.

Мне думается, что объяснение двух последних финансовых кризисов (1998 и 2008 годов) следует искать в трудах академика Василия Чантладзе, в частности отрыва финансов от реального сектора экономики – “... одной из важнейших задач финансовой науки является теоретическое обоснование и практическое применение хозрасчётной функции финансов”, говоря современной экономической терминологией – финансы должны обслуживать реальные сделки в краткосрочном периоде развития экономики.

Закончить свое выступление я хочу словами известного классика – “Нет ничего практичнее, чем хорошая теория”, и в этом смысле научные труды академика Василия Чантладзе полностью отвечают этому постулату.

***Теймураз Беридзе,***

*Доктор экономических наук, профессор,  
Декан факультета экономики и бизнеса  
им. Иванэ Джавахишвили.*

## აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძე – დიდი მეცნიერი და გამორჩეული პიროვნება

აკადემიკოსი ვასილ ჩანტლაძის დიდი მეცნიერულ დამსახურების შესახებ მსჯელობისას უნინარესად იმის ხაზგასმა გვინდა რომ, ბატონი ვასილი ის პიროვნება, რომელიც იდგა საქართველოში თანამედროვე ფინანსების შესახებ მეცნიერების ჩამოყალიბების სათავეებთან დროშიც და არსებითაც. თავისი მეცნიერული კვლევის დიდი ნაწილი მან მიუძღვნა ფინანსური მეცნიერების არსის, საგნისა და ამოცანების შესწავლას, ფინანსების თეორიის აქტუალური საკითხების კვლევას. მას ასევე დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს ფინანსურ ურთიერთობათა კვლევის, ზოგიერთი გამოჩენილი პიროვნების ეკონომიკის და ფინანსების შესახებ შეხედულებების შესწავლაში, მის ნაშრომებზე აღიზარდა მეცნიერთა და პრაქტიკოსთა მრავალი თაობა. მისი ნაშრომები დღესაც ისევე აქტუალურია, როგორც მაშინ, როდესაც იწერებოდა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, გადაჭარბებული არ იქნება თუ აკად. ვასილ ჩანტლაძეს ვაღიარებთ, არა მხოლოდ დიდ მეცნიერად, არამედ თანამედროვე ფინანსების შესახებ მეცნიერების ერთ-ერთ ფუძემდებლადაც. ეს იქნებოდა მეცნიერების ამ სფეროში მისი დიდი ღვაწლის სამართლიანი შეფასება და მისი ადგილის განსაზღვრაც.

ბატონი ვასოს მეცნიერულ ნაშრომებს იცნობდნენ და აფასებდნენ მაშინდელი საბჭოთა კავშირის და საზღვარგარეთის რიგი ქვეყნების ცნობილი მეცნიერები: ალახვერდიანი, დიაჩენკო, ალექსანდროვი, ზლობინი, ვოზნესენსკი, ლიუბიმოვი და სხვები. ზოგ მათგანთან ბატონ ვასოს მძაფრი მეცნიერული დისკუსია და პოლემიკა ჰქონდა კიდეც, ისევე როგორც ზოგიერთ ქართველ ეკონომისტ-ფინანსისტთანაც, მეცნიერების კარდინალურ საკითხებზე, მაგრამ ეს არასოდეს გადაზრდილა პირად მტრობასა და სიძულვილში. ამ ურთიერთობაში ის ყოველთვის იყო ტაქტიანი, აკადემიური, თუმცა, პრინციპული და შეუვალი, თავისი პოზიციისა და შეხედულების დაცვაში. ზოგ მათგანთან მეგობრობდა კიდეც. მან კარგად იცოდა მეგობრობის ფასი და შეეძლო კიდეც. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ურთიერთობა პროფ. დიაჩენკოსთან, რომელიც ოჯახთან

ერთად მოიპატიჟა საქართველოში როგორც პირადი სტუმარი, თუმცა, ეს ერთადერთი შემთხვევა არ ყოფილა. ზედმეტად მიმაჩნია მსჯელობა მის დიდ შემოქმედებით და პირად მეგობრობაზე აკადემიკოს პაატა გუგუშვილთან, ურთიერთობებზე პროფესორებთან: ნიკოლოზ ქოიავასთან, ნიკოლოზ იაშვილთან და სხვებთან, ბევრი მეგობარი ჰყავდა მას ლიტერატურის თუ ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებიდანაც.

ბატონი ვასოს ერთ-ერთ ნიშანთვისებას წარმოადგენდა მისი უაღრესად დიდი სიყვარული და პატივისცემა თავისი მასწავლებლების მამართ. მას ახსოვდა სკოლის და უნივერსიტეტის ყველა მასწავლებლის სახელი, გვარი. უყვარდა მათ შესახებ საუბარი, იხსენებდა ეპიზოდებს მათი ცხოვრებიდან, საქმიანობიდან, მათთან ურთიერთობიდან. განსაკუთრებული სიყვარულით გამოირჩეოდა მისი დამოკიდებულება პროფესორების- ივანე ჯავახიშვილის და ფილიპე გოგიჩაიშვილის მიმართ. ხაზს უსვამდა მათ დამსახურებას ქვეყნის და უნივერსიტეტის დაარსება-განვითარებაში, მათ მეცნიერულ ღვაწლს და პიროვნულ ღირსებებს.

დიდი სპეციალური და ზოგადი განათლება, ისტორიის, ლიტერატურის, ხელოვნების სიღრმისეული ცოდნა, განსაკუთრებული ნიშანთვისებებით გამოარჩევდა მის ლექციებს. ჯერ ერთ, ბატონ ვასოს გააჩნდა უნარი მარტივად, სტუდენტთათვის გასაგები ენით გადმოეცა ფინანსების საგნის ბევრი რთული საკითხი. მეორეც, ლექციები არ იყო მშრალი, ფინანსური პოსტულტებით დამძიმებული და მოსაწყენი, პირიქით, ლექციების კითხვისას ბატონი ვასო ხშირად ჩართავდა ისტორიულ ფაქტებს საქართველოს თუ საზღვარგარეთული ეკონომიკურ-ფინანსურ ურთიერთობებიდან, გამოცდილებიდან, მოიშველიებდა მხატვრულ ლიტერატურას და ხანდახან დიდი ტაქტით ხუმრობდა. ამ მხრივ განსაკუთრებით უყვარდა რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანის, კონსტანტინე გამსახურდიას, ნოდარ დუმბაძისა და საზღვარგარეთის მწერლების და საზოგადო მოღვაწეთა აზრების დემონსტრირება. ცხადია, ეს ყველაფერი ხდებოდა ბუნებრივად სალექციო თემასთან ლოგიკური კავშირით.

ვინ იყო ბატონი ვასო? აქ კითხვა-პასუხი ცალსახაა: გამორჩეული მასწავლებელი და აღმზრდელი, ჭეშმარიტად დიდი მეცნიერი, უპატიოსნესი და უკეთილშობილი ადამიანი, თავისი ქვეყნის მოსიყვარულე და მისი ღირსეული შვილი. გამომომსვლეთათვის განკუთვნილი დროის სიმცირის გათვალისწინებით, ჩვენ შევვხებთ ვ. ჩანტლაძის, როგორც პიროვნების და მეცნიერის ზოგიერთ მხარეს და ამასთან სავსებით ვიზიარებთ იმასაც, რაც ითქვა, მისი დიდი მეცნიერული დამსახურების შესახებ და ხაზგასმით ავლნიშნავთ, რომ აკადემიკოსი ვასილ ჩანტლაძე არის ის პიროვნება, რომელიც იდგა საქართველოში ფინანსების შესახებ მეცნიერების თანამედროვე დონეზე.

და ბოლოს, ბატონი ვასოს გამორჩეულ ნიშანთვისებას იუმორის ნიჭიც წარმოადგენდა. შემთხვევითად არ უნდა ჩაითვალოს ის, რომ ეს ნიჭი უხვად გამოჰყვა მის შვილს, ქართული სცენის და იუმორის უბადლო ოსტატს თენგიზ ჩანტლაძეს. ანეგდოტის სახე მიიღო მის მიერ მეგობრების წრეში ნახევრად ხუმრობით ნათქვამმა: კაცო! ამ ხნის პროფესორი და აკადემიკოს ვარ, მაგრამ საზოგადოებას ჩემ თავს აცნობენ ხოლმე, როგორც თენგიზ ჩანტლაძის მამას და არა პირიქით. ამით ის ხაზს უსვამდა თავისი პირმშოს პიროვნებას, მის დიდ ადგილს სცენასა და ცხოვრებაში.

შეიძლება კიდევ ბევრი რამის თქმა და გახსენება ბატონი ვასოს ცხოვრებიდან და მოღვაწეობიდან, მაგრამ ამის შესახებ სხვა დროს.

**ნოდარ ბაგრატიონი,**

*ეკონომიკის აკად. დოქტორი, პროფესორი.*

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია CRITICS AND BIBLIOGRAPHY

---

### 6. მაკაშევა

#### მაკროეკონომიკური შერიგება?

(ი. ანანიაშვილისა და ვ. პაპავას წიგნის „ლაფერ-კეინზიანური სინთეზი და მაკროეკონომიკური წონასწორობა“, შესახებ)

თარგმნილია – Н. Макашева. Макрэкономическое примирение? (О книге Ю. Ана-  
ниашвили и В. Папавы «Лафферо-кейнсианский синтез и макрэкономическое равновесие»).  
Вопросы экономики. 2015. №3

მაკაშევა ნატალია ანდრეას ასული – (nmakasheva@mail.ru) ეკონ. მეცნ. დოქტორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის (РАН) საზოგადოებრივ მეცნიერებათა სამეცნიერო ინფორმაციის ინსტიტუტის (ИНИОН) ეკონომიკის განყოფილების გამგე, НИУ ВШЭ თეორიული ეკონომიკის დეპარტამენტის პროფესორი (მოსკოვი)

განსახილველი წიგნის ავტორები გვთავაზობენ მაკროეკონომიკური წონასწორობის მოდელს, რომელიც აერთიანებს წარმოებასა და საგადასახადო შემოსავლებზე გადასახადების ზეგავლენის ანალიზისადმი კეინზიანურ და ლაფერიანულ მიდგომებს. მათ აჩვენებს ლაფერის მარტივი მოდელის შეზღუდულობა და მოგვცეს მისი უფრო რეალისტური მოდიფიკაცია, შეიმუშავებს ეკონომიკურ ზრდაზე გადასახადების ზემოქმედების ამსახველი მოდელი, და მიიღეს შესაბამისი შეფასებები სხვადასხვა ქვეყნისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** ლაფერის მრუდი, გადასახადები, ფისკალური მრუდი, აგრეგირებული მოთხოვნა, აგრეგირებული მიწოდება.

**JEL:** E00, E62, E12, O23.

ცნობილი ქართველი ეკონომისტების, მაკროეკონომიკის სპეციალისტების ვლადიმერ პაპავას და იური ანანიაშვილის<sup>1</sup> წიგნი ეძღვნება ისეთ

<sup>1</sup> ვლადიმერ პაპავა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს ეკონომიკის მინისტრი (1994-

საგნობრივ სფეროს, რომლისადმი ინტერესი აერთიანებს ეკონომისტებს-თეორეტიკოსებს, ეკონომეტრისტებს, პოლიტიკოსებსა და ჩვეულებრივ მოქალაქეებს. გადასახადები და ეკონომიკური აქტიურობა, ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლები და გადასახადების ოპტიმალური სტრუქტურა ეს საკითხები წარმოიქმნა სახელმწიფოსთან ერთად, ეკონომიკური მეცნიერების (ამ სიტყვის თანამედროვე არსით) ჩამოყალიბებამდე დიდი ხნით ადრე და მეორე პლანზე არასდროს არ გადასულა. ეკონომიკური თეორიის განვითარებასთან ერთად ანალიზის ინსტრუმენტებიც იხვეწებოდა, მაგრამ „დისკუსიურობის“ გრადუსი არ კლებულობდა. ამის მიზეზი არა მხოლოდ პრობლემის სირთულეა, ან ის, რომ უფრო დახვეწილი ინსტრუმენტებიც, როგორც წესი, არ იძლევა ცალსახა პასუხებს, არამედ ის, რომ გადასახადების და, ამრიგად, სახელმწიფოს საკითხი ყოველთვის იდეოლოგიურად და პოლიტიკურად შეფერილია.

აღნიშნული პრობლემების კვლევის თანამედროვე ეტაპი გამოირჩევა ამერიკელი ეკონომისტის ა. ლაფერის და მისი სახელის მქონე მრუდის გავლენით, იმ შემთხვევაშიც კი, როცა მკვლევარები არ ეთანხმებიან მას და არ იზიარებენ მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ პოზიციას. ამ ეკონომისტმა 40 წლის წინ წამოაყენა იდეა იმის შესახებ, რომ საგადასახადო შემოსავლების მოცულობა ყოველთვის არაა გადასახადების განაკვეთის მზარდი ფუნქცია, არამედ დამოკიდებულია მრავალ სხვა ფაქტორზე, უპირველეს ყოვლისა, წარმოების მოცულობაზე, რაზეც გადასახადებს აგრეთვე აქვს გავლენა. 1978 წელს დ. ვანისკიმ შემოიღო ტერმინი „ლაფერის მრუდი“ საგადასახადო შემოსავლების გადასახადების განაკვეთზე დამოკიდებულების აღსანიშნავად (ეგრეთ ნოდებული ფისკალური მრუდი) (Wanniski, 1978)). მრუდი პარაბოლის სახით იყო წარმოდგენილი, რომელიც ნულოვან მნიშვნელობებს იღებდა გადასახადების 0-ისა და 1-ს ტოლ საშუალო განაკვეთებზე და მაქსიმუმს აღწევდა გარკვეულ წერტილში, რომელსაც ლაფერის წერტილი ეწოდა.<sup>2</sup>

ლაფერმა და მისმა მომხრეებმა ძირითადი ყურადღება მიაპყრეს სიტუაციას, როდესაც საგადასახადო განაკვეთების შემცირება იწვევს წარ-

---

2000), საქართველოს პარლამენტის წევრი (2004-2008), პოსტსაბჭოთა ეკონომიკის, მაკროეკონომიკისა და ეკონომიკური განვითარების კვლევის სფეროში ნაშრომების ავტორი. იური ანანიაშვილი პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომეტრიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მაკროეკონომიკის სფეროში, აგრეთვე გადასახადების და ეკონომიკური ზრდის პრობლემებზე ნაშრომების ავტორი.

<sup>2</sup> ტერმინი – „ლაფერის მრუდი“, დასაწყისში ეხებოდა სწორედ ასეთ მარტივ მრუდს, თუმცა ხშირად გამოიყენება გადასახადის განაკვეთსა და საგადასახადო შემოსავლებს შორის დამოკიდებულების (ფისკალური მრუდი) აღსანიშნავად, რომელსაც აუცილებლად ასეთი მარტივი ფორმა არა აქვს.

მოებაში გამოყენებული ფაქტორების მოცულობის, წარმოების მასშტაბების და დასაბეგრი ბაზის და, შედეგად, საგადასახადო შემოსავლების ზრდას. ეს მსჯელობა გაითავისეს რ. რეიგანის ეკონომიკური პროგრამის მომხრეებმა, ხოლო ლაფერის იდეა კი 1980-იან წლებში ძალზე პოპულარული მიწოდების ეკონომიკური თეორიის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი გახდა.

ლაფერი გამოდიოდა იქიდან, რომ აშშ-ში 1970-იანი წლების შუა პერიოდში არსებული საგადასახადო განაკვეთები ძალიან მაღალი იყო, და მიიჩნევდა, რომ მის დაკლებას შეეძლო მნიშვნელოვნად ნაქხალისებინა ეკონომიკური აქტიურობა და ერთბაშად რამდენიმე პრობლემის ბიუჯეტის დეფიციტის, უმუშევრობისა და ინფლაციის გადანყვეტისთვის ხელი შეეწყო. ეს, რა თქმა უნდა, ძალზე მიმზიდველი იყო პოლიტიკური თვალსაზრისით იმ პერიოდში, როდესაც მნიშვნელოვანი ინფლაციის და მაღალი უმუშევრობის ერთდროულმა არსებობამ ბევრი ეკონომისტი ჩიხში შეიყვანა.

თავის იდეის დასაბუთებისთვის ლაფერი იშველიებდა როგორც წარსულის ავტორიტეტების გამონათქვამებს, ასევე წარსული საგადასახადო რეფორმების გამოცდილებას. ნიშანდობლივია, რომ ერთ-ერთ თავის ნაშრომში მან მოიყვანა ციტატა XIV საუკუნის სახელგანთქმული მუსლიმი მოაზროვნის იბნ ხალდუნის წიგნიდან „მუკადიმა“: „იცოდე, რომ სახელმწიფოს არსებობის დასაწყისში დიდ საგადასახადო შემოსავლებს იძლევა დაბალი დაბეგვრა, ბოლოს კი მაღალი იძლევა მცირე შემოსავლებს“ (Laffer, 2004, p.1). საგადასახადო რეფორმებს შორის ლაფერის და მისი მომხრეების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ჰარდინგ-კულიჯის (1925), კენედის (1964) და რეიგანის (1981) საგადასახადო რეფორმები ეს უკანასკნელი, როგორც მიწოდების ეკონომიკის რეკომენდაციების რეალიზაცია. ადარებდნენ რა ეკონომიკაში რეფორმებამდე და რეფორმის შემდგომ სიტუაციებს ერთმანეთს, ლაფერი და მისი მომხრეები გადასახადების შემცირების მნიშვნელოვან მასტიმულირებელ ეფექტში თავისი თეზისის დადასტურებას პოულობდნენ (იხ., მაგალითად, Canto et al., 1979; Laffer, 1981; Domitrovic, 2014). ასე, ლაფერის თანახმად, ჰარდინგ-კულიჯის რეფორმამდე (წინმსწრებ ოთხ წელიწადში) აშშ-ის რეალური მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის საშუალო ტემპი შეადგენდა 2%-ს, მის შემდეგ კი გაიზარდა 3,4%-მდე; ფედერალური ბიუჯეტის რეალური შემოსავლების ზრდის რიცხვები იყო, შესაბამისად, -9.2% და 0.1%, ხოლო უმუშევრობის დონისთვის კი — 6.5 და 3.1%. მსგავსი სიტუაცია შეიმჩნეოდა, აგრეთვე, კენედის და რეიგანის რეფორმების შემდეგაც (Laffer, 2004, p. 3-9).

წარმატება, რომელიც წილად ხვდა ლაფერს 1980-იან წლებში, განპირობებული იყო არა მხოლოდ და არა იმდენად მისი ძირითადი იდეის სიღრმით, ორიგინალურობით და დამამტკიცებელი ძალით, არამედ მისი

მეცნიერულობის და სიმარტივის კარგი შეთავსებით, გარკვეული პოლიტიკური და იდეოლოგიური მიმართებით<sup>3</sup> და დროულობით<sup>4</sup>. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აგრეთვე მისმა თვალსაჩინო ილუსტრაციამ, რომელიც გამოჩნდა მრავალ პოპულარულ გამოცემაში.

არსებობს კი ლაფერის მრუდი, თუ ის მხოლოდ სასწავლო ილუსტრაცია ან თუნდაც მეტაფორაა? კამათი ამ საკითხზე გრძელდება. ლაფერის მრუდი საკმაოდ ხშირად მოიხსენიება მაკროეკონომიკის და საზოგადოებრივი ფინანსების სახელმძღვანელოებში, დათან, როგორც ნესი, მისმარტებულობაზე ფრთხილ კომენტარებთან ერთად (Бланшар, 2010, с. 527; Stiglitz, 1988, p.140-141; Макконнел, Брю, 1992, Т.1, с. 356-360). ეს შემთხვევითი არაა. ეს მრუდი ჯერ კიდევ 1980-იან წლებში მოექცა კრიტიკის ქვეშ (იხ., მაგალითად, Fullerton, 1980; 1982; Evans, 1978). ამჟამად საგადასახადო შემოსავლების საგადასახადი განაკვეთზე დამოკიდებულების თეორიული და ეკონომეტრიკული კვლევების დიდი რაოდენობა არსებობს და თანაც ყოველთვის როდი იგულისხმება ამ დამოკიდებულების მარტივი ფორმა, შემოთავაზებული ლაფერის მიერ. პაპავა და ანანიაშვილი, თუმცა რიგ შემთხვევაში იყენებენ ლაფერის მრუდს მის საწყის ვარიანტში, იზიარებენ ე. ბალაცკის პოზიციას, რომელიც ამტკიცებდა, რომ „ლაფერის ტრადიციული მრუდი, რომელზეც საუბრობს მიწოდების ეკონომიკური თეორია, უბრალოდ არ არსებობს. ფისკალური მრუდთან დაკავშირებით თუ კი შეიძლება საუბარი გადაღუნვის ეფექტზე, მხოლოდ რამდენიმე წლის საგადასახადო შემოსავლების მიმართ... ლაფერის მრუდის თეორია საკმაოდ ლამაზი, მაგრამ მთლიანობაში დაუდასტურებელი ჰიპოთეზაა“ (Балацкий, 2000a, С.9).

მოცემულ შემთხვევაში საუბარია ლაფერის მრუდისათვის დროითი განზომილების მიცემაზე (Папава, 2001). ავტორები მიუთითებენ რიგ გამოკვლევას, რომლებიც ადასტურებს, რომ გარკვეული (ოპტიმალური) წერტილის მიღწევის შემდეგ საგადასახადო განაკვეთის შემდგომი ცვლილება იწვევს საგადასახადო შემოსავლების ცვლილებას მხოლოდ გარკვეული დროის გავლის შემდეგ. გეომეტრიულად ეს ნიშნავს, რომ ფისკალური მრუდი წყვეტას განიცდის (იხ., მაგ., Вишнеvский, Липницкий, 2000; Мовшoвич, Соколовский, 1994; Балацкий, 2000b). ასეთი მრუდი არსებითად განსხვავდება ლაფერის ჩვეულებრივი მრუდისგან და დაბეგვრის ოპტიმალური რეჟიმის მოძებნის პრობლემა იმაზე უფრო რთულია, ვიდრე ლაფერის მრუდზე

<sup>3</sup> შემთხვევითი არაა, რომ დღეს კვლევები, რომლებიც პოლიტიკური და ეკონომიკური მიმართებით ახლოსაა ლაფერთან, მჭიდროდაა დაკავშირებული კატონის ინსტიტუტთან – ამერიკული კონსერვატიზმის ფორპოსტთან.

<sup>4</sup> ლაფერის იდეა ასახავდა ამერიკული საზოგადოების გარკვეული ნაწილის განწყობილებას, რომელსაც გაუცრუვდა „დიდი“ სახელმწიფოს იმედი და შეწუხებული იყო მისი ეკონომიკური პოლიტიკის დაბალი ეფექტიანობით.

დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ (თავი 2). შევნიშნავთ, რომ დღეს აქტიურად ვითარდება ფისკალური მრუდის კვლევები, რომლებიც სცდება წმინდა ეკონომიკური მიდგომის ჩარჩოებს. ამ მრუდის ფორმის ანალიზის დროს მკვლევარები ცდილობენ გაითვალისწინონ არა მხოლოდ ეკონომიკური, მაგრამ ასევე ინსტიტუციური (საგადასახადო სისტემის ტიპი, ბაზრების სტრუქტურა, საგადასახადო სისტემის ხარისხი და ა.შ.) და კულტურული (სახელმწიფოსადმი ნდობის ხარისხი, საგადასახადო მორალი და ა.შ.) ფაქტორები (იხ., მაგალითად, Allingham, Sandmo, 1972; Besley, Person, 2009; Alm et al., 1992).

ითვლება, რომ საგადასახადო შემოსავლების საგადასახადო განაკვეთზე დამოკიდებულება შეიძლება განვიხილოთ (და ავტორები ეთანხმებიან ამას), როგორც ორი ეფექტის კომპოზიცია, რომლებსაც ლაფერი უწოდებდა შესაბამისად ეკონომიკურსა და არითმეტიკულს, ზოგი მკვლევარი კი – მათ შორის ამ ნიგნის ავტორები - სანარმოოსა და ფისკალურს. საუბარია განაკვეთის გავლენაზე წარმოების დონესა (საგადასახადო ბაზასა) და წარმოების მოცემული დონის პირობებში საგადასახადო შემოსავლების მოცულობაზე. დასაწყისში ლაფერი და მისი მომხრეები თვლიდნენ, რომ გადასახადების (საშუალო) განაკვეთის ცვლილება წარმოების მოცულობასა და საგადასახადო შემოსავლების სიდიდეზე ერთი მიმართულებით მოქმედებს, მაგრამ შემდეგ მივიდნენ დასკვნამდე, რომ შესაბამისი ეფექტები შეიძლება მოქმედებდეს სხვადასხვა მიმართულებით. ამ ეფექტების ასინქრონულობა ეკონომისტებისა და პოლიტიკოსების წინაშე სვამს კითხვას მათი შედარებითი მნიშვნელოვნების შესახებ. ამ მხრივ ძალზე ნიშანდობლივია ლაფერის იდეების მომხრისა და „დიდი“ სახელმწიფოს კრიტიკოსის დ. მიტჩელის გამონათქვამი, რომ ლაფერის მრუდის თანახმად გადასახადების ზრდა ძალზე ცუდი იდეაა, მაშინაც კი, როცა ის იწვევს საგადასახადო შემოსავლების ზრდას (Mitchell, 2012). სხვა სიტყვებით, აღიარებულია სანარმოო ეფექტის პირველხარისხოვანი მნიშვნელოვნება.

აღნიშნული ეფექტების ასინქრონულობა ნიშნავს, რომ შესაძლებელია სიტუაცია, როდესაც გადასახადების განაკვეთი, რომელზეც მიიღწევა წარმოების მოცულობის მაქსიმუმი მას უწოდებენ ლაფერის პირველი ტიპის წერტილს, და განაკვეთი, რომელზედაც მაქსიმუმს აღწევს საგადასახადო შემოსავლების მოცულობა (ლაფერის მეორე ტიპის წერტილი) არ დაემთხვევა ერთმანეთს. ასეთ შემთხვევაში საგადასახადო განაკვეთის ფაქტობრივი მნიშვნელობა შეიძლება ამ განაკვეთებს შორის იყოს. ეს, ალბათ, არა მხოლოდ ყველაზე საინტერესო, არამედ შესაძლოა, ყველაზე რეალისტური შემთხვევაა, და ნიგნის ავტორები სწორედ ამ სიტუაციას აქცევენ დიდ ყურადღებას. მსგავსი ინტერესი სავსებით კანონზომიერია თუნდაც იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში

რთულდება საგადასახადო განაკვეთის ცვლილების მიმართულების შერჩევის საკითხი, რომელზეც პასუხი ყოველთვის როდია ცალსახა.

ყველაზე მნიშვნელოვანი თავისებურება, რომელიც განასხვავებს ამ წიგნს გადასახადების ეკონომიკაზე გავლენის შესწავლისადმი მიძღვნილი უმეტესი ნაშრომებისგან, როგორც ეს ასახულია ნაშრომის სათაურში, არის ლაფერ-კეინზიანური სინთეზი. უშუალოდ ამას ეძღვნება მეოთხე თავი, წინა თავები კი, შეიძლება ითქვას, მისთვის მოსამზადებელს წარმოადგენს. სინთეზის იდეა საკმაოდ ბუნებრივია, რადგან აშკარაა, რომ გადასახადები მოქმედებენ ეკონომიკაზე როგორც მიწოდების მექანიზმით, ანუ მიწოდების ეკონომიკის სცენარით, ასევე მოთხოვნის მექანიზმით, ანუ კეინზიანური სცენარით. ავტორები თავიანთ ამოცანას ხედავენ ისეთი *მოდელის შექმნაში, რომელშიც მაკროეკონომიკური წონასწორობის პირობები ორი ფუნქციის ერთობლივი მოთხოვნის და ერთობლივი მიწოდების, როგორც გადასახადების განაკვეთის ფუნქციების, ტოლობით მოიცემა*.<sup>5</sup>

ხაზს გავუსვამთ, რომ საუბარია სინთეზზე მოდელების და არა მიდგომების დონეზე, სიტყვის უფრო ფართო მნიშვნელობით. როგორც ცნობილია, კეინზიანური თეორია თავიდანვე ორიენტირებული იყო მოკლევადიანი წონასწორობის მიზეზების ანალიზზე, გამოუყენებელი რესურსების მნიშვნელოვანი მოცულობის პირობებში. შემთხვევითი არაა, რომ კეინზის ერთ-ერთი მთავარი ნოვაცია იყო იძულებითი უმუშევრობის ცნება. ამ ლოგიკით მოთხოვნა გვევლინება იმ ძალად, რომელსაც შეუძლია არსებული, მაგრამ გამოუყენებელი რესურსების ამოქმედება. პასუხობდა რა ნეოკლასიკოსებს, კეინზი წერდა, რომ პრობლემა ის კი არ არის, რომ დავადგინოთ, რომელ დარგებში და როგორ გამოვიყენოთ რესურსები (ამ საკითხში იგი კლასიკოსებს ეყრდნობოდა), არამედ ის, რომ გავიგოთ, რაზეა დამოკიდებული არსებული რესურსების გამოყენების ხარისხი (Кейнс, 1978, с. 453-454). კეინზის მიხედვით, როგორც გვახსოვს, ეკონომიკისთვის საფრთხე „პასიური“ დანაზოგებიდან მოდიოდა, რომლებიც ძალზე დიდია, რომ შეესაბამებოდეს წარმოების დონეს

<sup>5</sup> წიგნის პირველი თავი ავტორებმა მიუძღვნეს აგრეგირებული მოთხოვნის ფუნქციაში საგადასახადო განაკვეთის ჩართვის საკითხის განხილვას. ამ ფუნქციაში პარამეტრების სახით მოცემულია: ავტონომიური ხარჯები, რეალურ სალაროს ნაშთზე მოთხოვნის ფუნქციასთან დაკავშირებული მაჩვენებელი, ფუნქციების მახასიათებლები, რომლებიც განსაზღვრავს ავტონომიური ხარჯების სხვადასხვა ტიპეს (მაგალითად, მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება, მთავრობის შესყიდვებისადმი ზღვრული მიდრეკილება და ა.შ.). მიწოდების მოდიფიცირებული ფუნქცია (თავი 2) მოცემულია, როგორც ნამრავლი პოტენციური გამოშვებისა და ქცევითი ფუნქციისა. ეს უკანასკნელი ასახავს ფაქტობრივი გამოშვების გადახრას პოტენციურიდან, რომელიც საგადასახადო განაკვეთის მიხედვით, ეკონომიკური აგენტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით არის გამოწვეული.

სრული დასაქმების შემთხვევაში. შესაბამისად, გადასახადები განიხილებოდა როგორც ეკონომიკური აგენტების განკარგვადი შემოსავლიდან გამოქვითვა, ხოლო მათი ზრდა როგორც წარმოებისა და დასაქმების ზრდის წინააღმდეგ მოქმედი ფაქტორი. მაგრამ, ამ ლოგიკით, გადასახადებს შეეძლო ემოქმედა აგრეთვე „პასიური“ დანაზოგების შემცირების მიმართულებით, იმის მიხედვით, თუ როგორია სახელმწიფოს პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული გადანაწილების ეფექტები, აგრეთვე, აგენტების სხვადასხვა ჯგუფის, სახელმწიფოს ჩათვლით, ხარჯვისადმი მიდრეკილება.

რაც შეეხება ბიუჯეტის დეფიციტს, კეინზიანური პოზიციებიდან (ყოველ შემთხვევაში, მოკლევადიან პერიოდში) ეს პრობლემა ნაკლებ მნიშვნელოვნად ითვლებოდა, ვიდრე უმუშევრობის პრობლემა. უნდა გავიხსენოთ კიდევ ერთი კეინზიანური თავისებურება დაშვება ფასების დონის შედარებითი სტაბილურობის შესახებ გამოუყენებელი რესურსების მნიშვნელოვანი რაოდენობის პირობებში. შეგახსენებთ, აგრეთვე, რომ კეინზიანური მოდელები აიგება კოორდინატებში „შემოსავალი (გამოშვება) - პროცენტი“, მაშინ როცა ავტორების „სინთეზური მოდელი“, ისევე როგორც ლაფერის მოდელი, კოორდინატებში „გამოშვება - საგადასახადო განაკვეთი“.

კეინზისა და მისი მიმდევრებისგან განსხვავებით, მიწოდების ეკონომიკა ყურადღებას აქცევს ფაქტორების (შრომისა და კაპიტალის) მიწოდების პრობლემას და იმ როლს, რომელსაც ამაში გადასახადები თამაშობს. იგულისხმებოდა და ამაში ცხადად ჩანს კლასიკური ტრადიციის გავლენა, რომ მიწოდებული რესურსების გამოყენების საკითხს წარმატებით წყვეტს ბაზარი. მიწოდების ეკონომიკის ჩარჩოებში დანაზოგები განიხილებოდა არა როგორც დაკავება განკარგვადი შემოსავლიდან, რაც ძირს უთხრის მოთხოვნას, არამედ როგორც რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების ზრდას. აღნიშნულის კონტექსტით ჩნდება კითხვა არა მხოლოდ იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სინთეზურ მოდელში არსებული გამოუყენებელი რესურსები, არამედ იმის შესახებაც, როგორი გავლენა შეიძლება იქონიოს ამ ფაქტმა ავტორების მსჯელობაზე, მაგალითად, პუნქტ 4.1.1-ში, სადაც განიხილება წონასწორობის აღდგენის პრობლემა აგრეგირებული მოთხოვნის ეგზოგენური ცვლილების შემთხვევაში.

წიგნის ავტორები მოკლედ მოიხსენიებენ ამ ორი მიდგომის მეთოდოლოგიურ დისონანსს, როდესაც მსჯელობენ ეკონომიკურ ზრდაზე საგადასახადო ტვირთის ზემოქმედების შესაფასებლად სანარმოო ფუნქციის (კობი-დუგლასის ტიპის) გამოყენების შესაძლებლობაზე. ამ შემთხვევაში საგადასახადო განაკვეთი შეიყვანება შესაბამისი ფაქტორების ელასტიკურობაში (ტრანსფორმაციული მოდელი, თავი 3). ისინი სამართლიანად აღნიშნავენ, რომ სანარმოო ფუნქცია ოპერირებს გამოყენებული ფაქტორების

მოცულობით, ლაფერის კონცეფციაში კი ყურადღება გამახვილებულია მათ მიწოდებაზე. ავტორები აგრეთვე შეგვახსენებენ, რომ სანარმოო ფუნქცია ასახავს სანარმოო ტექნოლოგიას და შესაბამისად ფაქტორების გამოყენების შეფარდებით ეფექტიანობას, ლაფერის კონცეფციაში კი ეფექტიანობის საკითხი არ დგას (Ananiashvili, Papava, 2014. p. 39). ალბათ, ამ განსხვავებების აღიარების გამო, მათ შემოიტანეს წინადადება უარი თქვან ტერმინზე „ლაფერის წერტილები“, იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკაზე გადასახადების ზემოქმედების ანალიზისთვის გამოიყენება სანარმოო ფუნქცია, და გამოიყენონ ტერმინი „ბალაცკის წერტილები“, რუსი ეკონომისტის პატივსაცემად, რომელმაც შესაბამისი მოდელი შემოგვთავაზა (Балацкий, 2000b).

მინდა შევნიშნო, რომ ტრანსფორმაციულ მოდელს ავტორებისთვის დამოუკიდებელი მნიშვნელობაც ჰქონდა მან რამდენიმე საინტერესო შედეგის მიღების შესაძლებლობა მისცა. კერძოდ, ნაჩვენებია, რომ მნიშვნელოვანი საგადასახადო ტვირთის პირობებში, ფაქტორის სულ უფრო მეტი რაოდენობით გამოყენებისას, მისი ზღვრული ეფექტიანობა შეიძლება გადავიდეს უარყოფით არეში. ბალაცკის (Балацкий, 2003; 2004) ეკონომეტრიული მოდელის გამოყენებით ავტორებმა რიგი ქვეყნისთვის განსაზღვრეს გადასახადების გავლენა მასშტაბიდან უკუგებაზე. მიღებული შედეგები საგონებელში გვაგდებს, რადგან აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში გადასახადები გავლენას არ ახდენს მასშტაბის უკუგებაზე. მაგრამ ავტორებმა ჩათვალეს სანარმოო ფუნქცია ანალიზის სასარგებლო ინსტრუმენტად და გამოიყენეს ის სინთეზურ მოდელში პოტენციური გამოშვების შეფასებისთვის.

ავტორებმა გამოშვების ფაქტობრივი მოცულობა წარმოადგინეს, როგორც პოტენციური გამოშვების ნამრავლი ქცევით ფუნქციაზე, რომელიც იღებს მნიშვნელობებს 0-დან 1-მდე. ისინი ამოდიოდნენ იქიდან, რომ ერთობლივი გამოშვების ფუნქციის ფორმა განისაზღვრება რამდენიმე ეფექტის ზედდებით: დადებითებით როდესაც საგადასახადო განაკვეთის ზრდა იწვევს მიწოდების ზრდას (მაგალითად, ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების შედეგად, შესყიდვების მოცულობით, რომელსაც ახოერცილელებს მთავრობა დიდი საგადასახადო შემოსავლების წყალობით და ა.შ.) და უარყოფითებით (მაგალითად, შრომის სტიმულების შემცირების შედეგად, ჩრდილოვან სექტორში გადასვლის შედეგად და ა.შ.). მთლიანობაში ავტორები მიიჩნევენ, რომ ერთობლივი მიწოდების ფუნქციის ფორმა გვაგონებს ლაფერის მრუდის ფორმას.

სინთეზური მოდელის მიზნები შემდეგია: მაკროეკონომიკური წონასწორობის უზრუნველყოფელი საგადასახადო განაკვეთის განსაზღვრა და გადასახადების წონასწორულ და ოპტიმალურ (ლაფერის წერტილი) გა-

ნაკვეთებს შორის შესაბამისობის გამოკვლევა პარამეტრების ცვლილებისას და საგადასახადო პოლიტიკის რეჟიმზე დამოკიდებულებით. შევნიშნავთ, რომ წონასწორობის პირობები წონასწორული საგადასახდო განაკვეთის განსაზღვრის შესაძლებლობას გვაძლევს, მაგრამ ის დგინდება არა საბაზრო მექანიზმების მოქმედებით, არამედ პოლიტიკის ინსტრუმენტით. მოდელის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ აგრეგირებული მოთხოვნის ან აგრეგირებული მიწოდების ძვრის შემდეგ წონასწორობის აღდგენა შესაძლებელია საგადასახადო განაკვეთის შესაბამისი კორექტირებით. აგრეთვე ნაჩვენებია, რომ განაკვეთის ცვლილების მიმართულება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა საწყისი საგადასახადო განაკვეთი ოპტიმალურთან მიმართებით. მაგრამ თუ მთავრობა არ ჩაერევა, მაშინ წონასწორობა მიიღწევა ფასების მექანიზმის მეშვეობით, რისი მოქმედების შედეგადაც ცვლილებას განიცდის არა მხოლოდ წონასწორული, არამედ ასევე ოპტიმალური განაკვეთიც.

საბოლოო ანგარიშით, თუ საგადასახდო განაკვეთის ცვლილებით გამოწვეული ეფექტი დროის პერსპექტივაში განიხილება, მაშინ მიწოდების ფუნქცია, ისევე როგორც ფისკალური ფუნქცია (ლაფერის ფუნქცია), დამოკიდებულია არა მხოლოდ მიმდინარე საგადასახადო განაკვეთზე, არამედ ოპტიმალურზეც. ავტორები მიდიან დასკვნამდე, რომ „ლაფერის მრუდი არ არის უცვლელი, ის შეიძლება იცვლებოდეს ეკონომიკური სიტუაციის მიხედვით, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ყალიბდება ფასების დონის ცვლილების შედეგად, რაც აგრეთვე გულისხმობს  $t^{**}$ -ის (გადასახადების ოპტიმალური განაკვეთის - ნ.მ.) ცვლილებას. ამ პირობებში თვალსაზრისი ... რომლის მიხედვით სასურველია როგორმე განისაზღვროს საგადასახადო განაკვეთი  $t^{**}$ ... რათა მის საფუძველზე შემუშავდეს განვითარების პოლიტიკა და გაუმჯობესდეს საგადასახადო რეჟიმი, კარგავს თავის მიმზიდველობას, ვინაიდან ეკონომიკაში ცვლილებების დროს აუცილებელია საგადასახადო განაკვეთის შეცვლა, და საბოლოოდ ამან შეიძლება არასასურველ შედეგებამდე მიგვიყვანოს“ (Ananiashvili, Papava, 2014. p. 83).

ეს შედეგი, ფაქტობრივად, წარმოადგენს ლაფერის სახელთან ასოცირებულ მარტივი მრუდისა და პრაქტიკული გადანყვეტილებების განაჩენს. მოთხოვნისა და მიწოდების პოზიციიდან ავტორების მიერ განხორციელებულმა მიდგომების სინთეზმა საშუალება მოგვცა დავასკვნათ, რომ, როცა მთავრობა არ მიმართავს საგადასახადო განაკვეთის ცვლილებას, მას შეუძლია იმოქმედოს აგრეგირებულ მოთხოვნაზე, რათა ერთმანეთს დაუახლოვოს წონასწორული და ოპტიმალური საგადასახდო განაკვეთები. ამასთან, მაკროეკონომიკური წონასწორობა არ გულისხმობს ოპტიმალური საგადასახდო განაკვეთის ერთადერთ მნიშვნელობას. სხვა სიტყვებით,

წონასწორულმა საგადასახადო განაკვეთმა შეიძლება თანაირსებოს მიწოდების მრუდებისა და საგადასახადო შემოსავლების მნიშვნელობების მთელ ნაკრებთან ერთად.

პაპავასა და ანანიაშვილის წიგნი ავტორების მრავალწლიანი კვლევების განზოგადებაა. ამასთან ის, ჩემი აზრით, არა იმდენად გვთავაზობს მთლიან და ამომწურავ კონცეფციას, რამდენადაც მიუთითებს ეკონომიკაზე გადასახადების გავლენის პრობლემის ზოგიერთ საკვანძო წერტილზე და გამოყენებული ინსტრუმენტარის სრულყოფის შესაძლო მიმართულებებზე. და ამაშია, როგორც მე მესახება, ამ ნაშრომის მეთოდოლოგიური და თეორიული ღირებულება.

#### ლიტერატურა:

1. Бланшар О. (2010). Макроэкономика. М: ВШЭ. [Blanchard O. (2010). Macroeconomics. Moscow: HSE. Publ. (In Russian).]
2. Балацкий Е. В. (2000а). Воспроизводственный цикл и налоговое бремя. // Экономика и математические методы, Т. 36, № 1. С. 3–16. [Balatskii E.V. (2000a). The reproduction cycle and the tax burden. Ekonomika I Matematicheskie Metody, Vol. 36, No. 1, pp. 3–16. (In Russian).]
3. Балацкий, Е. В. (2000б) Эффективность фискальной политики государства. // Проблемы прогнозирования, № 5. С. 32–45. [Balatskii E.V. (2000b). Effectiveness of the government fiscal policy. Problemy Prognozirovaniya, No. 5, pp. 32–45. (In Russian).]
4. Балацкий, Е. В. (2003а). Анализ Влияния налоговой нагрузки на экономический рост с помощью производственно-институциональных функции. // Проблемы прогнозирования, № 2. С. 88–105. [Balatskii E.V. (2003). Impact analysis of the tax burden on economic growth by means of production-institutional functions. Problemy Prognozirovaniya, No. 2, pp. 88–105. (In Russian).]
5. Балацкий, Е. В. (2004). Оценка влияния фискальных инструментов на экономический рост. // Проблемы прогнозирования, № 4. С. 124–136. [Balatskii E.M. (2004). Assessment of the fiscal instruments' impact on economic growth. Problemy Prognozirovaniya, No. 4, pp. 124–136. (In Russian).]
6. Вишнеvский, В. и Д. Липницкий, (2000). Оценка возможностей снижения налогового бремени в переходной экономике. // Вопросы экономики, № 2. С. 107–116. [Vishnevskii V., Lipnitskii D. (2000). Estimating possibilities of lowering tax burden in transitional economy. Voprosy Ekonomiki, No. 2, PP. 107–116. (In Russian).]
7. Кейнс Дж. М. (1978). Общая теория занятости, процента и денег. М.: Прогресс. [Keynes J.M. (1978). The General Theory of Employment, Interest and Money. Moscow: Progress. (In Russian).]

8. Макконнелл, К., Брю С. (1992). Экономикс: в 2-х т. М.: Республика. [McConnell C., Brue S. (1992). Economics. In 2 vols. Moscow: Respublika. (In Russian).]
9. Мовшович, С. М., Соколовский Л.Е. (1994). Выпуск, налоги и кривая Лаффера. // Экономика и математические методы, Т. 30, №3. С. 129–141. [Movshovich S.M., Sokolovskii L.E. (1994). Output, taxes, and the Laffer curve. Ekonomika i Matematicheskie Metody, Vol. 30, No. 3, pp. 129–141. (In Russian).]
10. Папава, В. (2001). Лафферов эффект с последствием. //Мировая экономика и международные отношения, № 7. С. 34–39. [Papava V. (2001). The Laffer effects with tax ‘hysteresis’. Mirovaya Ekonomika i Mezhdunarodnye Otnoshenia, No. 7, pp. 34–39. (In Russian).]
11. Allingham M. G., Sandmo A. (1972). Income tax evasion: A Theoretical analysis. *Jurnal of Public Economics*, Vol. 1, No.3-4, pp. 323 –338.
12. Ananiashvili I., Papava V. (2014). Laffer-Keynesian synthesis and macroeconomic equilibrium. N. Y. Nova Science Publishers.
13. Alm J., McClelland G., Sulze W. (1992). Why do people pay tax? *Jurnal of Public Economics*, Vol. 48, No. 1, pp. 21–38.
14. Besley T., Persson T. (2009). The origins of state capacity: property rights, taxation, and polcy. *American Economic Review*, Vol. 99, No. 4. pp.1218–1244.
15. Canto, V. A., Joines D. H., Webb R. I. (1979). Empirical evidence on the effect of tax rates on economic activity. *Proceedings of the Business and Economic Statistics Section*. Washington, DC: ASA, pp.30–40.
16. Domotrovic B. (ed.) (2014). The pollars of Reaganomics: A generation of wisdom from Arthur Laffer and supply-side revolutionaries. San Francisco, CA: Pacific Research Institute for Public Polidy.
17. Evans M. K. (1978). Taxes, inflation, and the rich. *Wall Street Journal*, Aug. 7, p. 10.
18. Fullerton D. (1980). Can tax revenues go up when tax rates go down? *Office of Tax Analysis U. S. Treasury Department Paper*, No. 41, pp.1–39.
19. Fullerton D. (1982). On the possibility of an inverse relationship between tax rated and government revenues. *Jurnal of Public Economics*, Vol. 19, No. 1, pp. 3–22.
20. Laffer A. (1981). Government exactions and revenue deficiencies. *Cato Jurnal*, Vol. 1, No. 1, pp. 1–21
21. Laffer A. (2004). The laffer curve: past, present, and future. *Laffer Associates: Supply-Side Investment Research*. June 1, pp. 1–16.
22. Mitchell D. J. (2012). The Laffer Curve. *Forbes*. April 15. URL. [http:// www.forbes.com/ setes/danielmitchell/2012/04/15/](http://www.forbes.com/setes/danielmitchell/2012/04/15/).
23. Stiglitz J. (1988). *Economics of the Public Sector*. N. Y. W.W. Norton & Co.
24. Wanniski J. (1978). Taxes, revenues, and the ‘Laffer curve’. *The Public Interest*, Vol. 50, Winter, pp. 3–16.

## **Macroeconomic Reconciliation?**

**(On the book by I. Ananiashvili and V. Papava “Laffer-Keynesian Synthesis and Macroeconomic Equilibrium”)**

*Natalia Makasheva*

Authors affiliation: Institute of Scientific Information on Social Sciences, Russian Academy of Sciences (Moscow, Russia); National Research University Higher School of Economics (Moscow, Russia). Email: nmakasheva@mail.ru.

The authors of the book reviewed here suggest the model of the macroeconomic equilibrium that unifies Keynesian and Laffer’s approaches to analyzing the effects of taxation on the output and tax revenues. The authors demonstrated the limitations of the simple Laffer model and developed a more realistic extension of this model that captures the influence of taxes on economic growth and provided estimates for various countries.

**Keywords:** Laffer curve; taxes; fiscal curve; aggregate demand; aggregate supply.

**JEL:** E00, E62, E12, O23.

## ზოგიერთი მოსაზრება ი. ბაჩიაშვილის მონოგრაფიაზე –

**„ერი და დრო. ანუ გვიყვარს თუა არა ქართველებს საქართველო.  
ფილოსოფიური და ეკონომიკურ-სამართლებრივი ასპექტები.  
ნაწილი I“ (თბილისი, გამომცემლობა „ივერიონი“, 2014, - 368 გვ.).**

წარმოდგენილი ნაშრომის სათაური იმთავითვე ხაზს უსვამს იმას, რომ ავტორს აქვს პრეტენზია (ჩვენი აზრით, საკმაოდ საფუძვლიანი) კომპლექსურად განიხილოს დღევანდელი საქართველოს მდგომარეობა და შემოგვთავაზოს არსებული პრობლემების გადაწყვეტის გზები. მისი გულფრთხილობა ჩანს უკვე მონოგრაფიის დასაწყისში მკითხველისადმი მიმართვაში – „რა ვქნა, ფშავ-კახეთის გამოუსწერებელი მოდგმისა ვარ ...“.

ავტორი, საბაზო განათლებით, იურისტი-თეორეტიკოსია, სამართლის დოქტორი ანუ თუ გამოვიყენებთ ძველ ტერმინოლოგიას – „სახელმწიფომცოდნე“ და შესაბამისად მისი ანალიზის საკითხებს წარმოადგენს საქართველოს, როგორც **სახელმწიფოს** უახლოესი წარსულის და არსებული პრობლემების ანალიზი და გადაწყვეტის გზების შემოთავაზება, რაც ნათლად ჩანს წიგნის არქიტექტონიდან და განხილულ საკითხთა წრიდან.

ავტორი თავის წინათქმაში მოითხოვს მთავრობებისაგან ერთი შეხედვით მარტივს – „ქვეყნის რეალურ წინსვლას ... მოქალაქეთა კეთილდღეობის ზრდას, მაღალხარისხოვან ჯანდაცვას და საიმედო დაცულობას“ (გვ.21), მაგრამ არასისტემურმა და არათანმიმდევრულმა პოლიტიკამ ეს ამოცანა შესასრულებელად ძნელი გახადა.

ჩემთვის, როგორც ეკონომისტისათვის, მონოგრაფიის იმ პარაგრაფებმა მიიპყრო ყურდღება, რომლებიც ეკონომიკას ეხება, თუმცა სხვა საკითხებიც გარკვეულწილად გადის ეკონომიკაზე (მაგალითად, პარაგრაფები – III, IV, VII, VIII, XVI, XVIII, XIX – ორიოდე სიტყვა ხელისუფალთა ხელფასების, სახელფასო დანამატების და პრემიების შესახებ; მცირე დემოგრაფიული წიაღსვლები; დემოკრატიის ეკონომიკური ასპექტები; სოფლის მეურნეობა; კორუფცია; პოლარიზებული საზოგადოება: მდიდრები და ღარიბები).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ახალი (საბაზრო) ეკონომიკური მოდელის ჩამოყალიბების საფუძველი არის საკუთრებითი ურთიერთობების ახა-

ლი (კერძო, არასახელმწიფო) ტიპის ჩამოყალიბება. ავტორი მეთოდოლოგიურად სავსებით სწორია, როდესაც იწყებს საკუთრებითი ურთიერთობების ანალიზით, აჩვენებს პრივატიზების პროცესის სამართლებრივ და ეკონომიკურ მხარეებს, კრიტიკულად განიხილავს პრივატიზაციის პროცესის ხელშემწყობი ინსტიტუტების საქმიანობას. აღნიშნავს, რომ ამ პროცესმა შექმნა ახალი მდიდრების, „ნუფორიშების“ ფენა და მანცდამაინც ვერ განაპირობა ეკონომიკის წინსვლა. საერთოდ, პოსტსაბჭოურ სივრცეში ჩატარებულმა პრივატიზაციამ დაბადა ბევრი კითხვა, რომლებზეც დღესაც არ აქვთ პასუხი იმდროინდელი პრივატიზების პროცესის მესვეურებს.

მესამე პარაგრაფში ავტორი კრიტიკულად განიხილავს ხელფასების, სახელფასო დანამატებისა და პრემიების საკითხს. აქ ჩემი მხრიდან, დავამატებ, რომ მე ძალიან კარგად მესმის შრომის სტიმულირების მნიშვნელობა ეკონომიკის განვითარების საქმეში, მაგრამ შრომის ანაზღაურება უნდა იყოს კავშირში მის მწარმოებლურობასთან, სხვა შემთხვევაში ცნობილია, რომ როდესაც ფულადი ნიშნების რაოდენობა აჭარბებს სასაქონლო მასის რაოდენობას, ადგილი აქვს ფულის გაუფასურებას (ეს არის ეკონომიკის აქსიომა). ის არგუმენტი, რომ ადამიანი, რომ არ ჩაერთოს კორუფციულ გარიგებებში, ამისათვის უნდა დაენიშნოს მაღალი ხელფასი, დანამატი და პრემია, ნადვილად უსუსურია. ავტორი მართებულად კითხულობს – „მინისტრის ხელფასი 7 875 ლარია და რატომ არა 15 000 ან 2000 ლარი?“. საერთოდ, აღვნიშნავთ, რომ სახელფასო პოლიტიკა ჩვენს ქვეყანაში ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, ე.წ. სახელფასო „მაკრატილი“-ს (სხვაობა ხელფასის უმაღლეს და დაბალ დონეს შორის) დიაპაზონი საკმაოდ დიდია.

განსაკუთრებულად მინდა გამოვეყო განათლების საკითხების ანალიზი. ეს ის სფეროა, სადაც საქართველოს ყოველთვის ექნება პრეტენზია დაიმკვიდროს ადგილი მონინავე ნაციებს შორის. მოგეხსენებათ, რომ განათლების პროცესი უწყვეტი პროცესია და მას უნდა ახასიათებდეს სისტემურობა. ავტორი თანმიმდევრულად გვთავაზობს სასკოლო განათლების (დანწყებითი საფეხური, დამათავრებელი საფეხურები), უმაღლესი სკოლის სისტემაში არსებული პრობლემები ანალიზს: აღნიშნავს გარკვეულ მიღწევებს და ამავე დროს ჩვენი ახალგაზრდების პოტენციალის გამოუყენებლობას (ნაშრომის ბოლო თავში ავტორი აღნიშნავს კიდევ – „თუ რამ გვამშვიდებს და იმედს გვაძლევს, ეს ჩვენი ახალგაზრდობაა“ (გვ.325) და ასევე მოუწოდებს ახალგაზრდობას შეასრულოს ის დანიშნულება, რაც მას აკისრია ერის, სამშობლოს წინაშე (გვ.330-331)).

ძნელია არ დაეთანხმო ავტორს იმაში, რომ „ქვეყანაში არ არსებობს სახელმწიფო სამსახურისათვის კადრების მომზადების ერთიანი და მწყობრი სისტემა“ (გვ.58). ასეთი სისტემის არარსებობის შემთხვევაში ხდება პერსონალის დანიშნულება ნეპოტიზმის საფუძველზე, არადა, ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიაში არსებობდა რანგირების ტაბელი, რომელიც სრულ ინფორმაციას იძლეოდა საკადრო პოტენციალის შესახებ.

განსაკუთრებით მინდა შევჩერდე მონოგრაფიის ეკონომიკურ ბლოკზე (გვ.83-168). ეს ბლოკი შეიცავს ადამიანთა რესურსების, ზოგადად ეკონომიკის, დემოკრატიის ეკონომიკური საფუძვლების, საოფლის მეურნეობის და სხვა საკითხებს. აქ მოცემულია ქვეყნის საწარმოო პოტენციალის დახასიათება, რომელიც გააჩნდა საქართველოს საბჭოთა კავშირის დაშლამდე, მოცემულია შედარებითი ანალიზი სხვა ქვეყნებთან ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით (მთლიანი შიგა პროდუქტი, უმუშევრობა, სოფლის მეურნეობა, სიღარიბე, დანაზოგები, ექსპორტ-იმპორტი), გაკეთებულია სწორი დასკვნები. ამასთან, მინდა დავსვა ერთი რიტორიკული კითხვა: შეეძლო თუ არა საქართველოს იმდროინდელ მთავრობას აერჩია კარდინალურად სხვა პოლიტიკა, თუ არა შოკური თერაპიის მეთოდი ეკონომიკის რეფორმების პროცესში? ვიდრე ამ შეკითხვაზე პასუხს გავცემ, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ რეფორმებს ეკონომიკაში სჭირდება სახელმწიფო და პოლიტიკური ინსტიტუტების არსებობა, ფინანსური რესურსები და სხვ. ჰქონდა კი იმდროინდელ საქართველოს ეს რესურსები? რა თქმა უნდა, არა, არა სახელმწიფო ინსტიტუტები, არა ეროვნული ვალუტა, არა ეკონომიკური იდეოლოგია. ისმოდა მხოლოდ მონოდებები, რომ საბაზრო ეკონომიკა რამდენიმე წელიწადში ააყვავებს ქვეყანას მხოლოდ ბუნებრივი რესურსების ხარჯზე. **საქართველოს მთავრობა იძულებული იყო აერჩია რეფორმების ის მოდელი, რომელიც აირჩია, ხოლო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან ამას მოყვა ფინანსური, ინსტიტუციური და სხვა დახმარება. მაგრამ, თუნდაც ამ მოდელის რეალიზებაშიც კი საქართველოს მთავრობა არ იყო თანამიმდევრული და უშვებდა შეცდომებს.** ამ პრობლემასთან დაკავშირებით ავტორი გვთავაზობს გამოსავალს: „სრულიად აუცილებელია სპეციალური ფართომასშტაბიანი, მაღალპროფესიული კვლევის ჩატარება ... რომლის ძირითადი მიზანიც იქნება ბუნებრივი და ადამიანური (უნდა იყოს ადამიანისეული - თ.ბ.) რესურსების ზედმიწევნით შესწავლა და გაანალიზება საერთაშორისო საბაზრო კონიუნქტურასთან მიმართებით“ (გვ.342).

აქვე გამოვყოფდი სოფლის მეურნეობის, მინათმონყობის და მინათსარგებლობის, სასარგებლო წიაღისეულისა და წყლის რესურსების საკითხებს (გვ.113-168). მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობა და მასთან დაკავშირებული ქვედარგები წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის განვითარების საფუძველს, აღვნიშნავ, რომ ჯერ კიდევ არ გვაქვს სრულყოფილი მინის კადასტრი, არ არის გატარებული ყველანაირი ტიპის მინების ინვენტარიზაცია (ვნახოთ, რას მოგვცემს გასულ წელს ჩატარებული სასოფლო-სამეურნეო აღწერა).

საინტერესო საკითხია „დემოკრატიის ეკონომიკური ასპექტები“ (გვ.104-112) და პროდუქტიულია ავტორის დასკვნა – „ეკონომიკის განვითარებისათვის მხოლოდ დემოკრატიის არსებობა არ არის საკმარისი, მაგრამ დემოკრატი-

ის გარეშე ეკონომიკის განვითარება შეუძლებელია“ (გვ.111). აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენ ეკონომიკური დემოკრატიის საფუძველს ვხედავთ შესაბამისი საკუთრებითი ურთიერთობების (კერძო) დამკვიდრებაში, ამის შესახებ ჩვენ ვწერდით ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში.

საყურადღებოა პარაგრაფები, რომლებიც ეძღვნება განათლებას, უმაღლეს სკოლას, მეცნიერებას (გვ.169-189). ეს დარგები საქართველოსათვის ყოველთვის იყო და უნდა იყოს პრიორიტეტული, ამით გამოირჩეოდა ის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. მაგრამ დღეს სხვა დროა და ქვეყანა სხვა გამოწვევების წინაშე დგას. საინტერესო ანალიზია მოცემული სკოლებში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების მდგომარეობისა, დამეთხმებით ეს არის მომავალი წარმატებების საფუძველი. აქ, ავტორის მოსაზრება საკმაოდ კატეგორიულია: „საქართველოს სასკოლო განათლების სისტემის მთავარი გამოწვევაა **განათლების ხარისხი**“ (გვ.177).

ვინაიდან ავტორი მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, ორმაგად საინტერესოა მისი მოსაზრებები მეცნიერების მდგომარეობაზე (პარაგრაფი XIV). მოცემულია დღევანდელი მდგომარეობის ამსახველი მძიმე სტატისტიკა (53 000 მეცნიერ მუშაკიდან დარჩენილია 2 000; არსებული 82 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან დარჩენილია სულ რამდენიმე; მეცნიერთა ხელფასი 10-15 ჯერ ნაკლებია სახელმწიფო სტრუქტურების მესამეხარისხოვან თანამშრომელთა ანაზღაურებაზე და ა.შ.). **გამოსავალს ამ პრობლემიდან**, ავტორი გვთავაზობს მონოგრაფიის XXVI პარაგრაფში (გვ.352-358), სახელდობრ, მეცნიერთა რიცხოვნობის დადგენა და რესურსების ინვენტარიზაცია, დაფინანსების საკითხი (სახელმწიფო და კერძო), სამეცნიერო პრიორიტეტების განსაზღვრა, მეცნიერების მართვის ოპტიმალური სისტემის შექმნა და ეს ყველაფერი – მსოფლიო მონინავე გამოცდილების ანალიზის საფუძველზე.

როგორც იურისტი-თეორეტიკოსი, ავტორი იძლევა კანონმდებლობის, სასამართლო რეფორმის და ზოგადად სამართლიანობის საკითხების საინტერესო ანალიზს. ამ სფეროში არსებული გამოსავლის გზებს ავტორი გვთავაზობს (გვ.358-360): „სპეციალური ინსტიტუტის შექმნა, რომლის ძირითადი ფუნქცია იქნება კანონმდებლობის ღრმა ანალიზი და ამის საფუძველზე მომავალი საკანონმდებლო აქტების პროექტების შემუშავება ეკონომიკისა და სოციალური ცხოვრების“ სხვადასხვა მხარეებზე (გვ.359).

აქვე აღვნიშნავდი კორუფციის საკითხსაც (გვ.259-272), რომელიც საქართველოსათვის აქტუალურია ბოლო ორი ათწლეული. კორუფცია საფუძველს აცლის ქვეყნის სახელმწიფოებრიობას, გავიხსენებ ცნობილ გამონათქვამს: „იქ სადაც კორუფციაა პოლიტიკაზე ლაპარაკი ზედმეტია...“. ლაპარაკი არ არის მის სრულ დაძლევაზე, არამედ მის მინიმინაზიზაციაზე, როგორც არის ის განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში. ავტორი აღნიშნავს, რომ „მკაცრი იურიდ-

იული თვალთახედვით, კორუფციასთან ეფექტიანი ბრძოლა სხვა არაფერია, თუ არა და სამართლის ეფექტიანი რეალიზაცია“ (გვ.265).

ეკონომიკაში კორუფციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ჩრდილოვანი (სტატისტიკოსები იყენებენ ტერმინს „დაუკვირვებადი ეკონომიკა“, ვინაიდან ის უფრო ფართოა) ეკონომიკის წილი მშპ-თან მიმართებით. განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი მერყეობს 3-7 %-ის ფარგლებში, ხოლო საქართველოში 2003 წლამდე ის აღწევდა 50 %-ს, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კი შემცირდა 22-23 %-მდე. სამწუხაროდ, დღეს სტატისტიკის ეროვნული სამსახური საერთოდ არ ატარებს კვლევებს ჩრდილოვანი ეკონომიკის დონის გამოსავლენად.

ჩვენი აზრით, კორუფციის პრობლემისადმი საჭიროა კომპლექსური მიდგომა: ეკონომიკური და სამართლებრივი ღონისძიებების ერთიანად გატარება. არ უნდა დავივიწყოთ არანორმატიული, მორალური ინსტიტუტების მნიშვნელობაც – ოჯახი, სკოლა და ა.შ. კორუფციის დაძლევის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სამოქალაქო საზოგადოების არსებობა, რაც დაძლევს ისეთ ფენომენსაც, როგორცაა გაუცხოებული ხელისუფლება (პრობლემა დასმულია წიგნის მეორე პარაგრაფში გვ.23-32).

მოცემულია სოციალური პრობლემების ანალიზი: პოლარიზებული საზოგადოება, ჯანდაცვა, გლობალიზაცია და საქართველო. აქ გვინდა შევეხოთ პრივატიზების საკითხსაც, ვინაიდან მისი გატარების შედეგად გაჩნდა „ნუვორიშების“ ფენა და მოხდა მოსახლეობის პაუპერიზაცია. როდესაც ვმსჯელობთ პრივატიზაციაზე უნდა შევეხოთ ერთ მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ საკითხს. **აუცილებელია განვასხვავოთ საკუთრების იურიდიული, სამართლებრივი და ეკონომიკური ასპექტი!** პირველ შემთხვევაში, მარტივად რომ ვთქვათ – ვის რა ეკუთვნის!, ანუ საგნობრივი კუთვნილება, ხოლო მეორე შემთხვევაში, ურთიერთობითი ასპექტი – რას იძლევა ეს საკუთრება, როგორ მუშაობს ის, როგორი დოვლათი იქმნება? აქედან დასკვნა – **არც ერთი საკუთრება ავტომატურად არ უზრუნველყოფს წარმოების, ეკონომიკის მაღალ ეფექტიანობას, აუცილებელია შესაბამის ინსტიტუტების (ფორმალური და არაფორმალური) არსებობა. აი, ეს არის ის პრობლემა, რომელიც დღესაც არ არის გადანყვეტილი საქართველოში.**

მონოგრაფიის ამოსავალი წერტილი და კვინტესენცია, ჩვენი აზრით, არის მოცემული, XXIII თავში – გვჭირდება თუ არა „ეროვნული იდეოლოგია“. ავტორი სავსებით სწორად თვლის, რომ ეროვნული იდეოლოგიის გარეშე ვერ იარსებებს ქვეყნის სახელმწიფო მონყობა და ეკონომიკა. მე, როგორც ეკონომისტი, მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში არაეკონომიკური, ანუ იდეოლოგიური ფაქტორები დომინირებდა და დღესაც დომინირებს ქვეყნის ეკონომიკური მონყობის საქმეში. არადა, ყველა საქმიანობაში უნდა იმარჯვებდეს სალი აზრი და ლოგიკა, მაგალითად, ეკონო-

მიკაში ეფექტიანობის ზრდას არ უნდა განსაზღვრავდეს რაღაც ცალმხრივი ეკონომიკური მოდელით, რომელიც არ ითვალისწინებს ქვეყნის სპეციფიკას და არ იძლევა რეალურ ეფექტს.

ნაშრომის მიმართ გვაქვს ზოგიერთი შენიშვნა, მოსაზრება სასურველობა. კერძოდ:

1. პრობლემათა ანალიზი უნდა განხორციელებულიყო დედუქციის მეთოდზე დაყრდნობით, ანუ პარაგრაფები – II. გაუცხოებული ხელისუფლება, III. ორიოდე სიტყვა ხელისუფალთა ხელფასების, სახელფასო დანამატებისა და პრემიების შესახებ, V. ადამიანთა რესურსები ანუ კადრები, სავსებით შეიძლებოდა გაერთიანებულიყო ერთ თავში და მოცემულიყო ნაშრომის დასკვნით თავებში, ხოლო რაც შეეხება საკუთრივ სამართლის და ეკონომიკის საკითხებს, ისინი წინა პლანზე უნდა ყოფილიყო წამოწეული.
2. პარაგრაფები ერთობ მცირე მოცულობისაა, არადა, მათი სათაურები და პრობლემატიკა საკმაოდ მოცვადია და დამაინტრიგებელი, ვფიქრობ, ყოველი მათგანი უფრო ვრცელი უნდა გახდეს (ალბათ მონოგრაფიის მეორე ნაწილში);
3. არის ზოგიერთი კატეგორიული გამონათქვამები, რომელიც გარკვეულ პესიმიზმს ბადებს მკითხველში, მაგალითად, „გამოუსწორებელი და უსაშველო სენით დაავადებული ერი...“. ამავე დროს იგი აღნიშნავს, რომ „...ერი და საზოგადოება იზრდება, იძენს ახალ ცხოვრებაში ორიენტირების გამოცდილებას, ხდება რაციონალური და მიზანდასახული“ (გვ.335).

დაბოლოს, ხაზს გაეუსვამ პროფესორ იოსებ ბაჩიაშვილის მონოგრაფიის გამოსვლის დროულობას, ამ ნაშრომით ის ჩვენ კიდევ ერთხელ გვაფრთხილებს, რათა არ დაუშვათ შეცდომები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში ბოლო 25 წლის განმავლობაში და ვისწავლოთ ამ შეცდომებზე ქვეყნის მართვა. მონოგრაფიას აქვს მაღალი გამოყენებითი ღირებულება და ის აუცილებლად უნდა გახდეს საქართველოს მესვეურთა ინტერესის საგანი.

### **თეიმურაზ ბერიძე**

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის  
ფაკულტეტის დეკანი*

## **დროის მართვა, ანუ როგორ შეიძლება ადამიანმა წარმატებას მიაღწიოს ცხოვრებაში**

**(მანანა ხარხელი. დროის მენეჯმენტი. თბილისი 2015, 102 გვ.)**

დროის პრობლემა ოდითგანვე იპყრობდა ადამიანთა ყურადღებას. მის შესახებ მსჯელობდნენ ანტიკური ეპოქის მოაზროვნეები, დროის სწორად გამოყენების უდიდეს მნიშვნელობაზე მიგვითითებს ბევრი ხალხური სიბრძნე. დრო მრავალმხრივი, რთული და მრავალწახნაგოვანი ფენომენია, რომლის სხვადასხვა ასპექტი შეისწავლება ფილოსოფიის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკის და სხვა მეცნიერების მიერ. ამ ფართო სპექტრში ღირსეულ ადგილს იკავებს მეცნიერება დროის მართვის შესახებ - დროის მენეჯმენტი, რომელსაც ეძღვნება ეკონომიკის აკადემიური დოქტორის მანანა ხარხელის სარეცენზიო ნაშრომი.

საკითხების გადმოცემა იწყება დროის, როგორც ადამიანის განკარგულებაში არსებული შეზღუდული და აუნაზღაურებელი რესურსის ანალიზით. დროის ეფექტიან გამოყენებაზე პირდაპირაა დამოკიდებული ადამიანის ნებისმიერი ცხოვრებისეული წარმატება. ადამიანს არ შეუძლია დროის ფიზიკური სიდიდის გაზრდა ან შემცირება, თუმცა მისი რაციონალური გამოყენებით იგი „ამჭიდროებს“ დროს ანუ ერთსა და იმავე დროში მეტ საქმეს აკეთებს.

ავტორი აყალიბებს დროის მენეჯმენტის ოთხ ელემენტს - ფილოსოფიას, სტრატეგიას, ტექნოლოგიას, ეფექტიანობას და განსაზღვრავს თითოეული მათგანის შინაარსს. იგი, ჩვენი აზრით, მართებულად შენიშნავს, რომ „ადამიანი და დრო განუყოფელად ურთიერთდაკავშირებული ცნებებია. ცხოვრებაში ადამიანი გვევლინება როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური დროის მატარებლად“ (გვ.16). აქვე დავსძენთ, რომ ობიექტური დრო, როგორც ფიზიკური რეალობა და მატერიის არსებობის ერთ-ერთო ფორმა, კაცობრიობის გაჩენამდეც არსებობდა, თუმცა შემდეგ იგი ადამიანის სხვადასხვა ტიპის საქმიანობით ივსება და პიროვნების ყოფით სივრცედ გადაიქცევა, „რომელსაც იგი (ე.ი.

პიროვნება - ე.მ.) როგორც სუბიექტი თავისი ფასეულობების და შეხედულებების შესაბამისად უკეთებს ორგანიზებას და ამით ლეზულობს თვითაქტუალნიზაციის და თვითგანვითარების შესაძლებლობას“ (გვ.19). დროის ორგანიზების მექანიზმებია დროის დაგეგმვა და სინქრონიზაცია, რომელთა შესახებაც ნაშრომში ვრცლადაა მოხმობილი და გაანალიზებული სხვადასხვა მკვლევარის მოსაზრებები. გაკეთებულია დასკვნა, რომ სწორედ ამ მექანიზმების საშუალებით ინდივიდი რაციონალურად ანალიზებს მის განკარგულებაში მყოფ დროის, მოხერხებულად უხამებს რა ერთმანეთს ობიექტურ და სუბიექტურ დროს.

დროის კომპლექსური პრობლემის არსებითი შემადგენელი ნაწილი დროის ეკონომიის კანონია. ანგარიშგასანევია კ. მარქსის ცნობილი გამონათქვამი, რომ ყოველგვარი ეკონომია საბოლოოდ დროის ეკონომიაზე დაიყვანება. სარეცენზიო ნაშრომში დროის ეკონომიის კანონის გამოვლინების მნიშვნელოვან ფორმად სამართლიანადაა მიჩნეული სამუშაო დროის რაციონალური გამოყენება და ნაჩვენებია ამ უკანასკნელზე შრომის პირობების სრულყოფის ზემოქმედების მნიშვნელობა. შრომის ფსიქოლოგიის, ერგონომიკის, შრომის ფიზიოლოგიის ელემენტების გამოყენებით დახასიათებული შრომისუნარიანობის დინამიკა, როგორც შრომის მწარმოებლურობის უმნიშვნელოვანესი განმაპირობებელი ფაქტორი. ავტორი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს კორპორაციული მენეჯმენტის ისეთი კონკრეტული მხარის ანალიზს, როგორცაა თათბირის ჩატარების ხელოვნება. სწორადაა აღნიშნული, რომ „თათბირის მომზადებას ხელმძღვანელმა გაცილებით მეტი დრო უნდა მოანდოდოს, ვიდრე მის ჩატარებას“. (გვ.29). შემჩნეულია კანონზომიერება, რომლის თანახმადაც „რაც უფრო მოკლეა გამოსვლის ტექსტი, მით მეტ დროს მოითხოვს მისი მომზადება. საუბარია 3-7 წუთიან გამოსვლაზე, სადაც უნდა მოხერხდეს აუდიტორიის დარწმუნება, უნდა მოიძებნოს სიტყვები, არგუმენტები, შეირჩეს საუბრის ტონალობა“ (იქვე).

აღნიშნულ ფონზე, რაოდენ კონსტრასტულია ჩვენი რეალობა, სადაც ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს ხელმძღვანელის ხანგრძლივ, ულოგიკო, უსისტემო, აუდიტორიისათვის უინტერესო გამოსვლას, რის გამოც კოლექტივის ნევრისთვის თათბირზე გატარებული დრო უსარგებლოა. ავტორის აზრით, თათბირის დაგეგმვისათვის აუცილებელია მისი ჩატარების დროის სწორად შერჩევა, რათა არ იქნას დარღვეული მუშაობის რიტმი. აქვე შემოთავაზებულია კონკრეტული წინადადებები თათბირის ხანგრძლივობისა და პროცედურების შესახებ.

მენეჯერის მთავარი ფუნქციის – ადამიანთა მართვის – წარმატებით რეალიზება, პირველ რიგში, მოითხოვს, რომ მან ეფექტიანად მართოს საკუთარი დრო. აქედან გამომდინარე წიგნში ჯეროვანი ყურადღება ეთმობა თვითმენე-

ჯმენტის საკითხებს. ავტორი გვთავაზობს პირადი დროის განრიგის (გეგმის) შედგენის „ხუთ წესს“ და „ოთხ ნაბიჯს“, სკრუპულოზურად გვიხსნის დროის მართვისა და დაგეგმვის პროცესის სირთულეებს, რომლებიც ვლინდება სამი დონის ბარიერის არსებობასა და თითოეულ დონეზე დაშვებული სავარაუდო შეცდომებში. პირველი დონისათვის ძირითადად ნიშანდობლივია ტექნიკური ხასიათის შეცდომები, რომლებსაც ჩამოთვლის და აანალიზებს მეცნიერი. მეორე დონეზე უპირატესად მოქმედებს გარეგანი ანუ იმ ტიპის ფაქტორები, რომლებსაც მენეჯერი ვერ აკონტროლებს. ამ შემთხვევაში მან უნდა იფიქროს ამ ფაქტორებთან ადაპტაციაზე, რაც მას ხელს შეუწყობს პრობლემის კონსტრუქციულ გადაწყვეტაში. მესამე დონე ხასიათდება ფსიქოლოგიური ხასიათის შემდეგი წინააღმდეგობებით: ინდივიდი ვერ ახერხებს საკუთარი ცხოვრებისეული მიზნებისა და პრიორიტეტების გამოკვეთას, ინდივიდის ქცევის წამყვანი მოტივებია ქაოსის „მოთვინიერება“, სხვისადმი მუდმივი დახმარება და გვერდში დგომა, საქმის დამთავრების შიში. ჩვენი აზრით, ძალიან საინტერესოა დროის მენეჯმენტის ისეთი ფსიქოლოგიური ასპექტის ანალიზი, როგორცაა „ყოფითი სივრცის პარამეტრების გავლენა პირადი დროის დაგეგმვაზე“. კლასიფიცირებულია ე.წ. „ორგანიზმზე ორიენტირებული“, „სოციალური“, „საქმიანი“ ადამიანთა ტიპები, ნაჩვენებია თითოეული მათგანის დროში თვითრეალიზაციის პროცესი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: დროში კომპეტენტურობა, ფასულობითი ორიენტაციები, მხარდაჭერა, ქცევის მობილურობა, საკუთარი შეგრძნებების და სურვილების პატივისცემა, სპონტანურობა, თვითპატივისცემა, თვითალიარება, კონტაქტურობა, კრეატიულობა (გვ.81). ჩატარებულია დროის ორგანიზაციის შედარებითი ანალიზი აღნიშნული სამი ტიპის მიხედვით და განსაზღვრულია თითოეული ტიპის ადამიანის მუშაობის აქტიური პერიოდები. ეს უკანასკნელი, ჩვენი აზრით, ფრიად მნიშვნელოვანია ადამიანის სამსახურში მიღების და მისთვის სამუშაო დროის დაგეგმვის თვალსაზრისით.

წიგნის ყურადღებით გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ იგი შესრულებულია პრობლემის არსში ავტორის სიღრმისეული წვდომის, სხვადასხვა მეცნიერთა შეხედულებების კრიტიკული ანალიზის, კვლევის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების ორგანული შეხამების საფუძველზე. საკითხები გადმოცემულია მარტივი და გასაგები ენით, ნაშრომი სტილისტურად დახვეწილია, აზრობრივად გამართული და „ერთი ამოსუნთქვით“ იკითხება.

გვაქვს ზოგიერთი არაარსებითი ხასიათის შენიშვნა. კერძოდ: სასურველი იყო ნაშრომის ცალკე თავი დათმობოდა თავისუფალი დროის მართვის და დაგეგმვის საკითხებს. როგორც ცნობილია, დროის ეკონომიის საბოლოო შედეგი, ფართო სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტში, თავისუფალი დროა, რომელიც კ.მარქსის აზრით, მაღალცივილიზებულ და მაღალორგანიზებულ

საზოგადოებაში გვევლინება, როგორც „სიმდიდრის საზომად“, ასევე „მთავარ სიმდიდრედ“.

ნაშრომში ყველგან გამოყენებულია სიტყვა „რესურსები“. რესურსი თავისთავად კრებსითი შინაარსისაა და გრამატიკულად უფრო სწორია მის მხოლოდობით რიცხვში ხმარება.

ნაშრომის მე-60-ე გვერდზე ვკითხულობთ: „ფირმა, რომლის გენერალური მენეჯერიც თქვენ ბრძანდებით მრავალეროვნულია. გყავთ ქართველები, იაპონელები, ჩინელები, ზანგები (?!)“. ვფიქრობთ, რომ თანამედროვე პირობებში სიტყვა „ზანგების“ გამოყენება არაკორექტულია და თანაც „ზანგი“ არ არის ეროვნება, რასაა.

წიგნის 36-ე გვერდზე, სუფოროვის დღის რეჟიმში რაღაც უზუსტობაა გაპარული.

აღნიშნული შენიშვნები „ზღვაში წვეთია“ იმ ღირსებებთან შედარებით, რომლებიც სარეცენზიო ნაშრომს გააჩნია, რომლის გამოცემაც მისი ავტორის სერიოზულ მეცნიერულ ნარმატებად შეიძლება ჩაითვალოს.

დასასრულ, გვსურს გამოვთქვათ რეკომენდაცია: წიგნის შინაარსიდან, დონიდან და სტილიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი გაფართოებული ვარიანტის საფუძველზე მენეჯმენტის მიმართულების მაგისტრატურაში საგნის – „დროის მენეჯმენტის“ შემოღება, რომელიც ჩვენი აზრით, სტუდენტებში დიდ ინტერესს გამოიწვევს და დაეხმარება მათ კარიერის სწორად დაგეგმვაში.

***ელგუჯა მექვაბიშვილი***

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
თეორიული ეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი*

## საინტერესო ნაშრომი ისტორიოსოფიაში

**(ზურაბ ხასაია. გერმანელი ფილოსოფოსები ისტორიის შესახებ, გამომც. „Carpe diem“, 2014, გვ. 3-316)**

ისტორიის ღრმა ფილოსოფიური გააზრების წადილი ერის მაღალ კულტურაზე, მისი ცნობიერების სრულ სიმნიფეზე მეტყველებს უთუოდ. სწორედ ამგვარმა სიმნიფემ წარმოშვა თავის დროზე ბერძნული ისტორიოგრაფია, იტალიური რენესანსის ჭარბი ინტერესი ანტიკურობის მიმართ, გერმანული რომანტიზმის მძლავრი მიდრეკილება ანტიკური და ბიბლიური ტექსტების განმარტებისკენ; აგრეთვე, ჩვენი „თერგდალეულების“ დაინტერესება წარსულისა და მომავლის პრობლემებით. ამავე ნიადაგზე საბჭოთა იმპერიის ხალხებში, მათ შორის ქართველ ხალხშიც, XX საუკუნის დამლევს წინ წამოიწია „ისტორიული მეხსიერების“ პრობლემა და ფილოსოფიაში განსაკუთრებული ყურადღება ისტორიის ფილოსოფიურმა გააზრებამ, ისტორიის ფილოსოფიამ მიიპყრო.

ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში ამ მხრივ გამორჩევის ღირსია ქართველი ფილოსოფოსის, პროფესორ **ზურაბ ხასაიას** საინტერესო ნაშრომი.

ისტორიის ფილოსოფიის ამ მონაკვეთის გამოკვლევა იმითაა საინტერესო, რომ ისტორიის ფილოსოფიამ სწორედ გერმანულ ფილოსოფიაში მიაღწია კლასიკურ განვითარებას და სიმაღლეს. ეგრეთწოდებული „ისტორიზმი“ სწორედ გერმანელ ფილოსოფოსთა უმთავრეს მეთოდად იქცა XVIII–XIX საუკუნეებში. აზროვნების ამ სტილმა და მეთოდმა თავის დროზე გადამწყვეტი გავლენა იქონია რუსულ კულტურაზე, ხოლო აქედან – ქართველ „თერგდალეულებზე“.

მეორე მხრივ, ჩვენს დროში „ისტორიზმის“ წინააღმდეგ დასავლური ლაშქრობა, რაც ფრანგულ პოსტმოდერნში აღწევს უმაღლეს ნიშნულს, სწორედ გერმანელ ფილოსოფოსთა „ანტიისტორიზმიდან“, კერძოდ, ისტორიის შოპენჰაუერისეული და ნიცშესეული „უარყოფიდან“ იღებს სათავეს. ამიტომ, ისტორიის ფილოსოფიის გერმანული სკოლის გამოკვლევა და კრიტიკული შეფასება საინტერესოა თანამედროვე ისტორიული სიტუაციის შესამეცნებლად.

ამ ინტერესს სრულად აკმაყოფილებს წინამდებარე ნაშრომი, რომელშიც სკრუპულოზურადაა გამოკვლეული გერმანიის რჩეულ ფილოსოფოსთა ისტორი-

ული კონცენციები. ამ ფილოსოფოსთა მარტო დასახელებაც საკმარისია ავტორის მიერ ნაკისრი პასუხისმგებლობის გასაზომად: კანტი, ჰერდერი, ფიხტე, ჰეგელი, შოპენჰაუერი, მარქსი და ენგელსი, ვინდელბანდი და რიკერტი, ნიცშე, შპენგლერი, იასპერსი. ამ რანგის ფილოსოფოსებთან შეჭიდება დიახაც სარისკოა, ხოლო ასეთ სარისკო საქმესთან გამკლავება მკვლევარის გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს.

ასეთ გამარჯვებასთან გვაქვს საქმე მოცემულ შემთხვევაში: წიგნი დანერილია ზოგადად დასავლური ფილოსოფიის და კერძოდ, გერმანული ფილოსოფიის ყველაზე საკვანძო პრობლემების პროფესიული ცოდნით. ავტორი ისტორიის ფილოსოფიურ პრობლემატიკას ეხება, ერთი მხრივ, განსახილველი ფილოსოფოსის მთელ მოძღვრებასთან, მეორე მხრივ კი, დასავლურ კულტურაში არსებულ კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციასთან მის კავშირში. ესე იგი, ნაჩვენებია ამა თუ იმ გერმანელი ფილოსოფოსის ისტორიული კონცეფციის ადგილი თვით ამ ფილოსოფოსის ერთიან სისტემაშიც და დასავლური კულტურის განვითარების საერთო პანორამაშიც.

საინტერესოა დაწერილი შესავალი ნაწილიც. აქ ნაჩვენებია ისტორიის ფილოსოფიის მიერ მოხაზული რკალი გერმანული ფილოსოფიის ბოლო ორსაუკუნოვან მონაკვეთზე და ამ რკალის შესაძლო კავშირი ქართული თვინობიერების განვითარებასთან. ავტორი ითვალისწინებს მსგავსი მიმართულებით დაწერილ ქართულ თხზულებებს და ამ მხრივ განსაკუთრებულ სიახლოვეს ამჟღავნებს კონსტანტინე **გამსახურდიასა** და გრიგოლ **რობაქიძის** მიერ დაწერილ ესეებთან.

არ ვაპირებთ ნაშრომის დაწვრილებით განხილვას. ჩვენი მიზანია წიგნის კითხვისგან მოგვრილი ცალკეული შთაბეჭდილების გაზიარება მკითხველისთვის.

ყოველ კულტურას აქვს თავისი აღმართი და დაღმართი. ჩვენი ავტორი საინტერესოდ აკავშირებს ერთსაც და მეორესაც ისტორიის ფილოსოფიურ სულისკვეთებასთან, ისტორიის ფილოსოფიასთან. კერძოდ, ისტორიის ფართო მასშტაბური, მონუმენტური გაგება მოასწავებს კულტურის აღმართს, ხოლო ისტორიის ფართო პერსპექტივის დაკარგვა, მისი „მეთოდოლოგიური საკითხებით“ შემოფარგვლა და, მით უმეტეს, ისტორიის „სუბიექტივისტური“ განმარტება, პირიქით, კულტურის დაღმართს მოასწავებს. აქედანაც ჩანს, რომ ავტორი დასავლური კულტურის თანამედროვე ვითარებას ამ კულტურის დაქვეითებად და ერთგვარ დაცემად განმარტავს, ხოლო XVIII საუკუნის შუახანებიდან ერთსაუკუნოვანი მონაკვეთი მას დასავლური კულტურის ზეობად მიაჩნია. ის ფიქრობს, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის იდეალები დამარცხდა და აქედან დაიწყო დასავლური კულტურის დეკადანსი. ჩვენს დროში დასავლურ ცივილიზაციაში გაბატონებული დემოკრატია ავტორს მიაჩნია „მასკულტურის“ გაბატონებად პიროვნულ თვითცნობიერებაზე.

ქართველ ფილოსოფოსთა მიერ იმანუელ კანტი საფუძვლიანადაა გამოკვლეული; კერძოდ, შემეცნების თეორიის ასპექტით. წინამდებარე ნაშრომის ერთერთი ღირსებაა კანტის წარმოჩენა სულ სხვა – ისტორიის ფილოსოფიის მხრიდან. კანტის მიერ ამ მიმართულებით შესრულებულ სამუშაოს ავტორი „ბუნებრივ-ტელეოლოგიურ ისტორიას“ უწოდებს. კანტს ორი შესაძლო გზა დაუსახავს ისტორიის ფილოსოფიისთვის. ერთია ისტორიის განხილვა ბუნებისმეტყველების, ხოლო მეორე – ზნეობრივ-ტელეოლოგიური თვალსაზრისით. კანტს პირველი მიმართულებით უმუშავია და საინტერესო მონახაზები გაუკეთებია. მეორე მიმართულებით კი, ნაყოფიერი მუშაობა ჩაუტარებია კანტის უმცროს თანამედროვეს – ფიხტეს. ჩვენთვის მოულოდნელი იყო ის მსგავსება, რომელიც აღმოაჩინა ავტორმა კანტის მონახაზსა და ისტორიის შოპენჰაუერისეულ დოქტრინას შორის. ამავე დროს ნაშრომში მკაფიოადაა ნაჩვენები არსებითი განსხვავებაც ამ ორ ფილოსოფოსს შორის ისტორიის განხილვისას.

ავტორისთვის არასოდეს არაა თვითმიზანი ამა თუ იმ ფილოსოფოსის აზრთა, თუნდაც კეთილსინდისიერი დალაგება. ის მუდამ ცდილობს ღრმა ფილოსოფიურ პრობლემათა კონკრეტული ცხოვრებისეული მნიშვნელობის ხაზგასმას: რა მნიშვნელობა აქვს ისტორიის ფილოსოფიის ამა თუ იმ საკითხის გაშუქებას დღეს ჩვენთვის?

ამ მხრივ უმთავრესია ისტორიის საწყისის პრობლემა: ისტორიის ფილოსოფოსს აინტერესებს არა ისტორიის ქრონიკები, არამედ ისტორიის კავშირი ადამიანის თვითგანხორციელებასთან, „რეალიზებასთან“. ამიტომ, წიგნში წინ წამოწეულია „ფილოსოფიური ისტორიის“ თემა. „ნამდვილ“, ანუ ფილოსოფიურ ისტორიაში შედის მხოლოდ ის მოვლენები, რომლებიც ფუნდამენტურ როლს ასრულებს ადამიანის ისტორიულ განვითარებაში, ადამიანის „ადამიანობის“ განხორციელებაში.

ამ მიზნით საგანგებოდაა გარჩეული ჰეგელის აზრი სახელმწიფოს გადამწყვეტი მნიშვნელობის შესახებ: ისტორია იწყება სახელმწიფოებრივი ცნობიერების წარმოშობით და ფილოსოფიურ ისტორიაშიც მხოლოდ ის ხალხები მოიხსენიება, რომლებმაც სახელმწიფო შექმნეს. დანარჩენი ხალხები, მათი ამა თუ იმ დამსახურებათა მიუხედავად, ისტორიის გარეთ რჩებიან.

ამგვარ „ისტორიულობას“ ჰეგელი ადამიანის თავისუფლების პირობად და უტყუარ საზომად თვლიდა. ჩვენი ავტორი ამ პუნქტში მრავალ საერთოს ნახულობს გერმანელ ფილოსოფოსებსა და ქართველ „თერგდალეულებს“ შორის. უკანასკნელნიც ადამიანს არაფრად თვლიან ისტორიაში მისი მონაწილეობის გარეშე და ცდილობენ ისტორიული მეხსიერების გაღვიძლებას ქართულ ცნობიერებაში. იგულისხმება ადამიანის შეერთება თავის თავთან, კერძოდ, თავის წარსულთან და ამ გზით – აწმყოსა და მომავალთან.

მაგრამ, ამავე პუნქტში ზურაბ ხასაია ითვალისწინებს მეორე უკიდურესობაში გადავარდნის საფრთხეს და წინ წამოსწევს ფრიდრიხ ნიცშეს „ანტიისტორიზმს“. ნიცშეს შესანიშნავად ესმოდა ისტორიის მნიშვნელობა ადამიანის თვითგანხორციელებისთვის, მაგრამ არანაკლებად ესმოდა ისტორიაში ინდივიდის დაკარგვის პერსპექტივაც. ადამიანი ისტორიის მონაა, მაგრამ „ზეკაცი“ მაღლა დგება ისტორიაზე და თვითონ ჰქმნის მას. ზეკაცის მიერ ისტორიის ამგვარ ქმნადობას ნიცშე „კრიტიკულ ისტორიას“ უწოდებდა და განსხვავებდა მას „მონუმენტური“ და „ანტიკვარული“ ისტორიებისგან.

ამ პრობლემას ავტორი კარგად აკავშირებს ილია ქავჭავაძის თვალსაზრისთან და ამბობს, რომ ქართველმა მწერალმა არანაკლებ მკაფიოდ შენიშნა ეს უკიდურესობანი: ისტორიიდან ამოვარდნა და ისტორიაში გადავარდნა. პირველ შემთხვევაში ადამიანი მცენარესა და ცხოველს ედრება, მეორე შემთხვევაში კი „ისტორიის მსხვერპლია“.

წიგნში საგანგებოდაა განხილული სიკეთისა და ბოროტების პრობლემა ისტორიაში. ადამიანი, ჩვეულებრივ, კეთილდღეობას ესწრაფვის, მაგრამ ფილოსოფიური ისტორია უფრო ღრმად განიხილავს ადამიანს; აღმოაჩენს, რომ ისტორია არაა „ბედნიერების სარბიელი“. ადამიანის სრულფასოვანი ცხოვრება მიმდინარეობს წინააღმდეგობათა ლაბირინთებში, ბედუკუღმართობებში, სისხლიან ომებში. არც ისტორიული პროგრესი და არც ისტორიული პიროვნება არ გაიზომება ეთიკური კრიტერიუმებით. ეთიკა ბოროტებას უარყოფს და სიკეთეს სცნობს უმაღლეს მიზნად. მაგრამ ფილოსოფია ბოროტების აუცილებლობას ხედავს.

ამიტომ, ჰეგელი მშვიდობიან ეპოქებს „ისტორიის ცარიელ ფურცლებად“ თვლის, ხოლო ისტორიული პიროვნების ღირსებად მიაჩნია არა ზნეობრივი თვითცნობიერება, არამედ გმირული სული. ისტორიული პიროვნება უამრავ ბოროტებაშია გარეული, მაგრამ ის უნდა შეფასდეს მხოლოდ ისტორიული ბედისწერის შეგნებით და მისი გმირული მიღებით.

ადამიანის წვრილმან, საყოფაცხოვრებო ინტერესებს ჰეგელი ისტორიიდან გამორიცხავს და ამ პუნქტში ავტორი ძალიან აახლოებს ერთმანეთთან ჰეგელსა და ნიცშეს. ჩვეულებრივ, მათ ერთმანეთის სრულიად საპირისპირო მოაზროვნეებად მოიხსენიებენ. ჩვენი ავტორი კი გვარწმუნებს, რომ მათს სულისკვეთებებს შორის მსგავსება ბევრად აღემატება განსხვავებას.

ავტორი ყოველთვის დიდი ინტერესით ეკიდება ევროცენტრიზმის იდეას და იგი ყავლგასულ იდეად მიაჩნია. ამ მიმართულებით პირველთაგანი იყო იოჰან ჰერდერი, ვინც ბეჯითად გახაზა ბერძნული კულტურის ორგანული კავშირი წინმსწრებ აღმოსავლურ კულტურასთან და თვით წარმომავლობაც კი მისგან. ეს თვალსაზრისი ფილოსოფიაში კიდევ უფრო განვითარდა ჰერდერის შემდეგ.

ოსვალდ შპენგლერს ევროცენტრიზმი პრიმიტიულ ცალმხრივობად ეჩვენებოდა. ასეთ პრიმიტივს თავისი თვალსაზრისით მთელ მსოფლიოდ ეჩვენება, მას სჭირს ოპტიკური ილუზია, თითქოს დამკვირვებელი სამყაროს ცენტრში იდგეს. შპენგლერი და იასპერსი, პირიქით, ამტკიცებენ, რომ ისტორიული მოვლენა მკვეთრად უნიკალურია და ტერმინი „კაცობრიობის ისტორია“ უნდა შეიცვალოს „კულტურათა ისტორიით“. კულტურები ნაირ-ნაირია და სპეციფიკური გზებით ვითარდება. ერთის ნორმები, ფასეულობანი და კანონზომიერებანი არაა სავალდებულო მეორისთვის.

კარლ იასპერსი ამტკიცებდა, რომ მეორდება მხოლოდ „ღერძული დრო“. ხალხი აცნობიერებს „ბუნებრივი ცხოვრების“ ამოებას და თავისი შემოქმედებითი ფანტაზიით ისახავს ბუნებაზე აღმატებულ მიზანს.

ისტორია სწორედ ამ მიზანთან ხალხის სრულიად უნიკალური მიმართებაა. მისი დაკარგვისთანავე ხალხი ისტორიას წყდება და „ბუნებას“ უერთდება მცენარეთა და ცხოველთა სახეობებით. „ღერძული დროის“ დადგომა რაიმე კანონზომიერებას არ ექვემდებარება. ეს ერთგვარი ბედისწერაა, რომელიც ამა თუ იმ ხალხს ესტუმრება და ისტორიის სუბიექტად აქცევს.

ზურაბ ხასაია არაა მხოლოდ მთხრობელი. დაკვირვებული მკითხველი შეამჩნევს მის სიმპათიებს და ანტიპათიებს ამა თუ იმ ფილოსოფოსის მიმართ. ის ემხრობა იმ მოაზროვნეებს, რომლებიც ისტორიის სუბიექტად ეროვნულ სუბსტანციას თვლიან – ადამიანი ისტორიას უერთდება მხოლოდ თავისი ერის მეშვეობით!

ამიტომ, ერების შერწყმა მას ნიჰილიზმად და „ისტორიის დასასრულად“ ეჩვენება. ჩვენი ეპოქის უმთავრეს მოვლენად მას მიაჩნია ერთა კანონზომიერი ურთიერთშედნევა, რაც, თავის მხრივ, უდიდეს კონფლიქტს გამოიწვევს. ეს კონფლიქტი ჯანსაღი რეაქციაა ერთა შერწყმის პირობებში და მისი ჩაქრობა, თუ ასეთი შესაძლებელია, კაცობრიობის სულიერი სიკვდილის ტოლფასი იქნება.

წიგნი ქართული ფილოსოფიური მემკვიდრეობის ღირსეულ ნაწილად მიგვაჩნია. მისი წაკითხვა და გააზრება უთუოდ წაადგება თანამედროვე ქართველის აზროვნებასა და ნებისყოფას.

**ანზორ ბრეგვაძე,**

**ირაკლი კალანდია,**

**კახა ქაცვაია**

*პროფესორები*

გამოცემაზე მოშაობდნენ:

ნათია დვალი

ნინო ებრაღიძე

დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
გამომცემლობის სტამბაში

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14

14 Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0179

Tel +995 (32) 225 14 32

[www.press.tsu.edu.ge](http://www.press.tsu.edu.ge)